როლანდ გიორგაძე

ცილოზე ამოქარგული მზე

თბილისი
2024

როლანდ გიორგაძე – ტილოზე ამოქარგული მზე
ROLAND GIORGADZE – SUN EMBROIDERED CANVAS

რედაქტორი: ზაალ ბოტკოველი
Editor: Zaal Botkoveli

გარეკანის მხატვრობა: მერაბ გეწაძე
Cover art: Merab Getsadze

მხატვარი: ნინო კოხტაშვილი
Artist: Nino Kokhtashvili

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ნიკა ხვედელიძე
Page make-up: Nika Khvedelidze

© როლანდ გიორგაძე – ტილოზე ამოქარგული მზე

ISBN 978-9941-34-507-4

გამომცემლობა „მერიდიანი“
დაიბეჭდა შ.პ.ს. „შარავანდის“ სტამბაში

წიგნის გამოცემის უზრუნველყოფისთვის დიდ მადლობას ვუხდი შ.პ.ს. „შარავანდის დირექტორს ბატონ თამაზ შარიქაძეს!

ავტორი

ანგელოსთა საუფლოში

„რაც გინდა პატარა იყოს სამშობლო ქვეყანა, პატიოსანს გულში დიდი ადგილი უჭირავს“, – წერდა ილია ჭავჭავაძე – წმინდა ილია მართალი და ასე აფხიზლებდა საღათას ძილს მიცემულ ქართველობას. არადა, უმძიმესი პერიოდი უდგა იმდროინდელ საქართველოს. რუსული ცარიზმის საცეცებში მომწყვდეული ქვეყანა თანდათანობით კარგავდა საკუთარ იდენტობას, მეობას, ტრადიციებს და, რაც ყველაზე სამწუხაროა, ენას. ივერთა მიწის მკვიდრნი ლამის თაკილობდნენ მშობლიურ ენაზე საუბარს და ამაყად, მედიდურად და, ამავე დროს, საოცარი თავმოდრეკით, მონურად ეთაყვანებოდნენ რუსულს...

ახლაც თითქმის იდენტური ვითარებაა. ყველაფერი, რაც აგრერიგად ძვირფასი იყო თითოეული ჩვენგანისთვის, რითაც თავი მოგვწონდა და სალოცავ ხატად მიგვაჩნდა, ყოველდღიური აგრესიის სამიზნედ ქცეულა. ქართული ანბანის გაბიაბრუებასაც კი არ მოერიდნენ პროფესორის მანტიას ამოფარებული მუცლითმეზღაპრეები, რომლებიც ნაწვიმარზე ამოზრდილი სოკოებივით მრავლდებიან. თუმცა „ნაწვიმარი“ რა მოსატანია, ამას ახლა გრანტი ჰქვია, რომელიც რასაც უნდა იმას ათქმევინებს და ჩაადენინებს შოშიას ბარტყებივით პირდაღებულ არაკაცებს.

ჰოდა, ახლა დიდი სიფრთხილე და სიფხიზლე გვჭირდება სცილასა და ქარიბდას შორის მოქცეულ ღვთისმშობლის წილხვდომილ ქვეყანას. სული უნდა ვუბეროთ ჩვენს დედასამშობლოს, დედაეკლესიას, ქართულ დედაბოძებს, ბურჯად რომ უდგანან ჩვენს ოჯახებს და სიმტკიცისკენ, შეუპოვრობისკენ,

ვაჟკაცობისკენ მოგვიწოდებენ, რათა ამ ქვეყანაში დედას დედა ერქვას, მამას კი – მამა, ქალიშვილს – ქალიშვილი, ვაჟიშვილს – ვაჟიშვილი.

რატომ ვწერ ამას? ალბათ, იმიტომაც, რომ ეს წიგნი, რომელსაც თავის დროზე ხელს შეახებთ და გადაშლით კიდეც, მიგახვედრებთ, რომ მისი ავტორი სწორედაც რომ ილია მართლის გზაზე შემდგარი შემოქმედია, ისეთი შემოქმედი, რომელსაც დაუყვედრებლად შეიძლება ილიელი ვუწოდოთ.

ამ წიგნს მართლაც რომ უქათქათესი, მჭვირვალე ანგელოსები მფარველობენ და უნათებენ სავალ გზას.

ამ წიგნში მკითხველი ვერ შეხვდება იზმებით გამოჭედილ ტექსტებს, ვერც ფილოსოფიურ მსჯელობებს წუთისოფლის წარმავლობაზე, ამაოება ამაოთაზე.

არა, ბატონებო, წიგნის ავტორს, მისი მოთხრობებივით სადასა და უბრალო პროზაიკოსს როლანდ გიორგაძეს, რომელიც თავისი არსით ქართველ გუთნისდედასა თუ მეზვრეს მოგვაგონებს, ერთი მეტად საპატიო ამოცანა დაუსახავს მიზნად: თავის საესავ სამშობლოს, თავის საესავ თანამოძმეთ შეახსენოს, თუ რანი, როგორნი ვიყავით გუშინ თუ გუშინწინ, ათი, ასი, თუ ათასი წლის წინ საუკუნეების უღრანებში ხეტიალისას, და როგორ უნდა შევინარჩუნოთ ფარნავაზისა და დავით აღმაშენებლის, გიორგი ბრწყინვალისა თუ პატარა კახის, თევდორე მღვდლისა თუ უსახელო უფლისციხელის სული, რათა თავაწეულებმა შევაბიჯოთ მომავალში...

ამ წიგნში სულ რამდენიმე მოთხრობამ დაივანა, სადიდომაც და საბავშვომაც და კიდევ ერთმა პუბლიცისტურმა სტატიამ, რომელიც ბევრ საჭირბოროტო პრობლემაზე ამახვილებს ყურადღებას.

როლანდ გიორგაძის ლიტერატურული გმირები ჭეშმარიტი ბანოვანები და ვაჟკაცები არიან, რომელთაც იციან ნამდვილი სიყვარულის ფასი და თუ ზოგჯერ ცხოვრება ისე არ გრძელდება, როგორც ეს მათ წარმოედგინათ, ისინი მაინც სათუთად ინახავენ ამ წმიდათაწმიდა გრძნობას, სულს უბერავენ და ათწლეულების შემდეგაც ამ დიადი გრძნობის ერთგულნი რჩებიან. როგორ არ

წააგავს მათი წარმოდგენა ამ უდიადეს სუბსტანციაზე თანამედროვე ფსევდოდემოკრატიის ზოგიერთი მედროშის სექსუალურ ფანტაზიებს, არაფრით რომ არ ჩამორჩებიან როზა ლუქსემბურგისა თუ კლარა ცეტკინის იდეალებს.

ამ მოთხრობების ავტორი სერიოზულადაა შეწუხებული ქართული განათლების სისტემის ზოგიერთი ასპექტის გამო, სრულად აქვს გასიგრძეგანებული პედაგოგის, მასწავლებლის როლი ამ ურთულეს, ფეთქებადსაშიშ გარემოში. ამის დასტურია მოთხრობა „ბოლო გაკვეთილი", რომლის მთავარი პერსონაჟი გამუდმებით ფიქრობს, თუ რა გზებით, რა საშუალებებით უნდა გავუღვივოთ ახალგაზრდა თაობას მშობელი ქვეყნის სიყვარული, იცის, რომ მხოლოდ სულიერების პრიმატის მომძლავრება გადაგვირჩენს მოზარდ თაობას, რომ არ უნდა დაირღვეს კავშირი თაობებს შორის, თაობები არ უნდა აღმოჩნდნენ ცხოვრების მთავარი დინების სხვადასხვა ნაპირზე, რომ დროს ადამიანები ვქმნით და არა პირიქით.

ერთ-ერთი მოთხრობის გმირს, საავადმყოფოს რეანიმაციაში უმძიმეს მდგომარეობაში მყოფ პაციენტს ზმანებაში უფლის ანგელოზი გამოეცხადება და წვრილად მოაყოლებს მისი ცხოვრების განვლილ გზას. ისიც ჰყვება, ჰყვება და აღმოაჩენს, რომ არაერთი შეცდომის მიუხედავად, არ გამხდარა სატანისა და ეშმას არჩივი, არ უღალატია იმ პრინციპებისათვის, რისთვისაც ადამიანები მოვლინებული ვართ ამქვეყნად. ჰოდა, მოხდება სასწაული – სასიკვდილოდ განწირული კაცი გამოჯანმრთელების გზას დაადგება.

სულ დამავიწყდა მეთქვა, რომ ამ წიგნში შესულ მოთხრობებს ერთი მთავარი პერსონაჟი ჰყავს და მას სიკეთე ჰქვია. სიკეთე და მადლი ამოძრავებს მარტო ამ მოთხრობებს კი არა, ავტორის მოკრძალებული აზრით, სამყაროსაც.

მოთხრობაში „თეთრი მტრედი" მოქმედება ცივ ზამთარში, სუსხითა და ყინვით გაჯერებულ გარემოში ხდება. ახალგაზრდა ცოლ-ქმარი, რომლებიც დღე-დღეზე შვილის დაბადებას ელოდებიან, იძულებული არიან ქუჩაში დადგნენ და მომავალი მამის – ჩინებული მევიოლინის დაკვრით იშოვონ თანხა, რომელიც

სამშობიარო სახლისთვის სჭირდებათ. ერთ-ერთ ეზოში შესულ აძაგძაგებულ წყვილს ფანჯრიდან თვალს მოჰკრავს მოხუცი მამაკაცი, რომელიც მყისიერად ჩავა ეზოში და ახალგაზრდებს ფულის მოზრდილ შეკვრას გადასცემს. ვითომც არაფერი, მაგრამ საქმე ხომ ის გახლავთ, რომ ამ ფულს ის სულკურთხეული ძალიან დიდხანს აგროვებდა მშობლიურ სოფელში სახლის შესაკეთებლად. დიახ, თანაგრძნობა ერთ-ერთი უმთავრესი ნიჭია ადამიანისა, რაც უხვად აღმოაჩნდება, ალბათ, მრავალჭირნახად მოხუცს. სიკეთის კეთების სურვილით გამოირჩევა მეორე მოთხრობის „მარინეს“ მთავარი გმირიც – მუსიკალური სკოლის დირექტორი, რომელიც დახმარების ხელს გაუწვდის პატარა გოგონას და მას ჩინებულ მუსიკოსად აღზრდის.

თუ რამისკენ მოგვიწოდებს როლანდ გიორგაძე, იმისკენ მოგვიწოდებს, რომ ჩვენ, ყველანი, რა გაუსაძლის პირობებშიც არ უნდა მოვხვდეთ, რა გაჭირვების თუ პრობლემის წინაშეც არ უნდა აღმოვჩნდეთ, არ უნდა გავბოროტდეთ, არ უნდა ავივსოთ სული შურითა და შხამით, ბოღმითა და სამსალით. და თუ ეს მოვახერხეთ, მაშინ მაინც გავაღწევთ სამშვიდობოს.

როლანდ გიორგაძისათვის ცხადზე უცხადესია, რომ თუ რამ გადაარჩენს ქართველ კაცს წუთისოფლის იწროებში გადაჩეხვისაგან, ადგილის დედასთან, სოფელთან კავშირის შენარჩუნებაა, უფრო სწორად რომ ითქვას, თავად სოფლის გადარჩენაა უმთავრესი, რომელიც ჩვენთვის, ანთეოსისა არ იყოს, ძალისა და ენერგიის მიმცემია. სოფელთან კავშირს ფესვებთან კავშირი ჰქვია და თუ ამ ყველაფერს ზურგს აქცევ და მოსწყდები, ფესვები ამას არ გაპატიებენ, უფუნქციოდ დაგტოვებენ და შენი ცხოვრებაც ფუჭად, ამაოდ ჩაივლის.

რა საინტერესოდ ხატავს მწერალი გლეხიკაცის მარჩენალი ხარის ისტორიას. ნიკორა და მისი პატრონი ლამის ერთ სულად და ხორცად არიან ქცეულნი და ისე ეწევიან ცხოვრებისეულ ჭაპანს...

მწერალმა კარგად იცის, რომ ადამიანი საკუთარ თავს ვერსად გაექცევა და ვერსად დაემალება, რომ ადამიანისთვის ყველაზე მთავარი ორთაბრძოლა საკუთარ თავთან შერკინებაა

და თუ ამ ბრძოლიდან გამარჯვებული გამოხვედი, შენი მომრევი ამქვეყნად არავინ იქნება.

„შიშს არა განსაცდელთა მოწევნაი იქმს, არამედ გონების უძლურებაი“.

იოანე ოქროპირის ამ შეგონებას, როგორც ჩანს, კარგად იცნობს მწერალი და მთელ მის შემოქმედებას, ამ კრებულში შესული მოთხრობების ჩათვლით, ლაიტმოტივად გასდევს ადამიანის სულიერი სიმტკიცე, ადამიანის რწმენა და ქედუხრელობა ყველა დაბრკოლების მიმართ. ამიტომაცაა, რომ შიში მის პერსონაჟებს თითქმის დაძლეული აქვთ. თითქმის–მეთქი რომ ვაცხადებ, იმას ვგულისხმობ, რომ ერთი შიშის დაძლევა წარმოუდგენელია და მას სამშობლო ქვეყნის იავარქმნის შიში ჰქვია. ამ შიშის გარეშე ხომ აქამომდეც ვერ მოვაღწევდით.

ვწერ ამ სტრიქონებს და გონებაში XX–XXI საუკუნეების ერთ–ერთი დიდი მწერლისა და მოაზროვნის, ოთარ ჭილაძის ციტატა წამომიტივტივდა:

„ადამიანი ჰგავს იმ ქვეყანას, რომელსაც მისი სამშობლო ჰქვია, ხოლო სამშობლო თავს ურჩევნიათ ადამიანებს და არა მონებს“.

დიახ, ბატონებო, შემიძლია გულზე ხელი დავიდო და ისე განვაცხადო: როლანდ გიორგაძე – მწერალი და მოქალაქე, საოცრად ჰგავს მის სამშობლოს. როლანდ გიორგაძე არ დაბადებულა მონად (ღმერთმა დაიფაროს) და ამიტომაც იგი ადამიანია, ჭეშმარიტი ადამიანი, ალიკვალი მისი ბედკრული ქვეყნისა.

ამბობენ, ოცნება მღვიძარეთა სიზმარიაო და თუ ასეა, მაშინ თქვენს სიზმრებს გაუმარჯოს, ბატონო როლანდ, მტკიცედ გვწამს, რომ თქვენი და ჩვენი სიზმრები ერთ დიდ ვულკანურ ძალად გადაიქცევა, წალეკავს ამქვეყნად არსებულ ყველა ბოროტებას, ყველა უწმინდურებას და გადაარჩენს თქვენსა და ჩვენს სათაყვანებელ სამშობლოს, რომელსაც სრულიად სამართლიანად, ანგელოსთა საუფლოდ მიიჩნევთ.

ზაალ ბოტკოველი

მოთხრობები

ცილოზე ამოქარგული მზე

ტილოზე ამოქარგული მზე

საიმედო ვერაფერი უთხრეს – მედიცინას გასაოცარი მიღწევები აქვს თვალის დაავადებათა თანამედროვე მეთოდებით მკურნალობაში და ეს უწყვეტი პროცესიაო. კიდევ ბევრი რამ თქვა ექიმმა. ოთარი ზრდილობის გამო უსმენდა. მისთვის ყველაფერი ნათელი იყო – ყველაზე უარესისთვის უნდა მომზადებულიყო. იმ დღიდან მოყოლებული ცდილობდა, თვალდახუჭულს ევლო. ნაბიჯებით ზომავდა მანძილს სახლიდან ავტობუსის გაჩერებამდე, ბაღში ტოტებგაშლილ, უზარმაზარ ხის ძირას ჩაბეტონებულ ძელსკამამდე. სახლში ყველა ნივთს აკვირდებოდა, წვერსაც კი თვალდახუჭული იპარსავდა. ჯერჯერობით მთლად საგანგაშოდ არ ჰქონდა საქმე, მაგრამ ფერთა გამაში თეთრი ფერი გაბატონდა და ეს უკვირდა ექიმს, იშვიათი შემთხვევაა ჩემს პრაქტიკაშიო, უფრო სიმუქეს უჩივიანო. არ უნდოდა მწარე ხვედრს გულხელდაკრეფილი შეხვედროდა. გულში კი გაივლებდა, იქნებ დავასწრო ამ განსაცდელს და თვალხილული გავიდე სააქაოდან. ყველაფერი ღვთისგანაა, მის ნებას ვინ გადაუვაო. თხოვნაც კი ერიდებოდა, რა წმინდა ცხოვრებით მე მიცხოვრია, ჩემი თხოვნა ღმერთმა შეისმინოსო. დღეებს დაეშურა, ადრიანად გადიოდა სახლიდან, ათვალიერებდა არემარეს. დიდხანს შესცქეროდა ცის თაღს, მზეს, იმახსოვრებდა ფერებს, დაჟინებით აყურადებდა ფოთოლთა შრიალს, ფრთოსანთა მხიარულ ჟივილ-ხივილს და ცდილობდა, ჩიტები ჭიკჭიკის მიხედვით გამოეცნო.

იმ დღესაც ადრიანად დაადგა გზას, ბაღამდე ათასი ნაბიჯი იყო. პატარა შადრევანთან ჩამოჯდომა უყვარდა, სადაც ბეღურები ბანაობდნენ ხოლმე. ჩაიყურყუმელავებდნენ, მერე ფრთებზე გადავლებულ წყალს დაიფერთხავდნენ და სივრცეში აიჭრე-ბოდნენ, ბაღს წრეს დაარტყამდნენ და ხეზე ჩამოსხდებოდნენ. შადრევანთან მის სათაყვანო შაშვს თვალი ვეღარ მოკრა. შაშვის გალობა ყველაფერს ავიწყებდა. იჯდა გარინდებული და მოგო-ნებების უკიდეგანო სივრცეში ინთქმებოდა...

* * *

ქალი დიდხანს იჯდა სარკესთან. ცივი შუშიდან არეკლილი ორეული შესცქეროდა, დაჟინებით უმზერდნენ ერთმანეთს. და-ნანებით გადაიქნია თავი. მერი შერვაშიძის ფოტოს დაჰყურებდა ხშირად. უკვირდა, როგორ შეინარჩუნა ღრმა სიბერემდე მო-მხიბვლელობა და მოხდენილობაო. მას კი თმა არასოდეს შეუღებავს. უცნაური, ვერცხლისფერი კი არა, უფრო ფერფლის-ფერი შეფერილობის თმა ახალგაზრდობიდან გამოჰყვა, რომე-ლიც შინაგანად თბილს, ამაყ და გოროზ იერს აძლევდა და მის მიმართ კრძალვით განაწყობდა ყველას. კიდევ ერთხელ შეავლო თვალი ორეულს, აქნილ წარბებზე თითები გადაისვა და წამოდგა. შარვალი თუ კაბა? შარვალი ამჯობინა, უფრო დამაჯერებლად გრძნობდა თავს. ისევ მოხდენილად დადიოდა, თვალსაც კი გააყოლებდნენ ხოლმე... ქალი ეზოში გამოვიდა და ნაცნობ გზას დაადგა.

ამას წინათ ქუჩაში მიდიოდა. მოზრდილი გოგონები შეე-ფეთნენ. თამამად ჩაცმულნი, მოშილიფებულნი. ფეხი შეანელეს და ცნობისმოყვარეობით ახედეს, ჩაიფრუტუნეს და გადაიკის-კისეს. ყურში მოესმა, როგორ თქვა ერთმა – მოხდენილად კი გამოიყურება, მაგრამ მის ასაკში შარვალი მეტისმეტიაო. ჰმ, ჩა-იცინა, ერთი პირველთაგანი იყო, ვინც შარვლით შეიმოსა. ეჰ, გოგოებო, მოვა დრო და მიხვდებით, რომ თითოეული ადამიანი წაუკითხავი წიგნია და ყველას როდი ხელეწიფება მისი წაკითხვა.

* * *

ზაფხულის ხვატი იდგა, ჰაერი არ იძვროდა. მიუხედავად აუტანელი სიცხისა, მკვირცხლად ამოირბინა აღმართი. მდინარეში ნაბანავებს სველ ტანზე მიკვროდა სამოსი. ბეჭებზე დაცემულ თმებსაც ვერ მოესწრო გაშრობა. ქვაყუნციასთან ღარის წყალს დაეწაფა, გული გაიგრილა, მერე სახეზეც შეისხა და აღმართს აუყვა. მაღლობიდან ამაყად იმზირებოდა ორსართულიანი ოდა სახლი. პირველი სართული ქვითკირისა იყო, მეორე სართული – მთლიანად წაბლის ხის, რომელიც განსხვავებულ, მისთვის დამახასიათებელ სურნელს აფრქვევდა, სასიამოვნოს. სახლში არავინ იყო. კიბე აირბინა. ბევრი ლხინისა და ქეიფის მომსწრე აივანი ისეთი გრძელი იყო, ას კაცს თავისუფლად უმასპინძლებდა. აივნიდან თვალწარმტაცი ხედი იშლებოდა მდინარე უძინარას ხეობაზე, თავისი მაღლობებითა და დაბლობებით, ყანებითა თუ ვენახებით. ჩამოჯდებოდა აივანზე თოთხმეტი წლის ახტაჯანა, ობოლი გოგონა, რომელსაც არც მამა ახსოვდა და არც დედა, მამა ომმა შეიწირა, დედა – დარდმა. შეუხორცებელი იარა მის გულში ვერც დრომ და ვერც ასაკმა შეახორცა. თავისი სამყარო ჰქონდა და მის სამყაროში არავის ახედებდა. ბაბუა თუ გამოაფხიზლებდა და ირეალურიდან გამოიყვანდა: არ გადმოვარდე, არ დამღუპო შვილო, აივნის მოაჯირი ცხენი ხომ არ არის, რომ შემოსკუპებულხარო. ყველა სურვილის შემსრულებელი ბაბუა მხოლოდ თოფთან მიახლოებას უკრძალავდა. ცნობილი მონადირე იყო ბაბუა. იმ საშინელი ომის, შიმშილისა და სიდუხჭირის დროს იმდენი ნანადირევი მოჰქონდა, მეზობლებსაც კი უნაწილებდა... თოფი ქალის საქმე არ არისო, – იტყოდა ხოლმე და თვალისჩინივით უფრთხილდებოდა, – ბაბუაჩემის ჩამოტანილია ტრაპიზონის ომიდანო. გოგოს კი ანდამატივით იზიდავდა იარაღი, ერთი სული ჰქონდა ხელი შეევლო. ჩქარი ნაბიჯით გადაჭრა აივანი და დიდ ოთახში შევიდა. მოპირდაპირე კედელზე გაკრულ უზარმაზარი ხალიჩიდან ამაყად გადმოსცქეროდა ქორბუდა ირმის დატოტვილი თავი. აქვე ეკიდა ხმალი, ხანჯალი და მისი სანუკვარი ორლულიანი სანადირო თოფი. მიუახლოვდა, ფრთხილად მიიდგა სკამი და საოცნებო ნივთი

კედლიდან ჩამოხსნა. ემძიმა, კონდახზე ფრთხილად ჩამოუსვა ხელი, თითქოს ეალერსებოდა. ძირს დაუშვა, ამოაბრუნა და ლულაშიც ჩაიჭყიტა. მერე ჩახმახსაც შეავლო ხელი და აივანზე გავიდა. მერცხლების გაუთავებელი ჟღურტული ისმოდა. გოგონამ თოფი შემართა, ბაბუასავით მხარზე მიიყრდნო, ნიკაპიც მჭიდროდ მიაბჯინა. უხილავ მტერს მიაძახა: ბუჰ, ბუჰო! მერე რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და მისდაუნებურად სასხლეტს თითი გამოჰკრა. იქუხა, რასაც თვალი შეასწრო, ლულიდან გამოვარდნილი ალი იყო. საშინელმა ტკივილმა ძირს დასცა და გონი დაკარგა. თოფის ქუხილზე ყანიდან მომავალი ბაბუა მოვარდა. ტყვიას მერცხლის ბუდე ნაფლეთებად ექცია და რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, აივნის წინ აშოლტილ მსხლის ხიდან ყვავიც გადმოეგდო. კარგა ხანს გაჰყვა მხრისა და ყბის ტკივილი.

* * *

მიუყვებოდა გზას მოხდენილი ასაკოვანი ქალი და ფიქრებს ელაციცებოდა. რა ქარმა გადმოაგდო ნეტავ ეს კაცი, ჩემი ადგილი რომ დაუმისებია? თვითონაც არ იცოდა, რატომ არ ჩამოისვენა ამოჩემებულ სკამზე. მოერიდა იმ მამაკაცის, რომელიც მხცოვანების ბილიკს შესდგომოდა. საკმაოდ მოხდენილი კაცი იყო. თითქმის ყოველდღე ხედავდა. იმ დღეს თვალებით შეეფეთა. შედრკა. სხეული ჟრჟოლამ მოიცვა. სწრაფად დახარა თავი და რომ არ წაქცეულიყო, სკამზე ჩამოესვენა. კაციც შეცბა. კვლავ ქალს შეავლო მზერა. შეუძლებელია... ბედისწერად ქცეული, ცრემლის ტბაში მოტივტივე ორი გიშერი. სწრაფად წამოდგა და ფეხარეული აგურისფრად მოკირწყლულ ბილიკს გაუყვა. ქალი კარგა ხანს იყო გაოგნებული. წარსულიდან მომზირალმა ნაცნობმა თვალებმა ისეთივე თრთოლა მოჰგვარა, როგორც შორეულ ყმაწვილქალობაში. აფორაჯებულმა და აფორიაქებულმა თავი ჩაღუნა, თავისდაუნებურად წარბებზე ცერა თითები გადაისვა. უკან მიიხედა, სიყრმეს მიაპყრო მზერა და იქაურობა კარგად მოჩხრიკა. ნუთუ ის არის?!

* * *

მზეს ჯერ კიდევ ვერ მოეკრიბა ის ძალა, საჩრდილობელს რომ მოგაძებნინებს. სისხამზე სიმინდს ნამბული დჰკრავს, მიწასაც დაანოტიოებს და ყანაც ადვილად ითოხნება. არაფერი ისე არ ართმევს კაცს არაქათს, როგორც თოხი, ოფლს ღვარად დაგადენს. ყველა სათოხარში იყო გაკრეფილი. ზღვასავით ლივლივებდა წელამდე ამოზიდული სიმინდის ყანა. თინიკო კი სახლის მეთვალყურედ იყო გამწესებული. დილის საქმეები მოითავა, ქათმებიც დააპურა და ღორიც გადააბა. ახლა თავის საყვარელ აივანზე, სკამზე იჯდა. ბაბუამ გააფრთხილა, აივანის მოაჯირზე შემომჯდარი აღარ გნახო. წელს სკოლას ამთავრებ, გასათხოვარი გოგო ხარ უკვეო. რას ამბობ ბაბუ, სანამ ჩემი პრინცი არ ჩამოიგელვებს და აივნიდან არ მომიტაცებს სახლიდან ფეხის გამდგმელი არა ვარო, – უპასუხებდა კისკისით. ვატყობ, დიდი ლოდინი არ დაგჭირდება, შენ რა გიჭირს, მე რა მეშველება უშენოდო. შენც თან წაგიყვან, ბაბუკელა, შენ როგორ დაგტოვებო და კისერზე ჩამოეკიდებოდა ბერიკაცს. იჯდა ღიმმორეული, იდაყვებზე თავჩამოყრდნობილი და ნაცნობ პეიზაჟს გასცქეროდა. მზე უშურველად აფრქვევდა მწველ სხივებს. მერე კი ყველა სხივი ერთ დიდ კონად შეკრა და მდინარეში მოელვარე სვეტივით ჩაუშვა. ცოტა ხანში წყალი აფუთფუთდა, ამოდუღდა და მთელი ხეობა რძისფერ ნისლში გაეხვა... ყმაწვილი ქალი უცნაური ზმანებიდან ცხენის ჭიხვინმა გამოიყვანა. თავი წამოსწია. ეს ხომ მერცხალაა, ნეტავ მარტო რად მოვიდა? სადაა დედამისი? დედა მართლაც რომ დინჯი ჰყავდა. იმდენად უწყინარი და მშვიდი, ფაშატს დინჯა შეარქვეს. თინიკოც არაერთხელ ამხედრებულა დინჯაზე, – შეკაზმულზეც და უბელოზეც. მაგრამ გამორჩეულად მაინც მერცხალა უყვარდა – ყორანივით შავი ულაყი, თითქმის მის ხელში რომ გაიზარდა. არაფერს არ აკლებდა, ბანდა, ასეირნებდა. ნატეხი შაქარი სულ ჯიბეში ედო და მალულად აჭმევდა, იმიტომ, რომ ბაბუა უშლიდა – კბილებს გაუფუჭებსო. დაინახავდა თუ არა ცხენი, ჩიჩვირით ჯიბეში უძვრებოდა. თინიკოც შემოეხვეოდა ყელზე და ხან ფაფარს უვარცხნიდა, ხანაც უწნავდა. განუყრელი მეგობრები

იყვნენ. ბაბუამ ბოლო დროს მის გახედნაზე დაიწყო საუბარი. ჯერ უნაგირს უნდა შეეჩვიოსო. რამდენჯერმე შეეცადა აღეკაზმა უნაგირით, მაგრამ არ იგუა. თრთოდა, ჭიხვინებდა, ყალყზე დგებოდა, კინაღამ ღობეები დალეწა. ბაბუა იცინოდა და ამბობდა: რამდენიც არ უნდა იხტუნოს, მაინც მოუწევს თავის ხვედრთან შეგუებაო... მაგრამ მე აღარ შემიძლია, კარგი ვაჟკაცი უნდაო... თინიკო გულში ფიქრობდა: რაღა ვიღაც უცხო უნდა შეასკუპდეს ჩემს გაზრდილ ცხენსო. მე ვიქნები პირველი, პირველობას არავის დავუთმობო. გაიხედ-გამოიხედა, არავინ ჩანდა. ამაზე ხელსაყრელი დრო არ მექნებაო და ეზოში ჩაირბინა.

– მერცხალ, მერცხალ! – დაიძახა. ულაყმა ყურები ცქვიტა. ჩაიხვიხვინა და თინიკოს მიუახლოვდა.

– აი, ჩემი საჩუქარი, ჩემო ლამაზო, – თინიკომ ერთი მუჭა ნატეხი შაქარი გაუწოდა. ცხენმა ხრაშახრუში აუტეხა ნუგბარს, – ხომ ხედავ, მე ყველანაირ სურვილს გისრულებ, ახლა შენც უნდა შემისრულო, მე უნდა ვიყო ის პირველი, ვინც შენზე ამხედრდება.

თითქოს რაღაცის მოლოდინში ცხენი აცახცახდა. თინიკომ ისიც კი გაიფიქრა, ხელი ხომ არ ავიღო ჩემს განზრახვაზეო, მაგრამ ეს იყო წამიერი ორჭოფი. ცხენს მიუახლოვდა, თვალებზე ეამბორა, ფაფარი გადაუვარცხნა, ხელი კისერზე მოუთათუნა და მერე ელვის უსწრაფესად ზურგზე მოექცა. ცხენი ჯერ გაოგნდა, მერე ყალყზე დადგა, დაიჭიხვინა, ადგილიდან უსწრაფესად მოწყდა და ხის დაბალ ჭიშკარს გადაევლო. გოგო ჭინკასავით ჩააფრინდა ფაფარში, ფეხები შემოასალტა და კისერზე გაწვა. ერთსხეულად ქცეულნი ქარზე უსწრაფესად მიფრინავდნენ. თავქვე მიმქროლავ გოგონას უფრო და უფრო უჭირდა თავის შემაგრება. როგორმე უნდა შევაჩერო, როგორმე უნდა შევაჩეროო! რეკდა გონება. ქვიან შარაზე გადმოვარდნა სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა. ცხენი კი ყოველნაირად ცდილობდა აბეზარი ტვირთისგან გათავისუფლებას. გასცდა თუ არა ორღობეს, ცხენი თქარათქურით მწვანედ აბიბინებულ ყანებს შორის გაწოლილ საურმე გზას დაადგა. ყანების ბოლოს დიდკლდოვანი ხევი იყო, საიდანაც მდინარე უძინარას შემზარავი ხაფი ხმა და გუგუნი ისმოდა. გოგო შიშმა შეიპყრო, ცხენის შეჩერების არანაირი

ძალა აღარ გააჩნდა. განწირულმა რამდენჯერმე დაიკივლა – მიშველეთ! მიშველეთო! მემორადეები[1] კანტიკუნტად გამოვიდნენ ყანიდან. ტყვიასავით ჩაიქროლა ულაყმა. ცხენი საბედისწერო ხევს უახლოვდებოდა. თავზარდაცემული, საძრაობადაკარგული გლეხები შიშით შესცქეროდნენ თავაწყვეტილ ულაყს, საკუთარი უილაჯობით დათრგუნვილნი მხოლოდ ხელებს ასავსავებდნენ და ხმამაღლა გაჰყვიროდნენ... ყვირილზე ყანის ბოლოდან თმაშეკრული ჭაბუკი გამოხტა, წამიერად შეყოვნდა, მერე თოხი შორს გასტყორცნა და გაცოფებულ ცხენს წინ გადუდგა. ცხენმა ფეხებით ჰაერი დატორა და ფლოქვები მიწას დასცხო. ბიჭმა პატარა შეყოვნებით ისარგებლა და ცხენს კისერზე ჩამოეკიდა. დამფრთხალმა და ქანცგამოცლილმა გოგომ თავი ვეღარ შეიმაგრა და სიმინდის ზღვაში გადაეშვა. ჭაბუკი გოგოსთან მიიჭრა, ფრთხილად გადმოაბრუნა... ტკივილისგან კი არა, სირცხვილისგან ალანძული, ნუკრივით დამფრთხალი გოგოს ცრემლების გუბიდან ორი გიშერი იმზირებოდა... გადარჩა, გაიფიქრა ბიჭმა და ღიმილადქცეულმა თავისი ზეცასავით კრიალა თვალები შეანათა. შუბლიდან სახვევი მოიხსნა, საფეთქელთან ახლოს გამოჟონილი სისხლი ფრთხილად მოწმინდა. შუბლზე ხელი გადაუსვა და ჩამოშლილი თმა უკან გადაუწია, მერე კი ფრთხილად შეუკრა. ხელის შეხებისას გოგოს უცნაურმა ჟრუანტელმა თხემით ტერფამდე დაუარა. იწვა დარცხვენილი და გარინდებული. ოფლიანი თავსახვევის სუნი ცხვირს უწვავდა და მისდა გასაოცრად ზიზღის ნაცვლად რაღაც გამოუცნობ ბურუსში ხვევდა. ეს არ იყო მარტო ოფლის სუნი, მას კიდევ რაღაც სხვა სურნელი ახლდა, რომელმაც მისთვის შეუცნობელ სამყაროში გადაისროლა...

* * *

ფეხარეულ კაცს დიდხანს არ უვლია. საშინელმა მოთენთილობამ შეიპყრო. არ წავიქცეო, გაუელვა გულში. მტირალა ტირიფს შეაფარა თავი, წვრილი ტოტები ქალის თმასავით რომ ჩამოშლოდა. ძელსკამზე ჩამოჯდა, ბეჭებით საზურგეს მიესვენა.

[1] მორადი – ყანის მეორედ გათოხნა.

ასევე ჩამოშლოდა გოგოს იმ საბედისწერო დღეს სახეზე თმა, რომლის მიღმა, ცრემლებში მობანავე ორმა გიშერმა სააქაოს მოსწყვიტა ბიჭი. ვერც ვერასოდეს დაივიწყა. რომ არა ის შემთხვევა, ნეტავ როგორ წარიმართებოდა მისი ცხოვრება?

* * *

ხომ შეეძლო ცხენს ოთარი გადაეთელა? სად იყო ფიქრის დრო, განწირულმა ყვირილმა გამოაგდო ყანიდან და რაც შემდეგ მოხდა, ღვთის სასწაულად მიიჩნია. არც ხალხის შეძახილები ესმოდა, ვერც თვალცრემლიან მოხუცს ხედავდა, რომელიც გულში იკრავდა. ვაჟკაცის სახელი გაუვარდა. დიდი ლხინი გადაიხადა თინიკოს ბაბუამ. თინიკო მეზობლის ქალებთან ერთად სუფრას ემსახურებოდა. გამომშვიდობებისას თინიკოს ბაბუამ, გერასიმემ შვილიშვილს დაუძახა, – შენ გადამრჩენელს, ჩვენ გადამრჩენელს მადლობა უთხარი შვილო, მადლობა უთხარი, რომ არ დავიღუპეთ და გამწარებული არ გამიშვა სამარეში. ოთარს მისი მადლობა რად უნდოდა, თვალები ისედაც ყველაფერს ამბობდნენ. მოსაუბრეებს მეზობლის ენაკვიმატი ქალი ფოტინე მიუახლოვდა, ხელში თეფშები ეჭირა და პირველი სართულისკენ მიემართებოდა. სანამ კიბეს დაუყვებოდა თავი მოსაუბრეებისკენ მოაბრუნა და სიცილგარეული ხმით თქვა: გერასიმე, გერასიმე, ბედი კარზე მოგდგომია, ხელი არა ჰკრაო! ბაბუას უცბად არ უპასუხია, პირველად სახე შეეკუშტა, მერე ღიმილმა გადაჰკრა და უპასუხა: ეჰ, ფოტინე, ფოტინე, აქამდე უბრად იმიტომ იყავი, ეგ რომ გეთქვა? მარტო მე კი არა, მთელი სოფელი ასე ლაპარაკობს, უკეთეს სასიძოს სად იპოვისო. ახალგაზრდებს ალმა გადაჰკრათ სახეზე, უხერხულობისგან აღარ იცოდნენ, საით გაეხედათ. ისევ ბაბუამ განმუხტა სიტუაცია, – რა დროს სიძე-მაყრობაა, ფოტინე, ესენი ხომ ჯერ ბავშვები არიან! – პატარა პაუზის შემდეგ კი დაამატა: – ხომ გაგიგონია, ადამიანთა ბედი აქ კი არა ზეცაში წყდება, ზეცაში... მეტი არაფერი უთქვამს. უკან შებრუნდა და სუფრაზე შემორჩენილ მოქეიფე სტუმრებისკენ გაემართა. თინიკომ ჭიშკრამდე გააცილა სტუმარი. დამშვიდობებისას ოთარმა ხელი გაუწოდა. მის ვაჟკაცურ ხელში გოგოს ნაზი თითები ბეღურასავით

აფართხალდა. მხოლოდ ორი სიტყვა უთხრა – მალე გნახავო და თავქვე დაეშვა. თინიკოს ხელი ისე უხურდა, გეგონებოდა ნაღვერდალში შეეყოო. უცნაური გრძნობისაგან აფორიაქებულმა სირბილით გასწია სახლისკენ.

* * *

ოთარმა ხელები მოიფშვნიტა, მუხლებზე დაიკრა და ფეხზე წამოდგა. გამოვიდა ტირიფის კორომიდან, მიიხედ-მოიხედა, დეკორატიულ ქვის კედელთან მოწანწკარე წყალი შენიშნა, ახლოს მივიდა და ცივი წყალი სახეზე შეისხა, მერე დაეწაფა, გული გაიგრილა და ისევ ტირიფის კორომში შეძვრა. ჩამოჯდა, თავი ჩაქინდრა და გაწყვეტილ ფიქრს აედევნა.

* * *

ოთარი მეზობელი სოფლიდან იყო, დედულეთში ბებიასთან და ბაბუასთან ხშირად ჩამოდიოდა, მარტოდ დარჩენილ მოხუცებზე ზრუნავდა და ეხმარებოდა.

იმ წელს მისაღები გამოცდები უნდა ჩაებარებინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფილოლოგობას აპირებდა. დავბრუნდები სოფელში, ოჯახს შევქმნი და მასწავლებლად ვიმუშავებო. სამხედრო სამსახურში მოულოდნელმა გაწვევამ მთელი ცხოვრება აურია. თინიკოც კი ვერ ნახა. გზიდან წერილი მოწერა და სიყვარულიც წერილით გაუმხილა. სამწლიანი განშორება ადვილი არ იყო.

სამხრობისას ცაგო თინიკოს ჭიშკარს მიუახლოვდა და დაიძახა:

– თინიკო! თინიკო!

პირველ სართულზე სამზადის ორნამენტებიანი, წაბლის მძიმე კარი გაიღო და თმაშეკრულმა თინიკომ გამოიხედა.

– ცაგო ბიცოლა, აქ რას დგახარ, შემოდი! – შინ შეიპატიჟა მასპინძელმა.

– სად მცალია გოგო, ისეთ დღეში ვარ, ცეცხლი მიკიდია, სტუმრები ჩამომივიდნენ დედაქალაქიდან, მეტად საპატიო სტუმრები, არ მინდა რომ შევრცხვე, უნდა დამეხმარო. მერე მე ვიცი

შენი პატივისცემა, – არ ცხრებოდა ცაგო. – მეტად საპატიო სტუმრებია, საკადრისად უნდა დავხვდეთ.

– ცაგო ბიცოლა, რა პატივისცემაზეა ლაპარაკი. სიმინდის ფქვილს ვცრიდი, ბაბუასთვის მჭადები მინდოდა გამომეცხო.

– რა დროს მჭადებია, – არ დაამთავრებინა ცაგომ, – საღამოსთვის სუფრა გვექნება. რა თქმა უნდა, ბაბუაც დაპატიჟებულია. კარგად გამოიპრანჭე, ქალაქელი გოგოებია, ერთი მზეჭაბუკიცაა, თვალი უნდა დავუყენოთ გოგო, თვალი! – ეშმაკურად გაიღიმა, მხრები შეარხია, თავი მაღლა ასწია და წარბებიც აძგიბა.

– კარგი, ცაგო ბიცოლა, დაგეხმარები. – ცოტა შეცბუნებულმა უპასუხა თინიკომ.

საღამოს გერასიმე შვილიშვილთან ერთად მეზობლის ოჯახს ესტუმრა. დიდებული, ნამდვილი ქართული სუფრა იყო გაშლილი. ქალაქიდან არცთუ ისე ბევრი სტუმარი იყო ჩამოსული – ოცდაათს გადაცილებული მამაკაცი, მისი ორი და, და ბაბუას ტოლი მხცოვანი მამაკაცი – მათი მამა. კარგად მოილხინეს. ახალგაზრდა მამაკაცი, მისდა გასაკვირად, ძალიან მალე გაუშინაურდა, უმრავ რამეს ეკითხებოდა და ისიც გულუბრყვილოდ ყველაფერზე პასუხობდა. რამდენჯერმე მოხუცი კაცის მზერა დაიჭირა, მუშტრის თვალით რომ ათვალიერებდა. არ ესიამოვნა, მოიწყინა და სახლში წასვლა დააპირა.

– ბაბუ, ბაბუ, – მკლავში ხელი მოჰკიდა და ყურში ჩასჩურჩულა – სახლში მინდა წასვლა.

– რას ლაპარაკობ, შვილო, სირცხვილია, თუ პატივისცემაა, ოჯახს ბოლომდე უნდა ვცეთ პატივი, ასეთია ბაბუა სუფრის წესი.

ლხინი გახურდა. ცელქმა ცოლიკაურმა ყველა გაახალისა და ისედაც თბილი ატმოსფერო კიდევ უფრო დაათბო. სიმორცხვის და უხერხულობის გუშაგებმაც მიიძინეს. ახალგაზრდა კაცი გიტარას დასწვდა და ქალაქური მელოდია დაამღერა. ვერაფერს იტყვი, საუცხოოდ მღეროდა. მოხდენილი კაცი იყო, შავგვრემანი და შავთმიანი, ლამაზად ჩაწიკწიკებული თეთრი კბილებით. უხდებოდა ღიმილი, რომელიც სახეს სანდო იერს აძლევდა. თინიკომ რამდენჯერმე მისი მზერაც დაიჭირა. შეკრთა,

დაირცხვინა და ლხინის დამთავრებამდე მისკენ აღარც გაუხედავს. დაახლოებით ერთი კვირა დარჩნენ სტუმრები და ერთი კვირა ეხმარებოდა თინიკო ცაგოს. ახალგაზრდა კაცს თენგიზი ერქვა, მის დებს – ია და ეკა. ია გვერდიდან არ შორდებოდა თინიკოს და საქმიანობაში ეხმარებოდა. ათას რამეზე საუბრობდნენ, უფრო სწორად ია საუბრობდა. ხანდახან მოხუცი კაციც ჩაერეოდა და თავის ჭროღა, მჩხრეკავი თვალებით შიშს ჰგვრიდა თინიკოს. ერთი ორჯერ ბიჭიც ჩაერია, ლამაზი ქართულით საუბრობდა. ჰკითხა ისე, სასხვათაშორისოდ, სკოლა როდის დაამთავრეთო. ეს იყო და ეს. კვირის ბოლოს ცაგოს სტუმრები ქალაქს გაემგზავრნენ.

თინიკოს ყველაზე დიდი სიხარული ოთარის წერილის მიღებისას ეუფლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ უჭირდა მისთვის მოულოდნელი გაქრობა ეპატიებინა. ჩემს უნახავად როგორ წავიდა, ყველაფერი უნდა ეღონა, რომ ვენახეო.

ამ ამბიდან არცთუ ისე დიდი დრო იყო გასული, ბაბუამ თინიკოს რომ უთხრა: ბაბუ, თუ სადმე გახვალ, დროულად დაბრუნდი, უნდა ვისაუბროთო. შეფიქრიანებული ჩანდა ბაბუა. თინიკოს გაუკვირდა:

– ბაბუა, რა სასაუბრო გაქვს, ახლავე მითხარი, საღამომდე რა გაძლებს. თუ კარგი ამბავია ახლავე მითხარი, საჩუქარი მიყიდე? – არ ისვენებდა თინიკო. – არ მითხრა ახლა, ველოსიპედი გიყიდეო.

– ხომ არ დაგავიწყდა, ქალი რომ ხარ, მთელ სოფელში გინდა მომჭრა თავი? – ბაბუა სასტიკ უარზე იყო, – ჯერ იყო და ცხენით კინაღამ დამღუპე, ახლა კიდევ ველოსიპედი? არა, ბაბუ, ველოსიპედი არაა ქალის საქმე, ვინ დადის ჩვენთან ველოსიპედით. მხოლოდ ქალაქში ვნახე, ვიღაც ქალი ველოსიპედით რომ დადიოდა, იქაც უამრავი ცნობისმოყვარე უცქერდა.

– კარგი, ბაბუ, რა გაეწყობა, შენზე უკეთესი მოსაუბრე ვინ მყავს, შენთან საუბარი ყოველთვის სახალისო და სასიამოვნოა. გადავდებ ყველა საქმეს, არ ვნახავ არც ლელას, არც მაგდას და საღამოს ვისაუბროთ, ისე, როგორც ბავშვობაში, ზღაპარს რომ მიკითხავდი, – თქვა ღიმილმორეულმა. – შევთანხმდით

ხომ, წავედი ახლა მე, ერთი სული მაქვს, როდის მოვა საღამო, ცნობისმოყვარეობა მკლავს.

– წადი, ბაბუ, წადი!

თინიკომ შენიშნა, ბერიკაცს თვალები დანამვოდა. ცხოვრებისაგან სვებედგამწარებული და გულგაკერპებული მხოლოდ ერთხელ ნახა ცრემლიანი. ცხენიდან რომ გადმოვარდა, მაშინ. ნეტა რა ხდება?

ვახშმობის შემდეგ ბაბუა აივანზე გავიდა, სკამზე ჩამოჯდა, თინიკოს მოუხმო და უცნაურად დაიწყო:

– რა მშვენიერია, ბაბუ, სამყარო, რა მშვენიერია ჩვენი კუთხე, ამაზე უკეთეს სამოთხეს სად ნახავ, – მერე ცოტა შეყოვნდა, გულისჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო, ძლივს გახსნა. ხელები უკანკალებდა, ეტყობოდა, რომ ძალზე ღელავდა. ერთი ღერი ამოიღო, მოუკიდა და გააბოლა, – ლამაზია, ბაბუ, წუთისოფელი, მაგრამ ამასთან ერთად მაცდური და დაუნდობელი, – ისევ შეყოვნდა, ჩაფიქრდა. ცოტა ხანში სახეზე ღიმილმა გადაჰკრა და გააგრძელა, – გახედე ერთი უძინარას ხევს, მზე როგორ გადაგორდა მთის მიღმა, რა ფერებია, გეგონება მთის თავს ალმური ასდისო.

უკვირდა თინიკოს, ადრე როგორც ბავშვს ისე ესაუბრებოდა, ახლა კი – როგორც მის ტოლს. რაღაც მნიშვნელოვანი ხდებოდა მის ცხოვრებაში. სკამი ბაბუასთან მიაჩოჩა და სმენად იქცა.

– შეხედე, ბაბუ, შეხედე, რა სილამაზეა. სიკვდილი იმიტომ უჭირს ადამიანს, ამ სილამაზესთან განშორება რომ უწევს. ერთი რამე გახსოვდეს კარგად, ისე არაფერი აბრძენებს კაცს, როგორც ეს ტიალი წუთისოფელი.

– რა იყო, ბაბუ, რა გაოცებული მიყურებ? – შვილიშვილი შიშმა შეიპყრო.

– მოიწი, აქეთ მოიწი და კარგად მომისმინე. ოღონდ არ შეშინდე, ჭკვიანი კაცის ნათქვამია, შიში დროის უქმი დაკარგვაო. ბაბუაშენს იმდენი რამე აქვს ნანახი და განცდილი, შიშის გრძნობა კარგა ხანია დაკარგა და არც მეგონა თუ ოდესმე გამახსენებდა თავს. ექიმთან ვიყავი, სასიკეთო ვერაფერი მითხრა, გარდაუვალზე მიმანიშნა მხოლოდ. თავს გა-

უფრთხილდიო, ნაკლები ჯაფა და მეტი დასვენებაო. სიკვდილს ვინ გაქცევია, ჩემო პატარა, მაგრამ არ მეგონა, თუ ასე ახლოს დაძრწოდა. სიკვდილის არ მეშინია, შენ გამო შემომეპარა შიში. ყველაფრისთვის მზად უნდა იყო.

თინიკოს ცრემლი წასკდა.

– ბაბუ! ყველა უბედურებამ ჩემთვის რატომ მოიცალა, ნეტავ რით მოვხიბლე? დედა მე არ მახსოვს და მამა, არც მათი ალერსი და ჩახუტება. მათ ჯავრს ბებიაც გადაჰყვა, ნუთუ საკმარისი არ არის? ნეტავ კიდევ რა მელოდება წინ? შენ იყავი ჩემი ბურჯი და იმედი და შენც მტოვებ? მე რა გამაძლებინებს, ვის უნდა შევეკედლო?

– ჰოდა, მაგაზე მინდა დაგელაპარაკო, ჩემო ერთავ და ჩემო ანგელოზო. ოღონდ მშვიდად მომისმინე და მერე მშვიდად გადავწყვიტოთ. ცაგოსთან სტუმრად ოჯახი რომ იყო ჩამოსული, ხომ გახსოვს? – პატარა ხანს ჩაფიქრდა, სახეწამოწითლებულმა ღრმად ჩაისუნთქა და პირგამშრალმა ძლივს ამოთქვა, – იმ ოჯახს რძლად უნდიხარ. ხო, რძლად ბაბუ, რძლად. კარგი ოჯახი აქვთ, შეძლებულებიც არიან და ეს ცოტას არ ნიშნავს. დედაქალაქში ცხოვრობენ, შენს სწავლა-განათლებაზე ისინი იზრუნებენ. არაფერს არ მოგაკლებენ. სასიძო არ არის ურიგო ბიჭი, არც შეხედულება აკლია და არც ჭკუა-გონება. ხელის გულზე ეყოლები, – ჩქარა ლაპარაკობდა ბაბუა, უნდოდა სათქმელი სწრაფად ჩაეთავებინა. გაოგნებულმა გოგომ რომ არაფერი თქვა, თავჩაღუნულმა განაგრძო, – ვიცი არ არის ადვილი გადასაწყვეტი. იფიქრე ხვალამდე, ისე კი იცოდე, მე დამშვიდებული მაშინ გავალ ამ ქვეყნიდან, როცა მეცოდინება, რომ შენ თავშესაფარიც გაქვს, ოჯახიც და სარჩო-საბადებელიც. ვიცი, ბაბუ, ვიცი და ვიხედები შენს გულში, სიყვარულზე დიდი და ამაღელვებელი გრძნობა ამქვეყნად არ არსებობს, დიდი ბედნიერებაა სიყვარულით შექმნილი ოჯახი, მაგრამ ცხოვრებას თავისი უცნაურობები ახასიათებს, რომლის ამოხსნა ყოველთვის არ ხერხდება. ჩვენს სოფელში ოჯახების უმრავლესობა გაცნობა-გარიგებითაა შექმნილი, სადაც თვალისჩინივით უფრთხილდებიან ოჯახის სიწმინდეს, სიმტკიცეს. მოწონებით იწყება ყველაფერი, იმ ბიჭს

ძალიან მოსწონხარ, მოწონება და ურთიერთპატივისცემა კი დიდ სიყვარულში გადაიზრდება.

რა ექნა ბაბუას, შექმნილი მდგომარეობიდან მხოლოდ ერთადერთ გამოსავალს ხედავდა:

– ახლა გვეყოფა, ჩემო პატარავ, ოღონდ ჩახუტების გარეშე არ დამტოვო ცხოვრებისგან დაწიხლული ბერიკაცი.

თინიკო ფეხზე წამოვარდა, ცრემლდადენილ და აცახცახებულ ბაბუას გამხმარ მკერდში ჩაეხუტა.

გერასიმემ თავის ერთას კარგი ქორწილი გადაუხადა. სამ დღეს ილხენდნენ. თინიკოს ქორწილისთვის გადანახული შუმი ღვინით სავსე ჭურს მოხადეს თავი. გარეგნულად ყველაფერი ბრწყინავდა. ბაბუა გახარებული იყო, ჩემს შვილიშვილს საიმედო პატრონი და ღირსეული ვაჟკაცი გამოუჩნდაო. სნეულებაც კი გადაავიწყდა. მხოლოდ ერთხელ უსიამოდ ეჩხვლიტა გულში, როცა ფოტინემ უთხრა: გერასიმე, ვითომ გააბედნიერე შვილიშვილი? იმ ბიჭს რაღას ეუბნები, სიკვდილს რომ გადაგირჩინაო.

ახალი ოჯახი თინიკოს თან ჰყვებოდა, რომ იტყვიან, ხელისგულზე ატარებდა. დედოფალივით იყო, ყველა სურვილს უსრულებდნენ. ქმარი გვერდიდან არ სცილდებოდა. თუ მეუღლეს უგუნებობას შეამჩნევდა, სანამ არ გაამხიარულებდა, თავს არ ანებებდა. შესაშური ხასიათი ჰქონდა, დიდსულოვანი პიროვნება იყო. თინიკო უცხო ენების ფაკულტეტზე მოეწყო. მის ბედს ბევრი შენატროდა. ყველა ხორციელი სნეულება მოშუშების შემდეგ დავიწყებას მიეცემა ხოლმე. სულის ჭრილობა კი მარადიულია და განკურნებას არ ექვემდებარება. ღამე არ გაივლიდა ისე, მის ზმანებებში ოთარის ხატება რომ არ ამოსვეტილიყო. ვერაფერი მოუხერხა, რამდენიც არ ეცადა, ვერ ჩაგმანა ის კარი, ვერ გააღვია დავიწყების ბურუსში. ოჯახს მემკვიდრე სურდა, თინიკოს კი შვილი არ უჩნდებოდა.

ოჯახის უფროსი წუხილს აშკარად გამოხატავდა: ისე არ მინდა მოვკვდე, შვილიშვილს რომ არ მოვესწროო. თინიკო თვითონაც განიცდიდა. ძნელი გასაძლებია, როცა ზურგს უკან ჩუმ-ჩუმი საუბარი ისმის და შენს მიახლობაზე ჩუმდებიან. ერთდერთი, ვინც ამას ყურადღებას არ აქცევდა, მეუღლე იყო.

ისევ ძველებურად შესცინებდა, წამოავლებდა ხელს და ოთახებში დაარბენინებდა. თავდავიწყებით უყვარდა თავის სიფრიფანა, გიშრისთვალება მეუღლე, მაგრამ ერთ დღეს, როცა ოჯახის უფროსმა ყველას გასგონად თქვა, უნაყოფო ხეს ჭრიანო, ყველაფერი დამთავრდა.

არანაირმა ხვეწნა-მუდარამ არ გაჭრა, თინიკომ კატეგორიულად მოითხოვა განქორწინება. მე შვილი არასოდეს მეყოლება და არ მინდა ეს ოჯახი უშვილძიროდ დარჩესო. მეუღლემ შესთავაზა, ბავშვი ვიშვილოთ და გავზარდოთო. თინიკო უარზე იყო: მამაშენს თავისი სისხლი და ხორცი უნდაო. რას იზამდნენ, დაშორდნენ ერთმანეთს. გაყრის მიუხედავად, მეუღლე სიცოცხლის ბოლომდე არ აკლებდა მზრუნველობას, კეთილმოწყობილი ბინაც უყიდა. დაშორებიდან ორი წლის თავზე, ოჯახის დაძალებით, თენგიზმა სხვა ქალი შეირთო, ბავშვებიც გაუჩნდათ. თინიკოს სიყვარული იყო თუ სხვა მიზეზი, ბოლო ხანს სმას მიჰყო ხელი, უკურნებელი სენი შეეყარა და გარდაიცვალა. თინიკომ მტკივნეულად განიცადა თენგიზის სიკვდილი, სამძიმარზეც იყო და ჭირისუფლებს დაკრძალვამდე არ მოშორებია. წუხდა, თავს იდანაშაულებდა, მეც მიმიძღვის ბრალი მის სიკვდილშიო.

სხვა მრავალ სატკივართან ერთად თინიკოს გულში ხინჯად ჰქონდა ჩარჩენილი, ბავშვობისას, მის მიერ გასროლილმა თოფმა როგორ იმსხვერპლა მერცხალი და მისი ბარტყები, არც ყვავს დაუშავებია რამე. ბარტყები რომ ვიმსხვერპლე, ალბათ, ამიტომ არ მომცა ღმერთმა შვილიო. ხეების დარგვა დაიწყო. ყოველ წელს სახლის გარშემო ნარგავებს რგავდა, გაიზრდებიან და ჩიტები ბუდეებს გაიკეთებენო. მართლაც გაიკეთეს ჩიტებმა ბუდე, ბარტყებიც გამოჩეკეს და კიდევაც დააფრთიანეს.

თინიკოს გათხოვების ამბავი იმდენად მოულოდნელი იყო ოთარისთვის, ეგონა ფეხქვეშ საყრდენი გამოეცალა და ცა დაემხო. ღალატით დანავსულმა სულის ტკივილმა ცხოვრების საზრისი დაუკარგა, ავად გახდა და ჰოსპიტალში მოათავსეს. საშინელი მელანქოლია ტანჯავდა. ექიმებმა ვერაფერი გაუგეს და ერთი თვის თავზე ისევ სამხედრო ნაწილში დააბრუნეს. დრომ ყველაფერი თავის ადგილზე დაალაგა. სამხედრო სამსახურის

დამთავრებისთანავე დედაქალაქში დაბრუნდა და ფილოლოგიურზე მოეწყო. თავდადებით შრომობდა. ცნობილი ფილოლოგი გახდა. ცხოვრობდა რიგითი ინტელიგენტი კაცის ცხოვრებით. ჰქონდა იმდენი, რაც არსებობისთვის იყო საჭირო. არასოდეს არ ყოფილა ნივთიერით გატაცებული. საბედისწერო შემთხვევამ და უიღბლო სიყვარულმა, გულში ჩაბუდებულმა ქალის ხატებამ საქალეთი გადაავიწყა, ოჯახიც კი არ შეუქმნია და შეხორცებული ჭრილობა კვლავ გაიხსნა, ააფორიაქა და საგონებელში ჩააგდო.

* * *

ყოველ დილით ასაკოვანი ქალი და მამაკაცი თითქმის ერთდროულად ქუჩის სხვადასხვა მხარეს აჩქარებული ნაბიჯებით მიუყვებოდნენ გზას. პარკის შესასვლელთან ცოტა ხანს ჩერდებოდნენ, თითქოს გზას უთმობდნენ ერთმანეთს, მერე კი ამოჩემებულ სკამებზე სხდებოდნენ. ერთმანეთს არასოდეს გასაუბრებიან, მხოლოდ თვალებს თუ შეანათებდნენ ხოლმე. მერე ქალი წამოდგებოდა და თავის გზას გაუყვებოდა. კაცი კი მოგვიანებით დაადგებოდა შინისაკენ მიმავალ გზას.

ოთარი იმ დღეს ჩვეულებისამებრ გაუყვა ქუჩას. შევიდა ბაღში და შადრევანთან სკამზე რომ უნდა ჩამომჯდარიყო, თვალში მოხვდა გამჭვირვალე ცელოფნის პარკში ჩადებული თეთრი ფერის ქსოვილი. გაიფიქრა, ალბათ, ვინმეს დარჩა და მოაკითხავსო. ჩამოჯდა, იქაურობა მოათვალიერა, არც ქალი ჩანდა შადრევნის მოპირდაპირე მხარეს. ალბათ, რაღაც საქმე გამოუჩნდა და მოგვიანებით მოვაო. აწრიალდა, წამოდგებოდა, იქვე გაივლ-გამოივლიდა და ისევ ჩამოჯდებოდა. მტანჯველად გაიწელა დრო, ჩამოცხა. ქალი კი არ ჩანდა, არც ნივთს აკითხავდა ვინმე. ცნობისმოყვარეობამ ქსოვილზე გადაატანინა მზერა. მიწვდა, გახსნა. პირსახოცი იყო, ოღონდ ძველებური, ოდნავ გახუნებული. გადაატრიალა, მისი ყურადღება ტილოზე ამოქარგულმა მზემ მიიპყრო. თითქოს რაღაც გაახსენდაო, კიდევ ერთხელ გულდასმით შეათვალიერა და შეცბუნებულს კინაღამ ხელიდან გაუვარდა. ეჭვგარეშეა, ეს ხომ ბებიას ნაჩუქარი პირსახოცია მზითა და მისი ინიციალებით ამოქარგული,

რომლითაც მაშინ თინიკოს სისხლი მოწმინდა და თავი შეუკრა. გაოგნებული კაცი სკამზე ჩამოესვენა, კარგა ხანს იყო გარინ-დული. როდის-როდის გამოერკვა, ცას ახედა, ტყვიასავით ჩაუქროლა აჭახჭახებულმა შაშვმა, მისმა საყვარელმა ფრთო-სანმა. სახეზე ღიმილმა გადაჰკრა, წამოიწია, აქეთ-იქით მიმო-იხედა, აფართხალებულ გულზე პირსახოცი მიიკრა და პატარა ბიჭივით აცუნდრუკებული ჩქარი ნაბიჯით გაუყვა გზას.

ჩამოდი, ჩამოდი!.

ჩამოდი, ჩამოდი!..

– რას აიკვიატე, რა გინდა ექიმთან, სამოცდახუთს გადააბიჯე, პატარა უკვე აღარ გეთქმის, სიბრძნის ასაკია, ძმაო. ან ვინ არის ახლა ჯანმრთელი, რაც ქვეყანაში ხდება, იმას ჯანმრთელი საზოგადოება ჩაიდენს? არა, ხომ? ჰოდა, მაგაშია საქმე, მიხვალ, გამოგიწერს ტონა წამალს, გადაგაყრევინებს უამრავ ფულს. ის წამლები, რაც ჯანმრთელი გაქვს, იმასაც დაგიზიანებს. რა ვუყოთ, თუ ხანდახან თავი აგტკივდება, გაგაბანცალებს, ხან წნევა აგითამაშდება, მერე რა? მადლობა უთხარი ღმერთს, რომ აქამდე მოატანე. დატკბი ყოველი დღით. გიხაროდეს, გამთენიისას აჭახჭახებული შაშვი ფანჯარასთან რომ ჩაიფრენს, ჟრუანტელს მოგგვრის და თვალს გაგახელინებს, გიხაროდეს, დილით მზის სხივი რომ შემოგიჭყიტინებს თვალში და თავს დაგახრევინებს უზენაესის წინაშე. მერე გადაუდებელ საქმეზე მანქანის გასაჩერებელს იპოვი, შეიძლება სიხარულით გული აგიჩუყდეს. შენ კიდევ ნევროპათოლოგიო. მაგას არ ჯობია, ყოველ საღამოს, ძილის წინ, მე რომ წითელი ღვინო ჩამოგიტანე, თითო ჭიქა მიირთვა, ძილიც კარგი გექნება, სიზმარიც და ნერვებიც, – ებაასებოდა ბადრის ოთხმოცს გადაცილებული უფროსი ძმა, – ნაბოლარა ხარ, ფუფუნებაში გზრდიდნენ, ყველაზე პატარა იყავი და ყველანი შენ დაგფოფინებდნენ, ცივ ნიავს არ გაკარებდნენ. მთელი ცხოვრება კაბინეტებში გაატარე და ქე გამოხვედი ჭიანი. მე ვიცი შენი წამალი. ხომ ხარ პენსიაზე, მიატოვე ყველაფერი, წამოდი ჩემთან სოფელში, მოგცემ ოყიან თოხს და ისე გამოგაჯანმრთელებ, შენიანები ვერ გიცნობენ.

– ბაბუ, მულტფილმი ჩაგვირთე, – შემოესმა ტყუპის ორ ხმაში ნამღერი.

– რა დროს მულტფილმია, გათენდა ჯერ? ანდა რა არის იქ საყურებელი. არ გახსოვს, გუშინწინ, ღამით ლოგინიდან რომ წამოვარდი ყვირილით, ბაბუაა, მიშველე, ბზიკები გამორბიან ჩემი თვალებიდანო. გაგიჟდება კაცი, მაინც რა უბედურებებს აჩვენებენ ბავშვებს. ანდა რა არის სულ ინგლისურენოვანი ფილმები, ამათ ინგლისური უფრო კარგად ესმით, ვიდრე ქართული, – მიუბრუნდა უფროს ძმას ბადრი, – განგაშის ზარია შემოსაკრავი. ცოტა ხანში ამათთან სასაუბროდ თარჯიმანი დამჭირდება, გესმის?

– ჰოდა, ესენიც წავიყვანოთ და გავაქართველოთ. თავიანთ ფესვებთან და ძირებთან სიახლოვე კეთილისმყოფელ გავლენას მოახდენს, თავის ტოლებთან თამაში და ურთიერთობა მშობლიური ენის სიყვარულს ასწავლით. ამასთან, ცოცხალი ბუნების ნაწილადაც იქცევიან და კარგ მამულიშვილებად აღიზრდებიან. აქაური საზოგადოება ცივია, სამი დღეა აქ ვარ და ერთი მეზობელიც კი არ შემოსულა, ან შენ გადაგვარდი, ან ისინი არ უქნია ღმერთს. უბრებივით ხართ ერთმანეთთან, არ იციან აქ სიყვარული, უსიყვარულო ადამიანს ნევროზიც შეჭამს და ფსიქოზიც, წამოდი ჩემთან, დამიჯერე.

ბადრი უფროს ძმას გადაეხვია.

– ბიჭო, ცოტა ხანს მადროვე, შენ გეხუმრება და ახლა მე მკითხე. შემჭამეს ჩემებმა, ექიმი, ექიმიო. შევივლი ექიმთან, ვნახოთ რას იტყვის.

– კაცო, მორჩი ოცნებებს? ექიმთან რომ ხარ წასასვლელი, ხომ არ დაგავიწყდა, – შეეხმიანა მეუღლე, – კიდევ არ გადადო, რამე არ დაგემართოს და ხათაბალაში არ გაგვხვიო.

– ხედავ, ძმაო, ასეთ დღეში ვარ. შენ არ შემოგჩივი და ბოლო დროს თავის ტკივილი დამჩემდა, ყურებიც მიწივის და უძილობაც მტანჯავს. გადამეკიდნენ, სანამ სხვისი სათრევი გახდები, დროულად მიაკითხე ექიმსო. ჭირივით მეჯავრება სამედიცინო დაწესებულებაში მისვლა. გასინჯვები, ანალიზები, ექიმების რჩევები ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ, ყალბი

თანაგრძნობები. რაც იქნება, იქნება, მივალ ექიმთან. ისე რომ წამოვიდე, ესენი გაგიჟდებიან.

– სულაც არ ვხუმრობ, – წარბები მაღლა აზიდა უფროსმა ძმამ ისე, რომ ღიმილი არ მოშორებია სახიდან, – წამოდი, მე შენ გეუბნები, წამოდი, სანამ ოთახში გამომწყვდეული ჩრჩილად არ იქეცი. გამოგაჯანმრთელებ და გამოგიშვებ. დამიჯერე, კაჟივით გახდები. საღამოობით, მერაბასთან ერთად, ჩემი დაწურული უებარი ძილის წამალიც მივიღოთ, ცოტაც სამ ხმაში, მოგუდულიც შემოვძახოთ და ისე ტკბილად დაგეძინება ძაღლმაც რომ გათრიოს, ვერ გაიღვიძებ. დამიჯერე, უფროსი ძმა გეუბნება!

ექიმის მისაღები სავსე იყო ხალხით. იკითხა:

– ბოლო ვინ არის?

ახალგაზრდა ქალი წამოიწია სკამიდან და უთხრა:

– ბოლო მე ვარ, ჩემ შემდეგ იქნებით.

ჩამოჯდა. თითქმის ყველა ასაკის პაციენტი იყო. გაუკვირდა, ახალგაზრდები სჭარბობდნენ. ნეტავ ამათ რაღა დაემართათ? ჟამის დღესავით ეჯავრებოდა რიგში დგომა და ლოდინი. დრო რომ მოეკლა, ბოლთის ცემა დაიწყო. მივიდოდა ფანჯარასთან, თვალს შეავლებდა აჩორჩხლილ კორუსებს შორის ეულად მდგარ, სასწაულებრივად გადარჩენილ ჭადრის ხეს და ისევ უკან ბრუნდებოდა. ახლა მზერა პაციენტებზე გადაიტანა, ქალის უცნარმა ქცევამ მიიქცია მისი ყურადღება, რომელიც მალიმალ წამოდგებოდა, დაჯდებოდა, მონაცვლეობით ფეხს ფეხზე გადაიდებდა, წამდაუწუმ თმას ისწორებდა, მერე ყვითლად გალაქულ ფრჩხილებზე დაიხედვდა, ხელს გადაუსვამდა, გახედავდა, სიმკვრივეს თუ სილაპლაპეს ამოწმებდა. მერე ისევ ფეხზე წამოვარდებოდა, შუბლს მოინიავებდა, ჩქარი ნაბიჯით ფანჯარასთან მივიდოდა, უინტერესოდ შეავლებდა თვალს სივრცეს და ისევ სკამისკენ გაეშურებოდა. მოხდენილი, ლამაზი ქალი იყო. კარგად მოვლილი. თავისიანებს გადაწვდა ფიქრით, აიკვიატეს ექიმი და ექიმიო. ამ რიგში დგომით მართლაც საექიმო გახდება კაცი, ბუზღუნებდა გულში. როგორც იქნა მისმა რიგმაც მოაწია. დააკაკუნა. შემოდითო, შეეხმიანენ შიგნიდან. შევიდა. საშუალო ასაკს მიღწეული ქალი სათვალის ზემოდან შესცქეროდა:

– დაბრძანდით.

ჩამოჯდა.

– აბა, მითხარით, რას უჩივით? გარეგნულად შესანიშნავად გამოიყურებით, – წაიკეკლუცა ქალმა და ღიმმორეული შეაცქერდა.

ალბათ, ღიმილი ვიზიტის საფასურში შედის. ისე კი, ძნელი იქნება ყველას უღიმო, გაუელვა თავში. სწრაფად გამოერკვა და თავის პრობლემებზე უამბო.

– აბა წამოდექით! – ექიმიც წამოდგა. მაგიდიდან სამედიცინო ჩაქუჩი აიღო და მის წინ დადგა, – ხელები გაიშვირეთ, კარგია, ახლა თვალები დახუჭეთ და მარცხენა ხელის საჩვენებელი თითი მიიდეთ ცხვირთან. ახლა მარცხენა, კარგია. ისევ დახუჭეთ თვალები. წინ რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგით, საკმარისია. ახლა ტახტზე ჩამოჯექით, – თქვა და მინიატურული ჩაქუჩი მოიმარჯვა.

ხომ ხარ ახლა იმის ღირსი, პატარა თავშიც ჩაგიჩაჩქუნოს. მითითებულ ტახტზე ჩამოჯდა და ექიმს შეაცქერდა. საშუალო სიმაღლის, ასაკს შეჭიდებული, მკერდმაღალი, სანდომიანი ქალი შესცქეროდა.

– ოღონდ თავში არა, ექიმო, – იხუმრა უგერგილოდ.

– ვნახოთ, ვნახოთ, – ხუმრობაში აჰყვა ექიმი. ჩაქუჩი ჯერ მარჯვენა მუხლზე მიუკაკუნა, მერე მარცხენაზე, მერე მონაცვლეობით იდაყვებზე.

– საკმარისია, – თქვა ექიმმა, სკამზე ჩამოჯდა და ფეხი ფეხზე გადაიდო. მუხლზევით გაქცეულმა სიშიშვლემ თვალი მოსჭრა, წამსვე ჩაღუნა თავი! მაღლა რომ აიხედა, ექიმი კომპიუტერში რაღაც ტექსტს აწყობდა. რამდენიმე წუთში ტექსტი მზად იყო, – აქ თქვენი დაუზუსტებელი დიაგნოზია და რეკომენდაცია გამოკვლევების შესახებ. ძილის მოსაწესრიგებლად მცენარეული საძილე საშუალება დაგინიშნეთ.

კაცმა ფურცელს გადაავლო თვალი: „მდგრადობის დარღვევა, ჩაძინებისა და ძილის უწყვეტობის დარღვევები, შუილი ყურებში“.

– გაიკეთეთ გამოკვლევები და შემომიარეთ.

– ქალბატონო ნატა, – ექიმის სახელი კარზე ამოიკითხა, – სახლში მეუბნებიან, ნევროზზე იმკურნალეო.

– ჩემო კარგო, დღევანდელი ცხოვრებიდან გამომდინარე ახლა ნევროზი თითქმის ყველას აქვს, – გაუშინაურდა ექიმი.

– ღვინო თუ შველის ნევროზს? გამიგონია, მსმელებს ნევროზი არ აწუხებთო.

– მერწმუნე, ლოთობა ურო ძნელი განსაკურნია. მცირე რაოდენობით, ასი გრამი წითელი ღვინო არავის ავნებს. ისეირნეთ, არ ჩაიკეტოთ საკუთარ თავში. კარგ შედეგს იძლევა ცოცხალი კონტაქტები ხალხთან. საუბრები და მხიარული განწყობა. ცოცხალი დიალოგი საუკეთესო საშუალებაა მდგომარეობიდან გამოსასვლელად. დაკავდით რაიმე ახლით, ისეთით, რაც აქამდე არ გაგიკეთებიათ. მიეცით გონებას ახლებურად აზროვნების საშუალება. გამოგაცოცხლებთ და გაგახალისებთ. უხალისობა კი დამთრგუნველია და ყველაზე დიდი სატანჯველი ყველა არსებისათვის. დღეს გვეყოფა. თავისუფალი ბრძანდებით, – ექიმი ფეხზე წამოდგა და კარამდე მიაცილა.

– მგონი მართალია ჩემი ძმა. ასი გრამიო. ასი გრამიდან იწყება თავდავიწყება და ხალისი. ისე კი, უფუნქციობა ყველაზე დამთრგუნველია. ყოველი დღე რომ შაბათად გექცევა, ნევროზზე უფრო მეტი რა შეიძლება დაგემართოს, – გაიფიქრა დერეფანში გამოსულმა და კიბეს აუყვა.

ეამა დახურული სივრციდან ჰაერზე გამოსვლა. არემარე შეათვალიერა. კორპუსები, მიჯრით მიწყობილი კორპუსები, სავაჭრო ცენტრები, პტარა ბაზრობები, ქუჩებში დახლზე გამოფენილი სხვადასხვა საქონელი, ჭიანჭველებივით მობორიალე ხალხი და მანქანების განუწყვეტელი სრბოლა და ღმუილი. ხალხთან ცოცხალი კონტაქტებიო. მიდი და გააჩერე ვინმე და გაუბი საუბარი, ვინ გაგიჩერდება? გიჟი ეგონები. ხომ ხედავ, დაოთხილი დარბიან. მართლაც, სოფელში ხომ არ წავიდე? არადა, რა ჯობია გულმართალ და ალალ გლეხკაცებთან საუბარს, მაგრამ სადღაა გლეხები, გლეხის მცნება საერთოდ ამოვარდა სამეტყველო ლექსიკიდან. ფერმერი, ბიზნესმენი და სხვა უამრავი გაფეტიშებული უცხოური სიტყვები და უცხო ენებზე საუბარი. არადა, ვინ გაძალებს, შე დალოცვილო, ისაუბრე ტკბილქართულად, ღმერთის ენით. სამწუხაროდ, ვისაც ენის მოვლა, დაცვა და

მზრუნველობა ევალება, ის ყველაზე მეტს სცოდავს. ხო კიდევ, რა თქვა ექიმმა, ფეხით იარეო, ისეირნეო, არ იქნება ადვილი უაზროდ წინ და უკან ხეტიალი. მოულოდნელად ამოვარდნილი ქარი მშიერი ძაღლივით ეძგერა, შეატორტმანა და თავი ჩააღუნინა. პატარა შეყოვნების მერე ფეხს აუჩქარა, ცას ახედა, შავ და თეთრ ქულა-ქულა ღრუბლებს მარულა გაემართათ, ხან ერთმანეთში ირეოდნენ, ხან ბურთად შეიკვრებოდნენ, ხანაც ფარდასავით გაიშლებოდნენ, გაიცრიცებოდნენ და ღრიჭოებიდან მზეც გამოანათებდა ხოლმე. როგორც მოულოდნელად ამოვარდა ქარი, ასევე უჩუმრად მიინავლა. მგონი გადავურჩი წვიმას და დასველებას, – გაიფიქრა კაცმა. ეს რა ახალი სამკურნალო თერაპია მოიგონა ექიმმა, საუბრები და კონტაქტებიო. ვის გინდა ესაუბრო და რაზე უნდა ისაუბრო?

კიდევ ერთი უძილო ღამის შემდეგ დილით ადრიანად წამოვარდა ლოგინიდან და იქვე, ახლოს მდებარე, ახლად აშენებულ, სასპორტო მოედანს მიაშურა. რამდენიმე წრეს დავარტყამ, იქნებ ჩემსავით მოცლილი ვინმე გამოჩნდესო. ხელოვნური მინდორი ახლად აბიბინებული მწვანე მოლივით ხასხასებდა და ფეხქვეშ შრიალებდა. რამდენიმე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ კინაღამ ძაღლის უწმინდურობაში ჩაკრა ფეხი. გულს შემოეყარა, რა სიმდაბლე და უკულტურობაა, როგორ შეიძლება სავარჯიშო მოედანზე ძაღლებით სეირნობა. მაინცდამაინც, აბრა უნდა ჩამოკიდო, რომ ძაღლებით სეირნობა აკრძალულიაო?

მოედანზე დაახლოებით მისი ასაკის მამაკაცი შემოვიდა და დინჯი ნაბიჯებით შეუდგა სიარულს. მისდა გასაკვირად უცნობი მიესალმა. წამსვე დაუბრუნა სალამი. იქვე, მაყურებლებისთვის განკუთვნილ სკამზე ჩამოჯდა. ნუთუ ესეც ნევროპათოლოგმა გამოაგდო გარეთ სისხამზე? მზე კორპუსებს გადმოცდა და მოედანს უხვად დააბერტყა მწველი სხივები. საიდანღაც მტრედები მოფრინდნენ და ღუღუნ-ღუღუნით მოედვნენ მოედანს. საოცარია, აქ რა საკვები უნდა მოიძიონ. მტრედები ერთმანეთს ეღუღუნებოდნენ, იფხორებოდნენ და კუდში დასდევდნენ. შესანიშნავი საპაემნო ადგილია და სიყვარულის ახსნის დრო.

გაზფხულია, ბუნების კანონს წინ ვინ აღუდგება, გაიფიქრა ღიმმორეულმა. ფიქრებიდან ფეხის ხმამ გამოიყვანა. უცნობი მამაკაცი მიუახლოვდა, ისიც ჩამოჯდა.

– მგონი პირველად გხედავთ, მე აქ ყოველდღე დავდივარ, ადრე არ შემხვედრიხართ, – თქვა კაცმა.

– პირველად გამოვედი, ექიმის რჩევას ვასრულებ, ჯანმრთელობისა და ჯანსაღი ძილისთვის დილა-საღამოს სეირნობა საუკეთესო საშუალებაა.

– მე ბაკური ვარ, – ხელი გამოუწოდა ჭარმაგმა მამაკაცმა.

– ბადრი.

– ამბობენ, ყველა ასაკს თავისი ხიბლი აქვსო. მომკალი და ვერანაირ ხიბლს ვერ ვხედავ სიბერეში. ხო, გარდა ერთისა, უწლოვან შვილიშვილებთან ურთიერთობა ენით გამოუთქმელ სიამოვნებას მანიჭებს.

როგორც ჩანს გულღია კაცია, გაიფიქრა ბადრიმ და დაკვირვებით შეათვალიერა მოსაუბრე. წარმოსადეგი კაცი იყო, უკან გადავარცხნილი შეთხელებული, დატალღული თმით. პირხმელ სახეს უხდებოდა მოკლე ულვაში. ტანად საკმაოდ შევსებული იყო.

– მეც ჯანმრთელობის პრობლემამ მომიყვანა, ინსულტი გადავიტანე.

– არაფერი გეტყობათ თქვენ ინსულტგადატანილის.

– როგორც ჩანს, კარგად არ დამაკვირდით, ვკოჭლობ ცოტას. არ უნდა დამმართვოდა ეს მე, პედაგოგ კაცს.

პატარა ხანს ჩაფიქრდა ბაკური და სივრცეში გაიბნა მზერით. რა უშუალო და გულახდილი კაცია, გაიფიქრა ისევ ბადრიმ.

– ოცდამეერთე საუკუნის ჯილდოა ჩემთვის. მოგეხსენებათ, როგორი არეული დრო იყო, ჭირდა დასაქმება. პედაგოგობიდან შემოსული მწირი შემოსავალი არ ყოფნიდა ოჯახს. ბიზნესმენობა მოვინდომე, ნაცნობებ-მეგობრებში მცირე ოდენობის თანხა შევაგროვე, სამშენებლო მასალების მაღაზია გავხსენი. შენება და გაფართოება ხომ ადამიანთა მოდგმის თანმდევია, რაც გამოქვაბულიდან გამოძვრა. შენ წარმოიდგინე, კარგად წამივიდა საქმე. რამდენიმე მაღაზია კიდევ გავხსენი, საკმაო კაპიტალიც მოვაგროვე. ამოვისუნთქეთ და წელშიც გავიმართეთ,

– პატარა ხანს შეყოვნდა, ცას ახედა, მზის სხივებისაგნ თვალები მოიჩრდილა და ტკივილშერეული ხმით გააგრძელა, – ერთ დღესაც მომადგნენ და მითხრეს, მოგეხსენებათ, არჩევნებია კარს მომდგარი და პატარა ხელი გაგვიმართეო.

ნეტავ ესეც ნატასთან მკურნალობს? ალბათ, ამასაც უთხრა, კონტაქტები და საუბრებიო, – გაიფიქრა ბადრიმ.

– როცა მათმა ლაპარაკმა შედეგი არ გამოიღო, მუქარაზე გადავიდნენ და ჩათრევას ჩაყოლა ვამჯობინე. ასი ათასი წამართვეს. არ გასულა ერთი თვე და ახლა უკვე სახლში მომადგნენ. უარზე დავდექი, აღარ მაქვს–მეთქი. აწიოკებული ცოლ–შვილის თვალწინ შუაღამეს წამათრიეს და ციხეში მიკრეს თავი. რაც კი რამ მქონდა უძრავ–მოძრავი, ყველაფერი წამართვეს. ოთხწლიანი პატიმრობის შემდეგ ახალმა ხელისუფლებამ გამომიშვა. თავისუფლების სიხარულის განცდაც კი ვერ მოვასწარი, მეორე დღეს ინსულტი მივიღე. ნერვების გლეჯამ ლამის ფატალურ შედეგამდე მიმიყვანა, – მძიმედ ამოიხვნეშა მოსაუბრემ. შეყოვნდა, ისევ ზეცას ახედა, მერე მოედანზე შემოვარდნილი ძაღლისკენ გაექცა თვალი, რომელსაც საბელით ქალიც შემოჰყვა. ახლა, კი ხედავ, თოკზე გამობმული ამ ძაღლივით წრეებს ვარტყამ, – დასძინა ნაღვლიანად.

– რას იზამ, მეგობარო, სამყარო ულმობელი, სასტიკი და დაუნდობელია. სოფელში იცოდნენ თქმა – შენი წილი თაფლიც უნდა მიიღო და სამსალაცო.

– წავედი ახლა მე, შვილიშვილებს უნდა მივაკითხო ბაღში, მათი ჭიკჭიკი ყველაფერს მავიწყებს. ისე, ჩემი თავის მიკვირს, სიხლიანმა უსამართლბამ ვერც გამასასტიკა, ვერც გამაბოროტა, მწარე აბივით მივიღე. ციხეში კი სულ სხვანაირად ვფიქრობდი. აბა, დროებით.

ამ კაცისგან ისწავლე. გითხრეს, ისაუბრეო. შენ კი ზიხარ და მხოლოდ უსმენ. ხვალიდან შევეცდები, იქნებ რამე გამომივიდეს.

მეორე დღესაც მიაკითხა მოედანს, დინჯად დაიწყო სიარული. მოედანი ოთხივე მხრიდან მიჯრით ჩაწყობილი კვიპაროსისა და ნაძვის ხეებით იყო შემოსარტყლული. დილის ნიავი ნაზად არხევდა წიწვნარს, ხის კენწეროები მიახლოებისას ტანს

არხევდნენ და მისალმების ნიშნად თავს უხრიდნენ ერთმანეთს. ყვავილობის პერიოდი ჰქონდათ. ბუნების ყოველ ამოსუნთქვაზე ყვავილთა მოყვითალ–მოყავისფრო მტვერი უწვრილეს ნაწილაკებად იბნეოდა სივრცეში და სასიამონო სურნელს აფრქვევდა. ისუნთქე ღრმად, ამ მტვრისთვის ხალხი ბაკურიანში დადის და უამრავ ფულს ხარჯავს, შენ კი სახლთან მუქთად შეგიძლია ისუნთქო. ნევროზს უსაგნო ფიქრი იწვევს. ის, რისი შეცვლაც არ შეგიძლია, ფიქრადაც არ ღირს. ფიქრის ტყვეობიდან უნდა გამოხვიდე. მესამე წრეს ამთავრებდა, ბაკური რომ წამოეწია და ხელის აწევით მიესალმა:

– როგორ მიდის საქმე, მერამდენე წრეზე მიდიხარ?

– მესამეზე.

– ახლა შემობრუნდი და საპირისპირო მხარეზე იარე. ცოტა ხნის შემდეგ ჯვარედინზე, ტვინის სავარჯიშოდ არის კარგი. საოცრად ზარმაცი ორგანო ყოფილა ტვინი, თუ არ ავარჯიშე, მახსოვრობის პრობლემებს იწვევს, ჩემმა ნევროპათოლოგმა მითხრა. წარმოგიდგენია, ცნობილი ექიმია, ექვსი თვე ვიდექი რიგში. ისე, რა გითხრა, და დაულაგებელი ცხოვრების გამო მთელი ქვეყანაა დანევროზებული, ვერ გაგვირკვევია საით მივდივართ. რამდენჯერ ვიდექით არჩევანის წინაშე. ვერასოდეს სწორი გადაწყვეტილება ვერ მივიღეთ. თაობები და მომავალი ეწირება არასწორ გადაწყვეტილებებს. ხომ ხედავ, რა მოვლენები ხდება მსოფლიოში. მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება მიმდინარეობს. ისინი, ვინც ადრე ცეცხლითა და მახვილით ინაწილებდნენ მსოფლიოს, დღეს დემოკრატიის დროშითა და ფულით იმონებენ ქვეყნებს. გამოხატვის თავისუფლების ლოზუნგით ათახსირებენ ზნეობას და საფრთხის ქვეშ აყენებენ ეროვნულ თვითმყოფადობას. მოდიან ფულით, არა დასახმარებლად, არამედ დასამონებლად. ფულის მუქთად შოვნის დიდი საშულებებია დღეს საკუთარი ქვეყნის ღალატისა და გაყიდვის ხარჯზე. ამ ახალ კოლონიზატორებს, ყველაზე მეტად, ეროვნული ხელისუფლების ეშინიათ და სძაგთ ყოველივე ეროვნული. საკუთარი განვითარების არჩევანის საშუალებას არ გაძლევენ – ან ჩემნაირი უნდა იყო, ან საერთოდ არ უნდა იყოო.

და ასეთ ქვეყნებში, დემოკრატიის დროშით ახდენენ სახელმწიფო გადატრიალებებს და აჩაღებენ სამოქალაქო ომს უეროვნებო, სულგაყიდული ინდივიდების ხარჯზე. ქვეყნის გადრჩენას ჭკვიანი და მოხერხებული ხელისუფალი სჭირდება, ხელისუფლება, რომელიც ემსხურება ღმერთს და ემსახურება ხალხს. თუ ქვეყანას თავისი საკუთარი განვითარების გზა და იდეოლოგია არ გააჩნია, მომავალი არ აქვს. არ შეიძლება ყველას უქნიო თავი. რა კარგად აქვს ნთქვამი პოეტს, სუყველაფერზე თავის კანტური საქციელია არაქართულიო. ასე ვფიქრობ მე. თავი ხომ არ მოგაბეზრეთ?

– არა, რას ბრძანებთ.

– ხვალ თუ მოხვალთ, ერთ საინტერესო კაცს გაგაცნობთ. რაც მე მოგახსენეთ, სულ იმ კაცის ნააზრევია. ხომ მოხვალთ?

– აბა რას ვიზამ. ვითვალისწინებ ექიმის რჩევებს.

საღამოს ძმამ დაურეკა სოფლიდან, ისეთი თბილი სიტყვებით მოესიყვარულა, თითქოს წლების უნახავი ყოფილიყო. შერცხვა. ამას ისევ ის პატარა ბიჭი ვგონივარ, ზურგზე რომ შემისვამდა და მდინარეზე მიმარბენინებდა ხოლმეო. დამშვიდობებისას კი შეახსენა:

– პირობაზე როგორ ხარ? შენი კლასელებიც გელოდებიან, ერთი სული აქვთ, როდის ჩამოხვალ, ბავშვობა გავიხსენოთ და ჩქიფებით წავიდეთ სათევზავოდო. მოვარდნილმა წყალმა ნიგვზებში დიდი მორევი გააკეთა და შესანიშნავი საბანაო ადგილია, ბავშვობაში სელაპივით ხომ სულ წყალში ეგდე, შენი გასართობი ხომ სულ წყალი და ბურთი იყო.

ჩვენკენ კარგი ამბებია. რაიონი შევაწუხეთ მთელმა სოფელმა, სხვა სოფლებმაც დაგვიჭირეს მხარი და ცენტრალურ კანალიზაციას ვაკეთებთ. ჩეჩმები, ნარეცხი და ნაღვარი წყალი ჭებს აბინძურებს. ეგეც რომ არ იყოს, ჩეჩმებით როგორ შევალთ ევროპაში ან სტუმრად იქოური რომ გვეწვიოს ხომ მოგვეჭრა თავი. იცინე შენ. ჩვენ სოფელი ქალაქურ ყაიდაზე გადაგვყავს, ეს კიდევ ერთი საშუალება იქნება ახალგზრდობის სოფელში დამაგრების, სადაც ჯერ კიდევ ღვთის წყალობით ძარღვიანი ქართული ენანავება ყურს. თუ სოფელი გატიალდა, ქვეყანასაც დედა ეტირება. აბა, ეგაა საქმე? რას დაამსგავსეთ, ბიჭო, დედა–

ქალაქი, უცხო ქვეყანაში მეგონა თავი, ქართულის გაგონება მოგენატრება მანდ კაცს. ბავშვებიც წამოიყვანე. მშობლიური მიწის სიყვარულს ვასწავლი და იქნებ უკანმოუხედავად არ გაიქცნენ ქვეყნიდან. თქვე ბედოვლათებო, ვის უტოვებთ ქვეყანას, ან გზები რად გინდათ, ან ეგ ცივი აჩორჩხლილი შენობები, საიდანაც ქართულად მეტყველება ყურს არ ენანავება. გამაგებინეთ, ვის უშენებთ? ჩამოყარეთ მოყიალე უსაქმურები და აქ დაასაქმეთ. ცრემლები მომდის ამდენი დაუმუშავებელი მიწისა და დაკეტილი სახლების შემყურეს. ყურში მესმის მათი ზლუქუნი და თავჩაღუნული, გულატკიებული გავეცლები ხოლმე. ჩამოდი, ჩამოდი! შენმა დარგულმა, შენსავით უცნაურმა ვაშლის ხემ, რომელსაც ნაყოფი მხოლოდ ერთ გვერდზე უწითლდება, უხვად მოისხა, შეუწამლავია და ჯანსაღი. ჩამოდით, იქნებ მოფერიანდეთ, ადამიანებს დაგამსგავსოთ.

ბადრის მართალმა და მწარედ ნათქვამმა ყველა სათქმელი ყელში გაუჩხირა და ძლივს ამოღერღა:

– აუცილებლად ჩამოვალ, გპირდები, აუცილებლად.

ზაფხული ძალას იკრებდა, წვიმიანი და ნისლგარეული დღეები მზიანმა ამინდებმა ჩაანაცვლა. მზე დღითიდღე უმატებდა მცხუნვარებას. დათქმულ დღეს მივიდა მოედანზე, ორი წრე დაარტყა და ჩრდილქვეშ, სკამზე ჩამოჯდა. ძმასთან გუშინდელი საუბრის შემდეგ ნაღველი მორეოდა. სოფელს გადასწვდა ფიქრით, გაცოცხლდა ბავშვობის დღეები, ყველაზე უდარდელი და უზრუნველი. თვალწინ წამოიშალნენ მეზობლები, კლასელები, ერთ დროს ენერგიაულევნი ახლა კი ასაკით დამძიმებულნი და დადინჯებულნი. რამდენიმე უკვე მარადიულში გადასახლდა, როგორც ამბობენ ხოლმე, უდროოდ. მაგრამ მხოლოდ ერთმა ღმერთმა იცის, სულის გაყრა სხეულიდან დროულია თუ უდროო. მის მიერ დარგული ვაშლის ხე გაახსენდა. ნერგი დედამ მოიტანა საიდანღაც. საოცარი ნაყოფი ჰქონდა, მხოლოდ ნახევარი მხარე უწითლდებოდა, გეგონებოდა, მხატვრის ფუნჯით არის შეღებილო. ახლა გემოს არ იკითხავ?

– მეგობარო, რა მძიმედ ჩაფიქრებულხარ, ხომ მშვიდობაა შენს თავს?

ბადრი მოგონებებიდან გამოერკვა, ბაკურს მიესალმა და უთხრა:

– ეულ კაცს ფიქრი სად არ წაგიყვანს.

– დღეს, როგორც ჩანს, არ გივარჯიშია, განწყობა უნდა ყველაფერს, ბაკურ ბატონო, განწყობა. ჩამოჯექით, შეისვენეთ.

ბაკურიც მის გვერდზე მაყურებელთათვის განკუთვნილ პლასტმასის სკამზე ჩამოჯდა. მდუმარედ ისხდნენ მცირე ხანს.

– დაგპირდი, მაგრამ იმ კაცს დღეს ვერ გაგაცნობ, რაიონშია მგონი წასული. რომ ჩამოვა, აუცილებლად შეგახვედრებ. ორმოც წლამდე ასაკის კაცია, ჯან-ღონით სავსე, მუდამ მშვილდივით დაჭიმული და ისარივით შემართული. პოლიტოლოგიისა და თეოლოგიის პროფესორია, მგონი, – ბაკურმა თავი მოაბრუნა ბადრისკენ, მისმენს თუ არაო. ბადრი უსმენდა, – შეიძლება უცნაურ კაცად მოგეჩვენოს და შეიძლება ახირებულად. ჩვენს მიძინებულ მდგომარობას მარჯვედ იყენებენ ჩვენი მტრები და თუ არ გამოვფხიზლდით, აუცილებლად გადავგვარდებით, ჯერ აზროვნების წესით, რომელიც ფიზიკური გადაშენების ტოლფასია.

და ჩვენ ნეტავ რა შეგვიძლია, გაიფიქრა ბადრიმ, რომელი ილია ჭავჭავაძე მე ვარ, ქვეყანა რომ გამოვაფხიზლო.

– რაღაც არ მომწონხარ, არ ხარ შენ დღეს სერიოზული ლაპარაკისთვის განწყობილი. იმ კაცის გაცნობამდე პატარა შემზადება მინდოდა შენი. სხვაგან ქრის შენი გონება.

ბაკური წამოდგა, დაემშვიდობა და წავიდა. ცოტა ხნის შემდეგ ბადრიც წამოდგა. მოედანი ნელ-ნელა ივსებოდა ბავშვებით, აჟრიამულდა და ახმაურდა იქაურობა. სახლისკენ აპირებდა წასვლას. ნეტავ რატომ უნდა გამაცნოს ის კაცი, გაიფიქრა და ცხოველი ინტერესი გაუჩნდა უცნობის მიმართ. რამდენიმე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ შეჩერდა, სტადიონთან ახლოს მდებარე ეკლესიისკენ გაიხედა, შემობრუნდა და იქით წავიდა.

ბადრიმ ცხოვრების წესად გაიხადა ყოველდღე, დილაადრიან გამოსულიყო სახლიდან. მიაშურებდა პატარა მოედანს და დინჯი ნაბიჯებით გარს უვლიდა. დაღლას რომ იგრძნობდა, შეჩერდებოდა, პატარახანს ჩამოისვენებდა ხოლმე. მერე წამოდგებოდა, მსუბუქად წაივარჯიშებდა და მოედანს მიბმულ

პატარა სკვერში გადაინაცვლებად. კოპწია და ლამაზი სკვერი იყო. რამდენიმე ღიად გადახურული საფიხვნო მოეწყოთ, მრგვალი მაგიდით და მოხერხებული ხის სკამებით. საბავშვო გასართობები: საქანელები, სასრიალოები, ხელოვნური კლდე პატარა შვერილებით მომავალი მეკლდეურებისათვის. სკვერის ცენტრში ლამაზად მოპირკეთებული წრის ფორმის მოედანი იყო, საიდანაც სოკოებივით იმზირებოდა სხვადასხვა ფერის სანათები. მუსიკის ჩართვისას აფერადებული მოცეკვავე წყლის ჭავლი ამოისვეტებოდა ხოლმე. გაისმებოდა თუ არ მუსიკის ჰანგები, ბავშვები შეცვივდებოდნენ და წუწაობდნენ. იყო ერთი გნიასი და მშობლების წივილ-კივილი, მაგრამ ვის ესმოდა. როგორც ჩანს, ფრინველებსაც ძალზედ მოსწონდათ, ტოლს არ უდებდნენ ბავშვებს, შეფრთხიალდებოდნენ, გადაიცურებდნენ ფრთებზე წყალს, ხანაც დაეწაფებოდნენ და გახალისებულნი ისევ ზეცაში აიჭრებოდნენ. დილით, სანამ მზე ძალას მოიკრებდა, სიმშვიდე იყო სკვერში.

უამრავი განსხვავებული ხასიათის, ზნე-ჩვეულებისა და ტემპერამენტის თმაშევერცხლილი მამაკაცი შეიკრიბებოდა მრგვალ მაგიდასთან და მსჯელობდნენ სხვადასხვა საკითხზე. რა ამბავს, რა ჭორ-მართალს არ მოისმენდი. წუხდნენ, მოუმზადებელი შევხვდით ამ ახალ წყობილებასო. ბადრი უსმენდა და არაფერს ამბობდა, იშვიათად თუ ჩაერეოდა საუბარში. ბაკურზე ფიქრობდა, რამდენიმე დღეა, რაც არ გამოჩენილა. წუხდა, რამე ხომ არ შეემთხვაო. ჯავრობდა, რატომ ტელეფონის ნომერი არ გამოვართვიო. მზე რომ შემაწუხებლად დააჭერდა, წამოდგებოდა და სახლისკენ გაემართებოდა. ერთ დღესაც, გაცხარებულ მსჯელობას შეესწრო. მისთვის უცნობი, სრულიად აახალგაზრდა კაცი თანამოსაუბრეებს ეკამათებოდა: ასე ცხოვრების გაგრძელება აღარ შეიძლებაო, ქვეყანა ერთ ადგილზე დგას და უმოქმედობით უფსკრულისკენ მიექანებაო, აქამდე მოტანილი, ნალოლიავები, სხეულდაკორძილი ერთიანი საქართველო ნაწილებად იშლება, ნუ ხართ მიძინებულები, ყველამ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ქვეყნის გადარჩენაში, მარტო აქ დგომით და ქაქანით ქვეყანა არ აშენდებაო. ჩვენ რაღა შეგვიძლია აწიო, სიტყვა ჩააგდო ერთმა.

თქვენც ბევრი შეგიძლიათო, ფასდაუდებელია თქვენი გამოცდილებაო. მალე არჩევნები ჩატარდება, ფხიზლად იყავით, თქვენი ხმები არ გაანიავოთო. გაცნობებთ, რომ ასპარეზზე გამოდის ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული ნაწილი ახალგაზრდობისა, მამაპაპური ტრადიციების მიმდევარი, ახლებურად მოაზროვნე, რომელთა მიზანი არა ფული, არა ქონება, არა მლიქვნელობა ქვეყნის გარეშე ძალებთან, არამედ საკუთარი სიცოცხლის ფასადაც კი ქვეყნის გადარჩენააო. დამთავრდა, მორჩა ერთი ადგილის ტკეპნა. უკან დასახევი გზა აღარ გვაქვს, უკან დახევა ქვეყნის უფსკრულში გადაჩეხვა და ჩვენი ერის ისტორიიდან გაქრობაააო. სულ მალე გაიგებთ ამ ახალი ძალის შესახებ. ფხიზლად იყავით, მოუხმეთ გონიერებას და საჭირო დროს შესაბამისი სიფხიზლე გამოიჩინეთო. მერე ცოტა ხანს შეყოვნდა, მოსაუბრეებს გაუღიმა და თქვა, შიში არ ჯდება ქართველის ხასიათში, ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთო. მხნედ იყავით, სხვებსაც გადაეცით ჩემი ნაუბარიო. მერე წამოდგა, კიდევ ერთხელ გაუღიმა მოსაუბრეებს, თავი დაუკრა და ნელი ნაბიჯით გავიდა სკვერიდან.

ისაუბრეო, იკამათეო, ჩაები საუბარშიო, შენ კიდევ ზიხარ და დუმხარ თევზივით, არ ასრულებ ექიმის მითითებებს, ასე არაფერი გამოგივა, ასე ვერ განიკურნები, შეუძახებდა ხოლმე თავის თავს ბადრი. რა საუბარში ჩავერთო, სიტყვები, სიტყვები და სიტყვები. არაფერი მესაქმება აქ, მგონი სოფელში ჯობია წასვლა. ბაკურისკენ გაექცა ფიქრი, საუბარი მასაც კარგად შეეძლო. მერე ისევ იმ უხილავ უცნობს გადასწვდა – ნეტავ ვინ არის ის კაცი, ჩემთვის რომ უნდა გაეცნოო. ფიქრების კორიანტელი თავს უბრუებდა. არათუ საუბარი, შემთხვევით შემოფრენილი ფრაზაც კი ქვეშეცნეულ კვალს ტოვებს ადამიანის გონებაში. ბავშვობისდროინდელი შემთხვევა გაახსენდა. მეზობლად ერთი მრავალშვილიანი ოჯახი ცხოვროდა. ძალზე ჭირდა იმ დროს ცხოვრება, მათაც უჭირდათ. შვილებიდან ერთ-ერთს ხელი წასცდა, რაღაც მოიპარა. იმ დღეს მათთან იყო გადასული, მის ტოლა ბავშვთან ერთობოდა, რიკ-ტაფელას თამაშობდნენ. შუა თამაშში იყვნენ, როცა სამთვლიანი მოტოციკლეტით უბნის ინპექტორმა მოაკითხათ. ჭიშკარი ღია იყო და თავისუფლად

შემოვიდა ეზოში. დედას დაუძახეთო, გვითხრა. დაძახებაც არ დაგვჭირვებია, ოჯახის დიასახლისი მოტოციკლეტის ხმაზე გამოვიდა. ჩვენ შეშინებულები ავიწურეთ. დიასახლისმა მილიციელი კაკლის ძირში, მრგვალ მაგიდასთან მიიპატიჟა. დაჯდა მილიციელი, წითელლენტიანი კოკარდიანი ქუდი მოიხადა და ოფლიანი შუბლი მოიწმინდა. მერე ტყავის საქაღალდიდან ფურცელი და ფანქარი ამოიღო და პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

– ეჰ, ქეთო, ქეთო, მცალია ახლა მე უსაქმური და ხელმრუდი ახალგაზრდების სადევნელად? მშვენიერი შვილები გყავს, შე დალოცვილო. ის ორი, უფროსები, განსაკუთრებით სანაქებოები არიან, ხშირად გაზეთშიც წერენ მათ შესახებ. ეს ვის დაემსგავსა ოჯახისა და სოფლის თავისმომჭრელი. იქნებ მითხრა, სად იმალება, მაინც ვიპოვით.

ქალი პატარა ხანს შეყოვნდა, მერე თავსაბური შეისწორა, დოინჯი შემოირტყა და თითქოს მოსწავლეს გაკვეთილს უხსნისო, მოსაუბრეს დინჯად მიმართა:

– აბა, რა გითხრა, პლატონ, სოფლელი კაცი ხარ და არ გესწავლება. შეგიმჩნევია, ალბათ, ხეს რომ გადაჭრი, შხოლარებს ამოიყრის ხოლმე, იქიდან ზოგი სწორად წავა, ზოგი კი მოიღვლერჭება, – ეს იყო და ეს, მეტი არაფერი უთქვამს.

შეცბუნებულმა მილიციელმა ქვემოდან ახედა ქალს, მერე ქაღალდსა და ფანქარს საქაღალდეში უკრა თავი, ფეხზე წამოვარდა, ქუდი თვალებამდე ჩამოიფხატა და უთქმელად და უკანმოუხედავად გავიდა ეზოდან. ისე, საინტერესოა, რაღა ახლა ამოსხლტა გონებიდან ეს მივიწყებული, ბავშვობისდრონდელი ამბავი, რომელსაც არანაირი კავშირი არა აქვს ამ ახალგაზრდის საუბართან. ვერვის ხელეწიფება ქვეცნობიერში ჭვრეტა. როგორც ჩანს, სოფელი მიხმობს, უმჯობესია მალე წავიდე. ისე კი, შეიძლება მართლაც კარგი რამ ხდება. შეიძლება მართლაც გამოჩნდეს საშველი. ღმერთმა ქნას, მეც მოვესწრო ქვეყნის სასიკეთო ფერისცვალებას და გულდამშვიდებული გავიდე ამ წუთისოფლიდან.

სამი დღის შემდეგ ბადრი სოფლისკენ მიმავალ გზას დაადგა. ოჯახის წევრებს უთხრა, ჩავალ, მოვინახულებ იქაურებს, გა-

ვივლ-გამოვივლი, ამ მომაბეზრებელი ყოველდღირობისაგან და ქაოსური ფიქრებისაგან ცოტა ხანს დავისვენებო. ექიმმაც მირჩია ქალაქიდან გასვლა. რამდენი ხანია არ ვყოფილვარ იქ, ყველაფერი მომენატრაო. დაგირეკავთ და თუ ყველაფერი კარგად იქნება, ბავშვები ჩამომიყვანეთო. ძმა არ გაუფრთხილებია ჩასვლას რომ აპირებდა. დაიწყებს შემზადებას, მოცდება საქმიანობას, ააწრიალებს მეზობლებს, ხომ ვიცი მისი ამბავიო.

სამხრობას მიადგა მშობლიურ სახლს. ჭიშკარი შეაღო და შევიდა. დახატული, კოხტად მოვლილი ეზო სახლ-კარი სტუმართმოყვარე და გულმხურვალე მასპინძელივით შეეგება. ეს რამდენი რამე გაუკეთებია ძმას, როგორ გაულამაზებია სახლი. თანამედროვე, ამასთან ქართული ელემენტებით დატვირთული ფართოაივნებიანი კაპიტალური შენობაა. ნახე, ის ძველი სახლიც არ დაუნგრევია, რომელშიც გაიზარდნენ. წაბლის სახლი საუკუნეებთან შეასაჭიდებლად კიდევ მზად იყო. ერთი კი გაიფიქრა, ამდენი ხალხი აქ როგორ ვეტევოდითო. გასცდა თხილებს და მისი დარგული ვაშლის ხისკენ გასწია. ვაშლის ხის ძირში ძმა დაინახა, რომელიც დინჯად და გულისყურით რაღაცას თლიდა. თავს რომ წამოადგა, წამოიწია, შუბლი მოიჩრდილა და გაკვირვებულმა თქვა:

– მეჩვენება, თუ მართლა შენა ხარ, ბიჭო?

– ეჰ, გრიგოლ, გრიგოლ, შენი ცხოვრება სულ ხუმრობაში როგორ უნდა გაატარო, როგორ ისაწყლებ თავს. აქედან დანიელის სერზე გადაფრენილ ფრინველებს ერთმანეთისაგან არჩევდი და მე ვეღარ მცნობ?

– ჯანსაღი ხუმრობა, ყმაწვილო, სიცოცხლეს ახანგრძლივებს. კარგად დაიმახსოვრე, ასე მოვდივარ მე აქამომდე და ქე მხედავ, როგორცა ვარ. აბა გაყვითლებული ქალაქელებივით ცხვირჩამოშვებული ხომ არ ვივლი. მოგაფერიანებ, თუ კაცი ვყოფილვარ, – ფეხზე წამოიმართა გრიგოლი და გადაეხვია, – დაგერეკა, შე დალოცვილო.

– რად უნდოდა დარეკვა, ჩემს სახლში მოვდიოდი. ჭირშკარს ისევ არ კეტავთ?

– ვის დავუკეტო ჭიშკარი, ყველას ძველებურად დავხვდებით, – ანა! – გასძახა მეღლეს.

ძველი წაბლის ხის სახლის კარი ჭრიალით გაიღო და ქალმა გამოიხედა.

– ნახე ვინ გვესტუმრა, გამოიხედე, ქალო, აქეთ!

ქალმა შუბლი მოიჩრდილა:

– ეჰ, ბერიკაცო, რა ვუთხრა სიბერეს, ხომ იცი, ამ ბოლო დროს თვალი მღალატობს ცოტას, – მოისაწყლა თავი ანამ. სამოცდაათს გადაცილებული ქალი წელში გამართული მაინც ყინჩად მოემართებოდა. მიუახლოვდა მოსაუბრეებს და სიხარულით შეჰკივლა, – ბადრი ხარ, კაცო? დიდება უფალს! წუხელ ისეთი სიზმარი ვნახე, ვიცოდი, რაღაც აუცილებლად გამეხარდებოდა. ამაზე მეტი სიხარული რაღა გინდა, – თვალზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდა და სტუმარს გადაეხვია. მერე უკან დაიხია, კიდევ ერთხელ შეავლო თვალი, თავი გადაიქნია და კითხვები დააყარა, – რატომ აქამდე არ ჩამოხვედი, ასე რატომ მოგვანატრე თავი. მეუღლე, ბავშვები, შვილიშვილები რატომ არ ჩამოიყვანე?

– ანა, ზოგი კითხვა ხვალისთვისაც დაიტოვე. ჩამოსვლა იყო მაგის ნება, ხომ მოვიხელთეთ, და მაგის გამშვები ვარ აწი მე? ვერ ხედავ რა ფერზეა, მაგის გაშვება იქნება?

– ხო, ცოტა კია ფერმკრთალი, – დანანებით თქვა ქალმა და ლოყაზე ხელი ჩამოისვა.

– გეყოფა, ანა, დაკითხვებს გირჩევნია ნამგზავრი კაცი სახელ-დახელოდ დააპურო, საღამოსთვის კი სათანადოდ მოემზადე, ხუმრობა საქმე ხომ არ გგონია, უძღები შვილი დაუბრუნდა მამულს. საღამოს მეზობლებთან ერთად მაგრად უნდა ვიქეიფოთ... – ხალისობდა უფროსი ძმა, – შენ კი, ყმაწვილო, ჩამოჯექი შენი დარგული, უცნაური ვაშლის ძირში. ნუ გეშინია, ჯერჯერობით ნაყოფი თავში არ დაგეცემა, ცოტა კიდევ უკლია დამწიფებას. ისე მოსწონთ მეზობლებს ეს ხატულა ვაშლი, გაზაფხულზე კვირტები მიაქვთ დასამყნობად.

ძილბურანიდან ამოუცნობი ფრინველის გალობამ გამოიყვანა. ნეტარების მომგვრელი ხმით გალობდა. გაილურსა, სუნთქვაც შეიკრა, არ დავაფრთხოო. ნეტავ რა ჩიტია? შაშვი არ

არის, მისი ხმა ადვილად გამოსაცნობია. ბოლოშავა თუ მესკია? ბოლოშავა და მესკია გალობს თუ არა ისიც კი დაგავიწყდა, სოფლის ყოფის მხოლოდ ლანდებია შენში შემორჩენილი. მამლის ომახიანმა ყივილმა საბოლოოდ გამოაფხიზლა. თვალები მოიფშვნიტა და გაიზმორა. სასიამოვნო მოთენთილობას მოეცვა სხეული. რამდენი ხანია სუფრას ბოლომდე არ შერჩენია და არც ამდენი ღვინო შეუსვამს. მისდა გასაკვირად, არც თავი სტკიოდა, მხნედ გრძნობდა თავს. მაინც რა იყო ეს? ამდენი მის ცხოვრებაში არ უმღერია, რამხელა სიყვარული და სიხარული სუფევდა სუფრაზე. ყოველი დღე დაკარგულია, თუ ის სიხარულით არ არის სავსე. ლოგინში კოტრიალს აზრი აღარ ჰქონდა. ფეხზე წამოიწია, ფანჯარასთან მივიდა და გაიფიქრა – მადლობა ღმერთს, რომ კიდევ ერთი დღე გაუთენდა შერყეულ სამყაროსო.

მომდევნო დღეებში კიდევ რამდენჯერმე შეიკრიბნენ, ერთმანეთთან საუბრებით გულიც იჯერეს. ყველა სათქმელი ითქვა, ბევრ მოგონებაზეც იოხუნჯეს. როცა ყველა ემოცია და მღელვარება დაცხრა, ნელ-ნელა ყველა თვიანთ ყოველდღიურობას დაუბრუნდა. ეჰ, ბადრი, ბადრი, არ ასრულებ ექიმის მითითებებს, გეუბნებიან ისაუბრეო, შენ კი ძუნწი ხარ საუბარში, მოსმენაში კი ბადალი არ გყავს. სოფელი არ პატიობს კაცს უქმად ყოფნას, მუდამ ფხიზლად შემართული უნდა იყო, თუ არა და, გატიალდება ყველაფერი. რამდენჯერმე ძმასაც გაჰყვა სათოხარში, რამდენჯერმე თოხიც მოიქნია. დიდი მთოხნელი არც სიჭაბუკეში ყოფილა, და მით უმეტეს, ახლა მის ასაკში. ყოველი დღე მდორე მდინარესავით მიედინებოდა. სხვა ნიადაგზე გადარგული ვეღარ ეგუებოდა სოფლის ყოველდღიურობას. ფიქრობდა – მე ჩემს სამშობლოში, ქალაქს შეხიზნულ კაცს როგორ გამიჭირდა სანატრელ მშობლიურ გარემოსთან შეგუება და წარმომიდგენია, რა დღეში ჩაცვივდებიან უცხოეთში გადახვეწილი ჩემი თანამემამულენი თუ ოდესმე დაბრუნდებიანო. მოწყენა რომ არ შეემჩნიათ ნაცნობი ადგილების მონახულება დაიწყო. რამდენჯერმე მდინარეზე ჩავიდა. მდინარე ყველა მოსახვევში მორევს იკეთებს ხოლმე, საცურაო ადგილებსაც იქ ირჩევდნენ სოფლის მკვიდრნი. დადიოდა წლებით დამძიმებული და სიყრმეს

ელა

შვერილს თავი არ ავკრაო. ერთ დღეს ეს ბარიერიც დასძლია – აჯობა თავის თავს. კარგა ხანს იდგა კლდის ქიმზე, მერე ღრმად, ფილტვების ატკივებამდე ჩაისუნთქა ჰაერი და კლდის ქიმს მოსწყდა, გასცდა ნათელს, ძალუმად მოიქნია მკლავები და მრუმე სივრცეში შეცურდა. საუკუნედ მოეჩვენა წყვდიადში ცურვა, როგორც იქნა თითებით სილიან ფსკერს მიაწყდა, ჩაბღუჯა სილა, ამოტრიალდა და ნათლისკენ იწყო სწრაფვა. თითქმის ნახევარი ტანით ამოვარდა წყლიდან, მწყურვალივით დაეწაფა ჰაერს და შეჰკივლა, არის! მერე მომუშტული ხელი გახსნა და სველი სილა თანატოლებს მიაყარა. თანდათანობით ყველა საოცნებო სიმაღლეები დაიპყრო, გარდა ერთისა. რაფის თავზე მინდორი იყო გაშლილი, რომელსაც საურმე გზა და წისქვილისაკენ მიმავალი პატარა ბილიკი კვეთდა. ეს იყო ყველაზე მაღალი წერტილი. იქიდან გადმოხტომა საშიში იყო. კლდის თავზე, არხის პირს, წყლის მოყვარე ჯუჯა ხე-ბუჩქნარი შესეოდა და წყლისკენ მაცქერალს სამზერს უკეტავდა, მხოლოდ მდინარის პატარა ზოლი ჩანდა და მეტად გაბედულები და თავზეხელაღებულები თუ ახერხებდნენ იქიდან გადმოხტომას. მიღწეულმა წარმატებებმა გაათამამა. დაუოკებელი სურვილი, ჟინი, მოსვენებას არ აძლევდა – უნდა გადმომხტარიყო. ზაფხულის ჩვეულებრივი დღე იდგა, სამხრობის ჟამი. აცდა კლდოვან ნაპირს. გაივაკა, გაიარ-გამოიარა, გადამხმარი ბალახი ფეხის გულზე უღიტინებდა. გაივლიდა, გამოივლიდა, მიუახლოვდებოდა კიდეს და ისევ უკან ბრუნდებოდა. თავის თავს შესძახა ან დღეს ან არასდროსო. კარგა ხანს იდგა კბოდესთან. მერე ნელი სვლით, დინჯად უკან დაიხია დაახლოებით ოც ნაბიჯზე, ისევ შეყოვნდა. გარშემო გორებს მოავლო მზერა, რომლებიც თითქოს ეჩურჩულებოდნენ, რაღას უცდიო. მზისკენაც გაექცა თვალი, რომელიც ნელ-ნელა დასავლეთისკენ მიიზლაზნებოდა. მერე თითქოს წამიერად სტყორცნა მზერა და გაკვირვებულმა ჰკითხა, ისევ მანდ დგახარო? რაღაც უხილავმა ძალამ ზურგში ჰკრა ხელი და ადგილიდან მოწყდა. ბუნება გაიყურსა, ფრინველებიც კი გაირინდნენ. კბოდესთან მაღლა ახტა და ფეხებით მონანავე ტალღებში გადაეშვა. თავქვე ვარდნისას მოეჩვენა

თითქოს ხე-ბუჩქნარმა ზეცისკან დაიწყო ფრენა. წამებში დამთავრდა ყველაფერი.

ამოყურყუმელავებისას ისევ ზეცისკენ გაექცა მზერა, კეთილად იღიმებოდა მზე. ბუნებაც ისევ ახმიანდა და აშრიალდა. კარგა ხანს ტკბებოდა უზომო ბედნიერებით. არ გასულა დიდი დრო, როცა მაცდურმა ფიქრმა დაუწყო ხვრა. სრულუყოფილი მხტომელი მაშინ გახდები თუ თავით გადაეშვებიო. ფიქრი არ ასვენებდა – არც დღე და არც ღამე. სიზმრისეულმა ზმანებებმა გატანჯა, სულ თავით ეშვებოდა წყალში, მაგრამ ძირამდე ვერ აღწევდა, რაღაც ძალა ჰაერში აშეშებდა და წყალს ზემოდან დაჰყურებდა. უძილო ღამეები აუძლურებდა და აძაბუნებდა.

იმ დღეს ღამენათევი და გამოუძინებელი მიადგა ნაპირს. ცოტა ხანს ჩამოჯდა, მერე განიძარცვა სამოსისაგან და შევიდა თავთხელში, შეისხა წყალი სახეზე, ტანზე და შეცურა. გაცურა და გამოცურა. მერე ნაპირთან მოზრდილ ქვაზე ჩამოჯდა, ჩამოისვენა. ახედა კლდოვან ნაპირს, ძალზე მაღალი მოეჩვენა. უმზეო დღე იყო. შეაჟრჟოლა. წამოდგა, აუყვა კლდოვან ციცაბოს. მიდიოდა, მაგრამ ფეხები თითქოს უკან რჩებოდა. ვიღაც კი დაჟინებით უკიჟინებდა, არ შეჩერდე, გააგრძელე სვლა, ახლა უკან დახევა სილაჩრეაო. მერე სისხლის გამყინავი ხარხარი მოესმა. უკან მოიხედა, არავინ ჩანდა. გრილი ამინდი იყო, მოცურავეებიც კანტიკუნტად ჩამომსხდარიყვნენ ქვებზე. მინდორზე გადავიდა, ჩაიცუცქა და ქვემოთ გადაიხედა. ხებუჩქების გარდა არაფერი ჩანდა. წამოიწია, რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა. გაიხედა გორაკებისკენ, რომლებიც დამაშვრალი კაცებივით თვლემდნენ. ცას ახედა, მზის კვალიც კი არსად ჩანდა. გაგულისებულმა მაშინდელივით ოცი ნაბიჯით უკან დაიხია, გამოექანა, ჰაერში აიწია, ფრინველივით კამარა შეკრა, მოიმშვილდა და გადეშვა. ვარდნისას დროულად ვერ გაიშალა და გვერდულად დაეხეთქა წყალს. დარტყმის ძალამ წყალი ააჩქეფა, ქვებზე მსხდომნი გაწუწა და ფეხზე წამოყარა. ძლივს მიაღწია ნაპირამდე, ცალკე ტკივილი და ცალკე სირცხვილი წვავდა. მთელი თვე სტკიოდა გვერდი, დედისთვისაც კი არაფერი გაუმხელია. დაიზაფრებოდა საწყალი ქალი. იმ დღის მერე რაფს აღარ გაჰკარებია. ახლა

კი მხცოვანი გადაჰყურებდა მდინარეს. მაშინდელივით შეაჟრ-ჟოლა. შეიძლებოდა იმ დღეს ყველაფერი დამთავრებულიყო. ფეხზე წამოდგა, შარვალი დაიფერთხა და ბონდის ხიდისკენ გაემართა.

დრო ტაატით მიუყვებოდა უსასრულო გზას. ემოციებიც დაცხრა. ერთფეროვანი და დუნე ცხოვრება მოსაწყენი გახდა. სული ვერ ეგუება ერთფეროვნებას.

დიდებულადაა ნათქვამი წმინდა წიგნში: „არ არსებობს დაფარული, რომ არ გაცხადდეს და არც რამ საიდუმლო, რომ არ გამჟღავნდეს“. შეამჩნიეს მასპინძლებმა მოწყენილობა და შეწუხდნენ.

– არა, არა, ბადრი, ადგილის დედას დიდხანს რომ მოსწყ-დები, მერე დედინაცვლად გექცევა. გაკვირდებოდი, როგორი გახალისებული იყავი და რა უცებ მოგეწყინა. ისევ ახრჩოლე-ბული ქალაქი მოგენატრა. არა მარტო ქალაქი, არამედ პატარებიც.

– და კიდევ, ერთი მოთხრობა მაქვს დასასრულებელი, ფინალმა გამტანჯა. დავბრუნდები ქალაქში, ბებია-შვილიშვილს აქეთ გამოვუშვებ. მე ცოტა ხანს დავრჩები და მერე ისევ ჩამოვალ.

– არა ხარ შენ აქეთ ჩამომსვლელი, ჩემო ბადრი, არა. აღარ არის ეს გარემო შენთვის მშობლიური და შთაგონების მომცემი. კარგი, როგორც გადაწყვიტე, ისე გააკეთე, მაგრამ სანამ წახვი-დოდე, ერთ შეკრებაზე უნდა წავიდეთ, ხვალ იმართება ჩვენს კლუბში. ვიღაც თეოლოგი თუ პოლიტოლოგი ჩამოდის დედა-ქალაქიდან.

– რა, კიდევ ახალი პარტია იქმნება? ამ უსაქმურებმა გაატია-ლეს ქვეყანა. მგონი საქართველო გინესის რეკორდების წიგნშია შეასაყვანი, არც ერთ ქვეყანაში არ არსებოს ამდენი პარტია. კარგი, წავიდეთ, გულს მაინც გადავაყოლებ, ცოტა განსხვავე-ბული დღე იქნება.

დარბაზი მთლიანად არ შეივსო, მაგრამ მაინც საკმაოდ ბევრი ხალხი მოგროვდა. ბადრი ძმასთან და მეგობრებთან ერთად პირველ რიგში დაჯდა. მის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა პრეზიდიუმში ბაკური შენიშნა, რომელიც ძალზე სახიერი მამკაცის გვერდით იჯდა. პრეზიდიუმში მსხდომთა-

გან ერთმა ქალმა მიიქცია ყურადღება, რომელიც იდაყვებით დაყრდნობოდა მაგიდას და ხელებს იფშვნეტდა, ხან გაშლიდა, წამიერად დააცქერდებოდა თითებს, მერე ისევ ერთმანეთს გადააჭდობდა. გაიფიქრა, რა ნაცნობი სახე აქვსო, ნეტავ სად შემხვედრიაო. კარგა ხნის ფიქრის შემდეგ აღმოხდა: ჰოი, საკვირველებავ, მოდი და ნუ გაოცდები, ეს ქალი ხომ ექიმის მისაღებში ნახა, ყვითელფრჩხილებიანი ქალი, რომელიც წამდაუწუმ ფეხს ფეხზე იდებდა, წრიალებდა და ერთ ადგილზე ვერ ისვენებდა. ეს წარმოსადეგი მამაკაცი ალბათ, ის კაცია, ბაკურს ჩემთვის რომ უნდა გაეცნოო. მართლაც საკვირველია საქმენი შენი, უფალო. ნუთუ შემთხვევით მოხდა ყველაფერი, მაგრამ ამდენი დამთხვევა? რაღაც ეჭვი შეეპარა. ფიქრი შეწყვიტა და სმენად იქცა.

საღამო ჩვეულებრივად დაიწყო, როგორც ყველა საღამო იწყება, ისე. მოწვეული სტუმრები საზოგადოებას სოფლის თავკაცმა გაბრიელ მაღლაკელიძემ წარუდგინა. შესავალი სიტყვით კი ის ყვითელფრჩხილებიანი ქალი გამოვიდა.

– მეგობრებო, უნდა მოგახსენოთ, რომ ქვეყანაში შექმნილი სავალალო მდგომარეობა გვაიძულებს, ლამის კარდაკარ ვიაროთ და ყოველ ადამიანამდე მივიტანოთ ჩვენი საზოგადოების მიზნები და ამოცანები. სოციალური ქსელის მეშვეობით ბევრმა იცის ჩვენ შესახებ, მაგრამ, სამწუხაროდ, იმედგაცრუებული საზოგადოების გამოფხიზლება მაინც ძალზე ძნელია, ყველა თავის პირადი სატკივარითაა დაკავებული. საზოგადო და საქვეყნო საქმის ინტერესმა ყოფითი სატკივრის მიღმა გადაინაცლა. აპათიამ, უიმედობამ დაისადგურა, ჩვენ მაინც ვერაფერს შევცვლითო. სარგებლობენ რა ხალხის ინერტული მდგომარეობით, უკუღმართ კანონებს ამოფარებული მდიდრები კიდევ უფრო მდიდრდებიან, ღარიბები კი თავს ვერ აღწევენ დუხჭირ ცხოვრებას. ბევრი გაიქცა, უცხოეთს შეაფარა თავი. ისე, თუ გსმენიათ, გაქცეულებს სადმე ომი მოეგოთ. სატკივარს კი არ უნდა გაექცე, უნდა შეებრძოლო, – წამიერად შეყოვნდა მომხსენებელი, მერე მოხდენილად თავი გადიქნია, თვალზე ჩამოშლილი თმა შეისწორა და მრავალმნიშვნელოვნად გადახედა დარბაზს.

და ისევ საამოდ, თავდაჯერებულად, მტკიცე ხმით განაგრძო, – რაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა შევძლოთ ამ მასის ცნობიერების გარდატეხა, უიმედობის დათრგუნვა და ქვეყნის გაჯანსაღებისა და აღორძინებისაკენ შემობრუნება. გასაკეთებელი ძალზე ბევრია. ნაწვიმარზე ამოსული სოკოებივით მომრავლებული პარტიების უმეტესობა, სამწუხაროდ, მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისთვის იღვწის, ბევრი კი მოღალატეებისა და კრიმინალების თავშესაფრად იქცა... ამიტომაა, რომ ეჭვით უყურებენ ყოველ ახალ წამოწყებას, მართლებიც არიან. ჩვენი სურვილია, ქვეყნის გადარჩენის ჩვენეული გეგმა თითოეულ ქართველამდე დავიყვანოთ, ურთულესია, მაგრამ ჩვენ უკანდასახევი გზა აღარ გვაქვს, უმოქმედობით უბრალოდ გავქრებით, აღარ ვიარსებებთ. და ესაა ყველაზე სანუკვარი მიზანი მოყვარის ქურქში გახვეული მომღიმარი მტრებისა. ვერ ეღირსებიან, – მოსამართლის ჩაქუჩივით დაახეთქა ბოლო წინადადება, რომელმაც გაყურსულ დარბაზს ექოსავით გადაუარა და როცა ექომ დარბაზის ყველა წერტილ-კუნჭული მოინანავა, ორატორმა დამცხრალი ხმით საზოგადოებას მიმართა, – ახლა კი სიტყვას გადავცემ ჩვენი საზოგადოების თავმჯდომარეს დავით დიდებულიძეს.

ყოჩაღ. ხედავ, თურმე რა ენერგია იმალება ამ ნერვიულად მცქმუტავ ქალში? წინა საუკუნეების ღვაწლმოსილი ქალების სული მძლავრობს მასში. ქალმა უნდა დაიბრუნოს თავისი ღირსეული ადგილი. რამოდენა მოწიწება და თაყვანისცემა ჰქონდათ წარსულში ქალებს, მარტო აკაკის სიტყვები რად ღირს, დედავ ბატონოო. ასევე მიმართავდა იაკობ ნიკოლაძე პარიზიდან გამოგზავნილ წერილებში თავის დედას – დედავ ბატონოო, ახლა კი?!... გაიფიქრა ბადრიმ და თავი გადაიქნია

ბადრი პატარა ხანს გულისყურით უსმენდა დავითს, მერე რატომღაც მოეწყინა, გამოსვლა ლოზუნგური მოეჩვენა, ასე როგორ მიიზიდავენ ხალხს. მოწყდა რეალურს და ირეალურში დაიწყო ხეტიალი. მერე შვილიშვილებს გადსწვდა, ნეტავ როგორ არიან უჩემოდო, თუ მოვენატრეო. ხვალვე გავქუსლავ თბილისისკენ. მომხსენებლის სიტყვებმა გამოაფხიზლა:

– მამული, ენა, სარწმუნოება ქვეყნის ფუნდამენტია, ბაზისია,

რომელზეც უნდა აშენდეს ქვეყანა. ეს ანდერძად დაგვიტოვა დიდმა ილიამ და თვალისჩინივით უნდა მოვუფრთხილდეთ ამ ძვირფას საუნჯეებს. როგორც ერთი და განუყოფელია წმინდა სამება, ასევე ერთი და განუყოფელია მამული, ენა და სარწმუნოება, რომელიც თავის თავში მოიცავს თვითმყოფადობას, ტრადიციებს, სულიერებას და მაღალ ზნეობრიობას.

ისევ შემოესია ფიქრები, წრიალი აუტყდა, თითქოს ეკლებზე იჯდა. ერთი სული ჰქონდა, როდის წამოვარდებოდა, მაგრამ ბაკურისი ერიდებოდა. უნახავად ვერ წავალო. ისევ მომხსენებლის სიტყვები მიაწყდა ყურს. როგორც ჩანს, გამოსვლას ამთავრებდა:

– მეგობრებო, ჩვენ რეგიონებში უნდა გავხსნათ ჩვენი წარმომადგენლობები. ამ საშური საქმის ხორცშესხმისათვის აქ, თქვენთან, ჩემი მეგობრის, ბაკურის რეკომენდაციით ჩვენს საკონსულტაციო უბანს უხელმძღვანელებს ბატონი ბადრი სიხარულიძე.

თავის გვარისა და სახელის გაგონებაზე კინაღამ გული გაუჩერდა, ცივი წყალი ისე ვერ გამოაფხიზლებდა, როგორც თავისი გვარისა და სახელის გამოცხადებამ გამოაფხიზლა. გონს რომ მოვიდა, თავი ძლივს შეიკავა, რომ არ გადაეხარხარა. ღონისძიების დამთავრების შემდეგ შეხვდა სტუმრებს, მადლობა მოახსენა ნდობისთვის, მაგრამ უარი უთხრა შემოთავზებულ წინადადებაზე:

– მე თქვენ არ მიცნობთ და არც არაფერი იცით ჩემ შესახებ.

– გაგიკვირდება და ყველაფერი ვიცით თქვენ შესახებ, პატარა მოთმინება და მალე ყველაფერი გაცხადდება, – უთხრა ბაკურმა, – დრო გაქვთ, არ აჩქარდეთ, მოიფიქრეთ. ყველამ უნდა გაიღოს თავისი წვლილი, ყოფნა–არყოფნის საკითხია ჩვენი ქვეყნისთვის.

სახლში მისული დიდხანს ფიქრობდა, თუ რა გზას დასდგომოდა. ააფორიაქა შემოთავაზებულმა წინადადებამ, ტვინში ჩასჭედვოდა, ყველამ თავის წვლილი უნდა შეიტანოს ქვეყნის გადარჩენის საქმეშიო. დავუშვათ, დავთანხმდი, მაგრამ რომ ვერ შევძლო, სირცხვილით სად გინდა გამოყო თავი.

ექიმიც გაახსენდა, ისაუბრეო, ახალი მიაწოდე შენს ტვინსა და გონებასო. მეტი ახალი რაღა გინდა, მოსინჯე. არა, არა, ეს არ არის სახუმარო საქმე. ნუ გაურბიხარ სიძნელეებს. აი, ახალი სამოქმედო ასპარეზიც. სახეზე ღიმილმა გადაჰკრა. აჰა, რას იტყვი, როგორც ამბობენ, წილი ნაყარია, მიიღე, ყმაწვილო, ეს გამოწვევა. წარსულს ბარდება უშინაარსო და უფერული დღეები.

საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ძმასაც დაეკითხა, როგორ მოვიქცეო. დაფიქრების გარეშე უპასუხა ძმამ:

– უნდა დათანხმდე. სამშობლო დღეს მარტო სუფრაზე ახსენ-დებათ განსხვავებული სასმისით ხელში, შენც კარგა გვარიანად ჩამოარაკრაკებ ხოლმე, საქმით დაგვიმტკიცე, საქმით. სამუშაო ოთახს მე მოგიწყობ, მიდი, გვაჩვენე რა შეგიძლია. თავნება, ჯიუტი ხარ, შეისმენ კი ჩემსას?

ორი დღის მერე ბაკურს დაურეკა, თბილისს მოვივლი, შვი-ლიშვილებს ჩამოვიყვან და მოვსინჯავ ჩემს თავს ახალ თანამდე-ბობაზეო.

სიხარულისგან კანში ვეღარ ეტეოდა გრიგოლი. არ მეგონა თუ გამომომივიდოდა, ხომ მაინც მოვახერხე შენი დაბმაო! აწი მე ვიცი, თუ კაცი ვარ, შეგარიგებ ადგილის დედასთანო.

ცანგალი და გოგონა

ცანგალა და გოგონა

დადგა მაისი და ბუნებამ მთელი თავისი მშვენიერება სრულ-ყოფილად გამოამზეურა. კორპუსების ტყვეობაში მოქცეული ქალაქის გარეუბნის ციცქნა ბაღი მწვანედ ხასხასებდა. ზოგი-ერთ ხეს ყვავილობა ჯერ კიდევ არ დაესრულებინა, ზოგი კი უკვე ნაყოფის მოსაცემად იყო მზად. ბავშვები ხილს დამწიფე-ბასაც არ აცლიდნენ და ლამის კვირტიდან ახლად გამოსულს შეექცეოდნენ ხოლმე. მაკრინე ბებიაც შვილიშვილებთან ერთად ეწვია ბაღს. შესვლისთანავე დაუსხლტნენ ონავრები ხელიდან ბებოს და ხილნარს შეესივნენ. კორონა ვირუსის გამო შინაპატი-მრობას თავდაღწეულნი დარბოდნენ, დახტოდნენ, ხან ხელებს შემოასალტავდნენ ხეებს, ხანაც აცოცებას ცდილობდნენ.

ბებო მაკრინე პატარა ძელსკამზე ჩამოჯდა და საქსოვი გაშალა. ყმაწვილქალობიდან შეასწავლა ქსოვა მისმა ბებიამ. ქსოვდა წინდებს, კაბებს თუ სვიტერებს. ძალზე ხელმარჯვე იყო, უსაზღვრო ფანტაზია ჰქონდა. ისე გამოაგვირისტებდა ნამუშევრებს სხვადასხვა ფიგურითა თუ ორნამენტით, მნახველთა გაოცებას იწვევდა. ნამდვილ ხელოვნების ნიმუშებს ქმნიდა. ქსოვდა, ქა-ოსურ ფიქრებს აყოლილი, ხან წარსულს მიეახლებოდა, ხან აწმყოს, ისე სწრაფად ქსოვდა, თვალს ვერ შეასწრებდით თითე-ბის მოძრაობას. ბავშვებს მიყურადებული მშვიდად ქსოვდა. სათვალის ზემოდან მიმინოსავით გადმოხედავდა, შეეხმიანე-ბოდა და სიფრთხილისაკენ მოუწოდებდა. ებრალებოდა ბავ-შვობადაკარგული ბავშვები. ფიქრობდა: ბავშვი ბუნებასთან ჰარ-მონიაში თავისუფლად უნდა იზრდებოდესო.

ცოტა ხნის უკან ოთხმოცდაათს მიტანებულმა ბიძია ოთარმა

დაურეკა. ძალიან გაუხარდა, მხნედ ელაპარაკებოდა მხცოვანი, არაფრის შეგეშინდესო, ეგ კორონაა თუ რაღაც შავი ჭირი მეც შემეყარა და ვერაფერი დამაკლოო. ბევრ ფიქრს უნდა შეეშვა, ღობე–ყორეს არ უნდა მოედო, მადლობელი იყავი იმით, რაც ღმერთმა მოგცა, დარდი და ნაღველი გულს უჭამს ადამიანს, შეეცადე სიხარული დაიტიო გულში, მიენდე უფალს და ყველა–ფერი კარგად იქნებაო. ხო, მთავარი კინაღამ დამავიწყდა, ორ კვირაში იუბილარი ვხდები, ოთხმოცდაათი წელი მისრულ–დება და აუცილებლად უნდა ჩამოხვიდე. ბიძია, წუთისოფელი სავსეა მოულოდნელობებით. სასიხარულო მოულოდნელობას გისურვებ, არ გამაწბილო, აუცილებლად უნდა მეწვიოო. ყველას ვეპატიჟები, ყველას, ჩემს სისხლსა და ხორცს უნდა მოგიყაროთ თავი, სანამ ჩემი ქვიშის საათი საბოლოდ დაიცლება, მინდა ყვე–ლას მოგესიყვარულოთ. კაცი ყველაფრისთვის მზად უნდა იყოს, ხვალისა მხოლოდ ხვალემ იცისო. დაპირდა, აუცილებლად ჩამოვალო. ზარმა გაახალისა, ჩემს მშობლიურ ქუთაისში ჩავალ, მონატრებულ ადგილებს მოვათვალიერებ და მეორე დღეს ჩავა–კითხავ სოფელშიო. საბავშვო ბაღშიც აუცილებლად შევივლი, ის ხომ ჩემი პედაგოგიური საქმიანობის აკვანია, ვნახავ ჩემი ასაკის თუ ვინმე კიდევ შემორჩაო.

თავი წამოწია, მიიხედ–მოიხედა, ვიღაც ახალგაზრდა დედა მოპირდაპირე სკამზე ჩამომჯდარიყო, უწლოვანი ბავშვი მკერდზე მიეწვინა და ნეტარი ღიმილით დასცქეროდა. შვილიშვილე–ბისაკენ გაიხედა, პატარები ჯოხით მიწას ჩიჩქნიდნენ. უცხო ენაზე საუბარი მოესმა, წამიერად შეწყვიტა ქსოვა და თავი მოსაუბრეებისკენ მიაბრუნა. სიჭარმაგეში შესული წყვილი ბაღისკენ შემობრუნდა, პატარა ხანს დაყოვნდნენ, ბაღი შე–ათვალიერეს და ნელი ნაბიჯებით გაუყვნენ გზას. გაუკვირდა მაკრინეს, ქალაქის გარეუბნებში იშვიათად თუ გამოჩნდებოდნენ უცხოელები. ისინი ძირითადა ქალაქის ძველ უბნებში დასეირ–ნობდნენ და აღტაცებით ათვალიერებდნენ საუკუნეებ გამოვლილ ციხე–კოშკებს, თუ მათთვის უცნაურ და საინტერესო არქი–ტექტურას. ნეტავ აქეთ რა ქარმა გადმოისროლაო, ფიქრობდა თავისთვის. წამოდგა, გაიარ–გამოიარა, ბავშვები შეათვალიერა,

რომლებიც გატაცებით აგრძელებდნენ თამაშს. ისევ სკამზე ჩამოჯდა და საქსოვს დასწვდა. მასრასავით ასრიალდნენ თითები. ნეტავ რა ენაზე საუბრობდნენ? უცხო ენამ წარსულისკენ გაახედა, ღიმმორეული მოგონებებში ჩაიძირა.

* * *

იმ დღეს სამსახურში მისული ბაღის გამგემ გამოიძახა. კარზე დააკაკუნა. შემოდითო, დაიძახეს კარს მიღმა. მორიდებით შეაღო კარი. ორმცდაათ წელს მიტანებული ბაღის გამგე მაგიდაზე გადაშლილ ქაღალდებს ჩასცქეროდა, დაბულულებული თმა თავზე ზვინივით ედგა. უცნაური ვარცხნილობით, იმ დროისათვის, ცნობილ და პოპულარულ მომღერალს – ლიუდმილა ზიკინას წააგავდა და მეტსახელად ზიკინა შეარქვეს. ისე კი, ეს სახელი გულის სიღრმეში სიამოვნებდა და ცდილობდა უფრო მეტად მიებაძა მომღერლისათვის.

– მაკრინე, შემოდი, შემოდი, გოგო! – თავი ასწია ზიკინამ, – ვინ დაგანათლა ეს სახელი, რომელი კიდობნიდან ამოაძვრეს? რა უბედურებაა, ენას ვიტეხ. ვიღას არქმევენ ახლა ასეთ სახელს. დღეიდან მარინე იქნები, უფრო თანამედროვეა.

– რა გითხრათ, ქალბატონო... – კინაღამ ზიკინა წამოსცდა, სწრაფად მოეგო გონს, – ქალბატონო ეკა, ბებიას სახელი დამარქვეს, – მორცხვად წარმოთქვა მაკრინემ.

იმ დღიდან მოყოლებული ნათლობის სახელით აღარც არავის მიუმართავს მისთვის. თვითონაც შეეჩვია და გაითავისა.

– კარგი, კარგი. ძალიან მალე დიდი დღესასწაული გვიახლოვდება, ბავშვები სათანადოდ უნდა მოვამზადოთ. ქალაქის ხელმძღვანელობა და განათლების სამინისტროდან სტუმრები გვეწვევიან. თუ ვიყოჩაღებთ, დედაქალაქში მიგვიპატიჟებენ. შენ უნდა უხელმძღვანელო ამ საქმეს. არ მინდა მოსაწყენი, ტრაფარეტული ღონისძიება. რაიმე ახალი უნდა შევთავაზოთ, განსხვავებული. ისეთი პროგრამა უნდა მოვიფიქროთ, ერთ ადგილზე ვერ გაჩერდნენ და გაკვირვებისგან ღია დარჩეთ პირი. დაახლოებითი მონახაზი გავაკეთე. გადახედე, სრულ თავისუფლებას გაძლევ. ახალგაზრდები სხვანაირად უყურებთ

ყველაფერს, – თავი წამოწია და ზემოთ ავარცხნილი თმა შეისწორა, – დაიხმარე, ვისაც საჭიროდ ჩათვლი, არ მოგერიდოს.

ახალგაზრდა პედაგოგმა საკონცერტო პროგრამა ხელში აიღო. შევეცდებიო, ძლივს წარმოთქვა და აჩქარებული ნაბიჯით გამოვიდა კაბინეტიდან.

მეტად საპასუხისმგებლო საქმე იყო, ღამეებს ათენებდა. მეგობრებიც დაიხმარა და პროგრამის საბოლოო ვარიანტი ზიკინას წარუდგინა.

ზიკინამ სათვალის ზემოდან ეჭვით შეხედა მარინეს და პროგრამა სულმოუთქმელად ჩაიკითხა.

– ეს რა მოგიფიქრებია, გოგო, ნუთუ გამოვა?! ჯერ ნამეტანი პატარები არიან, გაიგებენ ტექსტების მნიშვნელობას?

– დედის სიყვარული დაბადებიდანვე დაჰყვება პატარებს. ასევე უნდა შეისიხლხორცონ ქვეყნის სიყვარული, დიდობაში რომ არ გაუუცხოვდნენ სამშობლოს, – უპასუხა მარინემ.

– უყურე შენ! აი, თურმე როგორი ყოფილხარ! – თავი წამოსწია ზიკინამ და თბილი მზერა შეაგება მარინეს, – არ გეშინია? თუ ჩავფლავდით ციმბირს უკან დაგვატოვებინებენ.

– გამოვა, ქალბატონო ეკა, გამოვა!

– მე, რა, თითქმის გავლიე წუთისოფელი, მაგრამ შენ მეცოდები, რომ ჩავფლავდეთ კარიერას გაიფუჭებ.

– აუცილებლად გამოგვივა, ქალბატონო ეკა, ასეთი რამე თქვენს ბაღში ჯერ არ დაუდგამთ.

– რა ქალბატონობა აგიტყდა, ჩვეულებრივად მომმართე, არც თუ ისე ბებერი ვარ, – დათბა გოროზი ბაღის გამგე.

– რას ბრძანებთ, ქალბატონო...

– ჰმ, ისევ ქალბატონოო.

– წავალ ახლა მე, – მორიდებით წარმოთქვა მარინემ. ქაღალდებს ხელი წამოავლო და კარისკენ გასწია.

– რაც იქნება, იქნება! – ზიკინამ მაგიდას ხელი დაჰკრა და მარინესთან ერთად გავიდა ოთახიდან.

კარის ზღურბლთან ზიკინამ მოულოდნელად გადაიხარხარა:

– ბომბია ეს, გოგო, ბომბი! აგერ ნახავ, განათლების განყოფილების ტლიკინა გოგოს თუ თვალი არ დავუყენოთ, სულ

ზემოდან რომ დაგვცქერის. კარგი ახლა, წადი და მიხედე საქმეს, – ბავშვივით აცუნდრუკებული ზიკინა ლამის ცეკვით გაემართა მაგიდისკენ.

* * *

– ბებო, ბებო!

– რა მოხდა? ხომ არაფერი იტკინეთ? – გოგონების ძახილმა მარინე სააქაოს დააბრუნა.

– მოხტუნდი, ბებო, ჩვენთან, ნახე, რა ვიპოვეთ.

– მე რომ აწი მოვხტუნდები, – ჩაეცინა მარინეს.

– ბებო, ნახე, ეკალკაბია.

– ეკალკაბია კი არა ბურთაჩხვლეტიაა, – შეეპასუხა მეორე.

– რა ეკალკაბია, რა ბურთაჩხვლეტია, – ბებომ ასაკ-შეუფერებლად ისეთი გადაისკისკისა, გაოცებულებმა შიშით ახე-დეს, – ეს ხომ ზღარბია, საიდან გაჩნდა აქ? ხელი არ შეახოთ, დაიჩხვლიტებით! ეკალკაბია, ბურთაჩხვლეტია, რას არ მოი-ფიქრებენ! პატარებო, არ დავაფრთხოთ, გავუშვათ მის ნებაზე, იქნებ თავის სახლში ეჩქარება, ვინ იცის, როგორ ელოდებიან, – გაოცებული იყო ბებო, უკვირდა, აქ ზღარბი საიდან გაჩნდაო.

ბავშვებს არ ეთმობოდათ უცნაური არსება, მაგრამ ბებოს მაინც გაჰყვნენ, თან თვალი უკან რჩებოდათ.

– პატარებო, ახლა თოჯინებით გაერთეთ. ვინ იცის როგორ მოიწყინეს, – ბებომ ჩანთა გახსნა და თოჯინები ძელსკამზე ჩამო-ამწკრივა.

– ჩვენი ოლაფი, მერიდაც აქ ყოფილა, კონკიაც, ავრორა, არიელი, რაპუნცელი, – წამოიძახეს პატარებმა.

– სულ უცხოელები? – ჩაეკითხათ ბებო, – ერთი ქართული თოჯინა მაინც არ გყავთ?

– ქართული? არა, ბებო, ქართველები ჩვენ ვართ მარტო.

– ჰოდა, იქართველეთ, თორემ დაგვღუპავს მარტო უცხო-ურის ტრფიალი, – ბებომ სკამის კიდისკენ ჩაიჩოჩა და ადგილი ბავშვებს დაუთმო. ისევ საქსოვს დასწვდა, მუხლებზე დაიდო და მზერით კაკლის წვერს მისწვდა. უკიდეგანო ცაში ფრთოს-ნები დასრიალებდნენ, ზოგი მათგანი ხეებზე ჩამომსხდარიყო

და მრავალხმიან საგალობელს უძღვნიდა ბაღის ბინადართ. მტრედები უშიშრად დაგოგმანებდნენ ბებია-შვილიშვილების ფეხებთან და საკვების მოლოდინში ღუღუნებდნენ. ბებო საზურგეს მიეყრდნო და ისევ წარსულს აეტუზა.

* * *

საზეიმო დღეც დადგა. საპატიო სტუმრები სცენასთან ახლოს დასვეს. წარმოდგენა დაიწყო. აღსაზრდელებმა პირველ ნომრად „მრავალჟამიერი“ შეასრულეს. ბავშვური უშუალობით მღეროდნენ და ახლად დაბადებული ნაკადულივით აწკრიალებდნენ ხმებს. საპატიო სტუმრებმა ერთმანეთს გაკვირვებით გადახდეს. ბაღის ბავშვები და მრავალჟამიერიო?! თანაც სად?! საქმე იმაში გახლდათ, რომ ბაღი რუსულენოვანი იყო, რა თქმა უნდა, ქართველი აღსაზრდელებიც ჰყავდათ. ოთხმოციანი წლების ბოლო იყო და მომძლავრებული ეროვნული მუხტი საზოგადოების ყველა ფენაში ყვავილობდა.

იმ დღეს არცერთი უცხოენოვანი სიმღერა არ შეუსრულებიათ. სიმღერას ცეკვები მოჰყვა. ეროვნულ სამოსში გამოწყობილი მოცეკვავე ბავშვები სასაცილოდ ბუქნავდნენ და ამხიარულებდნენ საზოგადოებას, ყველას ღიმილი დაჰფენოდა სახეზე.

საპატიო სტუმრების და დამსწრე საზოგადოების ყურადღება თავიდანვე ორმა მოზარდმა მიიქცია – ყველაზე მაღლები იყვნენ და ქერათმიანები. აშკარად გამოირჩეოდნენ დანარჩენებისაგან თავიანთი არაქართული იერითა და აქცენტით. მომდევნო ნომერი „ცანგალა და გოგონა“ ამ წყვილმა შეასრულა. ტაშს ბოლო არ უჩანდა. განსაკუთრებით, დარბაზის შუაში მჯდომი, ახალგაზრდა წყვილი გამოირჩეოდა. ტაშისკვრისგან ლამის ხელისგულები დაიხეთქეს. ბოლო ნომერზე კი ცრემლებიც ვერ შეიკავეს. მაშინ კი, როცა გუნდმა „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“ წამოიწყო, ყველანი ფეხზე წამოიჭრენ. ოვაციებით დამფრთხალმა, შეშინებულმა ბავშვებმა ლამის შეწყვიტეს სიმღერა. საპატიო სტუმრები გაოცებულნი იყვნენ, ასეთი ღონისძიება აქ არასოდეს ჩატარებულაო. არც „დათუნია დრუნჩა“ უმღერიათ, არც „მიშკა კასალაპი.“ დაივიწყეს ლენინი, პარტია, პირველი მაისი.

განსაკუთრებული გაოცება და აღტაცება იმან გამოიწვია, როდესაც სცენაზე მარინემ ქერათმიანი ბიჭი და გოგო მოიწვია და გამოაცხადა:

– ძვირფასო მშობლებო და სტუმრებო, მინდა წარმოგიდგინოთ გერმანელი და-ძმა კურტი და ელზა, რომლებმაც თავისებური კოლორიტი და ხიბლი შესძინეს ჩვენს წარმოდგენას. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ერთი სიტყვაც არ იციან, თავი არ დაუზოგავთ. მშობლებისთვისაც კი არ უთქვამთ ამ ნომრის შესახებ. სიურპრიზი გვინდოდა მოგვეწყო. აქვე მინდა მოვიწვიო მათი მშობლები.

გაოცებულმა, ცრემლმორეულმა და აღტაცებულმა მშობლებმა მადლობა გერმანულ-რუსულ ენაზე გადაიხადეს. ტაში და ოვაციები გრძელდებოდა. კიდევ ერთხელ გაამეორებინეს და-ძმას „ცანგალა და გოგონა“.

ბევრს უკვირდა გერმანელების გამოჩენა სცენაზე. საქმე ის გახლდათ, რომ უცხოელები რამდენიმე თვით იყვნენ მოწვეულნი ქუთაისის ავტოქარხანაში სამუშაოდ, გერმანული დანადგარი უნდა აემუშავებინათ. მარინეს მამაც – ბიძინა მათთან ერთად მუშაობდა, უცხოელები ოჯახშიც არაერთხელ მიიწვიეს, დამეგობრდნენ კიდეც.

– ძვირფასო სტუმრებო და მშობლებო, – განაგრძო აღელვებულმა და სიხარულით სახეშეფაკლულმა მარინემ, – ასეთი გულმოდგინების, გარჯისა და მონდომებისათვის, ჩვენთან გატარებული დღეების მოსაგონებლად, ბაღის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, ჩვენს მეგობრებს, საჩუქრად გადავცემთ ქართულ ეროვნულ სამოსს.

აღრთოვანებული ზიკინა კანში ვეღარ ეტეოდა. სცენაზე ბზრიალებდა, წამდაუწუმ დაბულულებულ თმას ისწორებდა, სრულიად უცნობ ადამიანებს ეხვეოდა, ცრემლს ღვრიდა. მარინესაც მისწვდა, ჩაბღუჯა, გადაეხვია და ლამის წელში გადატეხა:

– ყოჩაღ, ცივსისხლიანი გერმანელების ატირება შესძელი. რამ მოგაფიქრებინა გერმანელები და ცანგალა და გოგონა?!

– ქალბატონო ეკა, აქაური ბევრი რამ დაავიწყდებათ, მაგრამ სიმღერა და ცეკვები დიდხანს დარჩებათ მეხსიერებაში.

– ვითომ? – მხრები აიჩეჩა გამგემ.

– მეცნიერულადაა დადასტურებული, – საბოლოო ბეჭედი დაუსვა მარინემ.

– კარგი, კარგი, ვერ შევედავები მეცნიერებს. ხომ გეუბნებოდი, ბომბია–მეთქი, აჰა, ხომ აფეთქდა. მაგრამ ჩვენ რაფრა გოდოურჩებით ზემდგომებს, ეგ არ ვიცი. რაც არ უნდა თქვან, ფაქტი ერთია, ასეთი საღამო ამ ბაღს არ ახსოვს.

მოგონებამ ცრემლი მოჰგვარა მარინეს. არაფერი ისე არ ახალისებს ადამიანის გულს, როგორც შრომით მიღწეული შედეგი. ყველაფერი ისე ცოცხლად წარმოუდგა, გეგონებოდა ახლაც სცენაზე იდგა თავის ორ უცხოელ პატარასთან და სახეშეფაკლული მოლოცვებს იღებდა. მარინეს მამამ უცხოელები ვახშმად შინ მიიწვია. სამეფო სუფრა გაიშალა. ქართული მრავალხმიანიც რამდენჯერმე დააგუგუნეს. მარინეს ოჯახს უცხოელები კიდევ უფრო დაუახლოვდნენ. არც სამშობლოში დაბრუნების შემდეგ შეუწყვეტიათ მათთან კავშირი. არც ბავშვები ივიწყებდნენ მარინეს. მოგვიანებით, სურათიც გამოგზავნეს. მერე ქვეყანაც აირია და ბარათებიც შეწყდა.

ნეტავ როგორ არიან ახლა? – გაიფიქრა მარინემ, – რა თქმა უნდა ოჯახს შექმნიდნენ, შვილებიც ეყოლებათ, შეიძლება შვილიშვილიც. საინტერესოა, თუ ჩავრჩი მათ ხსოვნაში. ეჰ, ფიქრები, ფიქრები, – ასაკში შესული ადამიანისათვის მიღმიერის ჰორიზონტი ფართოვდება და ყველაფერი ცხადდება, თბილი მოგონებები კი ის სიმდიდრეა, რომელსაც არც ჩრჩილი ჭამს და ვერც ვერავინ მოგპარავს. და თუ კიდევ კეთილი კვალი დატოვე გარშემომყოფელთა გულებში, ამაოდ აღარ გიცხოვრია.

საბავშვო ბაღში გამართულ უცნაურ ზეიმს უკვალოდ არ ჩაუვლია. გამგე და აღმზრდელი განათლების განყოფილებაში დაიბარეს. ჯერ შეაქეს, მერე კი ერთმა შუახანს გადაცილებულმა საოცრად მოხდენილმა მამაკაცმა ვითომ საყვედურნარევი კილოთი თქვა: გამომივიდნენ ახმეტელები – ეს რა ულტრანაციონალური რამ დაგიდგამთ. ულტრანაციონალური ეხამუშა მარინეს, შეამცივნა, შიშით გაიხედა მხცოვანისკენ, რომელიც სანდოდ იღიმოდა, თვალიც კი ჩაუკრა და დაამატა, მაგრამ კარგი ქე იყოო.

მოკლედ, ერთი სიმღერა ლენინზე და ერთი პარტიაზე. დახვეწეთ ნომრები და თბილისისთვის მოემზადეთო. ულტრა-ნაციონალური ღრმად ჩარჩა გონებაში და მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მათთან წლების მერე სტუმრად მოსულმა ქმრის მეგობარმა გაიმეორა ეს სიტყვები. როგორც მოარული ხმები ამბობენ, სერგო ორჯონიკიძეს უთქვამს გრიგოლ რობაქიძისათვის მისი პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლის „ლამარას“ ნახვის შემდეგ, ბოლოში კი დაუმატებია, კარგი ქე იყოო. მაშინ მიხვდა მარინე, რაშიც იყო საქმე.

* * *

ჟრუანტელის მომგვრელმა გალობამ, საქსოვი გვერდზე გადაადებინა, თავი მაღლა ასწია და ხის წვერზე შემოსკუპულ შაშვის თავგამოდებულ კრიმანჭულს მიუგდო ყური. კარგა ხანს უსმენდა, მერე კი გულში თქვა: არა ხარ შენ მიწიერი, საოცარო მგოსანო, ზეციურის მაცნე ხარ, ალბათ, მიწიერს მიჯაჭვულები ხანდახან მიღმიერისკენ რომ გაგვახედო. საფეხურებიანია წუთისოფელი, ნეტავ იმას ვინც სუფთა სინდისით ღირსეულად აივლის ამ საფეხურებს. რას იზამ, ხანდახან ჩამოჯდომაც გიწევს, უფრო მიმწუხრის ჟამს და მოგონებებით ცხოვრების დროც დგება. ნეტავ იმქვეყნად თუ გაჰყვება კაცს მიწიერი მოგონებები, წაიოცნება და მერცხლებივით მოჟღურტულე შვილიშვილებს სიყვარულით გადახედა.

– მარინე, მარინე! – კორპუსის აივანიდან შვილი ეძახდა, – დედა, დედა, სტუმრები გვეწვივნენ, ამოდით!

ნეტავ ვინ არის, გაუელვა თავში. საქსოვს ჩანთაში უკრა თავი, ბავშვებს ხელი ჩასჭიდა და სახლისაკენ გაეშურა.

კარი ღია დახვდა. შევიდნენ. ბავშვები თავიანთ ოთახში შეცვივდნენ, თვითონ კი მისაღებისაკენ გასწია.

– სადაა, გოგო, სტუმრები?

დოინჯშემორტყმული ქალიშვილი იღიმებოდა და ხმას არ იღებდა.

– ეჰ, ნახე რა შენც ხუმრობის დრო, – უკმაყოფილოდ გადაიქნია თავი.

– არ გეხუმრები, დედა.

– ჯერ არ დავბრმავებულვარ, შვილო, ან იქნებ უჩინმაჩინები არიან?

– კარგი, კარგი, იწვი ხომ ცნობისმოყვარეობით?! ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ საპატიო სტუმრები, – ქალიშვილი წელში ოდნავ მოიხარა, მცირე რევერანსი გააკეთა და გაოცებულ დედას ხელში ბარათი ჩაუდო. – ნახე, რამოდენა ბეჭედი აზის? ცუდად არ გახდე, ჩამოჯექი. სულ გერმანელებზე რომ მელაპარაკებოდი, ჩამოდიან შენი პატარა მეგობრები, თუმცა რაღა პატარები... ელზა და კურტი, შენც მოგინახულებენ და ქვეყანასაც.

გაოგნებული მარინე დივანზე ჩამოესვენა და ძლივს წარმოთქვა:

– შეუძლებელია, წარმოუდგენელია, – მერე ღიმილი გაუკრთა, – როგორ თქვი, ბიძია, წუთისოფელი სავსეა მოულოდნელობებითო?! ესეც შენი მოულოდნელობა. აუცილებლად ჩავუყვან ბიძაჩემს, ნამეტანი კარგი საჩუქარი კი გამოგვივა, – ფეხზე წამოიმართა, მხრები შეარხია, თითქოს წლები ჩამოიბერტყაო და გახალისებული შვილს გადაეხვია.

წითელი ჯაბა

წითელი კაბა

გოგონა იდაყვებით ფანჯრის რაფას დაყრდნობოდა და ეზოში იცქირებოდა. ცელქი სიო მალიმალ მიეალერსებოდა, აწეწილ თმას თვალებზე აფენდა და სამზერს უკეტავდა. ძირს მაცქერალი თავის აქნევით ცდილობდა ჩამოშლილი თმა გაესწორებინა. უყვარდა ეზოში ცქერა. აქ მისთვის ხომ ყველაფერი ნაცნობი იყო: ალუბალი, ლეღვი, ქლიავი, მოშორებით თხილი, კიდევ უფრო შორს თუთა. ნაწვიმარზე ალუბლის ხეებს შესცქეროდა, წვიმის წვეთები კუნწულებს მარგალიტივით რომ ჩამოეკიდებოდა, დაუოკებელი სურვილი მოეძალებოდა და თითოეულ წვეთს თითებით ეხებოდა. მამა აფრთხილებდა: არ დაგინახო ნაწვიმარ ხეზე ასული, საფრთხეს არ გადაეყაროო. ახლა თუთაზე გადა-იტანა მზერა, როგორ გაიზარდა, გამსხვილდა და გაიტოტა. ადრე ადვილად აბობღდებოდა ხოლმე. ახლა კი გააფრთხილეს, შენი ასაკის გოგოები ხეებზე აღარ დაბღოტიალებენო. რამდენი რამე არ შეიძლება თურმე დიდობისას. ხასიათიც ცვალებადი გაუხდა. თვითონაც არ იცოდა რა უნდოდა. ნიავი კი თავისას არ იშლიდა და მომაბეზრებლად დანავარდობდა თმებში. მოფრინდა მტრე-დების გუნდი, ფრთხილად დაეშვნენ თუთის ძირში, მოუსვენრად, თავის ქიცინით დაღუღუნებდნენ და დათაფლულ ნაყოფს საქმიანად კენკავდნენ. საინტერესოა, ნეტავ ხეზე რატომ არ მიირთმევენო, გაიფიქრა და აბეზარი ნიავისგან ჩამოშლილი თმა კიდევ ერთხელ შეისწორა. ეზო მზერით შემოირბინა, მერე ფანჯარას მოწყდა და ფეხის წვერებზე შემდგარი ცეკვა-ცეკ-ვით გაემართა როიალისკენ. თითები კლავიშებზე კალმახი-ვით დახტოდნენ და სრიალებდნენ. პატარა პაუზის შემდეგ

კი საიამოვნო ხმით წამოიწყო – „გულს რად მიკლავ“..., არ ჩაუმთავრებია, წამოვარდა ფეხზე და ბებიას ოთახში შევარდა. ბებია როგორც ყოველთვის ახლაც საკერავ მანქანასთან იჯდა, ამჯერად ქსოვდა. ეს მისი საყვარელი ადგილი იყო.

– ბებო, რავა სულ ქსოვ და კერავ, არ შეგიძლია დაისვენო, წამოწვე, წიგნი წაიკითხო, სულ ქსოვა და ქსოვა?

– რატომ შეწყვიტე სიმღერა, არც კი ჩაგიმთავრებია. ჩემი ახაგაზრდობა გამახსენა, – თითქოს შვილიშვილის ნათქვამი არც კი გაუგონია, ისე ჰკითხა ბებომ.

– რა ვიცი, ბებო, ამ ბოლო დროს გულს ვერაფერს ვუდებ. რატომღაც აფორიაქებული ვარ, ბოლომდე ვერც ერთი საქმე ვერ მიმყავს. ბედნიერი ქალი ხარ, ბებო, შეგიძლია წყნარად იჯდე, კერო ან ქსოვო.

– ასაკის ბრალია ყველაფერი, მალე გაგივლის. დრო კი ღვთის ნაჩუქარი დიდი განძია, არ შეიძლება უყაირათოდ გაფლანგვა. მოკლეა, შვილო, წუთისოფელი და ძილსა და კოტრიალში არ უნდა გაატაროს კაცმა. იქ რომ მივალ, ხომ შემეკითხებიან, ნაჩუქარი დრო ფუჭად რატომ გაფლანგეო.

გოგონა ბებოს მიუჩოჩდა, კალთაში ჩაუჯდა, ისე, როგორც პატარაობისას ჭაღარა თმები გადაუწია და შუბლზე ნაზად ეამბორა. მერე მაგრად ჩაეკონა და ცრემლი წასკდა.

– რა ხდება, პატარავ, რა გაგჭირვებია? აბა, დაწვრილებით მომიყევი! ოღონდ მარწუხებისგან გამანთავისუფლე, ვეღარ ვსუნთქავ.

გოგონა მუხლებიდან ჩამოსრიალდა და იატაკზე მოკალათდა.

– ბებო, რა არის სიყვარული? შენ როგორ შეგიყვარდა?

ქალი დაიბნა, ასეთ შეკითხვას არ ელოდა. დუმილი ჩამოწვა, გოგონა გაფაციცებით ელოდა პასუხს. ბებომ სათვალე შეისწორა, ისევ საქსოვს მისწვდა და თავი ჩაღუნა. ერთი თვალი რომ ამოიყვანა, გოგონას ამოხედა და ღიმილით წარმოთქვა:

– ყველაფერს თავისი დრო აქვს. ჯერ ბავშვი ხარ, ისედაც უამრავი საზრუნავი გაქვს: სწავლა-განათლება, მუსიკა, უცხო ენა, – ბებო კითხვას თავს არიდებდა.

– კარგი რა, ბებო, შემომხედე, ბავშვი ვარ ახლა მე?

ბებო თვალით მიეალერსა, თითქოს შვილიშვილს პირველად ხედავსო.

– ხო, აღნაგობით ბავშვს აღარ გავხარ, მაგრამ ასაკით ჯერ ისევ ბავშვი ხარ. ბავშვობა, შვილო, ოქროს ხანაა, სად გეჩქარება, ზრდასრულობას მოესწრები.

გოგონამ ყურს მიღმა გაატარა ნათქვამი.

– შენ როგორ ფიქრობ, რომეო და ჯულიეტა ჩემზე უფროსები იყვნენ? შენთვის მე სულ ბავშვი ვიქნები, – ტუჩები გაბუსხა და გაბუტულმა წარბები მაღლა აზიდა.

გულზე შემოაწვა ბებოს, ფეხზე წამოდგა. შვილიშვილმაც წამოიწია.

– მოდი, პატარავ, ყველაფერი დაწვრილებით მიამბე, – ბებომ შვილიშვილს ხელი გამოსდო და იქვე ტახტზე ჩამოსხდნენ, – აბა, პატარავ, თამამად.

– ბებო, არ ვიცი, რა ჰქვია ამას. ერთი ბიჭია, ჩემთან ერთად ცეკვავს, ჩემი მეწყვილეა, ძალიან შემაწუხა თავისი ყურადღებით, – შეყოვნდა, თავი გაიქნია, მერე თვალანთებულმა ემოციურად განაგრძო, – ჩემზე ორი წლით უფროსია. შეხედულიც არის, თავაზიანიც, კიდევაც მაფრთხობს მისი გადამეტებული ყურადღება და კიდევაც მსიამოვნებს. იქნებ მითხრა, რა არის სიყვარული, რას გრძნობენ ამ დროს?

– აბა რა გითხრა, უამრავი რამ დაწერილა სიყვარულზე, სავსეა მსოფლიო ლიტერატურა სიყვარულზე შექმნილი ნაწარმოებებით, მაგრამ ზუსტი პასუხი კაცობრიობას მაინც არ აქვს, არ არსებობს სიყვარულის ფორმულა და რეცეპტი. ჩემი გადასახედიდან სიყვარულს თვალი არ აქვს, სიყვარული გულიდან იცქირება. არც ასაკი იცის, ზოგს ადრე ეწვევა, ზოგს გვიან, ბევრს კი გვერდზე ჩაუვლის. შესაბრალისია ის ადამიანი, ვის გულსაც სიყვარული არ სწვევია. იმასაც ამბობენ, სიყვარული სულის ნიჭიაო, რომელიც სადღაც გულთან ახლოს ივანებს. აბა რა გითხრა, ჩემი ისტორია არაფერში გამოგადგება. თუმცა, გულიდან მოწყენილობა რომ გადაიგდო, მოგიყვები.

ძალიან მიყვარს მაისი, ჩემი უსაყვარლესი თვეა. ბუნებაც სხვანაირად კისკასობს ამ თვეში, ყველაფერი იღვიძებს და

გრძნობებსაც აფორიაქებს. მაისის თვეში დაიწყო ყველაფერი. იმ დღეს მზის პირველი სხივის შემოჭრისთანავე წამოვვარდი ლოგინიდან. უამრავი საქმე მქონდა გასაკეთებელი, აბაზანას მივაშურე, თავი მოვიწესრიგე და საქმიანობას შევუდექი. გული სიხარულით მქონდა სავსე. როგორც იქნა შევიპირე ხელოს-ნები და ამდენი დაპირების შემდეგ შეუდგნენ ახალმიღებული ბინის კეთილმოწყობას. გული საგულეში აღარ მეტეოდა, ხუმ-რობა საქმე ხომ არა არის, საკუთარი ბინა მექნება. მართალია ერთოთახიანი, მაგრამ ჩემი. მეზობელი მიკეთებდა რემონტს და სათანადოდ უნდა მოვმზადებულიყავი. პურმარილიან ოჯახად გვიცნობდნენ და თავს ხომ არ შევირცხვენდი, კარგი სადილი უნდა გამეკეთებინა. ღიღინით ვაგრძელებდი საქმიანობას და ფუსფუსს. ხაჭაპური კი გამორჩეულად ჩემეული რეცეპ-ტით გამოვაცხვე. პატარა გოგო აღარ ვიყავი და კულინარიაში კარგად ვერკვეოდი. ღვინოზე ვჭოჭმანობდი. ხელოსანი ღვინის მოყვარული იყო და ვიფიქრე, არ გამოთვრეს-მეთქი, მაგრამ ქართველი კაცისთვის სადილი ღვინის გარეშე რა სადილია. ყველა საქმე რომ მოვათავე, მერე ვიგრძენი დაღლა. ცოტა ხანს წამოვწექი. თან ვფიქრობდი, თუ რა ჩამეცვა. ხელი ჩავიქ-ნიე, რა მნიშვნელობა აქვს, შენც ახლა პაემანზე არ მიდიოდე. ბებიაჩემის ნათქვამმა გამომაფხიზლა, უყვარდა ხოლმე თქმა – სახლიდან გასული ქალი ყოველთვის კოხტად უნდა გამოიყუ-რებოდესო. როგორც იტყვიან, ათასი თვალია და ათასი ყურიო. კაბები გადავათვალიერე, რომელი? ბოლოს ჩემი მოქსოვილი წითელი ფერის კაბა ავირჩიე. მაკიაჟით თავი აღარ შემიწუხებია. გულახდილად რომ გითხრა, არც ვგიჟდებოდი მაიცდამაინც, მხოლოდ თვალებს შევიფერადებდი ხოლმე.

საკმაოდ მოზრდილ ჩანთას წამოვავლე ხელი. მემძიმა, ერთი კი გავიფიქრე, ამას რა ჩაათრევს იქამდე-მეთქი, მაგრამ რაღას ვიზამდი. მამა, წავედი, – შევუძახე მამას და საფეხურებზე მძი-მედ დავეშვი. მეზობელ ქალს მივესალმე, რომელიც ყვავილებს დაჰფოფინებდა. ძალზე მხიარული ქალი იყო, უზომოდ უყვარდა ყვავილები, მარტოხელა ქალი იყო და სიყვარულს ყვავილებში აქსოვდა.

– როდემდე უნდა იარო, გოგო, ეულად? – შემომძახა თავ-წაკრულმა მეზობელმა, – მოგკლავს მაგ ჩანთების თრევა. სხვა თუ არაფერი, ჩანთის წაღებაში მაინც გამოგადგებოდა.

– მერე გამირიგე ვინმე, ციალა ბიცოლა, – გავიხუმრე მეც.

– ჩემი გარიგებული რად გინდა, ვარსკვლავებს ეთამაშები, გოგო.

უზომოდ სათნო და კეთილმოსურნე ქალი იყო. ყველას ასე მიეყვავილებოდა ხოლმე.

– ბიჭი რომ მყოლოდა, უკვე ჩემი რძალი იქნებოდი.

დავიმორცხვე.

– მოდის, ციალა ბიცოლა, მოდის, ოღონდ ძალზე შორი გზიდან, – ვუპასუხე ღიმილით.

– ელოდე, ელოდე, – უკვე წასულს მომაწია სიტყვა.

ძლივს მივათრიე ჩანთა გაჩერებამდე. მალე ტროლეიბუ-სიც მოგრიხინდა. უკანა კარიდან ავედი. მომენტალურად, მოწყვეტით დაიძრა. წავბარბაცდი, ხელით ჰაერს წავეპოტინე და წონასწორობა დაკარგული ზურგით სახელურს შევენარ-ცხე. სავარძლიდან ახალგაზრდა ბიჭი წამოხტა, არც უკითხავს, ისე ჩამომრთვა ჩანთა, ბოდიში მომიხადა, დროულად ვერ დაგეხმარეო. არაფერი მითქვამს, უხერხულად ვგრძნობდი თავს. სახეზე წამომახურა, ალბათ, მთლად წითელი ვიყავი. კაცს მადლობა გადავუხადე და ჩანთის ჩამოსართმევად ხელი გავუწოდე. იუარა, ჩასვლამდე ჩემთან იყოსო. რა მე-თქმოდა. სახეშაფაკლულმა თვალი შევავლე. ახალგაზრდა, მოხდენილი, შავგვრემანი კაცი იყო. გაჩერებამდე ბევრი აღარ იყო დარჩენილი, როცა ბიჭმა თავისუფალი ხელით ჯიბიდან ფურცელი ამოიღო და გამომიწოდა. ამ მისამართზე მივდივარ, იქნებ დამაკვალიანოთო, საუბარზე ეტყობოდა, ადგილობრივი არ იყო. მისამართს დავხედე, გაოცება და ღიმილი ერთბაშად მომერია სახეზე. ფურცელზე ჩემი კორპუსის მისამართი იყო მითითებული. ვუპასუხე, რა თქმა უნდა, დაგეხმარებით, მეც მაგ კორპუსში მივდივარ–მეთქი. ვაჟმა გაიღიმა, გამმართლებია და ეგ არისო. უხერხულობიდან ჯერ კიდევ ვერ გამოვსულიყავი, თავს ხან ძირს ვხრიდი და ხან ფანჯრის მიღმა მრქოლავ კორპუსებს

გავაყოლებდი მზერას. ერთხელ მეტად არც შემიხედავს უცნობი ვაჟისთვის. ის კი თურმე შეფარვით მათვალიერებდა. ტროლეიბუსი ნელ-ნელა იცლებოდა, ბოლო გაჩერებაზე მარტო ჩვენ ჩამოვედით. ჩანთა არ დამანება და კორპუსისაკენ მიმავალ გზას დავადექით. უხმოდ მივდიოდით. ჩემს თავზე ვბრაზობდი, რანაირად წავფორხილდი, ალბათ, რა სასაცილოდ გამოვიყურებოდი, რას იფიქრებდა ეს კაცი, ეს რა მოუხერხებელი ვინმე ყოფილაო. გუნებაში გამეცინა. ახალი კორპუსი იყო და ლიფტი გამართულად ჯერ კიდევ არ მუშაობდა. ფეხით ავუყევით კიბეს. მეოთხე სართულზე შევჩერდი, მოვუბრუნდი და ვუთხარი, თქვენ მეხუთეზე უნდა ახვიდეთ. დახმარებისთვის დიდი მადლობა გადავუხადე. არაფერი უთქვამს, გამიღიმა და საფეხურები აიარა. გამიკვირდა, არც თავისი სახელი უთქვამს, არც ჩემი უკითხავს. პატარა ხანს დავყოვნდი. შემაფიქრიანა უცნაურმა და თავაზიანმა ახალგაზრდამ. მერე ჩემი ბინისკენ გადავდგი ნაბიჯი. ჩანთა ტყვიასავით გამხდარიყო, გავიფიქრე – რა მეშველებოდა, ეს ღვთისნიერი კაცი რომ არ გადამყროდა.

ხელოსნები მოუთმენლად მელოდნენ. ძველ მაგიდაზე მორჩენილი შპალერი გადააფარეს, სახელდახელო სუფრა გაშალეს და მადიანად შეექცნენ. მე ღია აივანზე გავედი და ეზოში დავიწყე ცქერა. ისევ ჩემს მარცხზე ვფიქრობდი.

ბებო წამოიწია, სათვალე მოიხსნა, ჩამოშლილი ჭაღარა უკან გადაივარცხნა, მხრებში გასწორდა, საზურგეს მიესვენა, სადღაც შორს, საგნებს მიღმა იცქირებოდა. კარგა ხანს იყო ასე გარინდული. შვილიშვილმა დააბრუნა საამქვეყნოს.

– მერე, ბებო. მერე რა მოხდა? გააგრძელე, მომკლა ცნობისმოყვარეობამ, ვეღარ ვითმენ.

– რა შვილო და ზოგიერთი შემთხვევა ადამიანის ცხოვრებაში გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს და მთლიანად ცვლის მის მომავალს. თავისით არაფერი ხდება, ამბობენ ყველაფერი ღვთის განგებას ემორჩილებაო. არ ვიცი, ალბათ ასეა.

ცოტა ხანში მეზობელმა დამიძახა, თუ არ დაგვეხმარე, ჩაგვეყრება წყალში დაგეგმილი დღე. სიგარეტი გაგვითავდა, ეგაა ჩვენი დოპინგი, მაგის გარეშე ვერ ვიმუშავებთო. ოღონდ თქვენ

არ მოცდეთ და სიგარეტს ახლავე მოგიტანთ, ვუპასუხე, ხელ-ჩანთა მხარზე გადავიკიდე და კიბეზე დავეშვი.

მივუყვებოდი გზას და მომავლის გეგმებს ვაწყობდი. ათას რამეზე ვფიქრობდი, მაგრამ რაზეც არ უნდა მეფიქრა, ჩემდა გასაოცრად, ის ახალგაზრდა ამომესვეტებოდა ხოლმე. მი-კვირდა, თითქოს და არაფერი უჩვეულო არ მომხდარა. მერე რა თუ ახალგაზრდა კაცი თავაზიანობას გამოიჩენს და დაგეხმარება. ვინ მოთვლის რამდენი ასეთი შეთხვევაა დღეში. კაცმა რომ თქვას, წესიერად არც კი შემიხედავს. ქუთაისში მაისი მაისობდა და ვარდის სურნელში გახვეულ ქალაქში ცხოვრება ჩვეულებრივად მიედინებოდა. დავდიოდი სამსახურში, ვსაქმი-ანობდი ოჯახში, რემონტიც ბოლოსკენ მიდიოდა. ყველაფერი თავის ადგილას დადგა, მაგრამ იმ ბიჭის ხატება გულიდან თუ გონებიდან ვერა და ვერ ამოვიღე.

ერთხელაც, სამსახურიდან გამოსულს, ის ახალგაზრდა ჭიშკართან ვარდების თაიგულით დამხვდა. ხრიგინა ტროლეი-ბუსი გამახსენდა, ღიმილი მომერია. ნეტავ საიდან გაიგო, ვარდები რომ მიყვარს, გამიელვა თავში. – ბებო დადუმდა. თვალი გაუშტერდა, როგორც ჩანს, ფიქრებით ისევ წარ-სულს ელაციცებოდა. შვილიშვილი მოთმინებით ელოდა. ბებო გამოერკვა და ისევ გააგრძელა თხრობა. – წეღან რომ გეუბნე-ბოდი, ხელოსნებმა სიგარეტისათვის გამაგზავნეს–მეთქი, თურმე ჩემს იქ არყოფნაში, ეს ვაჟბატონი მუშებთან ჩამოსულა, მისა-ლმებია, შეუქია ნახელავი. უთქვამს, მეც დამჭირდება თქვენი დახმარებაო, ზემო სართულზე ჩემმა დამ მიიღო ბინა, მომეწონა თქვენი ნახელავი და მინდა გაარემონტოთო. ამასთან შეფარვით გამოუკითხავს ჩემ შესახებ, შეეშლებოდა თუ რა, არც სახიერე-ბა აკლდა, არც ჭკუა და მოხერხებულობა იურისტ კაცს. მეზო-ბელს ყველაფერი ჩამოუკაკლავს. – ბებიას ღიმილი გადაეფინა სათნო სახეზე. – დიდი ხნის მერე, როცა უკვე ოჯახი გვქონდა, ვკითხე, იმ ათ წუთში როგორ მოვახერხე შენი მოხიბლვა–მეთქი? არ იკითხავ, რა მიპასუხა! შენმა უსუსურობამ და დაბნეულობამ, შენმა დამფრთხალმა თვალებმა, შენმა კდემამ და უბრალოებამ, შენმა წითელმა კაბამ მომხიბლაო. წარმოგიდგენია, კაბის-

თვისაც კი მიუქცევია ყურადღება. ახლაც შენახული მაქვს, ხანდ-ხან ჩაცმას მთხოვს ხოლმე, ძველი დრო გავიხსენეთო.

ხედავ, კუდრაჭა, ერთმა წაბორძიკებამ რა გააკეთა? რას გაუგებ კაცის გულს. ამიტომ გეუბნებოდი, სიყვარულის რეცეპტი არ არსებობს-მეთქი. შეიძლება ერთმა შეხედვამ გადაწყვიტოს ყველაფერი. იმ დღიდან მოყოლებული, ექვსი თვის განმავ-ლობაში, ყოველ შაბათს, ერთსა იმავე დროს ჩამოდიოდა თბილისიდან და ვარდების თაიგულით მხვდებოდა. ბევრი რომ არ გავაგრძელო, მისმა თავაზიანობამ, ზნეკეთილობამ და უაღრესად საინტერესო საუბრებმა, არა მარტო მე მომხიბლა და შემიყვარდა, არამედ ჩემს მშობლებლებსაც შეაყვარა თავი. ასეთია, ჩემო ლამაზო, ჩემი სიყვარულის ისტორია.

დაამთავრა ბებომ, ალერსიანად გადახედა ყმაწილ ქალს და თვალებზე ჩამოცურებული თმა გაუსწორა. ცრემლმორეული, სახეღიმილიანი შვილიშვილი კი ჩაეკრა და ჭკნობაშეპარული ლოყები დაუკოცნა.

ფრინველი მეფეზველი

უხილავი მფარველი

წრიალებ, წრიალებ გალიაში გამომწყვდეული მხეცივით. რას წრიალებ, რას შველის წრიალი? სანამ ფიქრები დაგახრჩობენ და სულს ამოგხდიან, რაც დაგავალა, ის გააკეთე. ღამით თავზე დაგადგა, ძილ-ბურანში ავსული გეგონა, მკრთალი ლანდივით დაბორიალებდა.

– არ შეგეშინდეს, – გითხრა მან.

მოდი და ნუ შეგეშინდება, როცა ჰაერი გელაპარაკება.

– შენს წასაყვანად ზეციდან მოვედი. ისე, სულ შენ გვერდით ვიყავი, შენ კი ვერ მამჩნევდი.

– სად მიგყავარ? – შიშისგან დაზაფრულმა ძლივს ამოვილუღლუღე.

– ნუთუ ვერ ხვდები, – ჩაიცინა.

– ასე ადრე?

– თქვენთვის ყოველთვის ადრეა.

– პატარახანს მადროვე, ასე მოუმზადებელი სად წამოვიდე?

– ნუ გეშინია, იქ საგზალი არ დაგჭირდება, შენი საგზალი წარსული ცხოვრებაა, – მცირე ხანს დადუმდა, – კარგი, შვიდ დღეს გაძლევ, შვიდ დღეში მთელი შენი ცხოვრება ჩამოწერე. მომიტანე, გადავხედავ და დანარჩენზე მერე ვისაუბროთ.

შემეშინდა, მაგრამ თბილი, სასიამოვნო ხმა ჰქონდა.

– წამმზომი ჩართულია. შვიდი დღე, გესმის? დროს ნუ კარგავ, დაჯექი და წერე.

ნეტავ, როგორ წაიკითხავს, მკრთალი ნისლივითაა. გამაგიჟებს ეს კაცი, ოცნებების და მცონარობის დრო აღარ გაქვს.

დაიწყე, იქნებ გადაგივადოს კიდეც. ჩათვალე, რომ წერა შენი სამკურნალო თერაპიაა, გადარჩენის შანსი. დანარჩენს დრო აჩვენებს. არ გინდა შვიდი დღე ლოდინი? ნეტავ წავეყვანე. რა ზარმაცი ხარ, წერა გეზარება? მოკლედ, შვიდ დღეში ადამიანის გადაკეთება შეიძლება? არავინ ცდილობს შენს გადაკეთებას, დაწერე იმაზე, რასაც წარმოადგენ, სულის მტანჯველი ფიქრებისგან მაინც განთავისუფლდები.

საიდან დავიწყო? რა თქმა უნდა, საწუთროში მოვლინებიდან. საოცარია, მაგრამ სიყრმის გაცრეცილი ლანდებიდან ბებია უფრო გახსენდება. ამქვეყნად მოსვლა არავის ახსოვს, საიდუმლოთი და ბურუსითაა მოცული. დედა გზრდიდა, ახალგაზრდა, გამოუცდელი დედა. ბებიას მითითებით იზრდებოდი, იმ მითითებებითა და მოძღვრებებით, რომელიც ბებიას წინა ბებიებმა ასწავლეს. გამოცდილება ხომ წაურთმეველი განძია. ხელოვნურად გაწყვიტეს აღზრდის ის ძაფი, რომელიც ახალგაზრდა დედას წინაპართა გამოცდილებასთან აკავშირებდა და შედეგიც სახეზეა: უფროსებისადმი უპატივცემულობა, ბილწსიტყვაობა, რაც განსაკუთრებით ქალებისგანაა საკვირველი და სხვა უამრავი თავის ტკივილი.

სად გადავარდი! დავანებოთ ამას თავი. რაზე ვლაპარაკობდით? ეჰ, მახსოვრობავ! ხო, ახლად გაღვიძებული ცნობიერების პირველ მარცვლებზე. დედის მკერდს დიდხანს ვიყავი მიჯაჭვული, ძლივს გადამაჩვიეს ძუძუს წოვას. ფოფრი იყო პირველი ნივთი, რამაც შენში შიში აღძრა, გაუცნობიერებელი შიში. არც გუდიანი, არც მგელი, უბრალოდ ინდაურის ფრთიდან შეკრული პატარა კონა, რომელსაც ფოფრს ეძახიან და მაგიდას ასუფთავებენ ნამცეცებისაგან.

დედულეთში ვიზრდებოდი, პირველ ხანებში ბებია მზრდიდა, მის გვერდით ვიწექი, ჭექა-ქუხილისგან დამფრთხალი ჩავეკვრებოდი ხოლმე მკერდში. მომეფერებოდა, თავის ბავშვობისდროინდელ ამბებს მიყვებოდა. დედ-მამა ქალაქში საქმიანობდნენ და საკმაოდ მხცოვან მამის ბებიასა და ბაბუაზე ზრუნავდნენ. კიდევ რა გახსოვს? ბევრი რამ გაქრა იმდროინდელი ამბებიდან, ბებიას ხსოვნა კი სიკვდილის კარამდე

გამყვება, რომელიც თურმე ასე ახლოს ყოფილა. შვიდი დღეო! მოგონებებიდან შვილიშვილების ხმამ გამომიყვანა.

– ბაბუ, უკვე დროა წავიდეთ. ყვავილებზე ფუტკრები და პეპლები დასხდებიან, ფოთლები ცვივა ქარში. არ გესმის, ბაბუ, გეყოფა წკაპუნი, წავიდეთ ეზოში.

უნდა გავყვე, ბავშვს კი არა, დიდს ვერ აუხსნი, რაც ჩემს თავს ხდება.

– ბაბუ, კიდევ ერთი ლექსი მოვიგონე. კატოს არ აინტერესებს, წამოდი და მოგიყვები. – შემოუტიტინა უწლოვანმა ელისაბედმა.

– ბაბუ, მეც დავაწკაპუნებ რა.

– მიდი და აწკაპუნე, კუდრაჭა.

თქვენში გაგრძელდება ჩემი სიცოცხლე. შეეშვი, სენტიმენტების დრო არ არის, ყოველი წუთი ძვირფასია, ანგარიში გაქვს ჩასაბარებელი, რომელზეც შენი მომავალია დამოკიდებული. ეჰ, ისევ ამქვეყნიურზე ვფიქრობ.

კაცი წამოდგა, ბავშვებს ხელი ჩასჭიდა, წინკარში გავიდა. ეზოში ჩასვლისთანავე ბავშვები საქანელას მისცვივდნენ. უცნაური ბავშვი იყო ელისაბედი, საოცარ, ასაკს შეუფერებელ რამეებს წარმოთქვამდა. აგერ, თუნდაც ყვავილებზე ფუტკრები და პეპლები დასხდებიან, ფოთლები ცვივა ქარში. შევეკითხე ერთხელ, ბაბუ საიდან იგონებ ასე მწყობრად დალაგებულ საოცარ სიტყვებს–მეთქი? არ ვიცი ბაბუ, ვიღაც მკარნახობს, ძალიან ლამაზი ქალიო. ბავშვის ფანტაზია შეუცნობელია. ეჰ, კიდევ, სხვაგან გადავვარდი.

ეგონა, მობორიალე ფიქრებს ეზოში მაინც დააღწევდა თავს. გარშემო ყველაფერი ფუტკრის სკასავით ზუზუნებდა, ყურებში განუწყვეტელი წივილი ესმოდა. ექიმთან ხომ არ მივიდე? და აწი რას გიშველის ექიმი? ეზოდან ამოსვლისთანავე კინწისკვრით მიაგდო საკუთარი თავი საწერ მაგიდასთან და ბავშვობისკენ გაინავარდა. დრო ძალიან ცოტა ჰქონდა.

ახლა დედულეთი მცირე ხნით დავტოვოთ და მამულეთში გავემგზავროთ, იქაური ამბებიც ხომ უნდა მოვჩხრიკო. აბა, დრო როგორ მოვკლათ, რა უცნაური ნათქვამია, დრო მოვკლათო,

არადა პირიქითაა. მამულეთში დიდ ბებიასთან და ბაბუასთან ვცხოვრობდით. ბებია ფიცარივით ხმელი ქალი იყო, ბაბუა უფრო შევსებული და წითური. წაბლის ხის პატარა სახლი ჰქონდათ და ყველანი იქ ცხოვრობდნენ. კარგად მახსოვს მზეზე მიფიცხებული, დიდ ქვაზე ჩამომჯდარი ბებო, ჯოხით დადიოდა. მიუხედავად მხცოვანებისა, ძალზე მარჯვე ქალი იყო, მდინარეზეც ჩადიოდა და იქიდან მდინარისგან ჩამოტანილ ტოტებს აგროვებდა. წყლისგან გაპრიალებულ ტოტებს სპილოსძვლისფერი დაჰკრავდა, სათამაშოდ ვიყენებდი. ბებო სულ თავშალში იყო გახვეული, რომლის ბოლოთი ხშირად იწმენდდა ცრემლს. რომ წამოვიზარდე, მერე გავიგე, თურმე სამი შვილი დაღუპვოდა ომში. ბაბუას, როგორც აღვნიშნე, ჟღალი ფერი დაჰკრავდა. ძალზე მშრომელი კაცი იყო, ომის დროს ობლებს ინახავდა. დაკორძილი თითები და ამობურცული სახსრები ჰქონდა, როგორც ჩანს სახსრების დაავადება აწუხებდა. ვერაფრით ისწავლა ჩემი სახელის სწორად წარმოთქმა, ხან რას მეძახდა, ხან რას.

დიდი ჭირიანი ბავშვი ვყოფილვარ, ხშირად ვავადმყოფობდი, სანამ ენას ამოვიდგამდი, სულ ვღნაოდი. რით არ მიწამლეს, მაგრამ ვერაფერი მომიხერხეს. გამწარებულმა დედა-ჩემმა აღარ იცოდა, რა ექნა. ერთხელ, მოფერებისას, თურმე ყურზე მოუხვდა ხელი და დამიქცევია ქვეყანა. მიხვდნენ, ყური მაწუხებდა.

სახლის უკან უზარმაზარი კირის ორმო იყო ამოთხრილი. სულ მაფრთხილებდნენ, არ მივკარებოდი, ჩაიფუფქებიო. მეც შიშით გავერიდებოდი ხოლმე. ისე კი მიკვირდა, უცეცხლოდ როგორ დავიწვებოდი. წვიმიანობისას ეზო იტბორებოდა. წყლის დასაწრეტად მამამ უზარმაზარი თხრილი გაჭრა, იმდენად ღრმა, გადაფოფხებაც კი მიჭირდა. ბევრ რამეს იმახსოვრებს ბავშვის გონება და გასაოცრად ღრმა სიბერემდე ინარჩუნებს. ჩემი სახელით შეწუხებულმა დიდმა ბაბუამ მამაჩემს გული გამოუღო, სასწრაფოდ ბავშვი მოვნათლოთ და სახელიც გამოვუცვალოთო. საოცარი კაცი იყო დიდი ბაბუა, ბავშვივით გულუბრყვილო, გულწრფელი, ტკბილად მოუბარი და სინდისიერი. ღრმად

მხცოვანს მხედველობა და ყურთასმენა დააკლდა, გადაწყვიტეს, ქუთაისში ექიმთან წაეყვანათ. ეს მაშინ არც თუ ისე ადვილი საქმე იყო. ორმოცდაათიან წლებში ტრანსპორტი იშვიათობა იყო. ხან ფეხით, ხან ურმით და ხან მანქანით ქუთაისამდე ჩააღწიეს და ხელდამშვენებულები ექიმს მიადგნენ სახლში. ექიმი შორეულ ნათესავად გვერგებოდა, გასინჯა ბაბუა და წამლებიც გამოუწერა.

– თქვენი დიაგნოზია... – დაიწყო ექიმმა.

– არა, ბატონო, – არ დაამთავრებია ბაბუამ, – ჩემი სახელი დიანოზია.

ექიმს ღიმილი გაკრთომია სახეზე. იმ ღამით მასთან დარჩნენ. მეორე დილით ოჯახმა საუზმე გაუწყო სტუმრებს და ფინჯანით ჩაიც მიართვეს. უყურა, უყურა ორთქლავარდნილ ფინჯანს ბაბუამ და ოჯახის უფროსისთვის მიუმართავს:

– თუ ღმერთი გწამს, ღვინო რომ მოგიტანე, ის დამალევინე, ჩემო ბატონო. რა გლეხის საქმეა ჩაი. ჩაის ჩემი დედაკაცი გაციებისას მასმევს ოფლის მოსადენად...

ხო, ჩემს სახელზე გართულება ჰქონდა ბაბუას, არაა ქართული სახელიო. მონათვლა არცთუ ისე ადვილი საქმე იყო მაშინ, თანაც საშიში. ეკლესია, ხატი და მღვდელი ხომ სასტიკად იკრძალებოდა. ერთ დღეს დედა მეძახის, შემოდი შვილო სახლში, მკურნალი ბაბუა მოვიდა, გამოგილოცავს და ავადაც არასოდეს გახდებიო. შევედი სახლში, მაგიდის თავში ვიღაც შავწვერა, შავებით შემოსილი უცნობი იჯდა, ფეხზე წამოიწია და ჩემკენ წამოვიდა. შიშისგან გული კინაღამ გამისკდა და ღრიალით კარს ვეცი. თხრილთან დამიჭირეს და მალულად მომნათლეს. მას მერე, დიდობამდე, ავადმყოფობას სერიოზულად არ შევუწუხებივარ.

ეზოში მომცრო ზომის თუთის ხე გვედგა. სპილოს ყურებივით ფართო ფოთლები ჰქონდა გამობმული, მწიფობისას ხშირად ვსტუმრობდი. ერთხელაც ავბობღდი და პირს ვიტკბარუნებდი. დახუნძლული ტოტის მოსაწევად მეტისმეტად გადავიზნიქე, თავი ვეღარ შევიმაგრე და ძირს მოვადინე ზღართანი, ავღრიალდი. მაშინ მოუნათლავი ვიყავი. ღრიალზე მეზობლებიც მოცვივდნენ, გამსინჯეს და გამომსინჯეს. ერთმა შავოსანმა ბრძენ-

ქალმა თქვა, ეს ხე მოჯადოებულიაო. მისმა სიტყვამ შეიწირა ის საოცრად ლამაზი ხე, მეორე დღესვე მოჭრა მამაჩემმა. დიდხანს გამყვა იმ ხის ტკივილი, მაწუხებდა, მებრალებოდა. დიდობაში მის ადგილას თუთის ხე დავრგე და ასე გამოვისყიდე ჩემი დანაშაული. არა, არა, მეტი აღარ შემიძლია, საკმაოდ დამქანცველი ყოფილა წერა. წამოვიწიე, ფეხზე წამოვდექი, დაბუჟებულმა სხეულმა შვებით ამოისუნთქა.

ქვიშის საათი კი ნელ-ნელა იცლებოდა, ისევ საწერ მაგიდას მივუჯექი, ისევ წარსულის ჩხრეკა დავიწყე. ასე მონაცვლეობით ხან დედულეთში და ხან მამულეთში მივუყვებოდი ბავშვობის უდარდელ გზას.

ერთ ჩვეულებრივ დღეს, დედულეთში, როცა ჩემ მიერ მოგონილი თამაშებით გული ვიჯერე და მოწყენილობისგან აღარ ვიცოდი რა გამეკეთებინა, ეზოში ჩემი ტოლა ბიჭი შემოვიდა, ზოლებიანი პიჟამა ეცვა, მუხლსქვემოთ, შარვლის ტოტები უცნაურად იყო გამობერილი და ზონარით შეკრული. გამიკვირდა, ასეთი გასივებული ფეხებით როგორ დადის–მეთქი. გამეცნო, მე არსენა მქვიაო, მეც ვუთხარი ჩემი სახელი. ბებიაჩემის ძმის შვილიშვილი ყოფილა. შორს, სოფლის ბოლოს ცხოვრობდა. ბებიაჩემს უთქვამს, შენი ტოლა შვილიშვილი მყავს, გაგაცნობო. მარტოობის გამო ხშირად ვიწყენდი და ბებიას ვებრალობოდი. იმ ბიჭსაც გახარებია და ამოვიდა ჩემს გასაცნობად. ჩამოვჯექით, თვალები სულ მისი ფეხებისკენ გამირბოდა. ვერ მოვითმინე და ვკითხე:

– ფეხები რატომ გაქვს ასე გასივებული?

– რაო, – ფეხებზე დაიხედა და ეშმაკურად გაიღიმა, – ხო, ძალზე მტკივა, ძლივს ამოვედი შენამდე, – მერე მოუსვენარი ცელქი თვალები შემომანათა. მიყურა, მიყურა, გადაიხარხარა და მოცელილივით გაგორდა მიწაზე.

კაი გვარიანი შიში ვჭამე. მალევე წამოიმართა, შარვლის ტოტებს ქვემოდან ხელი გამოკრა, საიდანაც უამრავი თხილი გადმოცვივდა.

– აბა შენთან ხელცარიელი ხომ არ მოვიდოდი, – თქვა ამაყად

ბევრი ვიცინეთ, მთელი დღე ვაკნატუნებდით თხილს. დავმეგობრდით, სულ ერთად ვიყავით. ხან მე ვრჩებოდი მათთან სახლში და ხან ის რჩებოდა ჩვენთან. მხიარულად გადიოდა ზაფხულის დღეები. მეტად საინტერესო ბაბუა ჰყავდა არსენას, გვეფერებოდა და გვანებივრებდა. კარგად უკრავდა ფანდურზე და კარგადაც მღეროდა, მეც მამღერებდა. ძალიან გვიყვარდა. ცხოვრების გაკვეთილებს გვიტარებდა, გვასწავლიდა ქცევის წესებს, თუ სად როგორ მოვქცეულიყავით. ერთხელ, თამაშის დროს, ჯიბიდან ორი კვასკვასა წითელი ვაშლი ამოიღო, ისეთი ლამაზი და სურნელოვანი, ნერწყვი მომადგა პირზე. გაუწოდა თავის შვილიშვილს და უთხრა: ერთი შენს მეგობარს მიეციო. არსენა დიდხანს დაჰყურებდა ვაშლებს. ერთი შედარებით უფრო წითელი იყო, ლამაზი და დიდი. ვერ გადაეწყვიტა, რომელი გაემეტებინა. ბაბუაც ყურადღებით გვიცქერდა. ბოლოს, რომელიც ყველაზე ლამაზი იყო, მე გამომიწოდა. გაუხარდა ბაბუას, გულში ჩაიკრა ბიჭი. ასე, ჩემო შვილოო, სტუმარს დიდი პატივისცემით უნდა მოეპყრა, სტუმარი ღვთისააო. რა კარგი ხანაა ბავშვობა და რა მალე მთავრდება. ბავშვური უბიწოება რომ დიდხანს მიყვებოდეს კაცთა მოდგმას, დედამიწა სამოთხეს დაემსგავსებოდა.

ზაფხული იწურებოდა, სექტემბრიდან პირველ კლასში უნდა შევსულიყავი. მთელი დღეები გართობა–თამაშში გაგვყავდა. ხან ბურთს დავდევდით, ხან მშვილდისრობანას ვთამაშობდით, ხან ხეებზე დავძვრებოდით, ხან ნალიაზე ავდიოდით და ხმამაღლა ვმღეროდით. ყველაფერი რომ მოგვწყინდა, წყაროზე ჩავედით, გაოფლილნი მივასკდით ყინულივით ცივ წყალს. ძალზე ცხელოდა, გადავწყვიტეთ წყაროში გვებანავა. საკმაოდ ღრმა იყო, მხრებამდე შემოგვწვდა. დიდხანს ვიჭყუმპალავეთ, ვიცელქეთ, ვიყვინთავეთ. არადა, ორი დღის წინ ბებომ გამაფრთხილა, დედაშენი ჩამოდის, ფრთხილად იყავი, დალილავებული ნუ დახვდებიო. დალილავებული არ დავხვდი, მაგრამ სიცხიანი კი. ჩვენმა ბანაობამ ყინულივით ცივ წყალში ორივენი გაგვაცია.

მეორე დღესვე სასწრაფოდ დავტოვეთ დედულეთი, ისე რომ, სიყრმის მეგობართან გამომშვიდობებაც კი ვერ მოვასწარი.

ზესტაფონის ავტოსადგურში ხის ძირში, ქვაზე ვიჯექი და სიცხიანი თვალებით ვიმზირებოდი. უაზროდ გავყურებდი მოფუსფუსე ხალხს. ჩემი ყურადღება ასევე ქვაზე ჩამომჯდარმა, შავოსანმა დედაბერმა მიიქცია. ავდექი და მასთან მივედი. ფეხებთან შუშის, მჟავე პამიდვრიანი ქილა ედგა. არანორმალურად მომინდა მჟავე პამიდორი. ბებოსთან მივედი, ქილას დავაცქერდი. შავი თავსაფრიდან ჭაღარა თმა ჩამოშლოდა და საოცრად კეთილი, სევდიანი, თაფლისფერი თვალებით იმზირებოდა. გულთმისანივით გამიღიმა, ქილიდან პამიდორი ამოიღო და გამომიწოდა. ვჭამდი და ვჭამდი მწვანე პამიდორს. შეწუხებელმა დედაჩემმა აღარ იცოდა, რა ექნა და ბოდიშებს იხდიდა, ბებო კი ღიმილს ვერ იკავებდა. როგორც იქნა, შევწყვიტე ჭამა, საოცარი შვება ვიგრძენი. ალბათ, სიცხიანია, თქვა ბებომ. დედა დაეთანხმა და მოუყვა თუ როგორ ვიბანავე ცივ წყაროში. ბავშვობაში ზომაზე მეტად მორცხვი ვიყავი, დღესაც მიკვირს, როგორ მივედი ბებოსთან, ჩავეხუტე და შუბლზე ვაკოცე. თვითონაც მომეხვია, დამლოცა, ჯვარი გადამწერა და ლოყაზე მაკოცა. სანამ ავტობუსში ავიდოდი, კიდევ ერთხელ შევავლე თვალი, თავსაფრის ბოლოთი იწმენდდა ლოყაზე ჩამოცურებულ ცრემლს. ეჰ, ვინ იცის, რა ტკივილებს ინახავდა ბებოს გული. არ ვიცი, პამიდვრის ბრალი იყო, თუ ბებოს დალოცვის, სახლამდე მისულიც არ ვიყავი, სიცხე რომ გამინელდა.

– მისმენ? თუ ჩემს აზრებს კითხულობ? ხმასავით მესმის შენი ნაფიქრალი.

– ყურადღებით გისმენ, შენს წასაყვანად ვარ მოსული, შენ კი შიშით აღარ ხარ. არ მოგწყინდა ცოდვებით დამძიმებულ საწუთროში ხეტიალი?

– არ მეგონა ზემოთაც თუ ხუმრობდნენ, მანახე ერთი, ვისაც სააქაო მოსწყენია. მხოლოდ უკიდურესად სნეულს თუ წამოსცდება სამდურავი. მეპატიჟები და არც ვიცი სად, გაურკვეველ, თვალით უხილავ, ბურუსით მოცულ შეუცნობელ მიღმიეთში. არ შეიძლება ცოტა რო გადავავადოთ? კიდევ დამიმატე დღეები.

– მევაჭრები? ურწმუნო ყოფილხარ, აბა რა გიპასუხო. გააგრძელე, გააგრძელე, ჩადი ბოლოში და მერე გადავწყვიტოთ.

– თუ გადამიდებ იქ წასვლას, კარგი იქნება, ძალზე ბევრი დაუმთავრებელი საქმე მაქვს.

– გააგრძელე, გააგრძელე...

– ერთი სათხოვარი მაქვს კიდევ.

– რა სათხოვარი?

– მირჩევნია მოგითხრო, ვიდრე ვწერო. ვიტანჯები, თვალი-თაც ვეღარ ვიხედები წესიერად, პატარა ხომ აღარ ვარ!

მცირე დუმილის შემდეგ უხილავმა თანხმობა განაცხადა:

– კარგი, მიამბე...

ღმერთო, რა სასიამოვნო ხმა აქვს, არადა, როგორ მეშინოდა, შიშიც სადღაც გაქრა...

ოჯახური მდგომარეობის გამო ოთხი სკოლა გამოვიცვალე. არ დამავიწყდება სოფლის დაწყებით ოთხწლიან სკოლაში სწავლა. წვიმიანი დღეები სახალისო იყო, წყალი ჩამოდიოდა კლასში და მერხებს აქეთ-იქით დავარბენინებდით. კბილის ექიმის მოსვლისას ხომ თავდაყირა დგებოდა ყველაფერი. ექიმი ცხენით მოდიოდა, რუბენა ერქვა. ვინმე მოჰკრავდა თუ არა თვალს, დაჰკივლებდა, რუბენა მოდისო, მაშინვე ფანჯრიდან თავპირისმტვრევით ვხტებოდით და თავს ვენახებს და ყანებს ვაფარებდით.

მძიმე დრო იყო, ჭირდა ცხოვრება, ჩანთების ნაცვლად ბავშვებს წიგნებით სავსე აბგები ჰქონდათ გადაკიდებული. ბევრი ფეხშიშველა დადიოდა სკოლაში. ჩვენი ყველაზე სუსტი წერტილი რუსულის გაკვეთილი იყო. არ გვესმოდა და ვიზეპირებდით. ერთხელ, მასწავლებელმა ჩემ გვერდით მჯდომს გაკვეთილი მო-აყოლა. გაჭირვებით ჩაამთავრა, ბოლოს ეკითხება: აბა მითხა-რი Морковь[2] ქართულად როგორ ითარგმნებაო, მხრები აიწურა და მე შემომხედა. მე მგონი მაკარონია, მივამსგავსე ერთმანეთს სიტყვები. გაცეცხლებული მოვარდა მასწავლებელი და ისეთი სილა გააწნა, ნაპერწკალი გააყრევინა თვალებიდან, ჩემ გამო დაისაჯა ის საცოდავი ბავშვი. ძალიან განვიცდიდი მომხდარს, მრცხვენოდა, ვინ მექაჩებოდა ენაზე. ჩემი ჭკუით დავეხმარე.

[2] სტაფილო.

ჩვეულებრივად ვიზრდებოდი, როგორც სოფლის ყველა ბავშვი. შეძლებისდაგვარად ვეხმარებოდი მშობლებსაც, სიმინდის გამარგვლაც ვისწავლე და ვენახის მოვლაც, საძოვარზეც დამყავდა პირუტყვი, მაგრამ ფეხბურთის თამაშს არაფერი მერჩივნა. ფეხბურთის გადამეტებული სიყვარულის გამო სწავლას მოვუკელი. დედამ სასწრაფო ზომები მიიღო და ქალაქში გადამიყვანა მამასთან. მამა ქალაქში მუშაობდა, იქ სახლი გვქონდა. ცვლიანი სამუშაო ჰქონდა და თავისუფალ დროს ჩამოდიოდა სოფელში. მამის დიდი ხათრი მქონდა, იყო რაღაც ბარიერი და თანასწორივით ვერც ვერასოდეს დაველაპარაკებოდი. ცვლილებებმა კარგი შედეგი გამოიღო. ვბრუნდებოდი და ტოლებში გავინავარდებდი ხოლმე. ჩვენგან მოშორებით, დაახლოებით ათი კილომეტრის სავალზე, წაბლის დიდი ტყე იყო. ჩემი ტოლა ბიჭები წაბლობისას ყოველთვის დადიოდნენ. მშობლები რატომღაც არ მიშვებდნენ. დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ და თანატოლების ჩარევით მშობლებმა ნება დამრთეს, მეც მომეარა წაბლოვანი. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. შევთანხმდით, მესამე მამლის ყივილისას გავდგომოდით გზას. ასაკით ჩემზე დიდი ბიჭებიც იყვნენ, რომლებსაც არაეთხელ მოუვლიათ ტყე, გზაც კარგად იცოდნენ.

ღამით ჟინჟღილებანთებულებმა გამომიარეს. ზურგზე საგზლიანი ჩანთა მოვიგდე და ბიჭებს ავედევნე. მივდიოდი და შიშნარევი თვალებით ვათვალიერებდი გარემოს, ღამის იდუმალება მაფრთხობდა. სიჩუმეს ჩვენი ფეხის ხმა და მდინარის ჩხრიალ-დუდუნი არღვევდა, ტალღების ნაპირზე შეხეთქება და ჩქერალების ჩქაფანი, რომელიც დღისით, ცხოვრების აყალმაყალში, არც კი იგრძნობოდა. მწკრივის ბოლოში ვიყავი, ბიჭებმა სიმღერა წამოიწყეს, ავყევი. მივდიოდით და ღამის ბინადრებს ვაფრთხობდით. საკმაო გზა გავიარეთ, არცთუ ისე ბევრი იყო დარჩენილი წაბლნარამდე. მოკლეზე რომ გავსულიყავით, სასაფლაო უნდა გადაგვეჭრა, შიშმა ამიტანა და არამარტო მე, როგორც მერე გაირკვა. მხიარულებაც და სიმღერებიც მიჩუმათდა, ხმას არავინ იღებდა, გასუსული მივდიოდით. ღამით მკვდართა საუფლოსთან მიახლოება, არცთუ ისე ადვილი იყო

მოზარდებისთვის. უეცრად ჩემ წინ მიმავალი უკან გადმოქანდა და დამეჯახა, ძირს მოვადინე ზღართანი. წაქცეულმა შევასწარი თვალი, თუ როგორ გარბოდა საფლავებს შორის თვალებანთებული ურჩხულის მსგავსი ოთხფეხა არსება. გონის დაკარგვას აღარაფერი მაკლდა, საამქვეყნოზე ბიჭების ხარხარმა მომიყვანა. თურმე გზაბნეული, ჩაძინებული ხბო გავაღვიძეთ, დაფეთებული წამოვარდა და ჩვენც შიშით დაზაფრულები პანტაპუნტით მოვეფინეთ მიწას.

რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ ტყეში ამოვყავით თავი, კიდეც დაგვათენდა. საკმაოდ შრომატევადი ყოფილა წაბლის მოგროვება. სამხრობამდე ვეძებდით. გამოუცდელობის გამო ბევრი ვერაფერი მოვაგროვე. წავიხემსეთ და უკან დასაბრუნებლად მოვემზადეთ. ორად გავიყავით, ერთი საათის სიარულის შემდეგ ჩვენი ჯგუფის წინამძღოლი მიხვდა, რომ გზა აერია, დიდხანს ვიხეტიალეთ. ბინდდებოდა, შიშმა ამიტანა. გავიფიქრე, თუ დროზე არ გავაღწიეთ აქედან, მგლების ლუკმა გავხდები–მეთქი. როგორც იქნა ტყე შეთხელდა, შორს ტბას მოვკარი თვალი. შემოვბრუნდით და ლასლასით სოფლისაკენ მიმავალ გზას გავუყევით. მოგვშივდა, საჭმელი აღარ გვქონდა და ჩვენს მოგროვილ წაბლს შევექეცით. ღამე იყო, სახლს რომ მივადექი. რახან ცოცხალი მივედი, მშობლებს, მეორე დღემდე, საყვედური არ დასცდენიათ. მშიერ კუჭზე ნედლი წაბლის ჭამამ ყველას მუცლის გვრემა დაგვმართა, ტიკებივით ვიყავით დაბერილები. კარგა ხანს მოვუნდი გამოკეთებას. ის დღე იყო და ის დღე, ტყეში წასვლის სურვილი საბოლოდ ამოვირეცხე გულიდან. წაბლს ახლაც ალმაცერად ვუყურებ.

– ყველაფერი მოვყვე რაც თავს გადამხდენია?

– დიახ, ყველაფერი. რაო, გეზარება? წერა გეზარება, თხრობა გეზარება, იძულებული ვარ, შეგიმოკლო დღეები...

– არა, არა, – აფორიაქდა ბერიკაცი, – კი არ მეზარება, უბრალოდ გახსენებისთვის დრო მჭირდება.

– არავითარი დრო, გააგრძელე.

რომ მოვყვე, არავინ დამიჯერებს. ეჰ, ხელი ჩაიქნია, აწი ვიღას რას მოვუყვები...

იმ წელს ოთხწლედს ვამთავრებდი. ერთ დღეს, გაკვეთილების შემდეგ, სკოლის დირექტორმა, რომელიც, ამავე დროს, ქართულსაც გვასწავლიდა, ბიჭები შეგვკრიბა და გვითხრა: გაღმა ფერდობზე ერთი პატარა ყანის ნაჭერი მაქვს გასათოხნი და თქვენი დახმარება დამჭირდებაო. ჩვენც, რა თქმა უნდა, დავთახმდით, მიუხედავად იმისა, რომ ყანის თოხნა–გამარგვლის დიდი გამოცდილება არ მქონდა. ის კი არა და გამიხარდა, თურმე მეც შემძლებია დირექტორისთვის რაღაც დახმარების გაწევა... მეორე დღეს ჩვენი თოხებით გამოვცხადდით მასწავლებელთან. პატარა ნაჭერი კი არა, მთელი ფერდობი იყო გასათოხნი. გული შემიწუხდა, ამას რა მოამთავრებს–მეთქი. დღის ბოლომდე გავედით ბოლოში. ჩემი თავის მიკვირდა, ნუთუ ეს მე შევძელი? ამდენხანს თოხი არასოდეს მჭერია. კი დავიქანცე, მაგრამ კლასელებთან ხომ არ შევირცხვენდი თავს. ისე, რაც მართალია მართალია, ძალიან გამიჭირდა. მკლავებს ძლივს ვამოძრავებდი.

როგორც წესი, ნადს სუფრა მოჰყვება ხოლმე. შესანიშნავი პურმარილი გაგვიშალეს. მოშიებულები ვიყავით, გვარიანად შევექეცით. ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მასპინძელმა მაგიდაზე ხელადებით ღვინო ჩამოდგა. ჯერ გამიკვირდა, მერე კი რაღაცნაირი სიამაყე ვიგრძენი, ლამის ტოლსწორად გვთვლიდა მასწავლებელი. არადა, მხოლოდ მეოთხეკლასელები ვიყავით. შეგვივსეს სათითურივით პატარა ჭიქები. დაგვლოცა მასპინძელმა, გავიხედე კლასელებისკენ, ყველამ წაატანა ჭიქას ხელი, შევსვით. დიდად არ მომწონებია მომჟავო ღვინო, ლიმონათი მერჩივნა. ეს იყო ჩემი პირველი შეხვედრა და გაცნობა ღვინოსთან, პირველ ჭიქას მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე... სიმჟავეც გაქარწყლდა. გავმხიარულდი, დაქანცულობაც სადღაც გაქრა. ისე მსუბუქად ვგრძნობდი თავს, თითქოს ფრთები შემსხმოდა.

სახლამდე სულ სიმღერით მივედით. ჭიშკარს რომ მივუახლოვდი, ჩემდა გასაკვირად, მიწამ ტორტმანი დაიწყო, მერე ცა ამოტრიალდა, ფეხქვეშ გამეფინა და ფრთებშესხმულივით უკიდეგანო ცის ოკეანეში გადავეშვი. ორი დღე მოვუნდი მიწაზე

დაბრუნებას. სულ მიკვირდა, ღვინო როგორ დაგვალევინა მასწავლებელმა. ასეთი იყო ჩემი პირველი შეხვედრა ღვინოს-თან, ამ საოცარ, ღვთივკურთხეულ მაკურნებელ სითხესთან.

დრო გადიოდა, უზრუნველი ბავშვობის წლებიც დრომ გა-იყოლა. სკოლას ვამთავრებდი, სიჭაბუკის ხანა დამდგარიყო. ოჯახში მოვითათბირეთ, სწავლა უმაღლეს სასწავლებელში გამეგრძელებინა. იურიდიული ფაკულტეტი ავირჩიე. მე და დედა გავემგზავრეთ ქალაქში, შორეული ნათესავი მოვძებნეთ და დროებით მასთან დავმკვიდრდით. დედაქალაქში მხოლოდ ერთხელ ვიყავი ნამყოფი, ისიც გავლით. მამაჩემს ქარხნიდან მანგლისში, ბავშვთა სანატორიუმში, დასასვენებელი საგზური მისცეს. სანატორიუმის გარდა პიონერთა ბანაკებიც იყო, უამრავი ჩემი ტოლა მეგობარი გავიჩინე. შესანიშნავი ადგილი იყო, სუფთა და მოვლილი, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, დიდხანს ვერ დავრჩით. დედაქალაქში ქოლერა გაჩნდა და მამაჩემმა სასწრაფოდ დამატოვებინა სანატორიუმი კარანტინის გამო. რის ვაი-ვაგლახით გავაღწიეთ დედაქალაქიდან. კაცი ჩაფიქრდა, მობორიალე აზრებს ალაგებდა, დიდხანს მოუწია დაყოვნებამ.

– რა ხდება, ხომ არ ჩაგეძინა, – შეეხმიანა მკრთალი ლანდი.

– რა ჩამაძინებს, თავის ტკივილი მკლავს, ეს დღეები სულ თავი მტკივა. თუ გასასვლელი ვარ აქედან, ხომ არ სჯობია, ბარემ გამიყვანო. ტკივილებისგან მაინც გავთავისუფლდები. ასაკი, სიბერე და უძლურება მოსაბეზრებელია. სხეულის თითქ-მის ყველა ორგანო შეფერთხილია. მარტო მე კი არ ვწუხვარ, სხვებსაც ვაწუხებ.

– გააგრძელე, გააგრძელე, შენთვის არც მოსვლა უკითხავთ და არ წასვლას შეგეკითხებიან.

ძალიან მომეწონა დედაქალაქი, ხალხით სავსე ქუჩები, შენობები, ჩემთვის ყველაფერი უცხო იყო და დიდი ინტერესით ვათვალიერებდი. განსაკუთრებით რუსთაველის პროსპექტი, მისი ღირსშესანიშნაობებით, ლაღიძის წყლები და უგემრიელესი ხაჭაპურები მომეწონა.

სამწუხაროდ, იმ წელს მისაღები გამოცდები ვერ ჩავაბარე, არ მეყო ცოდნა. ოჯახურ თათბირზე გადაწყდა, სათანადოდ

მოვმზადებულიყავი და მომდევნო წელს მეცადა, ოღონდ საღამოს დასწრებულზე, საამისოდ კი დედაქალაქში უნდა ჩავწერილიყავი. მოკლედ, დედაქალაქის მკვიდრი უნდა გავმხდარიყავი. ჩაწერა დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. მოკლედ, თბილისელი გავხდი. დავსაქმდი, თან მოსამზადებლად მასწავლებლებთან დავდიოდი. თავს არ ვიზოგავდი, მაგრამ რად გინდა, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის დრო მოდიოდა. შეიძლებოდა თავის არიდება გარკვეული თანხის სანაცვლოდ, მაგრამ ასეთი თანხა მუშათა კლასის წარმომადგენლებს საიდან გვექნებოდა.

დილით ექვს საათზე ვდგებოდი, წავიხემსებდი და სამსახურში გავრბოდი. ხარატის მოსწავლედ ამიყვანეს. ეროვნებით რუსი, მხიარული კაცი იყო ოსტატი. ერთხელ სოფლიდან ორნახადი ჭაჭის არაყი ჩამოვუტანე. ჭკუიდან შეიშალა. ჩარხთან ახლოს მაგიდა გამითავისუფლა და მითხრა, დაჯექი და იმეცადინეო, იურისტ კაცს ჩარხი რა ჯანდაბად გინდაო. ერთი ჩართვა-გამორთვას გასწავლი, ეგეც გეყოფაო. ძნელი წარმოსადგენი არ არის, ათეულობით ჩარხი ერთბაშად რომ ჩაირთვებოდა, გონების როგორი დაძაბვა იქნებოდა საჭირო, რომ რამე გესწავლა. მაინც ვახერხებდი, საღამოს მასწავლებლებთან დავდიოდი. ერთხანს ასე გაგრძელდა, მერე კომისარიატში გამომიძახეს, რადიოლოკაციის კურსების შესასწავლად. ჯარისთვის მამზადებდნენ. ამდენს კი უკვე ვეღარ გავუძელი. ქარხანა, მასწავლებლები და კიდევ რადიოლოკაციის კურსები. მამაჩემს ვუთხარი, არაფერი გამოვა ამ საქმიდან–მეთქი. უმჯობესია სამხედრო სამსახური მოვილიო და მერე გავაგრძელო სწავლა. თანაც ორწლიანი სამხედრო სტაჟი მექნება, იურიდიულისთვის ზედგამოჭრილი. ასეც მოვიქეცით. მასწავლებლები შეწუხდნენ. ქართულის პედაგოგმა მითხრა, რომ ჩამოხვალ, პირველი ნაწილის მომზადების ფულს არ გამოგართმევო.

რაიონიდან მშობლებმა გამომაცილეს. რკინიგზის სადგურზე ვიდექით, დედაჩემი მალულად იწმენდდა ცრემლებს, მამაჩემი უბრად იყო. ვფიქრობდი, ნუთუ სათქმელი არაფერი აქვს–მეთქი. ორი წუთიღა იყო დარჩენილი მატარებლის გასვლამდე, დედამ

გულში ჩამიკრა და ცრემლიანი ლოყებით სახე დამინამა. ყელში ბურთი გამეჩხირა, ძლივს შევიკავე თავი, ცრემლები რომ არ წამომსვლოდა. მამაც მოვიდა, გადამეხვია და გადამკოცნა. ეს იყო მამის პირველი კოცნა თვრამეტი წლის განმავლობაში. მკაცრი და სამართლიანი კაცი იყო, ფამილარობის მოძულე. გამიხარდა, თურმე ვყვარებივარ. ბეჭებზე ხელი დამარტყა და ვაგონისკენ მიბიძგა. აბა შენ იცი, ჭკუას მოუხმე, ფრთხილად იყავი, ორი წელი მალე გავაო.

თბილისიდან არავის გავუცილებივარ. სამგორში გაგვანაწილეს და ვაგონებში ჩაგვსხეს. ჩემი ტოლა ბიჭები იყვნენ, ზოგი ჩემზე უფროსი. გავიცანით ერთმანეთი, ვაგონის მესამე იარუსზე მოვთავსდი. იყო გაუთავებელი ყაყანი და მისვლა-მოსვლა. ფიზიკურად და ემოციურად დაღლილს მალე ჩამეძინა. გამთენიისას გამეღვიძა, მატარებლის ბორბლების მონოტონური დაგადუგი ისმოდა. ფანჯრიდან მარილისფერი ტრიალი მინდვრები ჩანდა, უსახური და უკაცრიელი.

ცოტა ხანში ბაქოს მიაკივლა მატარებელმა. ჩამოგვსხეს, გაგვამწკრივეს და პორტისკენ გავუყევით გზას. არ მესიამოვნა, მე უფრო რუსეთის გაცნობა მეწადა. სიცხის აუტანლობის გამო შუა აზია მზაფრავდა. პორტში პატარა ზომის გემზე გადაგვსხეს, ასი კაცი ვიყავით საქართველოდან. პირველად ვნახე ზღვა, გემით მოგზაურობაც პირველი იყო. ყველაფერს ეჩვევა ადამიანი, თვალი ზღვასაც შეეჩვია და გემსაც, პირველი შიშიც გაქრა. ზღვაზე მეტად მასში ამოსვეტილმა კოშკებმა – ნავთობის ჭაბურღილებმა გამაოცეს. მიკვირდა, როგორ ჩერდება წყალზე, როგორ დაამაგრეს-მეთქი.

ყველაზე დიდი გაოცება ზღვის მეორე ნაპირმა გამოიწვია. გემზე კიბე ჩამოუშვეს და ნაპირზე გადავედით. ბევრი ჩვენგანი ზღვაშიც შეტყაპუნდა, სახეზეც შეისხეს წყალი, გაგრილდნენ. დამთრგუნავი იყო სანაპირო – თაკარა მზე, გადახრუკული გარემო, არცერთი ხე, მხოლოდ კავშირგაბმულობის ბოძები. არც ბალახი. სილა, სილა და სილის გორები. შემეშინდა, ღმერთო, აქ არ დამტოვო-მეთქი. ისევ დაგვამწკრივეს, გავუყევით გზას.

რკინიგზის სადგურს მივუახლოვდით. პატარა სადგური

იყო, რამდენიმე შემადგენლობა იდგა. ვაგონები თბომავალს იყო ჩაბმული და ხანდახან ჭვარტლიანი ბოლი ამოიფრქვეოდა. ირგვლივ მიმოვიხედე, ჭრელაჭრულა კაბებით შემოსილმა პატარა გოგონებმა მიიქციეს ჩვენი ყურადღება. უცნაურად იყვნენ გაკრეჭილნი, შუბლიდან კეფამდე და ყურიდან ყურამდე საკრეჭი მანქანა იყო გადატარებული – ჯვრის ფორმის. როგორც შემდეგ ამიხსნეს, ამგვარად გაკრეჭილნი წამოზრდილ თმას ადვილად იწნავდნენ.

შეგვყარეს ვაგონებში და გავუდექით გზას, რომელიც არც ვიცოდით, სად მიგვიყვანდა. ცოტა ხანში ვაგონში ვაშლი ჩამოატარეს, რომელსაც ძალზე იაფად ყიდდნენ. ის იყო უნდა შეგვეძინა, რომ მეთაურმა კინწისკვრით გაყარა მოვაჭრენი და გვიყვირა: არ მიეკაროთ, დიზენტერიას აიკიდებთო. პირველად გავიგონე მაშინ სიტყვა დიზენტერია, რომელმაც სულ მალე შემახსენა თავი.

მეშვიდე დღეს მივადექით დანიშნულების ადგილს. გადმოგვსხეს ვაგონებიდან. ღამე იცრიცებოდა. დაგვამწკრივეს ასი კაცი და არეული ნაბიჯებით გავუყევით გზას. დაგვათენდა. პატარა დასახლებაში შევედით, ერთსართულიანი თეთრად შეფეთქილი სახლები ჩამწკრივებულიყო გზის ორივე მხარეს. თვალში მომხვდა ურიცხვი წყლის საქაჩები და მწირი მცენარეულობა. უწყლო ქვეყანაში მოვხვდით. მივხვდი, რომ მავნე კლიმატის გამო ძალზე რთული იქნებოდა აქ სამსახური. როგორც შემდგომ გავარკვიე, კონტინენტური ჰავა იყო – ზაფხული ცხელი, ზამთარი გრძელი და ყინვიანი.

ერთ შენობასთან გაგვაჩერეს, რომელზეც დიდი ასოებით, რუსულად, ეწერა აბანო. დაგვშალეს, დაგვაცალკევეს, თმა გადაგვპარსეს და შეგვრეკეს აბანოში. უცნაური აბანო იყო, უშხაპო. ტაშტებით იყო იქაურობა მოფენილი, ავავსებდით წყლით და გადავივლებდით ტანზე. მერე სამხედრო ფორმა ჩაგვაცვეს. სასაცილოდ გამოვიყურებოდით, ყველანი თავგადაპარსულნი, ხაკისფერი ტანსაცმლით შემოსილნი, ერთმანეთს ვეღარ ვცნობდით. იყო რია-რია, გადაძახილ-გადმოძახილი.

ნეტავ რატომ მაყოლებს? დავიღალე ამდენი ქაქანით, ნუთუ

არ მოსწყინდა ან არ დაიღალა? გაიფიქრა ბერიკაცმა. და ისევ ხმა:

– გააგრძელე, გააგრძელე, ბევრი აღარ დაგრჩა, მალე გადაწყდება ყველაფერი.

სხვა რა გზა იყო, ისევ გავაგრძელე თხრობა.

მიგვიყვანეს სამხედრო ნაწილში, დაგვირიგეს ნემსი, ძაფი და სამხრეები სამხედრო ფორმაზე მისაკერებლად. მე არაფერი გამომივიდა, ვერაფრით ვერ მივაკერე სამხრე. ხან მხრის წინ გადმოდიოდა და ხან მხრის უკან. შევეცოდე საწოლის მეზობელს და თვითონ დამიკერა. საწოლები კი უცნაური იყო, ორსართულიანები. ორი ზეწარი – ერთი საწოლზე გასაშლელი, მეორე ზემოდან გადასაფარებელი და „ადეალა“. იმ დღეს ბევრი არაფერი გაგვიკეთებია. ვსწავლობდით ფეხზე სახვევების შემოფენას. ზოგმა ადვილად აითვისა, ბევრს გაუჭირდა. არადა, თუ წესიერად არ შემოიხვევდი, ჩექმა ფეხზე ტყავს გაგაძრობდა.

იმ დღეს ჩვენს ნებაზე ვიყავით, არავის შევუწუხებივართ. მერე სადილზე წაგვასხეს, თითო მაგიდას ათი კაცი უსხდა. სანამ მთელი შემადგენლობა არ შემოვიდა, ფეხზე ვიდექით. დამერწმუნეთ, არ არის ადვილი მშიერი კაცისთვის გაწყობილი სუფრის ყურება. როგორც იქნა გაისმა დასხდომის ბრძანება, მაგრამ რად გინდა, წყალწყალა ბორშჩი, რაღაც ფაფა და კომპოტი. საშინელი საჭმელი იყო, ვერაფერს პირი ვერ წავაკარე. ვიფიქრე, კომპოტს მაინც დავლევ და პურს მივაყოლებმეთქი. გული კინაღამ ამერია, რკინის ფინჯანში მოცურავე მატლები რომ დავინახე. მხოლოდ ორი ნაჭერი პური შევჭამე. ისედაც აბზილაკი მჭამელი ვიყავი, როგორც დედა ამბოდა ხოლმე და ასეთმა საჭმელმა მთლად მომიღო ბოლო. სხვა გზა არ იყო, უნდა შევჩვეოდი. შეგუება მიჭირდა, ძალზე გავხდი...

ჯარში ყველაფერი ბრძანებებით სრულდება, ათ წუთში გამოგვრეკეს გარეთ. მივაშურეთ ჩვენს ყაზარმას და არაქათგამოცლილებს მალევე ჩაგვეძინა. დილის ექვს საათზე ხრინწიანი მამლის ხმის მსგავსმა შეკივლებამ გამოგვაღვიძა:

ასეულო, ადექი! – გაჰკიოდა ჩემზე მეტად ჩამომხმარი, დაბალჩინიანი ოფიცერი.

წამოვიზლაზნეთ, ძლივს მოვახერხეთ ჩაცმა, განსაკუთრებით

ფეხის სახვევებმა და ჩექმებმა გაგვაწვალეს. ერთმანეთს ვეჯახებოდით, ვბორძიკობდით და ძირს მწიფე მსხლებივით ვეხეთქებოდით. რის ვაი-ვაგლახით ჩავდექით მწყობრში. ხრინწიანმა ხმის პატრონმა, თეძოებზე ხელები შემოიჭდო, ბოლთის ცემას მოჰყვა, თან გვესაუბრებოდა.

– ახალგაზრდებო, ჯარში ხართ და ყველაფერი ისე უნდა შეასრულოთ, როგორც ჯარს შეეფერება. სამხედრო სამსახურში ხართ და სამხედრო წესებს უნდა დაემორჩილოთ. ჩაცმის დრო ორმოცდახუთი წამია.

ისევ გვიბრძანა დაწოლა, ისევ ვერ ჩავეტიეთ დროში. ერთი სამჯერ დაგვაწვინა და აგვაყენა.

გადიოდა დრო და ნელ-ნელა ვეჩვეოდი სამხედრო სამსახურს. ძალზე გამიჭირდა ჯარისკაცულ სადილთან და კლიმატთან შეგუება. ასეთმა კვებამ, ცისტერნებით მოზიდულმა წყალმა და უსუფთაობამ დიზენტერია დამმართა. დაავადებულები ცალკე ყაზარმაში გადაგვიყვანეს, სიცხე ორმოცს ასცდა, რასაც საშინელი კუჭის აშლა მოჰყვა. ძლივს ვასწრებდით ტუალეტამდე. საღამოს ნაწილის უფროსი შემოვიდა შემოწმებაზე. გამიზომეს სიცხე, თერმომეტრი ორმოცდაორს აჩვენებდა. სასწრაფოდ მანქანა, დაიღრიალა უფროსმა. ხუთი წუთის შემდეგ, საბარგო მანქანაზე ჩემი საწოლიანად შემაგდეს და გზას გამიყენეს.

მიგრიხინებდა მანქანა სტეპში, მხოლოდ ვარსკვლავებით მოჭიქულ ცას ვხედავდი. ნუთუ ასე ხანმოკლე უნდა ყოფილიყო ჩემი ცხოვრება, მე ხომ ჯერ არაფრისთვის მიმიღწევია. სახლი გამახსენდა, ოჯახის წევრები, კიდევ კარგი დედაჩემი ვერ ხედავს ჩემს მდგომარეობას, გული გაუსკდებოდა საწყალს.

გათენებას ბევრი არაფერი აკლდა სამხედრო ჰოსპიტალს რომ მივუახლოვდით. გადმომსვეს მანქანიდან, შევედით მისაღებში. გულმოდგინედ გამსინჯეს, სიცხეც გამიზომეს. თეთრხალათიანმა თავი გადაიქნია და დაიძახა: ალთინაი! ახალგაზრდა ტანთხელი, აზიური გარეგნობის გოგო მოცქრიალდა, მას ჩამაბარეს. გამომყევიო, მითხრა. პატარა ოთახში შემიყვანა, ისტორია გახსნა. რაღაცებს მეკითხებოდა და ჟურნალში იწერდა. სასიამოვნო გოგო იყო, სულ იღიმებოდა. შებორკილი ვიყავი.

რაც ჯარში ვმსახურობდი, ქალთან ასე ახლოს არასოდეს ვყოფილვარ. ხომ არ გეშინიაო. როგორ ვეტყოდი რომ მეშინოდა. აბა, მუცელზე დაწექი და შარვალი ჩაიწიე, ნემსი უნდა გაგიკეთოო. ახალგაზრდა ლამაზი გოგოს წინაშე უკანალის მოშიშვლების შემრცხვა, თანაც მართლა შევშინდი, არასდროს არ მქონდა ნემსი განაკეთები. მერე რაღაც ტაბლეტები გადამაყლაპა, ნახევარი ქილა გლუკოზაც დამალევინა. ისეთი უჩვეულო სიტუაცია იყო, სულ დამავიწყდა ავადმყოფობა. ამ პროცედურებს რომ მოვრჩი, მითხრა: გამომყევიო. გავიარეთ გრძელი დერეფანი, ბოლოს საშხაპესთან შევჩერდით. შედი, დაიბანე, ტანსაცმელი კი სკამზე დააწყვეო. შევედი და პირველად ამ ხნის განმავლობაში ადამიანურად ვიბანავე. რომ გამოვედი, სკამზე ტანსაცმელი აღარ დამხვდა, მხოლოდ გრძელი, ზოლებიანი ნიფხავ-პერანგი იყო გადაფენილი. შარვლის მსგავსი გრძელი ნიფხვის წინა მხარეც ჩახსნილი იყო და უკანაც, თასმებით იკვრებოდა. დამიძახეს, რა ქენი, ჩაიცვიო. როგორც იქნა მოვირგე, სირცხვილით აწურული გარეთ გამოვედი. ალთინაი კი იდგა დერეფანში და იცინოდა. მერე პალატაში შემიყვანა და საწოლზე მიმითითა. ყველაფერი ისეთი სუფთა და გაკრიალებული იყო, კურორტზე, სხვა სამყაროში მეგონა თავი. ალთინაიმ მალე გამოჯანმრთელება მისურვა და დამტოვა.

ოცდაერთი დღე დავყავი ჰოსპიტალში, ეს იყო ბედნიერებისა და ადამიანური ცხოვრების ნათელი დღეები. ავადმყოფობა ვიღას ახსოვდა, გაკრიალებული, შარიშურა თეთრეული, ბზიალა თეფშები, ჭიქები, ჩანგლები, კოვზები და ფაიფურის ფინჯანით ჩაი. ყველაფერს ამას დანატრებული ვიყავი. გამახსენდა სამხედრო სასადილოს ცხიმიანი რკინის ჯამ-ჭურჭელი, რომელიც ხელიდან ცურავდა და გულზე შემომაწვა, მენანებოდა ჰოსპიტლის დატოვება.

დავბრუნდი სამხედრო ნაწილში. მალე შუა აზიის უმაღლესი სამხედრო უწყებიდან ჩვენთვის გასახარი ბრძანება მოვიდა. დილით მოედანზე გამოგვიცხადეს, ოცდაოთხ საათში უნდა დაგვეტოვებინა ღმრთისგან დავიწყებული ეს მრუმე დასახლება.

ერთი ღამის მგზავრობის შემდეგ ეშელონიდან გადმოგვს-

ხეს და სამხედრო ნაწილში მიგვიყვანეს. წინასთან შედარებით შესანიშნავი ადგილი იყო. უზარმაზარი მდინარე, რომელშიც სამდინარო გემები დაცურავდნენ, ქუთაისისხელა ქალაქს ორ ნაწილად ყოფდა.

სამხედრო ნაწილი აეროდრომთან ახლოს იყო, ისეთი ხმაურით ფრინდებოდნენ და სხდებოდნენ ზებგერითი სამხედრო თვითმფრინავები, ყაზარმები ზანზარებდა. ძილში რამდენჯერ წამოვვარდნილვარ შიშით. მალე შევეჩვიე და მთელი დღის ნაჯაფარს თვითმფრინავების ღმუილი იავნანასავით ჩამესმოდა.

ასი ულვაშებშეღერებული, ძალ-ღონით სავსე ქართველი ჭაბუკი ვმსახურობდით ნაწილში. სამი თუ ოთხი სომეხი, ამდენივე ბერძენი, ერთი აზერბაიჯანელი და ოთხი აფხაზი. აფხაზები ახლოს არ გვეკარებოდნენ. მათ შორის იყო ერთი უცნაური ახალგაზრდა, გვარად იოსელიანი. მიკვირდა და ვეუბნებოდი, იოსელიანი აფხაზი როგორ ხარ-მეთქი. თავს იკლავდა, აფხაზი ვარო. მერე შემოგვეჩვია, ცოტაოდენი ქართულიც ისწავლა. ძნელი დასაურვებელი იყო ამდენი ქართველი ერთად. ხან ერთი გაიპარებოდა ქალაქში და ხან მეორე. იყო ძებნა და ვაი-უშველებელი.

ერთ დილით, ბატალიონის უფროსმა, პირადი შემადგენლობის დათვალიერებისას იკითხა, თუ რა სიტუაცია იყო ნაწილში. საკუთარი საღორე ჰქონდა ნაწილს და პირველად ყოველთვის ღორებს მოიკითხავდა – ღორები ჯარისკაცებზე მეტად უყვარდა. მოახსენეს, რიგითი გუმბა აქამდე არ გამოჩენილაო. განრისხდა, გადაირია, როგორც კი გამოჩნდება ეგრევე კარცერშიო.

– Выйдут блядъ здесь Гумба, Цумпа...[3] – რასაც ცხრასართულიანი გინება მოაყოლა.

მართლაც შესანიშნავი საღორე მოაწყო, შვილებივით უვლიდა. მეღორეებად რუსები დანიშნა, მაგრამ თვეში ერთი-ორი მაინც ეკარგებოდა. გამოყარა რუსები, ახლა ქართველები დანიშნა. იგივე განმეორდა. იმიზეზებდნენ, რაღაც უცნაური სენია შემოჩენილი, ჩვენ რა ვქნათ, მოვლას არ ვაკლებთო. ბიჭო, რაღა მაინცდამაინც გოჭებს დარია ხელიო. ძალიან კარგად ხვდებოდა ნაწილის უფროსი რომ არანაირი ჭირი არ იყო. მომვლელი

[3] ამის დედაც... გამოვლენ აქ გუმბა, ცუმპა.

მეღორეები ისე დამრგვალდნენ და გამშვენიერდნენ, გადაადგილებაც კი უჭირდათ. მე თქვენ გიჩვენებთ ჭირსო, დაიქადნა ნაწილის უფროსმა და რუსებს ქართველებიც მიაყოლა, ღორების მოვლა კი უზბეკებს მიანდო. იმ დღიდან დამთავრდა ჭირიანობა, შვებით ამოისუნთქეს ღორებმაც და ღორების მოყვარულმა ნაწილის უფროსმაც. გახარებული იყო, აქამდე როგორ ვერ მოვიფიქრე, მუსულმანები ხომ ღორის ხორცს არ ჭამენო?!

ერთ დილით, შეკრებაზე, ნაწილის უფროსმა ქართველებისთვის გასაკვირი რამ ზარ-ზეიმით გამოაცხადა:

– Усы носить разрешается толко грузинам.[4]

გადაირივნენ ბიჭები, ყველამ მოუშვა ულვაში. განსაკუთრებით თვალში საცემი იყო ერთი ჩვენი თანმემამულის ულვაში, რომელიც მეტად მოხერხებული, ოინბაზი, ენაკვიმატი და ხუმარა ახალგაზრდა იყო. რას არ მოიგონებდა, ულვაში იმსიგრძეზე ჩამოუშვა, ნიკაპს გასცდა, რაღა სააკაძის და რაღა მისი ულვაში. ერთ დილით, მორიგი სამწყობრო დათვალიერებისას, ნაწილის მეთაურმა მწკრივის წინ ჩამოიარა და გრძელულვაშასთან შეჩერდა, გაოცებისგან კინაღამ თვალები გადმოცვივდა:

– Товарищ солдат, выйти из строя.[5]

გრძელულვაშა გამოვიდა.

– Блядъ, что за усы? немедленно стричь.[6]

– ამხანაგო პოლკოვნიკო, ჩვენ ქართველებს...

– Молчать, – დაიღრიალა, – Бегом в быткомнате, немедленно стричь усы.[7]

გამოვარდა გრძელულვაშა და მეგრულად, მამაპაპურად შეუკურთხა:

– სკანდიდა... – ჩაამთავრა და გაიქცა.

– Стой товарищ солдат, никакой скандинавия...[8]

სიცილისაგან დაოსებული ქართველები კინაღამ დავცვივ-

---

[4] ულვაშის ტარება შეუძლიათ მხოლოდ ქართველებს.

[5] ამხანაგო ჯარისკაცო, გამოდი მწყობრიდან.

[6] ამის დედაც, ეს რა ულვაშია, დაუყოვნებლივ გაიპარსე.

[7] გაჩუმდი! სირბილით საყოფაცხოვრებო ოთახში, დაუყოვნებლივ გაიპარსე ულვაში.

[8] სდექ ამხანაგო ჯარისკაცო, არავითარი სკანდინავია...

დით. იყო ერთი ხარხარი და ხორხოცი. ჯერ გაუკვირდა პოლკოვ-ნიკს, მერე კი თვითონაც გადაიხარხარა, ეს რა მოსწრებული რამ ვთქვიო.

ნახევარი საათის შემდეგ დაბრუნდა ულვაშყოფილი და მეთაურთან სირბილით მივარდა.

– Разрешите встать в строй.[9]

შეხედა პოლკოვნიკმა ჯარისკაცს და ისეთი ჩაბჟირდა გვეგონა წაიქცეოდა. უკუღმართ ჯარისკაცს ულვაშები ჰიტლერივით დაეყე-ნებინა.

– Блядъ, эти Грузины что только не придумывают.[10] – მოუქცია სალდაფონურად პოლკოვნიკმა.

კარგა ხანს ჰქონდათ ჯარისკაცებს სკანდინავია სალაპარა-კოდ. ორი დღის შემდეგ ჰიტლერის ულვაშიც მოაპარსინეს.

– მეგობარო! მეგობარო! – მიმოიხედა, ვერავინ შენიშნა, – მე თქვენი სახელი არ ვიცი და იძულებული ვარ, ასე მოგმართოთ, სად ხარ?

მკრთალი ლანდი არსად ჩანდა.

– არ ვიცი სად ხარ, ვერ გხედავ. კარგი, იყავი, სადაც ხარ. რა მნიშვნელობა აქვს, ისედაც გესმის ყველაფერი. როგორც მოვა-ხერხე, ისე გაუწყე ჩემი ცხოვრების შესახებ, ზოგი სამხიარულო, ზოგი სევდის მომგვრელი, უმეტესი კი სათქმელი დამრჩა. გულ-ახდილად რომ გითხრა, ძალიან დავიღალე, ლოდინმა დამღალა და შეუცნობლის შიშმა. მომწყინდა, მეტს აღარაფერს გიამბობ. ან რა საჭირო იყო ამდენი აბდაუბდის თხრობა. თავდაპირველად მართლაც შემეშინდა, რომ მითხარი უნდა წაგიყვანოო, ახლა აღარ მეშინია, ახლა მე გეხვეწები – წამიყვანე! კაცი რომ სიხარუ-ლის განცდას დაკარგავს, ყველაფერი ბეზრდება, ამქვეყნიური ცხოვრებაც კი. გეხვეწებოდი, ცოტა მადროვე–მეთქი, მაგრამ აღარ მინდა, უსიხარულო ცხოვრება რა ცხოვრებაა, დარდმა და ნაღველმა მომიღო ბოლო. იცი რა ხდება ჩემს ქვეყანაში? სამოთხის მსგავს ქვეყანაში, რომელიც დღეს უპატრონოდაა მიგდებული? მებრალება დიდი წარსულის მქონე დაბეჩავებუ-

[9] მწყობრში ჩადგომის ნება დამრთეთ.

[10] ამის დედაც, რას არ მოიფიქრებენ ეს ქართველები.

ლი ქვეყანა, სადაც საშინელი ქაოსია, სადაც საშინელი გაუტანლობა და ურთიერთმტრობაა. ეზიზღებათ ერთმანეთი, კლავენ ერთმანეთს, გარბიან ქვეყნიდან, დაკარგეს სამშობლოს განცდა და სიყვარული. ნაწილ–ნაწილ ყიდიან ამ ნალოლიავებ, ნასისხლარ მიწებს და მკვიდრდებიან უცხოტომელები, ისაკუთრებენ ჩვენი ბედოვლათობის გამო ქვეყანას. მალე ძირძველი მოსახლეობა მათი მონები და მოსამსახურეები გახდებიან. თუ განვითარება გინდა, შენ ქვეყანას შენ უნდა უპატრონო, მაგრამ ვინ განებებს პატრონობას. ვისაც არ ეზარება, ყველა ჩვენს საქმეში ერევა. გამოჩნდნენ ვითომ მეგობრები, რომლებიც სინამდვილეში ჩვენი ყველაზე დიდი მტრები არიან. ცეცხლითა და მახვილით ებრძვიან ჩვენს ზნეობას, ჩვენს თვითმყოფადობას, ჩვენს ტრადიციებს. ის გამაერთიანებელი, რასაც სამშობლოს სიყვარული ჰქვია, ფულის სიყვარულმა ჩაანაცვლა. სატკივარზე ბევრი საუბრობს, მაგრამ სატკივარის მოშუშების და გამოჯანსაღების გზისთვის ვერ მიგვიგნია. არც ზეციდან გვეხმარებიან, იქნებ შენ მაინც მოგვივლინო ვინმე, როგორც წარსულში მოგვივლენდით ხოლმე. გამოსავალის ძიების მაგივრად ძე შეცთომილები დავერიეთ ერთმანეთს მიწიერი კეთილდღეობისა და სიამოვნებისათვის. უსუსურობა მკლავს, ჩემდა სამწუხაროდ, ვერაფერს ვცვლი, ყოველივე ამის შემხედვარეს რაღა მინდა აქ, ტყუილად გეხვეწებოდი დატოვებას. არა, არა, ძალიან კარგ დროს მოხვედი, კარგ დროს. აღარ მინდა გადაგვარებულ და გადაჯიშებულ ქვეყანაში სიცოცხლე. წამიყვანე, გესმის? წამიყვანე! იღრიალა კაცმა...

ახალგაზრდა, სანდომიანი, ეშხიანი ექიმი ქალი რეანიმაციის განყოფილებისკენ მიიჩქაროდა. ხელში ავადმყოფობის ისტორიები ეჭირა. პალატებში შედიოდა და აპარატურაზე მიერთებულ ავადმყოფების მონაცემებს იწერდა. ერთი ძალზე მძიმე პაციენტი ჰყავდა, ცოცხლებში თითქმის აღარ ეწერა. უსაშინლეს ავარიაში მოჰყვა და ხიდიდან მანქანით გადავარდა. აგერ, უკვე, მეშვიდე დღეა გონდაკარგულია. გუშინ ესაუბრნენ მეუღლეს და შვილებს.

– აზრი არ აქვს ასეთ მკურნალობას, მხოლოდ აპარატურაზე მიერთებით წერია ჯერ კიდევ ცოცხლებში, – უთხრათ განყოფილების გამგემ.

ძალიან განიცადეს, განსაკუთრებით მისმა ახალგაზრდა, მომხიბვლელმა ვაჟმა.

– იქნებ, ცოტა კიდევ ვადროვოთ.

– აზრს ვერ ვხედავ, – თქვა ექიმმა.

ცრემლით დაენამა ახალგაზრდას სახე. ცრემლის დანახვისას ქალს გააჟრჟოლა და სრულიად უადგილო ფიქრმა გაუელვა, ნეტავ ცოლი თუ ჰყავსო.

მიუახლოვდა პალატას, შეყოვნდა, ისტორიები მარცხენა ხელში გადაიტანა, მარჯვენათი კარი გააღო. შევიდა და მოულოდნელობისგან ადგილზე გაქვავდა, აკანკალებული ხელიდან ისტორიები დაუცვივდა და კინაღამ შეჰკივლა. იმიერიდან მობრუნებული პაციენტი წამომჯდარიყო და გაოცებული თვალებით იცქირებოდა.

– როგორც იქნა მოხვედით, რამდენს ვყვიროდი!

საძრაობის უნარდაკარგულმა ქალმა ძლივს ამოიღო ხმა და უაზროდ იკითხა:

– ვის ეძახდით? მე მეძახდით?

– არ ვიცი თქვენ იყავით თუ სხვა, სახეზე ვერ გავარჩიე, თითქოს ნისლით იყო შებურვილი, სახე არ უჩანდა. რამდენი ვეხვეწე, წამიყვანე–მეთქი.

ექიმი, როგორც იქნა, გონს მოეგო, მიეჭრა პაციენტს, საწოლზე წამოაწვინა.

– არ შეიძლება თქვენი წამოჯდომა, უნდა იწვეთ.

– ნეტავ ვინ იყო ის არსება, განუწყვეტლივ რომ მელაპარაკებოდა?

– თქვენ უნდა თქვათ, მეორედ დავიბადეო. ღმერთს ჰყვარებიხარ, ბაბუ, ღმერთს! დიდება შენდა უფალო, არსება კი არა მფარველი ანგელოზი ყოფილა.

რას გაიხარებს მისი ვაჟიშვილი! რას არ შეესწრება კაცი საავადმყოფოში, კიდევ იტყვიან სასწაულები არ ხდებაო. ამაზე დიდი სასწაული რაღა გინდა. აჰა, იხილეთ მკვდრეთით აღმდგარი კაცი!

– ახლავე ყველას უნდა შევატყობინო! – წამოიძახა ხმამაღლა ექიმმა და კარს მიაშურა.

Ինքնամոռացություն կամ Ցանցում

პატარძალი ჩემი შვილია!..

შემოდგომის დღეები ნელ-ნელა ინაცრებოდა, მზე ისე ძალუ-მად ვეღარ აცხუნებდა და დილის სასიამოვნო სიგრილეს სუსხიც შეეპარებოდა ხოლმე. ყოველი სულდგმული ნეტარებით ღრმად ისუნთქავდა დილის გრილ და მაცოცხლებელ, ოდნავ ნოტიო ჰაერს. ზაფხულის ხვატისაგან გადახრუკული ბალახის საფარი შემოდგომის ნამიან და გრილ ამინდებს ისევ გადაემწვანე-ბინა. ბალახზე დავანებული დილის ფთქორი მცხუნვარებადაკარ-გული მზის სხივებისაგან ბრილიანტის თვლებივით ციმციმებდა. გუნდ-გუნდად შესეული ბეღურები ნამიან ბალახში ბანაობდნენ. მერე სველ ფრთებს დაიფერთხავდნენ, პაწაწა ფეხებით ბალახს გადაქექავდნენ და გულმოდგინედ ეძებდნენ დილის საზრდოს. ყოველი ცოცხალი არსების დილა ხომ საზრდოს მოძიებით იწყება.

მშვენიერი დღე გათენდა, უღრუბლო და მზიანი, შემოდ-გომის გაზაფხული. აქა-იქ ყვავილებსაც კი წამოეყოთ თავი. შუადღისკენ კიდევ უფრო დათბება და არც საღამოს დატოვებს გულნაკლულს ნამდვილი საქორწინო დღეა, დღეს ხომ ჩემი ნათლულის ბედნიერების დღეა, ფიქრობდა მაკა. – რა სწრაფად გარბის დრო. გუშინდელ დღესავით მახსოვს ნათლობა სიონში. მერე სწავლა, მერე უცხოეთი. რა ჭკვიანი ნათლული მყავს, ეროვნულ ცნობიერებაზე აღზრდილი. არც უცხოეთში დარჩა, არც იქაური ქალი შეირთო, დაბრუნდა სამშობლოში, მოძლიერდა ეკონომიურად, თავისივე თანამემამულეზე დაქორწინდა და კიდევ ერთი ქართული ოჯახი შეიქმნა. ნეტავ, ბევრს გადასხმო-დეს მისი წყალი. მოფრთხილება უნდა ქართულ გენოფონდს...

ყველა ეპოქას თავისი დამახასიათებელი ნიშან-თვისებები გააჩნია. უცვლელი მემკვიდრეობით გადმოცემული ტრადიციები და ზნე-ჩვეულებები უნდა იყოს, რომლებსაც მოფრთხილება და შენარჩუნება სჭირდება და რომლებიც საწინდარია ერის თვითმყოფადობისა და უკვდავებისა. ძალზე მძიმე დროა, ერთა აღრევის დრო. ბევრს არ ვეხატებით გულზე, რა დასამალია და, შურთ ჩვენი, ჩვენი ნიჭიერების, ჩვენი სილამაზის და ჩვენი ისტორიის, რომელიც, როგორც ახლა აღიარებენ სინდისიერი უცხოელი მკვლევარები, კაცთა მოდგმის ისტორიის საწინდარია და კაცთა მოდგმის აკვანი. გაფრთხილება სჭირდება ამას და გაგრძელება. და ყველაზე მთავარი როლი მასში ქალს ეკისრება, თავდაჭერილსა და ზნეკეთილ ქართველ ქალებს.

მხნედ მიუყვებოდა გზას თმაშევერცხლილი, საშუალო ასაკს გაცდენილი, ფიქრებს აყოლილი, წელში გამართული, ჯერ კიდევ ლამაზნაკვთიანი, სახეღიმილიანი ქალი. მაკა ყოველ დილით გამოდიოდა სისხამზე და ცხელი პური მოჰქონდა შვილიშვილებისთვის, რომელთა სიყვარულმა ყველა სხვა მიწიერი სიყვარული გადაავიწყა... სანამ სახლში ავიდოდა, ეზოში უზარმაზარი, ტოტებგადაშლილი, უცნაური ხის ქვეშ ძელსკამზე ჩამოისვენებდა ხოლმე. კაცმა არ იცოდა, რამდენი წლის იყო ეს ხე, სამი კაციც კი ვერ შემოუწვდენდა ხელს. უცნაური იმიტომ, რომ არავინ იცოდა, რა სახეობის, რა ჯიშის ხე იყო. მსგავსი ახლომახლო არსად იდგა და სხვაგანაც არ უნახავს. ვინ იცის, ქარმა რომელი ქვეყნიდან შემოიტყუა. ყვავილობაც უცნაური იცოდა, ყვავილსაც არ ჰგავდა, თეთრად აფეთქებული მსხვილი ღეროებივით ეკიდა. ფოთლები კი ჩვეულებრივად, სხვა მცენარეებივით აუმწვანდებოდა ხოლმე. სამაგიეროდ, შემოდგომისას აფერადდებოდა უცნაურად, ბუნების ყველა ფერს აიკრეფდა და გაგაოგნებდა. გრძნობიერი და ემოციური ადამიანისათვის ფოთოლცვენა სევდის მომგვრელია, ძირს მოფენილნი მარადისობაში გადასვლამდე ამზეურებულნი, ქარის ოდნავ წამოქროლებზე აშრიალდებოდნენ თითქოს გეჩურჩულებოდნენ, თითქოს ეწადათ ეთქვათ თავიანთი წარმოშობის, თავიანთი წარმომავლობის შესახებ... ფერთა სიუხვე დაგარეტიანებდა, ფეხს შეგიბორკავდა და სულს შეგიკრავდა, თავს

მაღლა აგაწევინებდა, მერე სამყაროს ყველაზე დიდი მხატვრის წინაშე ქედს მოგადრეკინებდა. ფერთა სიმფონია, მათი აცისარტყელება კრძალვით განგაწყობდა და მორიდებით გათქმევინებდა – მომიტევეთ, თქვენს მშვენიერებას ფეხით რომ ვეხებიო. შემოდგომის ფერთა სიუხვესთან ახლოსაც ვერ მივა გაზაფხული.

რამდენჯერ წაუოცნებია, ბავშვობაში რომ დამაბრუნა რამდენიმე წუთით, სულ რამდენიმე წუთით, როგორ სიამოვნებით გადავგორდებოდი და ტანით შევიგრძნობდი ძირს მოფენილ ფოთოლთა ფერთა ლიცლიცს, შარიშურს, გულს გავუხსნიდი, მოვეფერებოდი თითოელ მათგანს და იქნებ კიდეც ეჩურჩულათ კაცთათვის დაფარული საიდუმლო.

საქორწინო წყვილმა ჯერ ტაძარს მიაშურა, ჯვრისწერის შემდეგ – რესტორანს, ხელის მოწერის ცერემონიაც იქ ჩატარდა. მეტალის კონსტრუქციის ულამაზესი თაღის ქვეშ გაიარეს. თაღი მოჩუქურთმებული იყო სხვადასხვა ორნამენტითა და ყვავილებით. თაღის სამაგრი სვეტები ჩვილსახიან ანგელოზებს ისე ეჭირათ ხელში, გეგონებოდა, ეს–ესაა, ცაში აიჭრებიანო. თაღის იქით მექორწილეებს ყვავილების ცოცხალი თაღი შეექმნათ. ადრე ხმლების ქვეშ ატარებდნენ, ახლა კი – ყვავილების ქვეშ. ძალზე მიმზიდველი სურათი იყო. ცოცხალი თაღის იქით, პატარა მაგიდასთან, ქორწინების სახლის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერინეს ახალდაქორწინებულებს და ოჯახის შექმნა იურიდიულად გააფორმეს.

მაკა, სიხარულით გასხივოსნებული თვალებით შესციცინებდა წყვილს. ხელის მოწერის შემდეგ მიუახლოვდა ჯერ ნათლულს – სიძეს ეამბორა ლოყაზე, შემდგომ პატარძალს. დალოცა, ბედნიერება და მოშენება–გამრავლება უსურვა მათ. მერე გვერდზე გადგა, მომლოცველები გაატარა და ყურადღება სტუმრებზე გადაიტანა. თვალს ვერ აშორებდა მოხდენილად ჩაცმულ, მომღიმარ ახალგაზრდებს, მათ მხიარულ სახეებს. ჩაცმა–დახურვა მისი ყველაზე სუსტი წერტილი იყო და ბავშვობიდან ყოველთვის უზადოდ იცვამდა.

მალე სტუმრები მაგიდასთან მიიპატიჟეს, ერთ მხარეს – სიძის

ნათესავები, მეორე მხარეს – პატარძლის. ლხინიც გახურდა. მაკას ყურადღება პატარძლის მხარეს მჯდომმა, მისი ასაკის ქალმა მიიქცია, თითქოს ეცნო. ქალი წამოდგა და მუსიკოსების მხარეს გაემართა. მოძრაობაც ნაცნობი, ჩაცმის სტილიც. ერთმანეთთან შეუხამებელმა სამოსმა ახალგაზრდობის სამსახური გაახსენა და დაწესებულების ხელმძღვანელი, რომელმაც მოურიდებლად მიახალა თავის ერთ-ერთ თანამშრომელს: – გოგო, რავა ბაზრის დედაკაცივით ჩაცმული დადიხარ, პედაგოგი ხარ, ბავშვებთან გაქვს საქმეო. დიდი მოურიდებელი ქალი იყო, თვითონ ყოველთვის პეწენიკად შემოსილი, ვერ იტანდა სამსახურისთვის შეუსაბამოდ ჩაცმულ ახალგაზრდებს. რამდენი რამეა გონების კუნჭულში ფერფლმიყრილი და ამოუცნობი, სიოს პატარა წამობერვისას მუგუზალივით აგიზგიზდება ხოლმე... ნაცნობმა სახემ მოგონებები აუშალა და წარსულს გადასწვდა ფიქრით...

* * *

მოხდენილი ქალი იყო მაკა, თხელი და მაღალი, მწყაზარსახიანი და ხიბლიანი. ქარხნის საბავშვო ბაღების საერთო კომკავშირის კრება იყო იმ დღეს ჩანიშნული. შესაბამისად გამოეწყო. მოდის მიმდევარი იყო, მკაცრი, აკადემიური სტილი მოსწონდა, ზედმეტი სიშიშვლეების გარეშე. იმ დროს, თავისი შესაძლებლობის ფარგლებში, ყველა მოხდენილად იცვამდა. არა ისე, როგორც დღეს ნაწილი ახალგაზრდებისა, მუცელმოშვლეპილნი, პირში სიგარეტგაჩრილნი, დაბოლილნი და შარვალჩახდილნი რომ დადიან.

საქართველოში, ყველა ეპოქაში, ლამაზად ჩაცმის კულტი იყო გაბატონებული. ამას უცხოელი მოგზაურებიც ადასტურებენ. ბატონობდა პრინციპი – წარსდგა მშიერი და ვერა ტიტველიო... დღეს კი პირიქითაა. საზოგადოების თავშეყრის ადგილებზე ხდებოდა ხოლმე, მოდის ყივილის გამომზეურება, თეატრი იქნებოდა, კინო თუ სხვა რაიმე ღონისძიება.

კრების დაწყებამდე საზოგადოება დერეფანში რუზრუზებდა. ჯგუფ-ჯგუფად იყვნენ დაყოფილნი. ბაღის გამგე ნატო, მეთო-

დისტი ლია, მეორე ცვლის მასწავლებელი ეკა და სამეურ-ნეო ნაწილის გამგე ლუიზა, რომელსაც ჭორბიუროს ეძახდნენ, ქალი, რომელმაც ყველაფერი იცოდა და ყველაფრის საქმის კურსში იყო, მის თვალსა და ყურს არაფერი გამოეპარებოდა. კრების დაწყების მოლოდინში ქალური ჭორებით ერთობოდნენ. მეორე ცვლის მასწავლებელი, ეკა, ეგრეთ წოდებული „სვეტსკი“ წრის დამა იყო. ეკონომიურად დალხენილი ცხოვრების გამო, სამსახურით მხოლოდ ერთობოდა, სულ სამი საათი მუშაობდა. შეხედული, ლამაზი, მაღალი საზოგადოების წრის შესაფერისად იცვამდა. ჩაცმა-დახურვაში თანასწორი არ ჰყავდა. სამოცდა-ათიან წლებში ძალზე მოკლე კაბები იყო მოდაში. მასწავლებელი არ ერიდებოდა, ყოველ შესაძლო შემთხვევაში გამოემზეურებინა თავისი მოხდენილი ტანი, ლამაზი და გრძელი ფეხები.

– გაიგე, ქალო, ბუთხუზა და ულვაშიანი გოგო ხათუნა ვის წაჰყოლია? – მიუბრუნდა ბაღის გამგეს ლუიზა.

– აბა, ვის? – ახალი ჭორის მოლოდინში ყურები ცქვიტეს გოგონებმა.

– კვდებით ხომ, ცნობისმოყვარეობით? ფრთხილად იყავით, არ დავარდეთ – მეზღვაურს, გოგოებო, მეზღვაურს.

– ჭკვიანი ყოფილა ის მეზღვაური, გულდამშვიდებით შე-უძლია იცუროს თვეების განმავლობაში, – თქვა ბაღის გამგემ მთელი სერიოზულობით.

გოგონებმა ჩაიკისკისეს.

– შენ რომ არ იტყვი, ისეთი რა იქნება, – სიცილით თქვა „სვეტსკი“ დამამ.

– იცინეთ თქვენ, იცინეთ, სულ მალე ვნახავ, როგორ ჩა-დგებით ახალი „შმოტკების“ რიგში ხათუნასთან. – ხმას აუწია ლუიზამ.

– მოიცა, მოიცა, მაგაზე მერე... ნახე, ვინ მოდის? ჩვენი მაკა. ჩვენებაზეა მოსული მგონი ეს შეჩვენებული. შეხედე, შეხედე, რა მოხდენილად აცვია. მიიქცევს ყურადღებას, აბა, რა იქნება. შავი „ბარხატის“ პალტო, ლამის ბეწვით, შავი ზამშის ჩექმა, წითელი „რედიკიული“, წითელი ტყავის ხელთათმანები, ყელზე წითელი შარფი და მარგალიტის საყურეები. მიჯოკრავს დღეს მაკა, ოო,

ლამის შურმა წამიღოს. აი, ქალი, შეხედავ და აფორიაქდები. ყოჩაღ, გოგო! – ხალისით წარმოთქვა „სვეტსკი“ დამამ.

– გამაგიჟებთ თქვენ, გაგყრით სამსახურიდან, გადამირევთ თანამშრომლებს. მაინც სად ჯანდაბაში შოულობთ ასეთ სამოსს?! – გადაირია გამგე.

– სად შოულობენ და იმ მეზღვაურთან. მალე დამიწყებთ ხვეწნას, გაგვაცანი, გაგვაცანიო, თქვე ტანსაცმლის ჭიებო, – ნიშნის მოგებით, თავაწეულმა ამაყად თქვა ჭორბიურომ.

საუბარი კრების დაწყებამ შეაწყვეტინა თანამშრომლებს. კრება ჩვეულებრივად ჩატარდა, როგორც იმ დროს ტარდებოდა ხოლმე. ზოგი შეაქეს, ზოგს გამოსწორებისკენ მიუთითეს. მაკა კი საბავშვო ბაღების კომკავშირის კომიტეტის მდივნად აირჩიეს, მოადგილეებიც დაუნიშნეს ყველა ბაღიდან. გაუკვირდა და არც დიდად გახარებია, კიდევ ერთი თავის ტკივილიო – საზრუნავი ხომ ისედაც საკმაოდ ჰქონდა...

პასუხისმგებლიანი და თავმომწონე გოგო, მონდომებით შეუდგა საქმიანობას. სხვა საქმეებთან ერთად, კომკავშირის საწევრო შესატანებიც მის ფუნქციებში შედიოდა. ხელფასების მიღების დღეს კრებდა ხოლმე საწევროებს. იმდენად უმნიშვნელო თანხა იყო, გადაწყვიტა, მთელი წლის ერთად შეეკრიბა. ჩამოუარა თანამშრომლებს, მეორე ცვლის პედაგოგთან, ივლიტასთანაც მივიდა. კარგად არ იცნობდა, შორიდან თუ მიესალმებოდნენ ხოლმე ერთმანეთს. შავგვრემანი, დაბალი, თხელი, ფიქრიანი გოგო იყო ივლიტა. სიავე და ნაღველი გამოკრთოდა მისი თვალებიდან. ამასთან უგემოვნოდ და შეუფერებლად იცვამდა. მიესალმა ღიმილით და მოახსენა მისვლის მიზეზი.

– რას იტყვი, ივლიტა, მთელი წლის საწევრო მთლიანად რომ შევაგროვოთ? სხვებთანაც ვიყავი, თითქმის არავინაა წინააღმდეგი.

ივლიტას მრისხანებისაგან თვალები უელვარებდა. როგორც იტყვიან, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა.

– ეგ როგორ შეიძლება?! ეგ ხომ კანონის დარღვევაა.

შეცბუნებულ მაკას ბაგეზე მიეყინა სათქმელიც და ღიმილიც, სასწრაფოდ დატოვა ოთახი. მართალი იყო ივლიტა, მაგრამ

ხომ შეეძლო მშვიდად ეთქვა, როგორ ცეცხლწაკიდებული-ვით მომახალა, ჟრუანტელმა დამიარა მთელ ტანში, როგორი სირცხვილი ვჭამე. მეტი დაფიქრება გმართებს, მაკა, მეტი დაფიქრება. ისე, გულთმისანი უნდა იყო, ადამიანის ბუნება რომ ამოიცნო, – ფიქრობდა აღელვებული.

საწევროებზე სირბილმა მაკას ისე მოაბეზრა თავი, გადა-წყვიტა ყველას მაგივრად თავის ჯიბიდან გადაეხადა. კაპიკები იყო გადასახდელი, არ ღირდა წვალებად. იმ დღეს ბაღის გამგეს თათბირი ჰქონდა ჩანიშნული. როგორც კომკავშირის კომიტეტის მდივანი, აუცილებლად უნდა დასწრებოდა. მოგვიანებით მივიდა.

– ასმანეთიანი ხელთათმანები, მაკა?! – წაუმღერა „სვეტსკი“ დამამ და ტაში შემოჰკრა.

– ამის თვალს ხომ არაფერი გამოეპარება, რავა ტყუილად აცდენს ადგილს, – შენ ბაღში რა გინდოდა, ეკა, შენი ადგილი კრიმინალისტურ სამსახურშია, – სათვალის ზემოდან გადახედა გამგემ.

– რავა, ტყულია თუ? – გაიცინა ეკამ.

– რა უბედურებაა ასი მანეთი ხელთათმანებში, – ხელები გაშალა და შურნარევი ავი თვალებით გახედა ივლიტამ მაკას.

გამგემ მიატოვა ქაღალდების ქექვა, სკამიდან წამოიწია, შემობრუნდა, თავი მაღლა ასწია, ივლიტა ისე შეათვალიერა, თითქოს პირველად ხედავდა და მკაცრი ტონით მიმართა:

– გოგო, რავა ბაზრის დედაკაცივით ჩაცმული დაიარები, საბავშვო ბაღია, ბავშვებთან გაქვს საქმე.

თანამშრომლები გაიყურსნენ, მერე თითქოს ეუხერხულა და ნათქვამი შეარბილა:

– მე არ გეუბნები, გინდა თუ არა, ძვირად ღირებული ტან-საცმლით შეიმოსე-მეთქი. რაც გაქვს, კოხტად მოირგე.

მაკას გულზე მოხვდა გამგის უხეშად კი არა, უზრდელად ნა-თქვამი. შეწუხდა, ჩემი მიზეზით გაილანძღა ეს გოგო, ჯერ ისედაც არ მოვდიოდი თვალში, აწი ალბათ გამარჯობასაც არ მეტყვისო. იმ დღის მერე ივლიტა მართლაც ამრეზით უყურებდა მაკას.

უსიამო შემთხვევის შემდეგ, მაკა ივლიტათი დაინტერესდა. ფიქრობდა – უცნაური გოგოა, ყველასგან გამორჩეული, თითქოს

გარიყული. ნეტავ, რატომაა ასეთი ცივი და უსიხარულო? პასუხი რომ ვერ იპოვა, გადაწყვიტა, ლუიზასთვის მიეკითხა. სამუშაო საათების შემდეგ შევიდა ლუიზასთან, რომელიც გვიანობამდე რჩებოდა ხოლმე და სულ რაღაცას ანგარიშობდა. მაკას შესვლისთანავე შეწყვიტა საანგარიშოს ტკაცუნი, გვერდზე გადადო, თავი შემოაბრუნა და გაკვირვებით შეხედა.

– შემოდი, შემოდი, ჩამოჯექი. როგორც ჩანს, მდივნობა ბევრ თავისუფალ დროს გართმევს, ადრე არ რჩებოდი სამუშაო საათების შემდეგ. – მერე ღრმად ამოისუნთქა და გააგრძელა, – რაღა გითხრა და, არც მე ვარ უკეთეს დღეში. დამტოვებს ეს ოხერი ბალანსი გაუთხოვარს. ისე კი, ერთ უფასო, მაგრამ ჭკვიანურ რჩევას მოგცემ, – ჭკვიანურის თქმის დროს მარჯვენა ხელი მაღლა ასწია და საჩვენებელი თითი გააქნია, – ნამეტანი ნუ გადაჰყვები საქმეს, მაინც არავინ დაგიფასებს. ქალმა პირადი ცხოვრებისთვისაც უნდა მოიცალოს. კარგად დაიმახსოვრე, სამსახურს პირადი არ უნდა გადააყოლო, თუ არა, მტრისას გაუთხოვარი ქალი, მაკა, მტრისას. ბაბუაჩემი იტყოდა, გაუთხოვრობას მეკურტნის ცოლობა ჯობიაო. ხომ არ იცი, რას წარმოადგენდნენ მეკურტნეები. არა? თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს. თავს გაუფრთხილდი, თვალები გაახილე, ჩემსავით არ ჩამოიბერო თავი. ოცდაათ წელს გადაცილებული ქალი აღარავის უნდა. რაღა გითხრა და, მომბეზრდა მარტოობა, – სინანული გაერია ხმაში. – რა გაკვირვებული მიყურებ? ყველა ქალს აქვს თავისი სუსტი წერტილი, შენთან კი ყველაფრის თქმა შეიძლება. კარგი, კარგი, გვეყოფა მოთქმა-ვაება. აბა, მითხარი, რამ შეგაწუხა? ცხადზე ცხადია, ხარჯების შემოწმებისთვის შენ არ მოხვიდოდი. რაშია საქმე?

სკამზე მოხერხებულად მიესვენა, მოსასმენად მოემზადა და ცნობისმოყვარე თვალებით შეაცქერდა. მაკა შეაცბუნა და დააბნია ლუიზას სულის ანარეკლის გამომზეურებამ. ასეთ ლუიზას პირველად ხედავდა. წამიერი გარინდებიდან ხმამ გამოიყვანა.

– დაღამდა, მაკა, რაღას უცდი?

მაკა შეფუცხუნდა და ღელვანარევი ხმით დაიწყო:

– ლუიზა, იქნებ მიამბო რამე ივლიტას შესახებ, სადაურია, სად ცხოვრობს. სულ ამრეზილია, რაღაც დაჩაგრულად გამოიყურება, იშვიათად ლაპარაკობს და სულ თავჩაღუნული დადის.

– ხო, შენ ეგრე გეგონოს! – იფეთქა ლუიზამ და სკამიდან წამოიწია, – კიდევ კარგი, ბევრს რომ არ ლაპარაკობს, კარგი მაინც არ ამოდის პირიდან. – მერე თითქოს უთანაგრძნობსო, ღრმად ამოიხვნეშა და გააგრძელა, – ცხოვრებისგანაა გოგო გამწარებული, ძალზე ხელმოკლედ ცხოვრობს, არც ჯანმრთელობა უწყობს ხელს, დედაც ავადმყოფი ჰყავს. მამა კი კარგა ხანია, რაც გარდაეცვალა. რას იზამ, ცხოვრებაზეა დაბოღმილი და ყველას კბენს, შური ახრჩობს მაგ საცოდავს, შური. ყველასი შურს. შური კი ისეთი ვერაგი დაავადებაა, ადამიანს საღ აზრს აკარგვინებს. ისე კი, მებრალება. მეშინია, რამე არ აუტეხოს თავს.

ნათქვამმა ძალზე იმოქმედა მაკაზე.

– ალბათ, ამიტომაც ვერ იმოსება შესაფერისად და შეიძლება, ესეც იყოს რთული ხასიათის მიზეზი, ლამაზად ჩაცმა ყველა ქალს უყვარს, მით უმეტეს, თავმომწონე ახალგაზრდა, გასათხოვარ გოგოს. შენ კარგად იცი, რომ ტანსაცმლის გაჭირვება არ მაქვს, შემიძლია ვაჩუქო. – იმ წუთში მეტი ვერაფერი მოიფიქრა მაკამ და გააგრძელა, – გახსოვს, იმ დღეს ბაღის გამგემ რა დღე დააწია?! ჰოდა, ნამეტანი უზრდელად მოიქცა, როგორ შეიძლება ადამიანის ასე დამცირება! – პატარა პაუზის შემდეგ კი წამოიყვირა – რას ამბობ, გოგო, ისეთი ამაყი, უკადრისა და ამპარტავანია, დაგცოფავს, მარა მადლი კი იქნება. – ღიმილი მოეფინა სახეზე.

– ეჰ, მაკა, მაკა, კაბა კი არა, მაგ საცოდავებს ისე უჭირთ, მაცივარიც კი არ უდგათ სახლში, – ჩურჩულით თქვა ლუიზამ, თითქოს დიდი სახელმწიფო საიდუმლოება გაანდოო.

ამ საუბრიდან არ გასულა დიდი დრო, სამეურნეო ნაწილის გამგე, თანამშრომლების მცირე ჯგუფთან ერთად, ივლიტას რომ მიადგნენ სახლში. მაკა მათ შორის არ იყო. მაცივარი და ახალთახალი სხვადასხვა სტილის სამოსი უსაჩუქრეს, ეს ბაღის პროფკავშირებისგანო. ძლივს გაეხსნა სახე ღიმილისთვის მასპინძელს...

დღეები დღეებს მისდევდა და ფერები ფერებს. ბავშვებით აჟრიამულებული ბაღი თავის სისხლსავსე ცხოვრებას განაგრძობდა.

მეთოდისტს, დღის მეორე ნახევარში, სამსახურში დროდადრო სოფლიდან მაზლი აკითხავდა, გამოართმევდა გასაღებს და ძმისშვილები მიჰყავდა სახლში. ძალზე მოხდენილი, ლამაზი ბიჭი იყო, ქალივით ლამაზი. ბუნებრივი სილამაზე ჰქონდა, ამასთან დაუხვეწავი მიხვრა-მოხვრა და მანერები. საუბრისას სიწითლეც გადაჰკრავდა ხოლმე სახეზე. მეთოდისტთან ნახა ივლიტამ ვაჟი, გულში ჩაუვარდა და ააფორიაქა. ცდილობდა, იმ დროს შესულიყო ლიასთან, როცა მაზლი მიაკითხავდა ხოლმე. ივლიტა, როგორც შეეძლო, მალავდა ამ უცნაურ გრძნობას. შეიცვალა, კუშტ სახეზე დროდადრო ამოუცნობი ღიმილი გადაეფინებოდა. თვითონ კი მალავდა, მაგრამ ქალების თვალს რა გამოეპარება. ბევრმა ქირქილი დაიწყო, ეგ ბიჭი მაგისკენ გამხედავი არ იქნებაო. სხვა კიდევ, – სამაგიეროდ, ჩაესიძება, ქალაქელი გახდება და ბინაზეც საზრუნავი არ ექნებაო.

პარასკევს, დღის ბოლოს, მაკა ბაღის გამგის კაბინეტს მიადგა. სოფელში აპირებდა წასვლას მშობლებთან ერთად, ბებია-ბაბუის მოსანახულებლად. შემოუთვალეს, ბებია ავადმყოფობსო. ფიქრობდა, შაბათ-კვირა ისედაც უქმეებია, კაცმა არ იცის რა მდგომარეობაში დაგვხვდება ბებო, შეიძლება ორშაბათიც დაგვჭირდეს და დავეთხოვებიო. კარზე დაკაკუნება არ დასჭირვებია, ღია იყო.

– შემოდი, შემოდი, მაკა.

კაბინეტში მეთოდისტი და ვიღაც უცნობი ბიჭი დახვდა. მაკამ მოუბოდიშა გამგეს და უთხრა, მოგვიანებით შემოვალო.

სოფლიდან ჩამოსულმა მაზლმა იმ დღესაც მიაკითხა რძალს, მოიკითხეს ერთმანეთი, მერე გასაღები გამოართვა, გასვლისას კი მორიდებით ჰკითხა:

– ბაღის გამგესთან ჩვენი საუბრისას რომ გოგო შემოვიდა, ვინაა ის გოგო?

– მოგეწონა? – ღიმილით ჰკითხა ლიამ.

ვაჟმა დაირცხვინა, წამიერად ელვასავით სიწითლემაც გადა-

ჰკრა სახეზე, პატარა შეყოვნების შემდეგ კი ღიმმორეულმა ომახიანად გააგრძელა:

– ჰა, რას იტყვი? მგონი, არც მე ვარ ურიგო ბიჭი, – და მხრები შეათამაშა.

– ბეჩა! ეგღა გვაკლია, – გადაიკისკისა რძალმა.

– ხუმრობა იქით იყოს და, გამირკვიე ყველაფერი, სერიოზულად გეუბნები. ქალებს ეს გეხერხებათ. მგონი, მაკა ჰქვია, არა?

– სახელიც რომ დაგიმახსოვრებია!

ივლიტას არ გამოპარვია ლიას მაზლის სტუმრობა, კვირები ელოდა ხოლმე. ახლაც კარს უკან იდგა და შესაფერის დროს ელოდა, როგორმე შესულიყო. მაკას სახელის ხსენებაზე გონება დაებინდა, მორიდების ყველა ზღვარი დაკარგა და ჭკუაზე გადასულივით, ქარივით შეიჭრა ოთახში. ძლივს მოასწრო განზე გაწევა ვაჟმა, ივლიტა ერთიანად აფორაჯებულ–აწითლებული მრისხანებას ძლივს იკავებდა. – ისევ მაკა? ჩემს საჭირბოროტოდ არის გაჩენილი, აქაც გამომეჩხირა ეს კოხტაპრუწა, არ დავუთმობ, არა! – ფიქრობდა გამწარებული.

– რა მოგივიდა, ივლიტა? ცუდად ხარ? ჩამოჯექი. – სკამი მიუჩოჩა დაზაფრულმა ლიამ. – დამშვიდდი, დამშვიდდი. – აკანკალებული ხელით გრაფინიდან წყალი ჩამოასხა და მიაწოდა.

– ექიმს ხომ არ გამოვუძახოთ? – აწრიალდა შეცბუნებული ვაჟი.

გონს მოეგო ივლიტა, შერცხვა უმგვანო საქციელის გამო და მოიბოდიშა.

– არა, არა, არაა საჭირო. ბავშვებმა გამომიყვანეს წყობიდან, მალე გადამივლის. – ვაჟის მზრუნველობით გახარებულმა ცრემლები ძლივს შეიკავა.

რძალმა გულთან ახლოს მიიტანა მაზლის თხოვნა და მთელი სერიოზულობით შეუდგა საპატიო დავალების შესრულებას. ხელსაყრელ დროს ელოდა, რომ ბუნებრივ, არაოფიციალურ, მეგობრულ გარემოში სუფრაზე ან სხვა რაიმე საზეიმო ღონისძიებაზე მომხდარიყო შეხვედრა და გაცნობა. მოულოდნელად ეს ხელსაყრელი დროც დადგა. დედამთილი გაუხდა ავად, სოფლიდან ჩამოიყვანეს და ქალაქის საავადმყოფოში დააწვინეს.

მოსანახულებლად ბაღის თანამშრომლები შეიკრიბნენ და საჩუქრებითა და ყვავილებით ხელდამშვენებულნი ავადმყოფს ეწვივნენ. შეეშლებოდათ თუ რა, კარგი თანადგომა იცოდნენ მაშინ, გაჭირვებაში მარტო არავის ტოვებდნენ. მოიკითხეს, თბილი სიტყვები უთხრეს და მალე გამოჯანმრთელება უსურვეს.

ლამაზი ქალი იყო სნეული. ვაჟიც თავს ადგა. საოცრად ჰგავდნენ ერთმანეთს. ეჭვიც კი არ შეგეპარებოდა, რომ დედა-შვილი იყვნენ. მაკამ შეამჩნია, რომ სნეული გამორჩეულ ყურადღებას იჩენდა მის მიმართ და თვალს არ აშორებდა. ეუხერხულა, თანამშრომლებს ამოეფარა და ფანჯარაში დაიწყო ყურება. საავადმყოფოში გაცნობა არ შედგა. არ აეწყო ისე ყველაფერი, როგორც ლიას სურდა. დედამთილის მხლებლებს მაკა ძალზე მოეწონათ. თვითონაც ძალიან მოსწონდა და დიდი სურვილიც ჰქონდა, მისი რძალი გამხდარიყო. ყველანაირად ცდილობდა, დაახლოებოდა და მაზლი გაეცნო. იმ დღის მერე კიდევ უფრო გააქტიურდა, ყოველ ხელსაყრელ დროს, საუბრისას, ხან რას გადაუკრავდა ხოლმე მაკას და ხან რას. არც თანამშრომლებისთვის დაუმალავს – ჩემს მაზლს ძალიან მოსწონს მაკა და არ ვიცი, როგორ ვუთხრაო. ივლიტაც შეესწრო ამ საუბარს, გაცოფდა და აღშფოთება ვერ დამალა:

– რა გახდა ბოლოს და ბოლოს ეს მაკა, ყველა როგორ გადაგრიათ. რითია მოსაწონი ერთი გაფშიკებული და აყუდებული გოგოა, ხორცი მაგას არ აქვს და ფერი, მარტო ცარიელი ტანსაცმელია. ან იქნებ ლამაზი კაბებით და ხელთათმანებით მოგხიბლათ, თუ სახლ-კარით? სხვასაც აქვს სახლ-კარი. – არ ცხრებოდა გაწიწმატებული.

რა ექნა საცოდავ ივლიტას, ოცნების კოშკები ხუხულასავით ენგრეოდა. ვინ იცის, კიდევ რამდენ სალანძღავს იტყოდა, „სვეტსკი დამა“ რომ არ ჩარეულიყო და ყურებამდე შეყვარებულს დაურიდებლად მიახალა:

– რა გჭირს, გოგო, შენ?! რამ გადაგრია, რას ემართლები, რის გამო აგითვალწუნებია, ასე აგდებულად და ზიზღით რომ მოიხსენებ? არა მარტო ლამაზად და კოხტა ჩაცმით მოსწონს ყველას, არამედ შენგან განსხვავებით, ღირსეული საქციელით.

რაღამც არ მოისვენე, პირდაპირ გეტყვი, აქამდე თავს ვიკავებდი. შენი უსაქციელობა ყველას ყელში ამოუვიდა, იქნებ დაცხრე და დაოკდე. ეგ კაბა და სახლში მაცივარი რომ გიდგას, შენ გგონია, მართლა პროფკავშირმა გაჩუქა?! მეტი საქმე არ ჰქონდა პროფ-კავშირს, ვისთვის უყიდია, ერთი მითხარი. დაფიქრებულხარ ამაზე? მაკას ნაყიდია ყველაფერი, მაკასი.

გაოგნებულ ივლიტას ენა დაება, ხმა ვეღარ ამოიღო და კინაღამ ჩაიკეცა.

– და რაღამც დავიწყე, ბარემ ბოლომდე ვიტყვი. რომ იცოდე, ტყუილად ნერვიულობ შენს პრინცზე. მაკა ვერ იქნე-ბა შენი შემცილე, თუ თვალს გაახელ, მიხვდები, რომ ეგენი არ შეეფერებიან ერთმანეთს. მარტო გარეგნული სილამაზე არ კმარა სერიოზული ურთიერთობისთვის. მარტო სილამაზით არ იხიბლებიან, ბუნებით და ინტელექტით უნდა იყვნენ ერთმა-ნეთთან ახლოს.

კამათში შეცბუნებული მეთოდისტი ჩაერია და მოკამათენი დააშოშმინა. ალანძულმა ივლიტამ უკანმოუხედავად დატოვა მოსაუბრენი. ლია კი აღელვებულ ეკას მიუბრუნდა.

– კი, მაგრამ მე აქამდე ჭურში ვიჯექი?

– შენი გამკვირვებია, ლია, სულ შენ კართან რომ იყო ატუზული, როგორ ფიქრობ, შენ ენატრებოდი? მოკლედ, აღარ მინდა ამაზე საუბარი.

ლიამ ყურს მიღმა გაატარა ნათქვამი, მკლავი გამოსდო, მოსაუბრეებს მოსცილდა და თითქმის ჩურჩულით, მიკიბ-მოკიბ-ვის გარეშე უთხრა:

– ეკა, ძალიან გთხოვ, იქნებ გამიგო, მაკას შეყვარებული თუ ჰყავს. თქვენ ხომ მეგობრები ხართ, შენ არ დაგიმალავს.

რა ექნა ლიას, მაზლის დავალება უნდა შეესრულებინა. ოღონდაც ეს უსიამო საუბარი რაც შეძლება მალე დამთავრებუ-ლიყო, „სვეტსკი დამა“ ყველაფერზე თანახმა იყო.

– რა თქმა უნდა, გაგიგებ. – უპასუხა მოკლედ და სასწრა-ფოდ გასცილდა.

ლიამ შვებით ამოისუნთქა. სამი დღის შემდეგ, საზეიმო კონცერტის დაწყების წინ, ლია დერეფანში მიმავალ „სვეტსკი

დამას“ წამოეწია, ისევ გამოსდო ხელი მკლავში და ჰკითხა, დანაპირები თუ შემისრულეო.

– რა თქმა უნდა, შეგისრულე. ჰყავს, ლია, ჰყავს და მაკა ძალიან მალე ქუთაისს დატოვებს. მე ძალზე დამაკლდება, როგორ ამშვენებს ჩვენს ბაღს, ნათელი წერტილივითაა. უნდა მივულოცოთ და ღირსეული გაცილება მოვუწყოთ.

ახალი ამბის შესახებ, რა თქმა უნდა, ყველამ გაიგო. ივლიტას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. გადაწყვიტა, გაკვეთილების შემდეგ მიეკითხა მაკასთვის. დარცხვენილი და აწურული იყო. ფიქრობდა, მივალ, ბოდიშს მოვუხდი ჩემი უსაქციელობის გამო, მრისხანებისა და გაუგებრობისთვის და თანაც მადლობას ვეტყვი დახმარებისთვისო. კარგა ხანს იდგა კართან თავჩაღუნული, ყოყმანობდა. მოულოდნელად რაღაც ძალამ ტანში ელდენივით დაუარა, მოსხლიტა, ძალა წაერთვა, მოეშვა, გაიყინა, თითქოს ტყვია ჩასხმოდა ფეხებში, ბიჯიც კი ვერ გადადგა, მერე კი გაფი-თრებული შემობრუნდა და წელმოწყვეტილი ლასლასით გაუყვა გზას...

* * *

ქორწილში ლხენამ პიკს მიაღწია. სამხიარულო ხმებმა და ჟრჟოლის მომგვრელმა ომახიანმა ქართულმა მრავალხმიანმა სიმღერამ მოგონებების ბურუსი გაცრიცა, მიღმიერიდან საბოო-ლოდ მაკა ბეჭზე ხელის მოთათუნებამ დააბრუნა. შემობრუნდა და ფეხზე წამოდგა, ცრემლმორეული ქალი დასდგომოდა თავს. მდუმარე ცნობისმოყვარეობით შეაცქერდა. ღიმილადქცეულმა, სახეგაბადრულმა და მხრებაცახცახებულმა ქალმა ხელები გაშალა, მოეხვია, მაგრად ჩაეკრა და ჩასჩურჩულა:

– ივლიტა ვარ, გოგო, ივლიტა. მომილოცე, პატარძალი ჩემი შვილია!..

მუსიკა

მარინე

ვუძღვნი მეუღლეს ***მარინე ტორონჯაძეს***

– გივი, გეყურებაა?! – გასძახა ტელევიზორს მიციებულ მეუღლეს ასაკოვანმა, სანდომიანი სახის ქალმა, – მაღაზიაში ჩავალ და მალე ამოვალ.

სანამ პარმაღს გადააბიჯებდა, სარკეში თავის ორეულს შეავლო თვალი. შეყოვნდა. – წლები, წლები, ჩემო მარინე... – ჩამოისვა სახეზე ხელი. – ზოგი ფულს აგროვებს, შენ კი – წლებს. სარკიდან წარსული სილამაზის ანარეკლი იმზირებოდა, რომელ-საც ჯერ კიდევ არ დაეკარგა მომხიბვლელობა. პირისახე ნაზი და ელასტიკური, თვალები შუქიანი, მსუბუქი ღარები ჯერჯერობით მხოლოდ ცხვირის, თვალის და ყელის არედან იმზირებიან ნაკადულის დამშრალი შენაკადებივით. – უცქირე, უცქირე, ჯერ კიდევ შეიძლება ცქერა. უცქირე, სანამ დაჭმუჭნილ ფურცელს არ დამსგავსებია. უჰ, დიდი ამბავი, მერე რა, ოდესღაც ხომ ვიყავი ახალგაზრდა, ლამაზი და მომხიბვლელი! – გაეპრანჭა ორეულს. – იქე, თავი იქე, რავა, ტყუილია თუ რა? ახალგაზრდულ ასაკში ყველა ლამაზი და მომხიბლავია. ისე, რომ იცოდე, სულაც არ მეშინია ღარების, გესმის შენ?! – შეეხმიანა სარკეს შიგნიდან, არსიდან, სულიდან. – აქ ისეთივე ახალგაზრდა და მომხიბვ-ლელი ვარ, აქ ვერ მომწვდება შენი მსახვრალი ხელი, გაიგე? სულაც არ მეშინია შენი, სარკევ! – და ენა გამოუყო. ბავშვობი-დან გამოყოლილ ჩვევაზე გაეღიმა, სარკეს ნიშნის მოგებით რომ გამოუყოფდა ხოლმე ენას. აბა, რა გეგონა შენ? – წავედი, კიდევ ერთხელ გასძახა მეუღლეს და კიბეზე დინჯად დაეშვა. დაბლა

სართულიდან მუსიკის ხმა შემოესმა, ვიღაც თავგამოდებით უკრავდა. შეყოვნდა. ყური მიუგდო. აზარაშვილის ნოსტალგია. – ვერაფერს იტყვი, კარგად უკრავს. – გაეღიმა. მუსიკამ ყმაწვილ-ქალობა და სამუსიკო სკოლა გაახსენა.

– პატარა თუ არ დავისვენე, მეტი აღარ შემიძლია, გამიშეშდა თითები. – ცამეტიოდე წლის კიკინებიანი გოგონა სკამიდან წამოიწია და როიალს მოშორდა. თმაზე ხელი მოისვა და კიკი-ნები შეისწორა. – რა აკვიატება იცის დედაჩემმა, რაღა დროს ჩემი კიკინებია, ცამეტი წლის ვარ. სანოტე ჩანთით და კიკინე-ბით ყველაზე ლამაზად გამოიყურებიო – მეტყვის ხოლმე. ის კი არ იცის, მოსაქაჩადაც რომ კარგი საშუალებაა, ხან ვინ მწვდე-ბა და ხან ვინ. გამორჩეულად ვახტანგი – ბურძგლა. რა დღე-შია! როგორც კი დროს იხელთებს, ეგრევე კიკინებში მწვდება. ვინ იცის, იქნებ მოსწონს კიდეც, – გაიფიქრა და გაეღიმა. – ისე, არც თვითონაა კარგ დღეში, გაბურძგნული და უხეში თმის გამო, ყველამ ბურძგლა შეარქვა. ჩემი გულისთვის ფიზკულტუ-რის მასწავლებელმა სასტიკად გააფრთხილა, „შენ, ბიჭო, ჭურის სარცხელს რომ მიგიგავს თავი, ეგ გოგო აღარ შეაწუხო თუ არა, გაბურძგვლა მერე ნახეო“. ვითომ მეხუმრებიან. ეს რა ხუმრობაა!

გოგონა სასკოლო კონკურსისთვის ემზადებოდა. ფიქრობდა, თუ გავიმარჯვე, მერე საქალაქო კონკურსშიც მივიღებ მონაწი-ლეობასო. „თუ გავიმარჯვე, თუ გავიმარჯვე“... რეკავდა თავში ზარივით. ასკინკილით სარკესთან მიირბინა. სარკიდან თხელი და სიფრიფანა გოგო შემოსცქეროდა. წაბლისფერი თმა, წაბლის-ფერი თვალები, რომლებიც ბავშვურ უშუალობას ასხივებდნენ, ოდნავ კეხიანი ცხვირი და თხელი ტუჩები, რომლის ბოლოს მორცხვი ღიმილი გაკრთებოდა ხოლმე... მისი ტოლი გოგოები ნელ-ნელა უკვე ქალური ფორმებით ივსებოდნენ. თვითონ კი გაჩხიკული და ფიცარივით იყო, თუ არ ჩავთვლით უმნიშვნელო, პატარა შემაღლებას მკერდზე, რომელსაც მის გარდა ვერავინ ამჩნევდა. ისე კი, ბოლო დროს რაღაც უჩვეულოდ გრძნობდა თავს, თითქოს სხეულში ვიღაც ჩაუსახლდა, რომელიც მისი ნების გარეშე მოქმედებდა. თავბრუც ხშირად ეხვეოდა, ერთხელ სკოლაში გრძნობაც კი დაკარგა. ცივი წყლით მოასულიერეს.

სკოლის ექიმმა, თვალებბრიალა, შნოიანმა ნათიამ ეშმაკურად გაუღიმა, თავზე ხელი გადაუსვა და უთხრა: – ეგ არაფერი, ქორწილამდე დაგავიწყდებაო... დედისთვის არაფერი უთქვამს და გადაღლას დააბრალა. გავიმარჯვებ კონკურსში, დავისვენებ და ყველაფერი კარგად იქნებაო. ისევ კიკინებს მისწვდა, სახე დამანჭა და სარკეს ენა გამოუყო. მერე შემობრუნდა, კლასობანას თამაშით, ხტუნვა-ხტუნვით აივანზე გავიდა, სადაც ბაბუა გაზეთს ჩაჰკირკიტებდა. თავი წამოსწია მხცოვანმა.

– გოგო, წლები რომ გემატება, ჭკუა აღარ უნდა მოგემატოს? რაღა დროს კლასობანაა? შენი ასაკისა ბებიაშენი უკვე გათხოვილი იყო და ოჯახს უვლიდა.

– მართლა? – გაიკვირვა თმაკიკინებიანმა. – კარგი რა, ბაბუ, ვისვენებ. თითები აღარ მივარგა, მთელი დღე როიალთან ვზივარ. ხვალ კონკურსზე უნდა გავიდე. თუ გავიმარჯვე, უფრო დიდ კონკურსში მივიღებ მონაწილეობას და აუცილებლად დაგპატიჟებ.

– მოდი აქ, ჩემთან, თხაბელა, მოდი. „თუ გავიმარჯვებ“ კი არ უნდა თქვა, აუცილებლად გავიმარჯვებ-თქო!

გოგონა მიუახლოვდა ბაბუას, რომელმაც ხელები მოხვია, გულში ჩაიკრა და თმაზე ეამბორა.

– აუცილებლად გაიმარჯვებ, ბაბუ, აუცილებლად! ახლა კი, აქ ხტომიალს გირჩევნია, ცოტა ხნით ეზოში ჩახვიდე და ბავშვებთან გაერთო? პატარა განიავდები, მერე კი ისევ მიუჯექი ინსტრუმენტს.

ბაბუა ურთულესი კრიმანჭულის უბადლო შემსრულებელი იყო მთელ რაიონში, კარგად იცოდა მუსიკისა და შრომის ფასი. ბევრს საოცნებოდ ჰქონდა მასთან ერთად სალხინო სუფრაზე მოხვედრა და ქეიფი. არაფერი ჯობდა მისი და მისი შვილების ხმაშეწყობილი ნამღერის მოსმენას.

სამუსიკო სკოლა ორ ნაბიჯში იყო, ქუჩის მეორე მხარეს. გულშემატკივრები არ გაუყოლებია, ბაბუასაც კი უარი უთხრა, – ბაბუ, შენ რომ იქ იქნები, ვინერვიულებო. დედ-მამას ისედაც არ ეცალათ, სამსახურით იყვნენ დაკავებული. შეიმოსა იმ დროის შესაბამისად, ლამაზად და კოხტად, გაისწორა კიკინები და სანოტე ჩანთა მხარზე მოიგდო. ბაბუამ დაუძახა:

– დამენახე, გოგო, მაინტერესებს, როგორ გამოიყურები. – თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა შვილიშვილი. ჯერ გაეღიმა, მერე კი ხშირი, ჭაღარა წარბები მაღლა აზიდა და მკაცრი ხმით უთხრა: – რამდენჯერ გითხარი, ასეთი მოკლე კაბა არ ჩაიცვა-მეთქი! დიდი ხარ, ბაბუა, უკვე დიდი. რას იტყვიან?! უჭირთ, ალბათ, მისი ზომის კაბა ვერ შეუძენიათო. არა გვაქვს, ბაბუ, ჩვენ მაგის გაჭირვება, ერთი მტკაველით მეტი ზომის კაბა რომ ვერ შევიძინოთ. სირცხვილია, ბაბუ, სირცხვილი. ამ გრძნობას ძვირფასი განძივით უნდა მოუფრთხილდე. იცოდე, თუ კაცმა სირცხვილი დაკარგა, თავსაც დაკარგავს.

– მოდაშია, ბაბუ, მოდაში.

– კარგი, დღეს მიპატიებია, საზემო დღე გაქვს, მეტს არაფერს გეტყვი.

ბაბუა შვილიშვილს მოეხვია, მერე კარები გაუღო და გზა დაულოცა. გულში კი გაიფიქრა: ხვალიდან მაგ კაბის ლანდსაც ვეღარ იპოვი. ანდა რა უბედურებაა ასეთ მოკლე კაბები? რა მოდაა, როგორ შეიძლება უსირცხვილობა მოდა იყოს?! თუ ამ ტემპით გააგრძელეს კაბების დამოკლება, მალე ადამ-ევას ეპოქაში ამოვყოფთ თავს.

გოგონა კიბეზე დაეშვა ღიღინით, თან ფიქრობდა, ყველას ასე აცვია და მე ბებია ეფროსინესავით ხომ არ შევიმოსებიო.

კონკურსმა მშვიდ ვითარებაში ჩაიარა. გოგონას აზრით, კარგადაც დაუკრა და პირველი ადგილიც დაიმსახურა. სიგელი მისცეს და თან გააფრთხილეს, საფუძვლიანად მოემზადე, საქალაქო კონკურსში მიიღებ მონაწილეობას და ჩვენი სკოლა არ შეარცხვინოო.

საქალაქო კონკურსი ერთი თვის შემდეგ უნდა ჩატარებულიყო. გულმოდგინედ მეცადინეობდა, საათობით. საქალაქო კონკურსში გამარჯვება გზას უხსნიდა დედაქალაქისკენ. არც თავს იზოგავდა და არც ოჯახის წევრებს. მეზობლებსაც კი დაუკარგა მოსვენება. კონკურსის დროც მოვიდა. ზაფხულის მზიანი და დარიანი დღე იყო. ფრინველთა ჭიკჭიკს და გალობას საზღვარი არ ჰქონდა. განსაკუთრებით მის აივანს შესეული მერცხლები ჟღურტულებდნენ. გაკვირვებული იყო, როცა დაკვრას

დაიწყებდა, მერცხლები ჩუმდებოდნენ და როცა დაკვრას შეწყვეტდა, მაშინ აჭიკჭიკდებოდნენ. ბაბუამ უთხრა, გეჯიბრებიანო.

კონკურსზე ამჯერადაც არავინ გაუყოლებია. დათქმულ დროს მივიდა. შევიდა კულისებში და კონკურსანტების დაკვრას მიუგდო ყური. ძალზე ნერვიულობდა, მღელვარებისაგან ხელებიც კი უცახცახებდა. გამოაცხადეს ქალაქში ცნობილი სამუსიკო სკოლის წარმომადგენლის გვარი და სახელი. მისი ტოლა ბავშვი იყო. პირველ ნომრად კონკურსანტმა ვაჟა აზარაშვილის „ნოსტალგია“ შეასრულა. მეორე ნომრად – შტრაუსის ვალსი. თვითონაც ეს ნაწარმოებები უნდა დაეკრა. იჯდა გაყურსული. ყურში მონაწილეთა ჩურჩული ჩაესმა – ეს ბავშვი ქალაქში ძალზე ცნობილი პედაგოგის მოსწავლეაო. ყურადღებით უსმენდა. დაკვრის ოსტატობამ და საშემსრულებლო ხელოვნებამ გაკვირვება, გაოცება და აღტაცება გამოიწვია. მონუსხული ფიქრობდა – რა მაღალკვალიფიციურ დონეზე უკრავს! შესრულების რა ტექნიკაა! როგორ გრძნობს მუსიკას! რა თავდაჯერებულია! არ იგრძნობა შიში და შესულია მუსიკაში მთელი არსებით. ეტიუდს ისეთი სისწრაფით უკრავდა, თვალს ვერ შეასწრებდი თითების მოძრაობას. ლამის ცუდად გახდა, შიშისაგან გული მისდიოდა. მიხვდა, რომ ასე ვერ დაუკრავდა და მაღალ შეაფასებასაც ვერ მიიღებდა. ამ აღმოჩენამ, მისდა გასაკვირად, შიშისაგან გაანთავისუფლა, დამშვიდდა და დაწყნარდა. ახლა მოვალეობის მოხდის მიზნით თუ მიიღებდა მონაწილეობას. კონკურსისადმი ყოველგვარი ინტერესი დაკარგა, მხოლოდ იმას ფიქრობდა, თუ როგორ მოხვედრილიყო წარჩინებული კონკურსანტის პედაგოგთან.

კონკურსანტმა დაასრულა ნომრის შესრულება. ტაშმა დაანგრია დარბაზი. მიუხედავად მარცხისა, კონკურსიდან ძალზე კმაყოფილი და ბედნიერი წამოვიდა. მიაგნო იმას, რაც აკლდა. თუ როგორ უნდა გრძნობდე მუსიკას, როგორ უნდა იღებდე ბგერას და ეფერებოდე თითოეულ ნოტს.

სახლში მისულს ოჯახის წევრები შემოეგებნენ.

– ისეთი სახემცინარი ხარ, ალბათ, გაიმარჯვე. – ყველას დაასწრო ბაბაუამ.

სახემცინარი დუმდა.

– ე, გოგო, გაგვაგებინე, რა მოხდა! ვახშმისთვის მოვემზადეთ და ერთი-ორი სტუმარიც გვეწვევა. როგორაა საქმე? – ჩაეკითხა მამა.

გოგონამ მოკლედ უპასუხა:

– ვერ გავედი კონკურსში.

ახლა გაოცებულმა დედამ ჰკითხა:

– აბა, რა გიხარია?

– ძნელი ასახსნელია, მაგრამ გეტყვით: მე, მართალია, კონკურსში ვერ გავიმარჯვე, მაგრამ ისეთი პედაგოგის შესახებ შევიტყვე, თუ მის სკოლაში გადამიყვანთ, მომდევნო კონკურსში აუცილებლად მივაღწევ წარმატებას. დედა, შენ უნდა დამეხმარო, აუცილებლად უნდა გადამიყვანო იმ სამუსიკო სკოლაში, უნდა მოველაპარაკოთ სკოლის დირექტორს.

ყველანი დუმდნენ.

– რა მოგივიდათ, რამ დაგაღონათ? დამიჯერეთ, მე იმ პედაგოგთან აუცილებლად მივაღწევ წარმატებას. მეტი რაღა გითხრათ? ახლა კი მე და დედამ მარტო უნდა ვისაუბროთ.

ყურებჩამოყრილი კაცები ცალკე ოთახში გავიდნენ. მარინეს დედა მუსიკაში დიდად ვერ ერკვეოდა, მაგრამ ნოტების ჩანთა გადაკიდებულს რომ დაინახავდა შვილს, სიხარულისაგან კანში ვეღარ ეტეოდა. რამდენჯერმე ცრემლიც კი მოდგომია თვალზე.

– დედა, წარმოგიდგენია? მე ასეთი აღტაცებული და კმაყოფილი არცერთი კონკურსიდან არ წამოვსულვარ. გიკვირს, ხომ? ჩემი წინა გამოსვლები იმ ბავშვებთან შედარებით გართობა და თამაშობაა. მე მივაგენი იმას, რაც მაკლია. ამ აღმოჩენით ბედნიერი ვარ. დედა, მე ჩემსას აუცილებლად მივაწევ, თუ იმ სამუსიკო სკოლაში გადამიყვან. ძალიან მინდა იქ სწავლა. გესმის, დედა?! ჩვენ აუცილებლად უნდა შევხვდეთ იმ სკოლის დირექტორს. მისი სახელი თურმე მთელ ქალაქში ქუხს. მისი ბავშვები კი არ უკრავენ, დაფრინავენ ინსტრუმენტზე. – ემოციებს ვერ ბოჭავდა მარინე.

გაოცებული შესცქეროდა დედა შვილს.

– მარცხით ასეთი გახარებული შენ გარდა არათუ არ შემხვედ-

რია, არც გამიგონია. შვილო, შენ დაწყნარდი, დამშვიდდი, ჩვენ აუცილებლად შევხვდებით დირექტორს.

– დედა, ამბობენ, ძალიან მკაცრიაო.

– მერე რა? თუ სხვებს ღებულობს, ჩვენც მიგვიღებს.

– დედა, შეხვედრით კი შეგვხვდება, მაგრამ როგორმე უნდა დავარწმუნოთ, მიგვიღოს სკოლაში.

– კიდევ ერთხელ გეუბნები, დამშვიდდი, პატარავ. ხომ გაგიგონია, სიმშვიდე და მოთმინება წარმატების საწინდარიაო. ნუ გავუსწრებთ მოვლენებს წინ.

დედა შვილს მოეხვია, კიკინებზე მოქაჩა და შუბლზე აკოცა.

– ხვალვე წავიდეთ, შევხვდეთ. ვნახოთ, რა ქალია.

მეორე დღეს დედამ სამსახურიდან თავი გაინთავისუფლა და შვილთან ერთად ხსენებულ სკოლაში გაემგზავრნენ. დირექტორის კაბინეტი მეორე სართულზე იყო. მოსაცდელში ერთი გოგონა ყვავილებს დაჰფუსფუსებდა. ვარდისა და იასამნის თაიგულს საყვავილეში ანაწილებდა. გამაბრუებელი, საამო სურნელი იდგა. დედა–შვილი გოგონას მიესალმნენ და მოახსენეს მოსვლის მიზეზი.

– დაბრძანდით, – თავაზიანად მიუთითა ჩამწკრივებულ სკამებზე. – ახლავე მოვახსენებ, – და კარს მიღმა გაუჩინარდა. მალევე გამოვიდა და გამამხნევებელი ღიმილით კაბინეტისაკენ მიუთითა.

მათი შესვლისთანავე წამოდგა დირექტორი და გრძელ მაგიდასთან მიიწვია სტუმრები. დედა–შვილს დამაბრმავებლად ლამაზი ქალი შესცქეროდა. ძლივს გადადგა ფეხი მარინემ, მისმა სილამაზემ მონუსხა და დააბნია. წუთიერი გარინდება და უხერხული სიჩუმე დედამ დაარღვია. ყოველგვარი შესავლის და მიკიბ–მოკიბვის გარეშე დაიწყო:

– მე მინდა, რომ ჩემმა შვილმა თქვენს სკოლაში ისწავლოს.

წამიერად შეცბა დირექტორი, ყურადღებით შეათვალიერა დედა–შვილი, მერე თავი ოდნავ გვერდზე შეაბრუნა, ლამაზი წარბები მაღლა აზიდა, ამაყად და ამასთან ერთგვარი თანაგრძნობით, უმშვენიერესი ხავერდოვანი, რბილი ხმით, თითქოს ყველა სიტყვას ეფერებაო, თქვა: – მე, ქალბატონო, სხვა

მუსიკალური სკოლიდან არ გადმომყავს ბავშვები. მე თვითონ ვზრდი და ჩემი ბავშვები საუკეთესოები არიან. მაპატიეთ პირ-დაპირობისთვის, მაგრამ თქვენ რომ გინდათ, ეს ჩემთვის ბევრს არაფერს ნიშნავს.

ცივი დუმილი ჩამოწვა, რაღა ეთქმოდათ, დედა-შვილი უსიტყვოდ წამოდგნენ ფეხზე და გასავლელისკენ გაემართნენ. ბავშვს ცრემლები წასკდა. კართან არ იყვნენ მისული, დედა რომ შედგა, შემობრუნდა და დირექტორს მიმართა:

– მე კი არ მინდა, ქალბატონო... ისე, რომ იცოდეთ, მუსიკალური სკოლა სახლის გვერდით მაქვს. როგორც მშობლისთვის, ჩემთვის ის უფრო მოსახერხებელია, მაგრამ ჩემმა შვილმა, კონკურსზე, სადაც თქვენი მოსწავლეები მონაწილეობდნენ, მათი დაკრუ-ლით აღტაცებულმა დანანებით მითხრა: მე თუ ამ სკოლაში არ გადავედი, მაღალკვალიფიციურ მუსიკალურ განათლებას ვერ მივიღებ და საშუალოებში ჩავიკარგებიო. ქალბატონო, მუსიკის ბევრი არაფერი გამეგება, მე უფრო ბავშვის მომავალი მაწუხებს. ღამეები არ სძინავს... მაგრამ რა გაეწყობა, როცა თავს ზემოთ ძალა არ არის.

დედა კარისკენ შებრუნდა, ბავშვს ხელი ჩასჭიდა და გა-სასვლელისკენ გაემართა.

– ერთი წუთით, ერთი წუთით, ქალბატონო.

დედა-შვილი შემობრუნდა.

– დაბრძანდით!.. – მოსმენილმა ძალზე იმოქმედა დირექ-ტორზე, თითქოს რაღაც გალღვა ამაყ ქალში, უჩვეულო მდგო-მარეობაში იყო. – მომიტევეთ, ცოტა ხანს დაყოვნდით, ბავშვს გავესაუბრები. თქვენი სახელი? – შემობრუნდა ბავშვისკენ და კდემით სავსე, საოცრად ლამაზი, მაყვალივით შავი თვალები შეანათა.

– მარინე. – მორიდებით უპასუხა ბავშვმა.

– მარინე, მომიყევი, მუსიკალური ნომრის შესრულებისას რა იგრძენი და რას მიხვდი. რატომ გინდა ჩემს სკოლაში გადმოსვლა?

მარინემ დაწვრილებით მოუთხრო თავისი განცდებისა და შთაბეჭდილების შესახებ, დასასრულს კი დაამატა და კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი:

– მასწავლებელო, კონკურსმა მე დამანახვა თქვენი სკოლის სიძლიერე. ბავშვი, რომელიც ნაწარმოებს უკრავდა, რაღაც გასაოცარი გრძნობით იღებდა ბგერას და გრძნობდა ნაწარ-მოებს. მეორე ბავშვი, რომელიც ეტიუდს ასრულებდა, უკრავდა საოცარი ტექნიკით. ამ ორი ბავშვის მერე, საერთოდ აღარ მინდოდა გამოსვლა. მათი მოსმენის შემდეგ მივხვდი, რომ მათ ძალზე ჩამოვრჩებოდი და თუ თქვენს სკოლაში არ მიმიღებთ, ვერასოდეს გავხვდები ისეთი შემსრულებელი, როგორიც თქვენი ბავშვებია. – ისევ ცრემლები მოაწვა აღელვებულ ბავშვს და ცერა თითით მორცხვად მოიწმინდა.

– დამშვიდდი, დამშვიდდი და განაგრძე, – თბილად უთხრა პედაგოგმა და ბეჭზე ხელი მოუთათუნა.

– კონკურსის შემდეგ მივედი ბავშვებთან. ვკითხე, თუ სად იყო თქვენი მუსიკალური სკოლა და იქ გავიგე თქვენ შესახებ. მეც დავუკარი კონკურსზე და, მიუხედავად წარუმატებლობისა, ბედნიერი წამოვედი... დავამთავრე, მასწავლებელო... – მორი-დებით წარმოთქვა თავჩაღუნულმა.

ღრუბელივით ჩამოწვა დუმილი. საიდანღაც შემოფრენილი ხატულა პეპელა თავდავიწყებით აწყდებოდა ფანჯრის მინას. დირექტორი წამოდგა, ფანჯარა გააღო. ტყვეობიდან განთავი-სუფლებული პეპელა ხალისიანად, ფარფატით შეერია სივრცეს. მასწავლებელმა თვალი გააყოლა, მერე შემობრუნდა, დუმილი დაარღვია და წყნარად წარმოთქვა:

– გასაოცარია! – ჩამოშლილი თმა შეისწორა და აგზნე-ბული სახე ხელით გრაციოზულად მოინიავა. – გასაოცარია! – გაიმეორა კიდევ ერთხელ. – მარინე, შენმა ნათქვამმა გადა-მარწმუნა და ჩემი პრინციპების საწინააღმდეგოდ განმაწყო. გაკვირვებულიც ვარ და გახარებულიც. გაკვირვებული იმით, რთულ მუსიკალურ ნიუანსებს ეს პატარა ბავშვი როგორ ჩაწვდი. გახარებული იმით, რომ ასეთი ჟინი და მონდომება სწავლისა, ზოგადად, დიდ იშვიათობას წამოადგენს. ახლა ასეთ წინა-დადებას შემოგთავაზებთ – მოგცემ ნაწარმოებებს და ექვსი თვის განმავლობაში იმეცადინებ ჩემთან. თუ შევატყობ, რომ მომყვები, იქნები ბეჯითი და მივიღებ ისეთ შედეგს, რომელიც

მე მაკმაყოფილებს, მიგიღებ ჩემს მუსიკალურ სკოლაში. ისე, რომ იცოდეთ, მე ბავშვებს აღარ ვამეცადინებ. მარინე, გესმის, პატარავ? შენმა მონდომებამ, დაუოკებელმა სწრაფვამ სწავლისა ფარ-ხმალი დამაყრევინა. ხვალიდან ვიწყებთ მეცადინეობას. აბა, ხვალამდე! – წამოდგა დირექტორი და სტუმრები კარამდე მიაცილა.

სიხარულით გაცისკროვნებული დედა-შვილი ფრთაშესხმული გამოვარდნენ კაბინეტიდან.

...და დაიწყო გზა გოლგოთისკენ. ყოველდღიური ვარჯიში იწყებოდა გამებით ოთხ ოქტავაში, აკორდებით, არპეჯიოთი, ქრომატიული გამებით. მარინე ხვეწდა ტექნიკას, ხელის სისწრაფეს. უზარმაზარი პასუხისმგებლობა მხრებზე აწვა და თავის აღების საშუალებას არ აძლევდა. არაადამიანურმა ძალისხმევამ და თავგანწირულმა მეცადინეობამ შედეგი გამოიღო, კმაყოფილმა მასწავლებელმა ბეჯითი მოსწავლე თავის სკოლაში მიიღო...

ეჰ, რამდენი დრო გავიდა! ეს ბავშვიც რა კარგად უკრავს...

როცა მეგობართა წრეში საუბარი მუსიკაზე ჩამოვარდებოდა, თავის მასწავლებელზე იტყოდა ხოლმე: ასეთი მოხდენილი ქალი არასდროს შემხვედრია – საშუალოზე მაღალი, შავი თმა და შავი თვალები, მერცხლის ფრთასავით მოქნეული წარბები, თეთრყირმიზა სახე, ზომიერი ტუჩები, ბალერინასავით ყელი, ხელის დახვეწილი მოძრაობა, პლასტიკური მიხვრა-მოხვრა, არისტოკრატული ჩამომავლობა... მთელი ქალაქი მასზე იყო შეყვარებული. რა სიტყვა-პასუხი! საუბრობდა დახვეწილი, კლასიკური ქართულით, არცერთი უცხოური და გაურკვეველი სიტყვა, კუთხურობის არანაირი ნიშანი; ქალი-მშვენება, უაღრესად პატიოსანი, გულმოწყალე, კეთილი, თავაზიანი და ამავე დროს პრინციპული. ჩემთვის ის ღმერთ-ქალივით იყო. ჩვენი ქალაქის კოლორიტი... ძალიან მინდოდა, მას დავმსგავსებოდი და ისეთივე ელეგანტური გავმხდარიყავი. ძალზე მიყვარდა. უსაზღვროა მისი ღვაწლი ჩემს პიროვნებად და მუსიკოსად ჩამოყალიბების საქმეში. ყველაფერში ვბაძავდი. რამდენი რამე ვისწავლე მისგან და დღესაც მის ნაკვალევს მივყვები, დიდი სიყვარულით და პასუხისმგებლობით ვაგრძელებ პედაგოგიურ

საქმიანობას. ჩემი მანათობელი ვარსკვლავი იყო ცხოვრების გზაზე. როცა ცხოვრებაში რთული მომენტები დამიდგებოდა, გავიფიქრებდი ხოლმე, – ნეტავ, ჩემი მასწავლებელი როგორ მოიქცეოდა–მეთქი. ამ ქალმა მე სხვა სამყარო დამანახვა, იდუმალებით მოცული ჯადოსნური მუსიკალური სამყარო.

მთელი სიცხადით გაუკრთა თვალწინ მისი ცხოვრების საეტაპო მოვლენა, რომელმაც მთლიანად განსაზღვრა მისი მომავალი.

დაკვრა შეწყდა. უკანასკნელი აკორდების ექო სადარბაზოს კედლებს მიეფინა. მარინე გამოერკვა, შეფუცხუნდა, – დავტოვე კაცი მშიერიო, გაიფიქრა და აჩქარებული ნაბიჯებით ჩაუყვა კიბეს.

ნიკორა

ნიკორა

– მაროო! – პასუხი რომ ვერ მიიღო, უფრო ხმამაღლა დაიძახა, – მაროო! ნეტავ სად დაიკარგა?

შეფიქრიანებულმა შუახანს მიტანებულმა მამაკაცმა სახლის კარი გამოაღო, ეზოში გავიდა, მიმოიხედა. არავინ ჩანდა კოინდარს შესეული ქათმების გარდა, რომლებსაც ყინჩი მამალი დაჰფოფინებდა და ხანდახან ომახიანად შეჰყივლებდა ხოლმე. სად წავიდოდა, ბოსტანშია ალბათ გადასული, გაიფიქრა და კაკლის ხისკენ გაემართა, თავისი ხელით გაკეთებულ მოსალხენ მაგიდასთან ჩამოჯდა, იდაყვებით დაეყრდნო და ნაცნობ პეიზაჟს შეავლო თვალი. ჯერ ზეცას ახედა, მერე შორეთს მიაპყრო მზერა. ჩამავალი მზის სხივები თეთრად გადაპენტილ კავკასიონს ცისარტყელას ფერებში ხვევდა. საოცარია სამყარო, იდუმალებით სავსე და უზომოდ ლამაზი. დიდება შენს ძალმოსილებას, უფალო, ერთ მხარეს ცისკენ ამართული თოვლიანი მწვერვალები, მეორე მხარეს კი დაყურსული შემოდგომა – სურნელოვანი ნაყოფით დახუნძლული, ნაჯაფარი ბერიკაცივით წელში მოხრილი ხეები, ტალავერს შესეული დაუღალავი ფუტკრების გამაბრუებელი ზუზუნი. ფრთოსნებს არ იკითხავთ? დაუპატიჟებლად, შინაურივით შესევიან დამკრახულ მტევნებს და დათაფლულები ისეთ გალობას წამოიწყებენ, თავს დაგავიწყებენ და სააქაოს მოგწყვეტენ.

წამიერი გარინდებიდან გამოსულმა კაცმა ბოსლისაკენ გასწია და ისევ დაიძახა:

– მაროო!

ხომ მშვიდობაა ნეტავ ჩემს თავს? შეფუცხუნდა კაცი.

– რა იყო, რა მოხდა, შე კაცო? – ქალმა ჯერ თავი გამოყო, მერე განზე გაწეული ხელები – ერთში თუჯია ეჭირა, მეორეში კი მოსარევი თხილის ჯოხი.

კაცს გულზე მოეფინა და ხუმრობის ხასიათზე დადგა.

– რავა ნაწილ-ნაწილ გამოდიხარ შე დალოცვილო, რამდენი ხანია არ მინახავხარ, გამოდი, დამენახვე, გადამელია გული.

– შენ გეხუმრება ნიკიფორე და ახლა მე მკითხე?

– რა მოხდა? – დასერიოზულდა კაცი.

– ძალიან შემაფიქრიანა ჩვენმა ხარმა, კოჭლობს ძალიან. ისევ გაუსივდა ფეხი, – თქვა ქალმა და კაცთან ერთად ბოსელში შევიდა.

– ნიკორა, ჩემო მეგობარო, რა მოგივიდა, წოლისა და კოტ-რიალის დროა ახლა?

ხარმა ბრიალა თვალები მოსულებს შეანათა და დაიბღავლა, თითქოს თქვა: იტყვი რა შენც, ნიკიფორე, ყელში ამომივიდა ამ სიბნელეში ყოფნა და კოტრიალი. კაცი ხარს მიუახლოვდა, ქედზე ხელი მოუსვა, რქებსაც მისწვდა, შუბლიც მოფხანა და ყურში ჩასჩურჩულა:

– ახლა ღალატი იქნება, ბიჭო? მთელი წლის ნაამაგარია დასაბინავებელი. გამცალეს ჩიტებმა, ცოტაც და დავრჩებით უღვინოდ. სირცხვილით სად გინდა გამოყო თავი.

ხარმა ნიკიფორეს ნაღვლიანი თვალებით უპასუხა: ელაპა-რაკე ახლა ამას, როდის მიღალატნია? მომირჩინე ფეხი და მერე შენი ხმალი და ჩემი კისერი.

– ნიკიფორე, დროულად უნდა დავაყენოთ საშველი, ან ეს ხარი უნდა მოვარჩინოთ, ან სხვისი ვინათხოვროთ.

– მყავდა ექიმთან, ნემსიც გაუკეთა, მალამოებიც მოგვცა, მეტი რა ვქნათ, ვაცალოთ კიდევ ცოტა ხანს და მერე გადავწყვი-ტოთ. ეჰ, მებრალება, უფრო მეტად კოჭლობს, ჭამასაც უკლო.

– ავადაა და იმიტომ. მჯერა, ნიკორა არ გვიღალატებს, მალე გამოკეთდება.

ხარმა დაიზმუვლა და თავი ძირს დახარა.

– მარო, ქალაქიდან ხომ არაფერი ისმის, ჩვენები ხომ არ შეგხმიანებიან?

– არა. – ნაღვლიანად თქვა ქალმა.

კაცი ცოტა ხანს ჩაფიქრდა, ჯერ მაროს მიაპყრო მზერა, მერე ხარს:

– არისტოსთან გადავალ, გამოცდილი კაცია, ხომ გაგიგონია – გამოცდილება ჭკუის გვირგვინიაო, დავეკითხები, იქნებ გვირ-ჩიოს რამე. მეცოდება ნიკორა, მგონი ჩვენზე მეტად ნერვიუ-ლობს, დღესვე მინდა ნახოს.

– ახლა რაღა დროსია, შე კაცო, დაღამდა. უმჯობესია დილით გადმოვიყვანოთ.

– არა, არა, გადადებული საქმე ეშმაკისაა, ტფუი მაგის სახელს, – პირჯვარი გადაიწერა კაცმა. – შენ პატარა ვახშამი მოამზადე. სუფრასთან ლაპარაკს სხვა ეშხი და ლაზათი აქვს, უფრო საქმიანი გამოდის. წითელი ღვინოც არ დაგავიწყდეს, ხომ გახსოვს, რა თქვა ექიმმა, ორი ჭიქა წამალიაო.

– დაჯერებულხარ კი ოდესმე ორ ჭიქას?

– კაი, ახლა, მარო, – ხელი გადახვია კაცმა, თან ჩამოშლილი ჭაღარა თმა გადაუწია და სიყვარულით ჩახედა თვალებში. რა ვუყოთ, ხანდახან ორ ჭიქას ორს ვუმატებ ოთხი სახარების პატივსაცემად.

– მიზეზი არ გელევა, ნიკიფორე, მიზეზი.

– არისტო, არისტო, გამოიხედე ერთი წუთით! – შესძახა ნიკიფორემ მეზობელს.

– რავა უცხოსავით იქცევი! შემოდი, შვილიშვილები მეწვივნენ, ბავშვებთან ვთამაშობ. – შინიდან გამოსძახა არისტომ.

ნიკიფორემ კარის ზღურბლს გადააბიჯა.

არისტო ბავშვებთან მატარებლობანას თამაშობდა. თვითონ ელმავალი იყო, ბავშვები კი ვითომ ვაგონები. მიფლატუნებდა არისტო და ბავშვებთან ერთად გაჰკიოდა: ჩუქ-ჩუქ! ჩუქ-ჩუქ! მერე წაუმღერა: თეთრი რელსები... ბაბუკელებო, უკვე ბორჯომში ვართ. ელმავალი დაიღალა, ცოტა ხანს შევისვენოთ. ხედავთ, ბაბუა გვე-წვია. პატარებმა სათამაშოებთან ჩაიმუხლეს და თამაში განაგრძეს.

– რას არ გაგაკეთებინებენ ეს ონავრები, გადამიყვანეს ჭკუიდან. გამკვირვებია პირდაპირ, ჩემებია ასეთი ჭკვიანი თუ სხვებიც.

– შენები, რა თქმა უნდა, არისტო, შენები.

– ბაბუას გვანან. – გაიღიმა არისტომ.

– ყველა ბაბუას თავისი შვილიშვილი გენიოსი ჰგონია, ასე ვარ მეც, – გახალისდა სტუმარი, – მაინც რამ გაგაკვირვა ასე, ჩემო არისტო?

– მოდი და ნუ გაგიკვირდება, ლექსებს წერს ეს უწლოვანი, კაცო, ჯერ მხოლოდ ოთხი წლისაა.

– წერაც იცის, არისტო? – გაიკვირვა ნიკიფორემ.

– არა, წერა არ იცის, ზეპირად გამოთქვამს. ელისაბედ, მოდი ბაბუკელა ჩემთან. მოუყევი ბაბუას ლექსი. ე, გოგო, არ შემარცხვინო ახლა და არ მომჭრა თავი. სოფელი ტრაბახით ავიკელი, პოეტი შვილიშვილი მყავს–მეთქი.

პატარა მოცუნცულდა, ცნობისმოყვარე თვალები ნიკიფორეს შეანათა და გაკვირვებულმა იკითხა:

– ბაბუ, მე რამდენი ბაბუა მყავს?

ნიკიფორეს გადახარხარებას არაფერი უკლდა.

– გამაგიჟებს ეს ბავშვი. კარგი, კარგი, წადი ახლა და სხვა დროს მოგვიყევი.

ნიკიფორეს ჩაეცინა, ბოკონა სკამისკენ მიიწია და ჩამოჯდა.

– იცინე შენ, იცინე, მართლა ჰყვება თავის ლექსებს.

– ეჭვიც არ მეპარება, არისტო. ბავშვები საოცრებებს სჩადიან. განსაკუთრებით დღევანდელი ბავშვები. იმდენ რამეს ისმენენ და იმდენ რამეს ხედავენ, რაღა უნდა გაგიკვირდეს. ისე კი, დიდი ბებიასაგან გამიგონია, უწლოვანი ბავშვები ანგელოსის პირით ლაპარაკობენო, ამიტომ ეჩვენება უცნაურად ჩვენს ყურს და გონებას.

– უჰ, ბაშვებმა ყველაფერი გადამავიწყეს. მომიტევე, ჩემო ნიკიფორე, ხო მშვიდობაა თქვენს თავს, რაღაც აფორიაქებული მეჩვენები. რამ შეგაწუხა?

– რამ შემაწუხა და ჩემმა ცალუღელამ. ვერ არის კარგად, ფეხს იტკიებს, ვერაფერი გავუგე. იქნებ შენც გენახა, გამოცდილი კაცი ხარ, უამრავი ხარი გყოლია.

– ხომ არაფერი შეესო? ან ხომ არაფერმა უკბინა?

– არა მგონია. ავადმყოფობის დროა ახლა, არისტო? – თქვა კაცმა დანანებით – მოსავალი დასაბინავებელია.

– მაგაზე არ იდარდო, ჩემ ხარებს გათხოვებ. შენ ხარს კი ხვალ ვნახავ. ტაბლასთან მოაჩოჩე შენი სკამი, ქალს ყველაფერი გაუმზადებია.

– მაგის დროა ახლა, არისტო? – ბოკონადან წამოიწია ნიკიფორე.

– მოდი, მოდი ნუ გავაწბილებთ ქალს. ლექსიც უნდა მოგასმენინო, ტყუილში რომ არ ჩამეთვალოს.

კაცები მაგიდას მიუსხდნენ. სამი ჭიქის შემდეგ ნიკიფორე წამოდგა:

– მეტს ვერ დავლევ, აკრძალული მაქვს. ამ ბოლო ჭიქით ოჯახს დაგილოცავ და წავალ.

– ელისაბედ, ბაბუა, ნიკიფორე ბაბუა გავაცილოთ, თან ლექსი უთხარი, მე რომ მიყვები, ამ ბაბუასაც მოუყევი, ძალიან, ძალიან უნდა, რომ მოგისმინოს.

ნიკიფორეს გასაკვირად ბავშვმა თამაში მიატოვა, მივიდა და დაიწყო – ისე ამბობდა, თითქოს მღეროდა:

ფოთლები მღერიან, ნოტებიც მღერიან,
ღრუბლები ჯარად ცას მიჰყვებიან,
და მზეც ანათებს!

– აა, ხომ გითხარი, ღლაპი რომ ამ ასაკში ასეთ ლექსს დაწერს, დიდობაში რას იზამს, – ჩაეხუტა შვილიშვილს არისტო, – გაიხარე, ბაბუ, ჩემო სიცოცხლე. წადი ახლა ეკატერინესთან, განაგრძე თამაში. ხომ ხედავ, რა გულწრფელადაა ნათქვამი, ყველაფერი ცხადია და გასაგები.

– მე ხარების სპეციალისტი მეგონე, შენ კი თურმე ლექსებშიც ერკვევი. ჩუმ-ჩუმად შენც ხომ არ წერ, არისტო?

– ბავშვობაში ვწერდი. ლიტერატურა ძალიან მიყვარს. ადრე უფრო კარგად წერდნენ. აკაკისთან ყველაფერი ნათელია, გალაკტიონი კი მგონი მიწიერი არ იყო.

– ვერ შეგედავები, პოეზიაში კარგად ვერ ვერკვევი, მაგრამ ისეთი ლექსი კი მომწონს, სიმღერას რომ მოგანდომებს.

არისტომ მეზობელი ჭიშკრამდე მიაცილა და დაემშვიდობა.

ღამის სიჩუმეში მხოლოდ ორღობეში მიმავალი კაცის ფეხის ხმა ისმოდა. რაო, როგორ თქვა იმ კუდრაჭამ, – ფოთლები მღერიან, ნოტებიც მღერიან, ღრუბლები ჯარად ცას მიჰყვებიანო.

– მგონია რაღაცას მატყუებ, არისტო, – ხმამაღლა თქვა კაცმა და ცას ახედა. ზემოდან გაბრდღვიალებული მთვარე და ვარსკვლავებით მოჭიქული ცა დასცქეროდნენ, – ღმერთო, რა სილამაზეა, სუნთქვა შეეკრა, ფეხი შეანელა, მიწიერს წამიერად მოსწყდა და ოცნებით ვარსკვლავეთში გაინავარდა.

მეორე დილით არისტო სისხამზე დაადგა თავს ნიკიფორეს. ნიკიფორე ტალავერის ქვეშ იდგა და ყურძენს ათვალიერებდა. ერთმანეთს მიესალმნენ. არისტომ ვაზსს ახედა.

– აგვიანებ, ნიკიფორე, აგვიანებ, თუ დროულად არ დაკრეფ, დაგრჩება მარტო ფოთლები. წავედით, წავედით, ვნახოთ რა სჭირს შენს ხარს.

მეზობლები ბოსლისაკენ გაემართნენ.

– ოღონდ გარეთ გამოიყვანე, – თქვა არისტომ.

ნიკიფორე ბოსელში შევიდა, ბაგაზე მიბმული ხარი ახსნა და ეზოში გამოიყვანა. ხარი გვარიანად კოჭლობდა, ფეხიც შესიებოდა. არისტომ ჩაიჩოქა, შესიებულ ფეხზე ხელი მოუსვა. ხარი შეტოკდა და აზმუვლდა. არისტომ ხარის ფეხი ყურადღებით შეათვალიერა:

– ნალებს მიღმა რა ხდება ძნელი დასადგენია, ჩლიქებს შორის კი ჩირქიანი გამონადენია, ხედავ?

– ადრე არ ჰქონდა. რას იტყვი, არისტო, როგორ მოვიქცე?

– აბა, რა გითხრა, – თავი მოიქექა არისტომ, მერე კიდევ ერთხელ შეათვალიერა ფეხი და ხარს დაზიანებულ ადგილას ხელი მძლავრად მოუჭირა. ხარმა საბრალობლად შებღავლა და ფეხი გამოსტაცა. – ხედავ, როგორ ტკივა? გაქანებული ჩირქოვანი ანთებაა, ჩემი აზრით, კარგი იქნება თუ მჭედელთან ჩაიყვან. თუმცა მჭედელთან როგორ ჩაიყვან? უმჯობესია აქ ამოიყვანო. ნალს მოაძრობს, ჩლიქებს დაუმუშავებს. სანამ არ მოშუშდება, დაჭედვა გამორიცხულია. ვეტერინარის დანიშნულებაც გავაგრძელოთ და დაველოდოთ.

– რომ არ უშველოს, მაშინ?

– ყასაბს უნდა მიუყვანო.

– რას ამბობ კაცო!

– სხვა გამოსავალს ხედავ? სამფეხა ძაღლი მინახავს, მაგრამ სამფეხა ხარისგან რა ხეირია?

ნიკიფორეს გული მოეწურა, შვილივით გაზრდილი, საღ-სალამათი ხარის დაკვლა ვერ წარმოედგინა. ხარი კომშის ხეზე მიაბა და არისტოსთან ერთად გასასვლელისკენ გაემართა. მაროს კაკლის ძირში მაგიდა გაეწყო – მსუბუქი საუზმე, არაყი და წასახემსებელი.

– ეს რაღა საჭირო იყო, კაცო.

– აბა, დაულოცავად ხომ არ წახვალ? – ნიკიფორემ სირჩებში არაყი ჩამოასხა.

– დილის მადლი შეგვეწიოს, – არისტომ თავი მაღლა ასწია და გადაჰკრა. კაცს თვალებიდან ლამის ნაპერწკლები გადმოსცვივდა და სულშეგუბებულმა ძლივს ამოთქვა – რა არის კაცო ეს, მკლავ? ცეცხლია თუ არაყი?

– ხომ უნდა იგრძნო? – გაეღიმა ნიკიფორეს.

არისტო დაჭრილ ვაშლს მისწვდა და ჩაახრამუნა.

– ერთი კიდევ, არისტო, ცალი ფეხით ხომ არ ხარ მოსული, ბიჭო.

– უამრავი საქმე მაქვს, ამის მერე რაღა გავაკეთო.

– გააკეთებ, არისტო, უფრო უკეთესად გააკეთებ. ეს მწარეა და ჩვენ ტკბილად გვამყოფოს ღმერთმა.

მეზობელმა გადაჰკრა და ლამის სირბილით გასწია ჭიშკრისკენ.

– ნუ გადადებ, დღესვე აჩვენე მჭედელს, გეყურება? – მიაძახა ჭიშკარს გაცდენილმა არისტომ.

ნიკიფორემ იმ დღესვე ამოიყვანა მჭედელი. წამოაქციეს ხარი და შეუკრეს ფეხები. მჭედელმა ნალისგან გაათავისუფლა ნიკორა. რაღაც დანის მსგავსი, ბასრი, მოკაუჭებული ხელსაწყოთი მანამდე ათალა ჩლიქი, სანამ სითეთრემდე არ დაიყვანა. ნალურსმნებიც კი აღარ ეტყობოდა. მერე სპირტით დაუმუშავეს, ცხეს მალამო და შეუხვიეს.

– ნიკიფორე, შეშუპება თუ მუხლისაკენ წავიდა, მეეჭვება რაიმე ეშველოს. სანამ ფეხი მთლიანად ჩირქად არ ექცევა, კალენიკეს მიუყვანე.

ნიკიფორეს პატივისცემის გარეშე არ გაუშვია მჭედელი. მისმა ნათქვამმა საგონებელში ჩააგდო.

სანამ საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდა, ნიკიფორე მეუღლესაც დაეკითხა:

– რას იტყვი, მარო, როგორ მოვიქცეთ? ჩავაბაროთ, თუ დაველოდოთ, იქნებ თავისით გამოკეთდეს?

– გულქვა კალენიკეს როგორ მოვაკვლევინო ჩვენი მარჩენალი. მაგის სახლთან რომ გავივლი, სასიკვდილოდ განწირული პირუტყვის ბღავილზე მუხლები მეკეცება.

– კალენიკეს რას ერჩი ქალო, რა მაგის ბრალია, მასეთი კაციც საჭიროა, სოფელიც ემადლიერება. აგროვებს პირუტყვს და კვირაში ერთხელ მიყავს ჩასაბარებლად. თვითონაც სარგებელს ნახულობს და სოფელიც. არაფერს უღმერთოს არ აკეთებს ეგ კაცი. ღვთისგანაა დადგენილი საქონლის ხორცი საკვებად. ეჰ, მარო, მარო! – ისეთი ამოიოხრა კაცმა, გეგონებოდა გული თან ამოატანაო, – განა მე არ მტკივა? როგორი გასამეტებელია ოჯახის წევრივით გაზრდილი არსება დასაკლავად. სხვა გამოსავალი გვაქვს?

ორი დღის შემდეგ ნიკიფორემ ხარი კალენიკეს ჩააბარა.

– აფსუს! რა ხარია, ბიჭო! ჯანსაღი, მოვლილი და ნაპატიები. მენანება დასაკლავად, ნუთუ ვერაფრით უსაშველეთ? – თქვა კალენიკემ.

– ვერაფრით. კარგი, რა გაეწყობა. – ნიკიფორემ აჩქარებული ნაბიჯით დატოვა კალენიკე. ჭიშკრამდეც კი არ იყო მისული, ხარის განწირულმა ბღავილმა ადგილზე რომ გააქვავა. ისე ბღაოდა, გეგონებოდა დანა გამოუსვეს ყელშიო. კარის ზღურბლთან შეყოვნდა, აცრემლებულმა ღრმად ამოიხვნეშა და გულდამძიმებულმა ლასლასით გასწია შინისაკენ.

კვირა დღე იწურებოდა, მარო მინდვრიდან რომ მოდენიდა ინდაურებს. კალენიკეს სახლთან რომ ჩაიარა, ნაცნობმა ბღავილმა ფეხები შეუბორკა. ეზოში გადაიხედა, მისი ხარი ბღა-

ოდა საწყალობლად. თვითონაც არ იცოდა, რა ძალამ აიძულა ეზოში შესულიყო. ცრემლმორეული მიუახლოვდა ხარს, ხელი მოხვია, მოეფერა. ეხუტებოდა, კოცნიდა და მოსთქვამდა:

– ეს რა დღეში ჩავვარდით, ჩემო ნიკორა, ეს რა დღეში. რა უბედურება გვეწვია, ვინ გაგთვალა. რა გჭირდა შენ სასიკვდილო. რაც სახლიდან წამოგიყვანეთ, კაცს ვეღარ ველაპარაკები. სულ აღრენილია. უბრად ვართ, ერთმანეთის შეხედვის გვრცხვენია. რა ვქნათ, რა მოგიხერხოთ.

ხარმა შეზმუვლა, ხაოიანი ენით სახე აულოკა. მაროს ლოყაზე ნაღვერდალივით ცხელი წვეთი დაეცა. თავი ასწია და გახევდა. ხარს თვალებიდან ღაპაღუპით სცვიოდა ცრემლები. გული კინაღამ გაუჩერდა, რომ არ წაქცეულიყო, კისერზე ჩამოეკიდა, მწარედ აქვითინდა. არ ახსოვს, რამდენ ხანს იყო ასე გახევებული. ბეჭებზე ხელის შეხებამ გამოაფხიზლა.

– მარო, მარო! – ქალის წინ ფერწასული კალენიკე იდგა, ხელში ბაწარი ეჭირა. – მარო, ხარს ვერ დავიტოვებ, ვერ მოვიხმარ მისი სიკვდილით მიღებულ გასამრჯელოს. მეც ადამიანი ვარ და არ მაქვს ქვის გული. არ მეგონა თუ კიდევ რამე გამაკვირვებდა, ვერ წარმოვიდგენდი, ხარს თუ ასეთი ტირილი შეეძლო. – სვენებ-სვენებით ლაპარაკობდა კალენიკე, – ჩემი დაკვირვებით, შეშუპება შეჩერებულია, უფრო შორს არ წასულა, წაიყვანე, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ. – ბაწარი ხელში შეაჩეჩა და სწრაფად გაეცალა.

მარომ ბაწარს მოქაჩა. ხარი თვინიერად გაჰყვა. ცოტა ხნის შემდეგ ქალი შედგა, მობრუნდა და პირუტყვს შეაცქერდა. ხარის სახე ცრემლებს ჩამოერეცხა და ხნულივით დაეტოვებინა კვალი.

– აუცილებლად გიშველით, ჩემო ნიკორა, აუცილებლად. – იმედიანად თქვა ხმამაღლა და ჭიშკარს გასცდა.

მოლაპარაკე კაკლის ხე

მოლაპარაკე კაკლის ხე

– გეყოფა ახლა, გეყოფა, ხვალ გავაგრძელოთ.

– რა გავაგრძელოთ?

– ყოველდღიური მომაბეზრებელი ყოფისა და მცონარების გამო, შეუძლებელია არსში წვდომა. გამოუცნობია ადამიანის შინაგანი ბუნება, სხვისი კი არა, საკუთარი თავის შეცნობაც ჭირს. თმენის უნარის გარეშე შეუძლებელია მოაზროვნე არსებამ რამეს მიაღწიოს. თმენის უნარი ღვთის უდიდესი ნიჭია და ერთ-ერთი უმთავრესი სათნოება, გზამკვლევი ჭეშმარიტების შეცნობის გზაზე.

ზამთრის პირველი თვე იდგა, რბილი, ნაკლებად სუსხიანი. ჟინჟლავდა. ცა ყომრალი. აივნიდან კაკლის ხეს გაჰყურებდა, რომელიც მობუზულიყო, თითქოს სციოდა. შეყვითლებული ფოთლები უსიცოცხლოდ მიციებოდნენ ხის ტოტებს. მერე კი ხან ერთი მოწყდებოდა და ხან მეორე, ხანაც – რამდენიმე ერთად. სიო არ იძვროდა, ფოთლები კი ცვიოდა და ფიანდაზად ეფინებოდა პირქუშ და გრძნობადაკარგულ მიწას. მოხუცი გასცქეროდა ფოთლების ფარფატს და საკუთარ სიკვდილს უმზერდა...

– რამ დაგაფიქრა, ბერიკაცო, სიკვდილზე ფიქრობ? ეჰ, თქვენი სიკვდილი რა სიკვდილია, ერთ დიდ დღესასწაულს ემსგავსება, მუსიკით და ტაშ-ფანდურით გაცილებენ, ზოგი ცრემლსაც გამოგაყოლებს ხოლმე. თქვენ რა გიჭირთ, თუ მოკვდებით, ერთხელ მოკვდებით. მე კი ყოველ შემოდგომაზე ვკვდები. თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ მტკივა შესამოსელისაგან რომ ვიცლები და ვშიშვლდები. როგორ მტკივა მათი ცრემლები. მეც ჭირისუფალივით დავტირი. ეგ კიდევ

არაფერი, შევეჩვიე. რას იზამ, ბუნების კანონია, ღმრთისგან დადგენილი კანონი, რომელსაც ვერავინ შეცვლის. მაგრამ მე ყველაზე მეტად მაინც ის მტკივა, მთელი წლის ნაშრომ–ნაამაგარი ზედ რომ მახმება. კაცი არ გამოჩნდა, რომ ჩამობერტყოს. თუ შენი ნაშრომით არავინ ისარგებლა, ამაოა ეს შრომა, უსარგებლო და მტკივნეული. ხანდახან ყვავი და კაჭკაჭი შემომასხდებიან ხოლმე, დამჩხავიან და დამყრანტალებენ თავზე. სტუმარ-მასპინძლობის წესია, იმათაც უნდა გავუმასპინძლდე. ბუნებაში ზედმეტი არაფერია, ისინიც ღვთისგანაა გაჩენილი, თავისი ხმა და ფერი აქვს და სამყაროსაც უფრო ჰარმონიულს ხდის. ეს ჩემთვის გასაგებია, მაგრამ ჩვენი მოდგმის მთავარი და უმნიშვნელოვანესი ფუნქცია – ადამიანებისთვის სარგებლობის მოტანაა. ეს ზემოდან გვაქვს ნაბრძანები, ჩვენ ვიცავთ ღვთის კანონებს ისე, როგორც დაგვიწესეს. თქვენ კი იცავთ? რა გახდა კაკლის ჩამობერტყვა? ეს ხომ ყველაფერი თქვენთვისაა. თქვენ კი თქვენი სიზარმაცის გამო ჩვენ მთავარ ფუნქციას გვაკარგვინებთ. თუ რას ნიშნავს უფუნქციობა, რაც დრო გავა, კიდევ უფრო მეტად შეიგრძნობ. წეღან მოვკარი ყური, თუ როგორ ებაასებოდი საკუთარ თავს.

– ვინა ხარ, კაცო, შენ, ყურში რომ ჩამჩურჩულებ? – თვალები დააჭყიტა ასაკოვანმა კაცმა. – ვერავის ვხედავ, ჩემ წინ მხოლოდ კაკლის ხე დგას.

– ჰო, მე ვარ, მე, კაკლის ხე. გაგიკვირდა, რომ გესაუბრები? ჩვენ ყოველდღე გესაუბრებით, მაგრამ მხოლოდ ერთეულებს ესმით. შენც იმ ერთეულების რიცხვში ხარ. ა, მოგახსენე ჩემი გულისტკივილი. ხალხი არა ხართ?! ისარგებლეთ ჩემი მოწეული ნაყოფით, თუ არა, ჯავრით მოვკვდები. მოვკვდები და ჩემი სახსენებელიც გაქრება. ან ზეზეულად გავხმები, ან ვინმე დაგვხერხავს და ავეჯად გამოგვიყენებს. ერთს იტყვიან მხოლოდ, კაკლის ძვირფასი ჯიშის მაგიდააო. მე კი ვეღარაფერს ვიგრძნობ. ჩვენ იქამდე ვართ ცოცხალი, სანამ ნაყოფის მოცემა შეგვიძლია. თუ კაცი ხარ, მომავალი წლისთვის იქნებ ვინმე ახალგაზრდა მოძებნო, რომ ჩამოგვბერტყოს და ჩემი ნაშრომით ისარგებლოს. ფესვები გამცვდა ზაფხულში წყლის ძებნაში.

მოიხედე ჩემკენ! ჰო, შენ გელაპარაკები, ნუ გაქვს, კაცო, ეგეთი გაოცებული სახე, მოიხედე და მომისმინე. ერთ კარგ რჩევას მოგცემ – ნუ იჭყლეტ ტვინს ამაოებაზე ფიქრით. აქაო და, აღარ შემიძლია, ფიზიკურად დაუძლურებული ვარო. მერე ვის რად უნდა შენი ფიზიკური შრომა, დაგავიწყდა, რომ ფასდაუდებელ განძს ფლობ?

– კაი ერთი, ნუ გამაცინებ. მერე რა არის ეს ფასდაუდებელი განძი, რომელიც თურმე მე დამვიწყნია?

– შენ რა, მეხუმრები?

– რას გეხუმრები, კაცო! კარგი, რაღამც შენ არ გინდა აღიარო, ან უსაქმურობის თუ თვითგვემის გამო დაგავიწყდა, მე შეგახსენებ – შენი განსწავლულობა და იდუმალი ცოდნა, რომელიც ყოველთვის გაშინებდა. „ცოდნა თან დასდევს მცოდ-ნელსა“... ასაკს არა აქვს მნიშვნელობა.

ახარხარებული კაცი რომ არ წაქცეულიყო, თავის შესაკავებ-ლად აივნის მოაჯირს წაეტანა.

– მაგარი ხუმარა ვინმე კი ყოფილხარ. – სული რომ მოითქვა, მერე ცრემლმორეულმა უპასუხა. – მერედა, ვის რად უნდა ჩემი ცოდნა და განსწავლულობა, ვის გავუზიარო? უცხოები კი არა, შინაურებიც აღარ მისმენენ. მეუბნებიან, ყავლგასულია შენი სწავლებებიო.

– მოიცა, მოიცა, დამშვიდდი და მომისმინე. აბა, გაიხსენე, რა წერია წმინდა წიგნში? კარგი, კარგი, თუ დაგავიწყდა, მე შეგახსენებ: „არ არსებობს წინასწარმეტყველი პატივის გარეშე, თუ არა თავის მამულში, თავისიანებს შორის და თავის სახლში“. ჰა, რას იტყვი?

– კარგი რა, კარგი რა, მნახე მეც წინასწარმეტყველი!

– ეგ მხოლოდ წინასწარმეტყველებზე არ არის ნათქვამი. ეჰ, უმადური გახდით ადამიანები. რამდენი ნიჭი გიბოძათ არსთა განმრიგემ, თქვენ კი უსარგებლოდ ანიავებთ. მე რომ მელაპა-რაკები და ჩემი რომ გესმის, ეს პატარა ნიჭია?! კარგად გაიხსენე წმინდა წიგნი, თუ რა დაემართა ერთი ტალანტის დამმარხველს! – უკმაყოფილო ხმით შეეპასუხა მოპაექრე. მერე თითქოს და-უყვავა და გააგრძელა: – ისე, კარგს იზამ, თუ კიდევ ერთხელ

წაიკითხავ. ბიბლიაში მთელი საღვთო და საკაცობრიო სიბრძნეა თავმოყრილი.

იდუმალი ხმა ცოტა ხანს მიჩუმდა, მერე ტკბილ–ქართულით განაგრძო:

– დღეს გვეყოფა, მეშინია, ნამეტნავად არ დაფრთხე, რავარია მოლაპარაკე კაკლის ხე! როცა მზად იქნები, განვაგრძოთ. ჰა, რას იტყვი, ხვალ რომ გავაგრძელოთ?

აღმოსავლეთის ქარმა კაკლის გაშიშვლებული ტოტები ააჭრიალა და ერთმანეთს შეაჯახა. ობლად დარჩენილი უკანასკნელი ფოთოლიც ფარფატით მოწყდა და ჟრჟოლაატანილი სანამ გაირინდებოდა, კაკლის ხეს ამოხედა საბრალობლად. ასაკოვანი წამოიწია, შუბლი მოიჩრდილა, კორპუსებს მიღმა ცის თაღს შეავლო თვალი, მერე მობუზულმა აივნის კარი გააღო და სანამ პარმაღს გადაკვეთდა, ისევ ფიქრმა გაუელვა: რავარია მოლაპარაკე კაკლის ხე, თანაც ხვალ განვაგრძოთო. ხმა არ დაგცდეს სადმე, მხცოვანო, ისედაც არავის ესმის შენი. თუ არა, ჭკუიდან გადასულად ჩაგთვლიან და ვერც გაამტყუნებ! ჰმ, მოლაპარაკე კაკლის ხე... ესღა გაკლდა...

მხცოვანი ორი დღე არ გაკარებია აივანს, სუსხიანი და ცივი დღეები იდგა. მესამე დღეს მზემაც გამოანათა და ისე უჩვეულოდ დათბა, გაზაფხულის მოახლოებისას რომ იცის ხოლმე. აბეზარმა ბუზებმაც კი გამოყვეს თავი და რეტდასხმულივით ბზუოდნენ. მხცოვანმა მოაჯირთან სკამი მიაჩოჩა, იდაყვებით დაეყრდნო, თავი ხელებში ჩარგო და მზერით ჩამოუარა უსახურ, აჩონჩხილ კორპუსებს. ბოლოს კაკლის ხეზე შეაჩერა მზერა, რომლის გაბურდულ ტოტებში მცხუნვარე მზე გაჩხერილიყო.

– მშვიდობა შენს მოსვლას, მომეწყინა უშენოდ. ისევ სიკვდილზე ფიქრობ, კაცო? – ჩაესმა ყურში მოხუცს. – მესმის შენი, ასაკმა და ჭარბმა დრომ იცის. სიკვდილი რთული ფენომენია. ვის შეუძლია მისი ახსნა? სიკვდილი ყველა ხორციელს აფრთხობს და აშინებს, ყველა გარდაუვალის მოლოდინშია. მხოლოდ მართალს და სულით ძლიერ მორწმუნეს არ ეშინია სიკვდილის. ზოგი ესწრაფვის კიდეც. წმინდა მამა პაისი სამედიცინო გამოკვლევაზე იყო, იქიდან გამოსულს უთხრეს, კიბო

დაგიდგინესო. როგორც იქნაო, – ასე უთქვამს წმინდანს. ურთულესია რწმენაში შესვლა და ურთულესია ამ გზაზე სიარული. ღვთის შეწევნის გარეშე შეუძლებელია ჭეშმარიტი სარწმუნეობის მოპოვება. კაცობრიობის უმეტესი ნაწილი ეჭვნარევი რწმენით ცხოვრობს და ამაშია მათი უბედურება. თუ არ გწამს, არ გჯერა, ლოცვას მადლი არ მოჰყვება. უმადლოდ ცხოვრება კი ტანჯვას გაგიმრავლებს.

– შენ როგორ გგონია, არ მიფიქრია მაგაზე? ადვილი გგონია ლოცვა? მე რომ მკითხო, ამ გზაზე ლოცვა ურთულესია. როგორია, დაივიწყო ყოველივე, როცა ხორცში ხარ და როცა ხორცი ზეობს შენზე. ავისმქმნელიც ხომ ყოველთვის გვერდზე გიდგას, პირველი ფრაზის წარმოთქმისთანავე უკუღმართ აზრებს შემოგისევს. მოდი და გაუძელი, თუ ბიჭი ხარ! მიძინებული სნეულებებიც მაშინ წამოყოფენ თავს და ამქვეყნიური საზრუნავებიც ყელში გწვდებიან.

– ახალი ამბავი! აბა შენ რა გეგონა, ამ გზაზე სიმშვიდისა და მოთმინების გარეშე ვერაფერს მიაღწევ. ახლა ასაკიც ისეთი გაქვს, ხორცზე მეტად სულზე უნდა ზრუნავდე.

– შენ რა, სასიკვდილოდ მამზადებ?

მოპაექრეს გაეცინა.

– მეგობარო, კაცი ყველაფრისთვის მზად უნდა იყოს. არავინ იცის მაგ წუთის შესახებ, მაგრამ სანამ პირში სული გიდგას, სულ უნდა იღვაწო. ხომ იცი, შენი განძსაცავი ზეცაშია, იქ უნდა აგროვო. აქ ნაგროვები ქარისაა და ქარს მიაქვს, იქ არ წაგადგება და ვერც გამოიყენებ, ასე წერია წიგნთაწიგნში. კი, გაუთავებელი წინააღმდეგობები მყუდროებას და სიმშვიდეს გირღვევს და მოუსვენარი ხდები, მაგრამ ცხოვრება ხომ წინააღმდეგობების დაძლევაშია. აღიარე, ბოლომდე რომ დახარჯულიყავი და არ გეზარმაცა, არც თავის მართლება დაგჭირდებოდა. თავის მართლებამ დაღუპა ადამი და კაცთა მოდგმა და მის ნაყოფს დღემდე იმკის. ხოლო ხვალ რაც იქნება, ის ხვალემ იცის. წუთისოფელში მოვლინება უდიდესი პატივია და ამასთანავე ყოველდღიური მუხლჩაუხრელი, გაუთავებელი ბრძოლა. კიდევ ერთხელ გიმეორებ, იბრძვი? ესე იგი, ცოცხალი ხარ. უმოქმედო

და უშინაარსო კაცი ცოცხალი ლეშია – „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოსო“.

– ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ კაკლის ხისგან მოვისმენდი ქადაგებას. შენ როგორ ფიქრობ, ახალი მითხარი რამე?

– ახალი არა, შეგახსენე. რა უნდა თქვა ახალი, ყოველივე ახალი მივიწყებული ძველიაო. წყლის წვეთისა და ქვის ამბავიც მოგეხსენება, სათნოებებით სავსე სიჯიუტით ყველაფრის მიღწევა შეიძლება. სიზარმაცემ არ დაგრიოს ხელი, მოჭარბებულმა დრომ იცის ხოლმე ასე.

– მოდი რა, ნუ შემომიჩნდები!

– ეგ არის და შემოგპარვია სიზარმაცის სენი.

– კაცო, არ შეგიძლია ცოტა ხანს მარტო დამტოვო? ჩრდილში მინდა ყოფნა.

– ეგ შეუძლებელია და არც არასდროს მოხდება. ადამიანს ვერანაირი საბურველი ვერ დაიფარავს, ის სულ სცენაზეა და შიშველი. ვერც გაიქცევი და ვერც დაიმალები. ვინ გაქცევია საკუთარ თავს? ასეა ეს, ვერ მიხვდი? მოგიმწიფდება გონება და მიხვდები!

კაცმა გადაიხარხარა.

– ჩემს ასაკში მოუმწიფებელი გონება?

– ასაკს რა მნიშვნელობა აქვს?!

– მაშ, რას აქვს მნიშვნელობა?!

– იმას, რომ შენი გონება სულიერად ჯერ კიდევ მოუმწიფებელია და სანამ სული ხორცშია, უნდა წვრთნა.

– ურთულესია სულისა და ხორცის ურთიერთდამოკიდებულება. ჩემზე დიდ მოაზროვნეებს უმტვრევიათ ამაზე თავი. ჯორდანო ბრუნოს აქვს ნათქვამი: სულის განშორება სხეულთან ისეთივე მიუწვდომელი საიდუმლოებაა, როგორც სულისა და ხორცის მთლიანობა.

– თავის გამართლებას ნუ შეეცდები და სხვის გამონათქვამებს ნუ ამოეფარები. ყველა საიდუმლოს ვერ ჩაწვდები, ზოგი ისე უნდა ირწმუნო, როგორც ჯვარზე გაკრულმა ავაზაკმა ირწმუნა. თომას ეჭვი შეეპარა, ავაზაკმა კი მეყსეულად ირწმუნა. აი, ამას ჰქვია სულის სიმწიფე. დაბრკოლებების გამო ხელი არ უნდა

ჩაიქნიო. თუ გექნება მონდომება და მისწრაფება ჭეშმარიტებისკენ, აუცილებლად დაგეხმარებიან ზემოდან. შენ კარგად მოგეხსენება, რომ არაფერი ისე არ ვნებს ადამიანის სულს, როგორც უფუნქციობა და მცონარობა. ის არა მარტო სულს, ხორცსაც აძაბუნებს. სულის ამოხდამდე უნდა გაურბოდეს ადამიანი ამ ვერაგ სენს, როგორმე უნდა განთავისუფლდე მისი მომაკვდინებელი კლანჭებისაგან.

– როგორ, კაცო! მხცოვანებას მიღწეულმა კაცმა რაღა ქნას? ის ხომ ფიზიკურად ძაბუნდება.

– თუ ცხოვრების პრინციპად გაიხდი იმას, რომ შენი მთავარი არსი და არსობა სიკეთის ქმნაა, წინააღმდეგობებსაც დაძლევ და ვერც ვერაფერი შეგაშინებს. სიკეთის ქმნა სულის ნიჭია და მასზე ხანდაზმულობა არ მოქმედებს. მისი ქმნა და გაკეთება ყველა ასაკში შეუძლია კაცს, სიტყვით თუ საქმით.

ასაკოვანი ფეხზე წამოიწია. მზე უკვე შემაწუხებლად აცხუნებდა, შუბლი მოიჩრდილა, ისევ კაკლის ხისკენ გაექცა მზერა.

– ფიქრებთან ომს, თავის მტვრევას და ჯანყს გირჩევნია შეეშვა, სანამ მთლად არ დაგაძაბუნა და უიმედობის უფსკრულში არ გადაგჩეხა. რა გითხარი წეღან, საოცარ ნიჭს ფლობ–მეთქი. ბავშვობიდან მოგყვება. გეშინოდა ამ ხმების და ყოველთვის გაურბოდი. ახლა რისი გეშინია, საშიში სიკვდილი კი არა, გამოუყენებელი ნიჭის დასამარებაა. დაუყოვნებლივ უნდა წახვიდე სოფელში!.. შენ გესმის ბუნების ხმა, ეს ღვთის დიდი ნიჭია. გიკარნახებენ, თუ როგორ უნდა მოიქცე და ისე გააკეთე. ეს იქნება დიდი სიკეთე, საწინდარი არა მარტო შენი სოფლის, არამედ მთელი სამყაროს კეთილდღეობისა და ლამპარი საუკუნო ცხონებისა.

– ეს უკვე მეტისმეტია! რაო, მთელი სამყაროსიო?!

– ჰო, მთელი სამყაროსი. სულ მალე საყოველთაო შიმშილობა დაიწყება. შენ უნდა უშველო, წადი სოფელში! წადი სოფელში! წადი სოფელში!..

– ბაბუ! ბაბუ! – ჩაესმა ყურში, მერე მსუბუქი შეხებაც იგრძნო მხარზე მხცოვანმა და თვალები გაახილა. აქეთ–იქით მიმოიხედა, ჯერ კიდევ ბურუსში მყოფმა კარგად ვერ გაარკვია, თუ სად იყო.

– ბაბუ! მატარებელი აქ ცოტა ხანს ჩერდება, უნდა მოვასწროთ ჩასვლა.

ბაბუა წამოიწია, შვილიშვილმა მკლავში ხელი გამოსდო და მატარებლიდან ჩამოვიდნენ.

– ჰა, რას იტყვი, ბაბუ, გავექეცით ვითომ ვირუსს?

– ვირუსი, ბაბუ, ჩვენ რას დაგვაკლებს. სად გვცალია მაგისთვის, როცა მთელი მსოფლიო გვყავს გადასარჩენი.

– მოიცა, მოიცა, დაოკდი, სად გეჩქარება, ყმაწვილო! ნუ გარბიხარ! ერთი ეს მიპასუხე, მოლაპარაკე კაკლის ხე თუ შეგხვედრია სადმე? ჯერ არა? გაოცდი? ჯერ სად ხარ, ყველაფერი წინ გაქვს.

გახევებული, წარბებამდე თვალაზიდული შვილიშვილის შემხედვარემ გულიანად გადაიხარხარა, ყმაწვილს ბეჭზე ოდნავ უბიძგა და სოფლისკენ მიმავალ გზას გაუდგნენ.

მოხუცის ხარხარი სადგურის წინ ამოზრდილ ასწლოვან კაკლის ხესაც გადაედო, ერთი ჩაიცინ–ჩაიფრუტუნა, სამოსშემოძარცვულმა ღრმად ამოისუნთქა და ტოტების ტაშსმიმსგავსებული ტკრციალით გააცილა სოფლისკენ მიმავალი გახალისებული ბაბუა და შეცბუნებული შვილიშვილი.

ᛁᛚᛁᛏᛋᛁ ᛏᛁᛋᛁᛏᛋᛁ

თეთრი მტრედი

ვუძღვნი ქუჩის მუსიკოსებს

– წავედით ლუკა, წავედით. ადექი! დღეს ცხრასართულიანი კორპუსების წინ უნდა მოვაწყოთ სანახაობა. გუშინ დავათვალიერე. შენ ჯერ იქ არ ყოფილხარ. ეზო ოთხივე მხრიდან შემოსაზღვრულია კორპუსებით, რომლებიც საბრძოლო გოდოლებს წააგვანენ. შუაში, შემაღლებულ ადგილას, სასპორტო მოედანია – ბუნებრივი ავანსცენა. თავისი პარტერით, ლოჟებით და ქანდარებით. ამდენი მაყურებელი „როიალ ალბერტ ჰოლსაც“ კი არ დაესიზმრება. მქუხარე აპლოდისმენტებზე ოთხივე მხარეს მოგიწევს თავის დახრა. რას იტყვი? – ღიმილი არ შორდებოდა ახალგაზრდა ქალს სახეზე, – სხვა თუ არაფერი, ოცნება ხომ მაინც შეგვიძლია. ვცადოთ, ხანდახან ოცნებებიც ხომ ხდება და თუ იღბალიც გვერდზე დაგვიდგა, აუცილებლად მივაღწევთ მიზანს, – ცოტა ხანს შეყოვნდა, ჩაფიქრდა, მერე თავი ჯიუტად გადაიქნია და შემართებით განაგრძო, – კი, ბატონო, რთული სიტუაციაა, ყველას უჭირს, ვერაგი სენი არავის ინდობს, ყველანი სახლებში გამოიკეტნენ, მაგრამ გულხელდაკრეფილი ხომ არ ვიქნებით? სანახაობა მოვუწყოთ, ჩემო ბატონო, გავართოთ და იქნებ მცირედით მაინც მოვწყვიტოთ დამთრგუნველ ერთფეროვნებას, გამოვუკეთოთ გუნება–განწყობილება, გავახალისოთ. დარწმუნებული ვარ, მადლიერების ნიშნად ჩვენს შრომას სათანადოდ დააფსებენ. შენ რას იტყვი? – თითქოს ეჭვი შეეპარა თავის ნათქვამში. თვალები მეუღლეს შეანათა და გამხნევების მოლოდინში გაილურსა. პასუხმა რომ დააგვიანა, ნაღვლიანი ხმით

დააყოლა, – ბევრს ხომ არ ვითხოვთ!... არა, არა გული კარგს მეუბნება, – ისევ მხიარული ნოტები გაკრთა ხმაში, – ცოტაც და ღვთის შეწევნით საჭირო თანხასაც მოვუყრით თავს და მერე კი სოფლისაკენ ჰერი, ჰერი! გესმის ჩემი? ტყუილად ვილაპარაკე ამდენი? გამოიღვიძე, შე ძილისგუდა!

ეკა მეუღლეს ლოგინთან ჩამოუჯდა, თმა მოუჩეჩა და ლოყაზე ეამბორა. ლუკა წამოიზლაზნა, ათივე თითით გაბურძგნული ქერა თმა მოიქექა, ცოლი მკლავებში მოიქცია და გულში ჩაიკრა.

– როგორ არის ჩვენი პატარა? ხომ არ შეუწუხებიხარ ღამე? ჰა? – მერე მეუღლეს წამობერილ მუცელზე ხელი ფრთხილად მოუსვა, ეამბორა და ფეხზე წამოვარდა.

ძალზე უყვარდათ ერთმანეთი და მიუხედავად სიდუხჭირისა სიცოცხლით ხალისობდნენ.

– გოგო თუ ბიჭი? ა, იქნებ გოგოც და ბიჭიც? – გულში გაიფიქრა ლუკამ, – რა მნიშვნელობა აქვს? შვილი მეყოლება, შვილი, მაგრამ მისი ადგილი აქ, ამ სოროში არ იქნება, – დაექადნა უხილავს, – რაღაც უნდა შევცვალოთ, ჩემო ლუკა, ზოზინის დრო სად გვაქვს!

ლუკა ფიქრებიდან მეუღლის ხმამ გამოიყვანა.

– გესმის, წუხელ უცნაური სიზმარი ვნახე. ძილში თეთრი მტრედი გამომეცხადა, თოვლივით თეთრი. ჩემ წინ ფრთებს ატკრციალებდა, მერე თავზე შემომიფრინა და მხარზე დამასკუპდა. რას უნდა ნიშნავდეს? ხომ ამბობდი, ბებიაჩემი სიზმრების კოლექციონერი იყოო. იქნებ ახსნაც იცოდა?

– დიდი ფანტაზიორი იყო ბებიაჩემი, რას არ მოჰყვებოდა, შემოიფრენდა მიწიერ და ზეციურ სამყაროს და ჰყვებოდა და ჰყვებოდა დაუჯერებელ ამბებს, მაგრამ ჩემი რა მოგახსენო, არც რა მესიზმრება და არც მჯერა მისი. ყურადღებას არ ვაქცევ, იშვიათად თუ რამე დამესიზმრება.

– შენ რაც გინდა, ის თქვი, მაგრამ მე მტრედის ღუღუნმა გამომაღვიძა. ისევ სიზმარში მეგონა თავი. სიზმრიდან გადმოსული თეთრი მტრედი თავისი წითელი ფეხებით ჩვენს ფანჯრის წინ დაპაკუნობდა.

ლუკა ნაამბობმა ჩააფიქრა, მაგრამ არაფერი უთქვამს. სასწრაფოდ გადაიცვა სამოსი, მიკროფონსა და ხმის გამაძლიერებელს ხელი წამოავლო და მეუღლესთან ერთად ეზოსკენ გასწია. სანამ ეზოში გამოვიდოდნენ, მეუღლეს გაცისკროვნებულ თვალებში ჩახედა. ზღვასავით უძირო და ცასავით კრიალა თვალებმა მისი სახე აირეკლა, გრძნობამორეული მოეხვია და თვალები ამოუკოცნა.

– წავედით, ლუკა, წავედით! დაიღალა ხალხი ლოდინით, – მხიარულად გადაიკისკისა ეკამ, მეუღლეს ხელი გამოსდო და ხმაურიანი ქალაქის მდინარებას შეერივნენ.

თავდავიწყებით, არაამქვეყნიური ხმით მღეროდა ლუკა. თითქოს არც არსებობდა, თითქოს უმცირეს ნაწილებად გაბნეულიყო ეთერში, ყველაფერში იყო: ქვაში, მცენარეებში, ყვავილებში, ჩიტების გალობაში, თვითონ კი არა სამყარო მღეროდა, და ამ სამყაროში მხოლოდ ერთი ხატება ციალებდა მის თვალწინ – სიცივისაგან აბუზული მუცელგამობზეკილი საყვარელი არსება. მალე შვილი გაგვიჩნდება, ნეტავ რა გრძნობაა მამაშვილური გრძნობა?! გაიფიქრა ლუკამ. მომაჯადოებელი მელოდია და ზარივით წკრიალა ხმა არემარეს მოედო და კორპუსის ფანჯრებსაც გაეალერსა. აქა-იქ სარკმლებიც გაიღო და ხურდა ფულიც გაჟღრიალდა ასფალტზე. ზოგი ცელოფნის პარკებში ახვევდა და ისე ისროდა. სიცივისაგან აწურულ ეკას თითებამდე ჩამოეწია ჯემპრის სახელო და მორცხვად კრებდა მოწყალებას. თავდავიწყებიდან ლუკა ეკამ გამიყვანა.

– გეყოფა, ლუკა, გეყოფა! ამ კეთილმა ხალხმა რისი გაცემაც შეეძლოთ უკვე გასცეს. იქით ერთი ხუთსართულიანი კორპუსია, იქაც მოვსინჯოთ.

– კარგი, ჩემო ანგელოზო, იქაც მოვსინჯოთ, – მერე მოეხვია, დალურჯებული თითები მოუსრისა და ხელგადახველებმა მომიჯნავე კორპუსისკენ გასწიეს.

კორპუსს სიმწვანეში ჩაფლული პატარა ბაღი ამშვენებდა. ზაფხულში, სიცხისაგან გათანგული მობინადრეებისათვის შვების მომგვრელი. ბალახებისა და ყვავილების სურნელით გაჯერებულიყო მიდამო. მიუხედავად უჩვეულო სუსხიანი მაისისა,

ბუნება ბავშვივით ცელქობდა. თავდავიწყებაში გადავარდნილი შაშვი არამიწიერად და ჟრუანტელის მომგვრელად გალობდა.

– ეკა, გესმის? ამაზე უკეთესს რას მოისმენს ადამიანი, არ მინდა დავაფრთხო. შენც ნუ დააფრთხობ, გაეჯიბრე...

– შაშვს?

– ჰო შაშვს!

წლებისაგან მხრებჩამოშვებული და თმაგათეთრებული მათე ტელეფონით საუბრობდა. შორეთიდან გარკვევით ისმოდა ახალგაზრდა კაცის ხმა:

– მათე ძია, ჩვენ მზად ვართ! უბანში მშენებლობის მცოდნე ბიჭებს მოვუყარე თავი. დაფინანსება გვჭირდება და შევუდგებით საქმეს. ათ დღეში შევაკეთებთ სახლის დაზიანებულ მხარეს და შეგეძლებათ მშვიდად გაატაროთ მთელი ზაფხული შვილიშვილებთან ერთად. ხომ ამბობდი, ბავშვები სოფელში ჯერ არ ყოფილანო, სამყარო სოფლიდან უნდა გავაცნოო. ა, ბატონო, ათ დღეში ყველაფერი დამთავრდება, თუ ფულს დროულად გამოგვიგზავნი.

– კეთილი, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო. მეც მზად ვარ, საჭირო თანხა მოგროვილი მაქვს და ხვალ უცილობლად მოგაწვდით. დიდი მადლობა ყურადღებისთვის. ჩამოვალ და დანარჩენი მერე ვილაპარაკოთ.

– როგორც იქნა ეს საქმეც დაიძრა! – შესძახა გამხიარებულმა ბაბუამ და ხელები მოიფშვნიტა, – რას გაიხარებენ ბავშვები! წარმოგიდგენია? ცოცხალი ქათამი არ უნახავთ, არც მამლის ყივილი გაუგონიათ.

– ბაბუა, ბაბუა! – შემოესმა ბავშვების ძახილი, – რამდენი ხანია გელოდებით, ხომ არ დაგავიწყდა, დღეს წიქარას ვკითხულობთ.

– ბაბუ, მაგას რა დამავიწყებს, ახლავე წაგიკითხავთ.

პატარები ყურადღებით უსმენდნენ ბაბუას და ნელ-ნელა იმეცნებდნენ სამყაროს, მის ავკარგიანობას. წიქარასა და ბიჭის ამბის თხრობისას ცრემლი ადგებოდათ დედინაცვლის გულქვაობაზე. უჭირდა ბაბუას ბავშვებისათვის აეხსნა ვინ იყო დედი-

ნაცვალი, რას წარმოადგენდა სიკვდილი და ასეთ ადგილებს გამოტოვებდა ხოლმე. პატარებმა მხოლოდ ბოროტი და კეთილი დაიმახსოვრეს. კითხვისას, როცა დედინაცვალს მიადგებოდნენ, ბავშვები ერთხმად წამოიძახებდნენ:

– ბოროტია, ხომ, ბაბუ. ისეთი, რაპუნცელში რომ დედა-ბერია, ხომ?

ახლა უკვე იმ ადგილს მიადგნენ, თუ როგორ შესჩიოდა ბიჭი მერცხალს და ევედრებოდა სალამურის მოტანას:

„საით მიფრინავ, მერცხალო
გულთეთრო, მსუბუქფრთიანო,
მინდორში იცი ალვის ხე?
ცივნი წყარონი დიანო,
პეპლებიც იქა სხდებიან,
ტურფად ჭრელ ფრთებსა შლიანო,
შეეყრებიან ჩიტები,
სიმღერით დატკბებიანო“.

ეზოდან ისეთი საამო, ჩიტების გალობას შეზავებული მელოდია შემოესმა, ბაბუამ წიგნი სასწრაფოდ დახურა, ფეხზე წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა. ბავშვებიც წამოცვივდნენ, ბაბუას კვალს მიჰყვნენ და გვერდით ამოუდგნენ. მერე სკამები მოიმარჯვეს, ზედ შესკუპდნენ და ცხვირი ფანჯრის მინას მიაჭყლიტეს. მაღალი, ტანხმელი, ქერათმიანი ახალგაზრდა მღეროდა ნაღვლიან მელოდიაზე. გამორჩეული ტემბრის ხმა ჰქონდა. ასეთი სიმღერისათვის ნამეტანი ახალგაზრდა ხარ, ყმაწვილო, გაიფიქრა ბაბუამ. თითქოს მისი შეისმინაო, მალე ნაღვლიანი მელოდია უფრო მხიარულმა შეცვალა, ხმაც უფრო წკრიალა და სუფთა გაუხდა. ასეთი მომენტალური გარდასახვა გაუკვირდა ბაბუას. მომღერალი შიგადაშიგ ისეთს შემოსძახებდა, ფანჯრის მინებს ზრიალი გაჰქონდა. თავდავიწყებული, საწუთროს სრულიად მოწყვეტილი ახალგაზრდა მიღმიერში გადასულიყო. შაშვის ჭახჭახმა დააბრუნა საამქვეყნოს, რომელ-

მაც მომღერალს წინ ჩამოუქროლა და ფიჭვს კენწეროზე მოექცა. ბიჭი გაოგნებული უსმენდა შაშვის საოცარ გალობას.

– მოდი და გაეჯიბრე თუ ბიჭი ხარ. ზეცის ანგელოზია შაშვად ხორცშესხმული, – გაიფიქრა ბიჭმა.

ბაბუას ყურადღება მომღერალივით ტანთხელმა კაფანდარა გოგომ მიქცია, რომელიც წინ და უკან მიმოდიოდა და ფანჯრებს შესცქეროდა. სიცივისაგან მობუზული, გალურჯებულ თითებს მალიმალ ისრესდა და წამობზეკილ მუცელს სათუთად ეალერსებოდა. ძალიან სციოდა გოგონას. შვილიშვილები განაბული უსმენდნენ და ცნობისმოყვარეობით შესცქეროდნენ ახალგაზრდა წყვილს. მოხეტიალე ცივი ქარი მსუბუქად ჩაცმულ გოგონას სამოსს ტანზე აკრავდა, თმას უწეწავდა და სახეს მთლიანდა უბურავდა. ამაოდ ცდილობდა თავის შერხევით თმები გაესწორებინა. ნუკრისთვალება, დროდადრო წყლიანი თვალებით ფანჯრებს შემოირბენდა და მერე მორცხვად დაბლა ხრიდა. კანტიკუნტად გადმოცვივდა ხურდა ფული. ბაბუა შეძრა ნანახმა. შვილიშვილის ხმამაც ცეცხლი წაუკიდა.

– ბაბუ, ნახე როგორ ცივა, ხელთათმანებიც კი არ აქვს. ხომ არ ჩავუტანოთ, რატომ მღერიან ბაბუ ქუჩაში? ბაბუ, ქუჩა სცენაა?

– ჰო, ბაბუ, ყველაზე დიდი სცენაა, ყველაზე დიდი! – ბავშვები თვალს არ აშორებდნენ მომღერალს. მობუზული გოგონას ანგელოზის სადარ თვალებში ცრემლი კიაფობდა, – პატარებო, თქვენ აქ დამელოდეთ, ფეხი არ მოიცვალოთ, მე ახლავე დავბრუნდები.

ბაბუა მეორე ოთახში გავარდა და ცოტახნის შემდეგ ახალგაზრდასავით მკვირცხლად დაეშვა კიბეზე, პირბადეც კი არ გახსსენებია. ღელვაშეპარული გოგონას მიუახლოვდა და საკმაოდ მოზრდილი სავსე კონვერტი გადასცა. უნდოდა რაღაც ეთქვა. პირგამშრლმა სიტყვაც ვერ დაძრა. აცრემლებული გოგონა წინ წამოიწია, მოხუცს თავისი წყაროსავით ანკარა თვალებით შეაცქერდა და მერე გულში ჩაეკრა. ცრემლი ღაპაღუპით მოსდიოდა. ტიროდა მოხუციც, გულდამწვარმა თავზე ხელი გადაუსვა და ყურში ჩასჩურჩულა:

– ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება, სიყვარულის

მძლეველი არ არსებობს. გაუფრთხილდით ერთმანეთს, – მეტის თქმა ვეღარ მოახერხა. წასვლისას კიდევ ერთხელ შეხედა, შემობრუნდა და რამდენადაც შეძლო, მხრებში გამართული, მადლმოსილი სახით კიბეს მხნედ აუყვა.

გარინდებიდან გოგონა უცნაურმა ღუღუნმა გამოიყვანა. ეს ხმა სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა. გაოცებულმა ჯერ გახევებულ ქმარს გახედა, მერე ზეცას. ცრემლით გაკვალულ ბილიკებზე მომაჯდოებელი ღიმილის ათინათები აციაგდა. გაცხადებულმა ზმანებამ წყვილს რამდენჯერმე შემოუფრინა, მერე ფრთების ტკრციალით ზეცაში აიჭრა და სულ მალე თვალსაწიერიდან გაქრა...

2021 წელი, თბილისი

ბოლო გაკვეთილი

ბოლო გაკვეთილი

იწვა გაყურსული და საკუთარ გულისცემას უსმენდა, რომელიც ონავარი ბიჭივით ხან თავდაუზოგავად გარბოდა, ხან ოჩანი ცხენივით მიჩანჩალებდა და ხანაც სულის მოსათქმელად ჩერდებოდა. ამ დროს სნეულს სუნთქვა უნელდებოდა და შიშით შეჰყურებდა მონიტორს.

– ჰე, ბიჭო, რა დროს გაჩერებაა, უამრავი საქმე მაქვს დასამთავრებელი. ბოლო გაკვეთილიც ჩასატარებელი მაქვს, ბავშვებთან გამომშვიდობების გარეშე არსად ვაპირებ წასვლას. ინამუსე და მშვიდად განაგრძე სვლა. შენი გაჩერება სიკვდილია, გინდა სიკვდილი?

– დავიღალე, – შემოუბუზღუნებდა გული და ისევ ტაატით აგრძელებდა გზას.

– ეჰ, გაილია წუთისოფელი. მომაბეზრებელი ერთფეროვნების გარდა აღარაფერი ჩანს. არა, არა, ჯერ არ ვარ მზად წასასვლელად, – შეუძახა თავის თავს. მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა ღიმილი მაინც გაუკრთა, – ჰმ, ნეტავ ვინ არის მზად მარადისობაში გადასვლისთვის.

ორი საათია, რაც მოიყვანეს, ინტენსიურ პალატაში გამოუძებნეს ადგილი. საქმიანად, ჩქარი ნაბიჯებით დადიოდა მედპერსონალი, ხან ერთ ავადმყოფთან მივიდოდნენ და ხან მეორესთან. შიშმა გაჰკრა, მეტად ახალგაზრდები იყვნენ, რთული, საპასუხისმგებლო საქმიანობისთვის. სტუდენტებს ჰგვანდნენ. მასაც მიაკითხეს, მიესალმნენ, გაუღიმეს.

– ბაბუ, პერანგის მარჯვენა სახელო აიწიეთ, ვენაში „პეპელა“ უნდა ჩაგიდგათ.

გაუკვირდა, მაგრამ ხმა არ ამოუღია, მორჩილად გაუწოდა მარჯვენა. თან გაიფიქრა:

– ბიჭო, ეს „პეპელა“ რაღა უბედურებაა, ან ეს ბავშვი ვენას როგორ მოძებნის!

– ბაბუ, არ შეგეშინდეთ, ერთ წუთში ჩავდგამ, – გოგონა თითქოს ნაფიქრალს მიუხვდა,

– შვილო, გამაგებინე, პეპელა რა უბედურებაა.

– აი, ბაბუ, ესაა პეპელა, – გოგონამ რაღაც მცირე ზომის მოწყობილობა აჩვენა, – ამის ფუნქცია ისაა, რომ წამდაუწუმ ვენაში არ გიჩხვლიტოთ.

შვილიშვილის ტოლა იყო, კაფანდარა და ცქრიალა.

– ალბათ, სტუდენტი ბრძანდებით, შვილო.

– კი, ბაბუ, სტუდენტი ვარ. აქ პრაქტიკას გავდივარ. მარტო თქვენ კი არა, ყველას შიში აქვს თვალებში ჩამდგარი. თავ-დაპირველად მეც მეშინოდა, ხელები მიკანკალებდა. ჩვენი სიმშვიდე გადამდებია, სიმშვიდე ყველაზე კარგი წამალია, დამერწმუნეთ, ყველაფერი კარგად იქნება, – თქვა ღიმილით და ოსტატურად ჩაუდგა მოწყობილობა. მერე გულმკერდზე რაღაც საწოვარას მსგავსი რეზინის ბურთულაკები დაუმაგრა, წელზე ღვედით ოთხი თითის ტოლა ასანთის კოლოფის მსგავსი სადენებიანი ნივთი შემოარტყა, მონიტორს შეუერთა და წელში გასწორდა, – გულის მონაცემები ეკრანზე გამოისახება და ყურად-ღებით დავაკვირდებით. რაც ნაკლებს ინერვიულებთ, მით მალე გამოკეთდებით. ახლა ექიმი გნახავთ, ისტორიაა შესავსები. – თეთრხალათიანი ფრთხილი ნაბიჯით გაშორდა. როგორ უხდება ღიმილი, არფერი ისე არ ამშვიდებს ადამიანს, როგორც იმედი-ანი, გულწრფელი ღიმილი.

– ჰმ, არ ინერვიულოო, სათქმელად ადვილია, პატარავ. არა, არა, სად მაქვს წოლის დრო! ცოტაც გეცლია, შე დალო-ცვილო, უნდა იყოჩაღო, მოინდომო, – მიმართა ისევ გულს, – ნუ ფართხალებ მახეში გაბმული ჩიტივით. ხომ გაიგონე, რა თქვა იმ გოგომ – სიმშვიდეო, ჰოდა, დამშვიდდი. აქედან როგორმე უნდა გავაღწიოთ. ბოლო გაკვეთილსაც ჩავატარებ და კიდეც დამთავრდება ჩემი პედაგოგიური საქმიანობა. ეჰ, ბავშვების-

თვის რამდენი რამე მაქვს სათქმელი. უნდა დამაცადო. დამეხ-მარე, მირჩიე რამე, მითხარი, რით დავიწყო, ძალიან ვღელავ, არ მინდა რამე შემეშალოს და შევრცხვე. რა იქნება მთავარი სათქმელი? რა, რა, მითხარი. ხო, გავიგე, რა თქმა უნდა, ჩემი ბედკრული ქვეყანა.

ყველა ქართველს ახსოვს ყორღანაშვილის ღალატი. ბევრმა იცის ლიპარიტ ბაღვაშის ამბიციურობა, პატივმოყვარეობა და გამუდმებული ბრძოლა ერთიანი საქრთველოს წინააღმდეგ. არც შადიმან ბარათაშვილი დავიწყებიათ, მაგრამ ვინ აღრი-ცხავს ქვეყნის მოღალატეთა იმ ურიცხვ ლაშქარს საქართ-ველოს საჯიჯგნად რომ შემოსევია. გაგიგიათ სადმე ასეთი ავადმყოფური, შლეგური, სასტიკი ბრძოლა ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად, რომელსაც ქვეყნის მომავალი ეწირება და გადაგვარება-გადაშენებით გვემუქრება?! აკი გვიწინას-წარმეტყველებენ ჩვენი კეთილმოსურნეები – ორმოცდაათ წელი-წადში თქვენი ბურდღა აღარ იქნებაო. ნურც მოციქულ პავლეს სიტყვებს დაივიწყებთ: „მაგრამ თუ ერთმანეთს კბენთ და ჭამთ, ფრთხილად იყავით, შეიძლება სულაც ამოჭამოთ ერთმანეთი“. ასეთია დღევანდელი საქართველოს ყოფა, – სნეული ცოტა ხანს ჩაფიქრდა, – მგონი ასე არ გამოვა, ასე ხომ ბავშვებს შევაშინებ, ასე ხომ გული გაუტყდებათ, მომავლის იმედი დაეკარგებათ. არადა, რეალური სურათი ასეთია. არა, არა, ასე არ ივარგებს. ცოტა უნდა შევარბილო. ახალგაზრდებო, არ შეშინდეთ, უარესი დღეებიც ჰქონია ჩვენს ქვეყანას, მაგრამ საშველი ყოველთვის გამოჩენილა. არ შეშინდეთ, მშიშარა კაცის გაკეთებულ საქმეს ხეირი არასოდეს მოჰყოლია. თქვენზე ძალიან ბევრი რამაა დამოკიდებული, თქვენ ხართ ხვალინდელი დღე, თქვენ ხართ ქვეყნის მომავალი, – გულზე უმწვავესმა ჩხვლეტამ ფიქრი შეაწყვეტინა, თავი შემოაბრუნა და მონიტორს გახედა. წნევა ზევით მიიწევდა, – ერთი რამ იცოდეთ, გამოუვალი მდგომარე-ობა არ არსებობს. მივმართავ პოლიტიკურ ძალებს, რომლებმაც ქვეყანა ამ მდგომარეობამდე მიიყვანეს: თქვე დალოცვილებო, თუ თქვენი მიზანი ქვეყნის განვითარებაა, სხვის დაკრულზე ცეკვით არაფერი გამოვა, არც სხვისი მოიმედეობა ივარგებს.

ამის მწარე მაგალითები გვაქვს. რამდენჯერ უნდა დავისაჯოთ ჩვენი გულუბრყვილობისთვის, პოლიტიკაში გულუბრყვილობას სიბეცე ჰქვია. ხო, რამდენიც არ უნდა მალო და იკეკლუცო, ჭირს ვერ დამალავ, თუ არ უწამლე – გამოგხრავს. სიმართლეა ჩვენი წამალი, რომელმაც ხსნის გზა უნდა დაგვანახოს. წინა საუკუნის ბოლოს გზაგასაყარზე ვიდექით, ისევ მფარველის ძებნა დავიწყეთ, ისევ გაგვაფრთხილეს, ჭკუით მოიქეცითო, ისევ ვერ გავიაზრეთ წარსულის მწარე გამოცდილება და კიდევ ერთ ომში დავმარცხდით, რასაც უიმედობა, გაჭირვება და ძირძველი მოსახლეობის ქვეყნიდან გაქცევა მოჰყვა, რაც სამწუხაროდ დღესაც გრძელდება. იმას კი არ ვამბობ, რომ დამოუკიდებელი განვითარების გზა არ ვეძიოთ, პირიქით, მაგრამ დამოუკიდებლობის გზაზე შედგომისას კარგად უნდა გავიაზროთ მუდმივი მტრების სამხედრო პოლიტიკური მდგომარეობა და ჩვენი შესაძლებლობები. კარგად უნდა დავფიქრდეთ და ისე მივიღოთ ჩვენთვის შვების მომგვრელი გადაწყვეტილებები. ჩვენ სხვა მისია გვაკისრია, გადარჩენის მისია. ამიტომ სხვისი მოიმედეობა, მოდუნება და მიძინება კი არა, არამედ უემოციო, ცივი გონიერება და ზნეკეთილ მამულიშვილებთან ერთად მუხლჩაუხრელი შრომაა საჭირო, რათა რეალური დამოუკიდელობა მოვიპოვოთ.

სანამ მოძლიერდები და დამოუკიდებლად განაგრძობ გზას, მანამ საერთო ენა უნდა გამონახო სხვასთან, იზოლირებულად არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია განვითარება. მოგვიწევს რაღაც დათმობებზე წასვლა ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მაგრამ ეს დათმობები არ უნდა იყოს ტერიტორიების დაკარგვის, ეროვნული ღირსებისა და თვითმყოფადობის შელახვის ხარჯზე. ქვეყნის გამთლიანების საფუძველი ეროვნული ერთობა და სულიერი ფასეულობის წინ წამოწევაა. ყველაზე დიდი სულიერება სარწმუნეობაა, სარწუნეობა კი ქვაკუთხედია ერთიანობის. ერთიანობის მტერი, გარეშე ძალებთან ერთად პარტიკულარიზმი და კუთხურობა იყო, რომლის მსახვრალობა იშვიათად, მაგრამ ხანდახან დღესაც წამოყოფს ხოლმე თავს. არაერთხელ დამდგარა ჩვენს ისტორიაში

ყოფნა-არყოფნის საკითხი და ღვთის შეწევნით გამოსავალს ყოველთვის ვპოულობდით. მგონი ნამეტანი მომდის, ბავშვებთან ბოლო შეხვედრაა, შეეცადე უფრო თბილად ისაუბრო. არა, არა! – შეეპასუხა თავის თავს, – ჩვენ არ გვცალია განყენებული თემებისთვის, სიმართლე უნდა ითქვას, მხოლოდ სიმართლე. სიმართლე ბასრი მახვილია, რომელმაც სწორად უნდა გაჭრას. კაცობრიობამ განვითარების მრავალი ეტაპი გაიარა, უამრავი ცოდნაა დაგროვილი, საჭიროა ამ ცოდნის გაანალიზება და დღევანდელ მდგომარეობასთან მისადაგება. ნუ დავიწყებთ ტყეში პანტის ძებნას, როცა თურაშაული გვიჭირავს ხელში. რით დაიწყო ჩვენმა სასიქადულო მეფემ დავით აღმაშენებელმა? სულიერებაზე ზრუნვით და ამ გზიდან უღირსების ჩამოცილებით. ქვეყნის განვითარებას ხშირად უნიჭო მედროვე ან უზნეო ნიჭიერი განსწავლული აბრკოლებს, რომელთაც ქვეყნის სიყვარული კი არა, საკუთარ ხალხის გაღლეტის ხარჯზე მატერიალური კეთილდღეობის მიღწევა აერთიანებთ.

ეჰ, ბავშვებო, ხშირად მიფიქრია, ჩვენი უბედურების სათავე ჩვენს ნიჭიერებასა ამპარტავნობაში ხომ არა არის-მეთქი, ხომ არ აჯობებდა ნაკლები ნიჭიერება და მეტი შრომისმოყვარეობა? ნიჭიერება უხვად მომადლა ღმერთმა ქართველებს, მაგრამ თუ ამპარტავნობაში გადაგვეზარდა, ხშირად ქვეყნის საზიანოდ ვიყენებთ. რიგითი ჯარისკაცობა არავის უნდა, ყველას მეწინავეობა სურს. ილიაც კი ვერ ვიგუეთ.

ისევ ტკივილმა შეაწყვეტინა ფიქრი, თითქოს მისი გული ვიღაცას ეჭირა და ნელ-ნელა წურავდა. წნევაც მაღლა მიიწევდა. შეფიქრიანებულმა გამოძახების ღილაკს დააჭირა ხელი. ისევ ის კაფანდარა გოგო მოცქრიალდა.

– ბაბუ, მგონი ვერ არის ჩემი საქმე კარგად, მარწუხივით მიჭერს ვიღაც გულზე.

გოგონამ მონიტორს გახედა, წარბები მაღლა აზიდა.

– ძალიან ნერვიულობთ, არაა საჭირო ასეთი ემოციები, ყველაფერი დალაგდება. ახლავე მოვალ, – თქვა და სწრაფი ნაბიჯით გაეცალა.

– ემოციებს ნუ აყვები, ნუ იფიქრებო. რა ადვილია სათქმელად!

გოგონამ რაღაც აბი მოუტანა, ჭიქა წყალთან ერთად. სნეულმა ამოიხვნეშა და აბი სიმწრით გადაყლაპა. ცდილობდა, ცოტა ხნით მაინც დაესვენა ფიქრებისგან. ვერ აიყვანა თავი ხელში.

– ფიქრი, ჩემო მკურნალო, სიცოცხლის თანაზიარია, ყველა მოკვდავი ფიქრის ტყვეობაშია.

გვერდზე გადაბრუნება სცადა, მაგრამ წელზე მიმაგრებულმა მოწყობილობამ შეუშალა ხელი. ირგვლივ მიმოიხედა. პაციენტები ერთმანეთისგან ფარდებით იყვნენ გამოყოფილნი. ათასნაირი აპარატურა გულის გამაწვრილებლად წრიპინებდა.

როგორც კი შვება იგრძნო, ფიქრი გააგრძელა.

– საკვირველია, მაგრამ ფაქტია, ქართველებს მსოფლიოს ბევრი ქვეყანა უმართავთ და მნიშვნელოვანი წარმატებებისთვის მიუღწევიათ, მაგრამ საქართველოსთვის ვერანაირი სიკეთე ვერ მოუტანიათ. მაგალითები რამდენიც გინდა: ერაყი, ეგვიპტე, თურქეთი, ქართველების დაუაფსებელი ღვაწლი სპარსეთში, ახლო წარსულში რუსეთის მაგალითიც კმარა. უცხო ქვეყანაში ღვაწლს არავინ დაგიფასებს. შურთ, ეჭვიანობა ღრღნით. ქვეყნიდან გადახვეწილმა ნიჭიერმა ქართველებმა უძლიერესი იმპერია შეუქმნეს ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს, მათ კი წინა საუკუნის დასაწყისში ძლივს მოპოვებული თავისუფლება დაგვაკარგვინეს. მეტყვით, მაშინ სხვა დრო იყოო, ძმაო, მაშინ ეპოქალური ძვრები ხდებოდა მთელ მსოფლიოშიო. განა დღესაც არ გვატენიან უცხოელი კეთილისმყოფელები და ქვეყნიდან გადახვეწილი ჩვენი თანამემამულეები ქართული სულისთვის მიუღებელ თახსირ იდეებს? ქართველს მხოლოდ ქართული მიწა ასაზრდოებს, უცხოეთში კი ფესვებმოგლეჯილნი უკვალოდ ქრებიან. ძნელია ჩვენთან ლელოს გატანა, უზარმაზარ ძალისხმევას, თავგანწირვას მოითხოვს, ვისაც ამისი ნიჭი, უნარი და ქვეყნის სიყვარული არ გააჩნია და ვინც მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისთვის იღვწის ქვეყნიდან გარბიან და იქ მკვიდრდებიან.

ახლა მათ გასაგონად მინდა ვთქვა, ვინც სწავლა–განათლების მისაღებად უცხოეთში მიდიან. სწავლა–განათლების გარეშე ქვეყანას განვითარება არ უწერია, აქ სადავო არაფერია, მე სხვა რამეს მინდა გავუსვა ხაზი – შე დალოცვილო, წახვედი უცხოეთში,

მიიღე სწავლა-განათლება და გამოცდილება, ახლა დაუბრუნდი შენს გამზრდელ ქვეყანას და ამოუდექი მხარში. ასე იქცეოდნენ სახელოვანი მამულიშვილები. მარტო ივანე ჯავახიშვილის მაგალითი რად ღირს. ახლა ლუარსაბ ანდრონიკაშვილს არ იკითხავთ? კაცს ქართული თითქმის სრულიად დავიწყებული ჰქონდა და შესჩივლა ივანე ჯავახიშვილს: ენაში მოვიკოჭლებ და ლექციებს ვერ წავიკითხავო. ივანემ ენის სასწავლებლად დროც მისცა და ხელფასიც დაუნიშნა. ერთი წლის შემდეგ, რუსეთის იმპერიაში ცნობილმა იურისტმა ქართულად დაიწყო ლექციების კითხვა ქართულ უნივერსიტეტში და კიდევ სხვა მრავალი. ზოგიერთი შეიძლება ისევ შემომედავოს, მაშინ სხვა დრო იყოო, ახლაც სხვა დროა – ეროვნულობისა და სულიერების წარმყვნელი მსოფლიო ლიბერალიზაცია. ამ ყბადაღებული ლიბერალიზაციის ერთ-ერთი მამამთავარი ამბობს – „ისეთი მცნებები, როგორიცაა ეროვნება და სამშობლო ისტორიის სანაგვეზე უნდა მოვისროლოთო“. თუ ჩვენ ეროვნება დავკარგეთ, სამუდამოდ გავქრებით. ეროვნება, სამშობლო და სარწმუნოება ერის უმთავრესი მახასიათებელია, მისი თავისთავადობის შემნარჩუნებელი. როგორც უდაბნოში მწყურვალი უფრთხილდება წყლის ყოველ წვეთს ასევე უნდა მოვუფრთხილდეთ ყველა ქართველს. ისე უნდა მოვაწყოთ ჩვენი ყოფა-ცხოვრება, რომ თანამემამულეებს სურვილი დაეკარგოთ, უცხოეთში გადახვეწისა. გულისფიცარზე უნდა ეწეროთ როგორც ჩვენი დიდი თანამემამულე ამბობს – უცხოობაში რაა სიამე... ამიტომ გევედრებით, არ დატოვოთ თქვენი ქვეყანა, ძალზე სჭირდებით თქვენს სამშობლოს, ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხია. ჩემი ნება რომ იყოს, ვინაც საკუთარი ისტორია არ იცის და ვინც დედაენას ვერ ფლობს, ქვეყნის გარეთ არ გავუშვებდი. მხოლოდ სასწავლებლად წადით, შეიძინეთ სათანადო ცოდნა, მამულს თანამედროვე ცოდნით შეარაღებულნი დაუბრუნდით და იღვაწეთ ქვეყნის კეთილდღეობისთვის.

ფიქრი შეწყვიტა სნეულმა და პალატას შემოავლო მზერა. ბედმინდობილებს ჩასძინებოდათ, კანტიკუნტად ისმოდა მედპერსონალის ფეხის ხმაც, ნეტავ რამდენ ბედნიერს გაუთენდება ხვალინდელი დღე?

– ვფიქრობ, ესე იგი ცოცხალი ვარ, რა საამურია სიცოცხლე. გულჩვილობის დროა, ბერიკაცო? რამდენი რამე მაქვს კიდევ სათქმელი. საკვირველი და უცნაური ხალხი ვართ, ვერ იქნა და ვერ შევიცანით ჩვენი თავი. რა დონეზეც შეგვიძლია სიყვარული, იმ დონეზე ვმტრობთ ერთმანეთს. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, როცა დამოუკიდებლობას ვკარგავთ, მაშინ ვერთიანდებით, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ კი მტრის გასახარად ვჭამთ ერთმანეთს. შინაგათიშულობა და ურთიერთმტრობა ქვეყნისთვის ყველაზე დიდი საფრთხეა, რომლის თავი და თავი ამპარტავნობა და გულმედიდობაა. ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფო მოღვაწემ მოახერხა ამპარტავნობაზე, ამბიციურობაზე, პატივმოყვარეობაზე და სხვა დამანგრეველ სულიერ მანკიერებებზე მაღლა დგომა, ვისთვისაც ღმერთი და სამშობლო ყველა ფასეულობაზე მაღლა იდგა – სიცოცხლეზეც კი. ჩემს სათაყვანებელ მეფე დავით აღმაშენებელს მინდა მივუბრუნდე, რომელიც სულიერებისა და დისციპლინის განმტკიცებით შეუდგა დაქუცმაცებული და გაპარტახებული ქვეყნის აღმშენებლობას. შემოიკრიბა ერთგული, ქვეყნის მოყვარული ნიჭიერი და მამაცი თანამზრახველები და მათ დაწინაურებას მიჰყო ხელი. ხოლო ორპირ, მოღალატე და ქვეგამხედვარებს სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა. შექმნა იმდროისათვის უძლიერესი მსტოვრების ანუ დაზვერვის ინსტიტუტი. მის თვალსა და ყურს არაფერი გამოეპარებოდა. თუ ქვეყანაში კანონის უზენაესობა და მისი დაცვის მექანიზმი არ არსებობს, ყოველთვის ქაოსი და არეულობა იქნება. თავგასული ფეოდალები და ღალატის მოსურნენი ერთგული თანამზრახველებით და ყივჩაღებით დააშოშმინა, ერთი იდეის გარშემო გააერთიანა, დრო და საუკუნეები იცვლება, ჩვენი ხასიათი და ბუნება იგივე რჩება. თუ ადრე თავგასული ფეოდალები თავკერძობდნენ, დღეს მათი ადგილი თავკერძა პარტიებმა დაიკავეს. ხალხის არჩეულმა ხელისუფალმა კარგად უნდა იცოდეს ლოიალობა, თავზე ხელის გადასმა და შერჩეული სამართალი რყვნის საზოგადოებას. ქვეყნის ინტერესი ყველაზე მაღლა უნდა იდგეს და კანონი ყველასათვის უნდა კანონებდეს. ხომ გაგიგონიათ

რუსთველისეული სიბრძნე, შიში შეიქმს სიყვარულსაო, ხედავთ ყბადაღებულმა გალიბერალიზებულმა დემოკრატიამ რა დღეში ჩაგვაგდო, რა კანონები მიგვაღებინა? სირცხვილი დააკარგვინა ხალხს და პირუტყვს დაამსგავსა. ქვეყანა ურთიერთლანძღვის ქაოსშია გახვეული. ყველა კანონის მიღებას სხვას ვეკითხებით, რაც არ ესადაგება ჩვენს ბუნებას, ტრადიციებსა და ისტორიულ გამოცდილებას. ვერანაირ სიკეთეს ვერ მოგვცემს ფასადური ფსევდო სახელმწიფო, რომელიც საკუთარ ქვეყანაზე მაღლა უცხო ქვეყნის ინტერესებს დააყენებს. ქვეყანა ხალხის საკეთილ-დღეოდ რომ მართო, უზომოდ უნდა გიყვარდეს და თუ საჭირო გახდა კიდეც უნდა შეეწირო. მმართველობა პრივილეგია კია არა უზარმაზარი პასუხიმგებლობაა. გონიერმა მმართველმა ნაუცბათევად არ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. დავითმა, გამეფებიდან ათი წლის თავზე, შეუწყვიტა დამპყრობელს ხარ-კის მიცემა. ემოციებს კი არ აყოლია, სათუოდ კი არ გაუხდია გადაწყვეტილება, არამედ კარგად შეისწავლა ახლო თუ შო-რეული მეზობლები, მათი სამხედრო მდგომარეობა და ღვთის სასოებით მაშინ დაჰკრა, როცა ამის ყველაზე შესაფერი მომენტი დადგა. ქვეყანა გააერთიანა და გააძლიერა. შექმნა იმ დროი-სათვის არა მარტო კავკასიაში, არამედ წინა აზიაში ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო, რომელსაც ჩვენი უთავობით, იქედან მოყოლებული, ვასუსტებთ და ნაწილ-ნაწილ ვკარგავთ. გადა-მთიელების მოიმედობა კარგს არაფერს გვიქადის. გადამთიელი ყველაფერს სათავისოდ აკეთებს ქვეყნის შიგნით მოღვა-წე მედროვეების ხელშეწყობით. უკიდურეს გაჭირვების ჟამს ყოველთვის გვეხმარებოდა უზენაესი. გამოარჩევდა ვინმე ზნე-კეთილს და მის გარშემო გაერთიანებით გამოვდიოდით გამო-უვალი მდგომარეობიდან.

სიყვარულზე მინდოდა მეთქვა ორიოდე სიტყვა, ორიოდე იმიტომ, რომ ძალიან ფაქიზია და ამოუწურავი, – უეცრად მოდუნდა, მიილულა, თითქოს სხეულს გასცილდა და სივრცეში გაიბნა. წამის შემდეგ ფიქრიც გაუწყდა და უკუნში ჩაიძირა.

პაციენტი მეორე დღეს პალატაში გადაიყვანეს. სიცოცხ-ლესთან შეუთავსებელი არაფერი აღმოაჩნდა, მედიკამენტურ

მკურნალობას ექვემდებარებაო. მორიგეობის გადაბარების შემ-დეგ ცქრიალა გოგონამაც მოინახულა:

– ბაბუ, ხომ კარგად გეძინა? ძალიან ნერვიულობდი, ღელავდი, მძიმე ემოციების ქვეშ იყავი და ამიტომ ძლიერ-მოქმედი საძილე საშუალება მოგეცით, – გოგონა გამოემშვი-დობა, ჯანმრთელობა უსურვა, ალალი ღიმილით გაუღიმა და პალატა დატოვა.

პატარა პალატა იყო, ორკაციანი, ნათელი და სუფთა. მომ-დევნო დღეს პალატის ექიმი და ექთნები შემოვიდნენ.

– მნახველები გეწვივნენ, – უთხრეს.

გაუკვირდა, კარანტინის გამო პალატაში არავის უშვებდნენ.

– როგორ ვნახო?

– ფანჯარა გამოაღე.

ფანჯარასთან მივიდა და გამოაღო. საავადმყოფოს ეზოში ორმოციოდე პირბადეაფარებული ახალგაზრდა იდგა, რომ-ლებიც ფანჯარას მოუთმენლად შესცქეროდნენ. გაოცდა, ვერ გაერკვა. ახალგაზრდებმა პირბადე მოიხსნეს და ერთ ხმაში ამოსძახეს:

– შობას გილოცავთ, პატ. მასწ! შობას გილოცავთ, პატ. მასწ! შობას გილოცავთ, პატ. მასწ! – მოსწავლეთა ხმა ისე მიაწყდა ფანჯრებს, გეგონებოდა მომღერალთა გუნდი მრავალხმიან საბრძოლო სიმღერას აგუგუნებსო. უსაზღვრო სიხარულმა მუხ-ლები მოუკვეცა და სკამზე ჩამოესვენა. ნიაღვარივით მომსკ-დარ ცრემლს ვერაფერს უხერხებდა. ისევ წამოიწია, ექიმიც წამოეშველა, ფანჯრიდან გადაიხედა და დამუნჯებული დიდხანს უქნევდა ახალგაზრდებს ხელს...

საბავშვო მოთხრობები

უარსებულო ქვეყანაში

უარსებულო ქვეყანაში

წამიერად გაკრთა ელვა ცაზე, მერე იჭექა და ისეთი დაიქუხა, სახლი შეაზანზარა. მსხვილი წვიმის წვეთები ღვარად მიასკდა ფანჯრის მინებს. ლოგინზე მოხტუნავე ტყუპები ზარდაცემულებივით დაეცნენ, თავზე საბანი გადაიფარეს და გაიყურსნენ. ქუხილი რომ მიწყდა, მელაკუდებივით ფრთხილად გამოყვეს თავი საბნის ქვაბულიდან. აქეთ–იქით მიმოიხედეს, ერთმანეთს შეხედეს, ჩაიფრუტუნ–ჩაიკისკისეს, აქაო და საფრთხე აღარ გვემუქრებაო, საბნები მოისროლეს და ისევ ხტუნვა განაგრძეს. თითქოს ბატუტზე ხტუნაობდნენ და მალაყებსაც გადადიოდნენ.

– გეყოფათ, ბავშვებო, ნუ მოსპეთ საწოლი! ჩაიცვით და ისაუზმეთ, – ივედრებოდა ბებო.

პატარები ლოგინიდან ჩამოხტნენ და ფანჯარასთან მიცვივდნენ. წვიმა თავდაუზოგავად, გულმოდგინედ რეცხავდა მინებს. წვიმა მოდის შხაპუნა, შინ შემოსვლა არ უნდა, – წაუმღერა ელისაბედმა და იქვე დააყოლა, – მინდა ხტუნვა–თამაში სულ არ მინდა საბანში.

თანატოლებისაგან გამორჩეული ბავშვი იყო. მოულოდნელად, მისი ასაკისათვის ისეთ შეუსაბამო სხარტულას იტყოდა, გაგაოცებდა და დაგაბნევდა. ვინ კარნახობდა და საიდან, ერთმა ღმერთმა უწყოდა. ანცებმა და ონავრებმა მცირე ხანს უცქირეს მინაზე მოთქრიალე წყლის ნაკადს, მერე ფეხზე წამოიწივნენ და ფანჯრის რაფაზე აცოცდნენ.

– ადექი, ბერიკაცო, მიშველე რამე, არ დავიღუპოთ, ბავშვები არ გადაგვიცვივდნენ ფანჯრიდან! – ბებოს დაძახილზე ბაბუამ თავი შეჰყო ბავშვების ოთახში.

– ბაბუ! ბაბუ! – გადმოფრინდნენ ფანჯრის რაფიდან ონავრები და ბაბუასკენ გაექანენ, – არ გვინდა, ბაბუ, საუზმე, ჯერ ეზოში ჩავიდეთ, ნახე, რამდენი გუბურაა, ცოტა ხანს ვიტყაპუნებთ და მერე ვისაუზმებთ.

– კარგი, მაშინ ახლავე ჩვენს დაუხმარებლად შეიმოსებით. როდემდე უნდა ჩაგაცვათ ჩვენ? – თქვა ბაბუამ.

– ეს კაცი, მგონი, მთლად გამოჩურჩუტდა, რომ დასველდნენ და გაცივდნენ, მერე რა ქვა ვიხალო თავში? – შეშფოთდა ბებო.

– ნიგვზის ძირში რომ მრგვალი რიყის ქვაა, ის იქნება ზედ-გამოჭრილი, – ხუმრობდა ბაბუა, – რა გააცივებთ მაისის წვიმაა, თუ გაცივდებიან, არც ეგაა დიდი ბედენა, რომელი ბავშვი გაზრდილა გაუცივებლად, მითხარი ერთი.

– არა, არა, მთლად დაკარგე ჭკუა, ბერიკაცო, ძალით რატომ უნდა გაეხვიო ხათაბალაში, – ბუზღუნებდა ბებო და თან ბავშვებს ჩაცმაში ეხმარებოდა.

ბაბუა ინტერესით აკვირდებოდა პატარების ასაკის შეუსა-ბამო აზროვნებას და მეტყველებას. ხშირად სიცილით ეკითხე-ბოდა, რა ენაზე საუბრობთო?

– როგორ ვერ ხვდები, – ჩაიცინებდა და იტყოდა ხოლმე ელისაბედი, იგივე ლიზიკო. – ჩემს ენაზეო!

ბოლო დროს, უფრო მეტ ყურადღებას უთმობდა პატარებს, უსმენდა მათ დიალოგს და ფიქრობდა, მომკალი და მათი ნააზრევი არ ჰგავს მიწიერს, შეუძლებელია უწლოვანი ბავშვების გონება ასე ხატოვნად გადმოსცემდეს სათქმელს. განსაკუთ-რებით ლიზიკო გამოირჩეოდა. ტყუპებმა, ელისაბედმა და ეკატერინემ, იგივე ლიზიკომ და კატომ ახლახან გააცილეს თავიანთი დაბადების მეოთხე წელი. არაფერი სჯობდა მათი საუბრის მოსმენას, რომელიც ძალზე ახალისებდა, აოცებდა და ანცვიფრებდა ბაბუას.

– ბაბუ, წავიდეთ ახლა უარსებულო ქვეყანაში, ხომ ვართ ჩაცმულნი, – ვერ ითმენდა ლიზიკო.

– სად ბაბუ? უარსებულ ქვეყანაში?

ბაბუას გაკვირვებული სახე რომ დაინახა კისკისით გააგრძელა:

– ხომ გასწავლე?!

– ხო, მივხვდი, მივხვდი, – ღიმილი გადაეფინა სახეზე, – არარსებულ ქვეყანაში და რატომ უწოდა ეზოს არარსებული ქვეყანა, ბაბუასთვის მაინც გამოცანად დარჩა. წვიმამაც გადაიღო.

– ნახე, ბაბუ, ეზოში რამდენი გუბურაა. სანამ გაიპარება, ტყაპუნი უნდა მოვასწრო.

ბერიკაცმა ბავშვებს ხელი ჩასჭიდა და კიბეზე დაეშვნენ. ჩასვლისთანავე ბავშვები ხელიდან დაუსხლტნენ და ხან ერთ გუბურაში ჩახტნენ და ხან მეორეში. ხტუნავდნენ და თან ფეხებს ატყაპუნებდნენ. ვინც უფრო დიდზე ააჩქეფებდა წყალს, ის იყო გამარჯვებული. გვარიანად ამოიწუწნენ და არც ბაბუას დააყარეს ხეირი. დატყაპუნებდა ლიზიკო გუბურიდან გუბურაში და ახალმოგონილ სხარტულას მღეროდა:

– ერთ პატარა ქალაქში ხტუნაობდნენ ტალახში.

კატომ მორიგი ახტომისას გუბურაში მოადინა ზღართანი, ერთიანად ამოიწუწა და აღრიალდა. ლიზიკო კი მაინც აგრძელებდა ხტუნვას.

– ლიზიკო, გეყოფა თამაში! ხომ ხედავ, კატო ჩურჩხელასავით ამოიგანგლა, რომ გაცივდეს, ბებო სახლიდან გამოგვყრის, – ამუნათებდა ბაბუა.

– ბაბუ, გეხვეწები, ცოტა ხანს კიდევ დავრჩები, – არ ეთმობოდა თამაში ლიზიკოს.

– გვეყოფა, ბაბუ, – კიდევ ერთხელ გაიმეორა ბერიკაცმა, – ყველაფერს აქვს საზღვარი. გამოვიცვალოთ ტანსაცმელი და ვისაუზმოთ, შევისვენოთ და მერე ისევ ჩამოვიდეთ.

– ბაბუ, ბაბუ, აასკლინე, კატო ხომ ხედავ როგორ ბღავის.

– რა ვქნა ბაბუ, ვერ გავიგე, – ისევ დაიბნა ბერიკაცი და გაოცებული პატარას ონავარ თვალებში შეაცქერდა.

– ბაბუ, როგორ ვერ გაიგე, რამდენჯერ უნდა გასწავლო, – დახტუნავდა ლიზიკო და კისკისებდა, – ბაბუა ხარ და ვერ ხვდები აასკლინე რა არის? აიყვანე!

– რა ენაზე? – ისევ წამოსცდა ბაბუს და ენაზე იკბინა.

– ჩემს ენაზე, დაგავიწყდა?

ბაბუას აღარაფერი უთქვამს, ქათამივით გაწუწული ეკატერინე ხელში აიყვანა და კიბეს აუყვა.

სადილობამდე პატარები მათ მიერ მოგონილი თამაშობებით ერთობოდნენ. ბავშვის ფანტაზია ხომ ამოუწურავია. ხან თოჯინებს დაარბენინებდნენ, ხან მანქანებს. მერე სათამაშო ცხენებით იჯირითეს, ბოლოს დაქანცულებმა ჩაიმუხლეს და სხვადასხვა ფორმის ფიგურებით და კუბებით სახლის მშენებლობა წამოიწყეს. ბაბუა თავის ოთახში იჯდა და წიგნს კითხულობდა. ელისაბედს თამაში მოსწყინდა და ბაბუას ოთახს მიაშურა. იგი კი, ვითომ არც შეუნიშნავს, თავჩაღუნული აგრძელებდა წიგნის კითხვას. ელისაბედი კი ცნობისმოყვარეობით ხან წიგნს შეაცქერდებოდა და ხან ბაბუას. მიუხედავად იმისა, რომ კითხვა არ იცოდა, წიგნები ძალიან უყვარდა, მოაგროვებდა ხოლმე, ერთ ადგილზე დააწყობდა და იტყოდა, რომ გავიზრდები წავიკითხავო.

ელისაბედი ბაბუას მუხლებზე შეაცოცდა, წიგნი გამოართვა, გადაფურცლა. მერე დახურა, უკან დაუბრუნა და უთხრა:

– ბაბუ, ამ წიგნს რომ წაიკითხავ, მერე სხვა ჩამოიღე, – შეყოვნდა, დაფიქრდა, კარადაში ჩამწკრივებულ წიგნებს გახედა და მთელი ბავშვური სერიოზულობით თქვა, – ბაბუ, ამ წიგნს რომ წაიკითხავ, მერე რამე ჭკუის სასწავლებელი ჩამოიღე.

ბაბუა ცასავით კრიალა თვალებში შეაცქერდა, თავი ვეღარ შეიმაგრა და გულიანად ახარხარდა:

– ხო, ბაბუ, აუცილებლად მასე ვიზამ, ხომ ყველაფერში გიჯერებ? – სავარძლიდან წამოიწია და გადაკისკისებული და აფართხალებული პატარა გულში ჩაიკრა.

– ბაბუ, წვერები მჩხვლეტს, – გადაიზნიქა და ხელიდან დაუსხლტა. კართან მისული ისევ მობრუნდა, – ეგ წიგნი არ დამიკარგო, რომ გავიზრდები, აუცილებლად გამომჭირდება.

ბაბუას აღარაფერი უკითხავს, ისედაც მიხვდა: გამომჭირდება – ესე იგი გამომადგება, დამჭირდებაო. რა კარგი ნათქვამია, სწავლა სიბერემდეო. აჰა, ბავშვებთან საურთიერთობო ლექსიკას წარმატებით ვეუფლები, ვინ იცის, როდის გამომადგება, გაიფიქრა ბაბუმ.

– ბაბუ, ბაბუ, რატომ ზიხართ ბნელში? გაასინათლე, – შემოიჭვრიტა ეკატერინემ.

ბერიკაცს ეგონა ყველაფერი შეისწავლა, მაგრამ თურმე ჯერ სად ხარ. დაბნეულობა რომ არ შეტყობოდა და კიდევ ერთი შენიშვნა არ მიეღო იქით მიმართა, შენ თვითონ გაასინათლე შვილო. კატომ სკამი კედელთან მიაჩოჩა და ჩამრთველის ღილაკს მისწვდა. აი, თურმე რა ყოფილა გაასინათლე, მიხვდი ბერიკაცო?

– ბაბუ, აბა მითხარი, შენ რა უნდა მასწავლო ახლა?

– მე არაფერი, ბაბუ, შენ უნდა მასწავლო, მე რა გასწავლო?

– ბაბუ, ხომ იცი ქაღალდისაგან თვითმფრინავისა და ნავის გაკეთება? ჰოდა, სანამ მეც შევისწავლი, შენ გამიკეთე, ოღონდ ახლა თვითმფრინავი არ გამომჭირდება, ნავი გამიკეთე. აბაზანაში ჩავუშვათ და ვაცურაოთ. ლიზიკოსაც გაუკეთე.

– კარგი, ოღონდ თქვენც უყურეთ და ისწავლეთ, – ბაბუამ თაბახის ფურცლები აიღო და ნავების დამზადებას შეუდგა. რამდენიმე წუთში ორი ნავი მზად იყო შორეული ნაოსნობისთვის. „გემი გაცურდა თეთრი აფრებით“ – წაუმღერა ბაბუამ და შვილიშვილების სიცილ-კისკისში სააბაზანოში შევიდნენ. კატო ონკანს მისწვდა. თქრიალით წამოვიდა წყალი. ლიზიკო აბაზანაში გადაემხო, მერე თმებშეწუწული წელში გასწორდა, წყლის წვეთებით აციაგებული თვალები ბაბუას შეანათა და გადაიკისკისა.

– ბაბუ, წყალს როგორ მოვაგროვებთ, საგუბარი რომ არ გვაქვს.

ბერიკაცი ისევ შეცბა, მაგრამ წამსვე გამოერკვა. „შე კაცო, საგუბარი, ესე იგი წყლის შემაკავებელი საცობი. რა ორიგინალური მიგნებაა“, – გაუელვა თავში.

– ბაბუ, შეძენა დამავიწყდა. აი, რომ ვიყიდი, მერე ავავსოთ აბაზანა წყლით და ნავები ერთმანეთს შევაჯიბროთ.

ბავშვები გულდაწყვეტილები გამოვიდნენ აბაზანიდან.

– თქვენ არ მოიწყინოთ, პატარებო, სხვა გამოსავალიც არსებობს. თითქმის ყოველდღე წვიმს, ეზოში, გუბურაშიც შეიძლება ვაცურაოთ ნავები, – ბავშვები ისევ გამხიარულდნენ:

– ხო ბაბუ, ეზოში ჯობია, ეზოში! – კატო ბაბუას მკლავზე ჩამოეკიდა და ლოყით აეკრა.

აბაზანიდან გამოსვლისას ბაბუას ყურში ჩაესმა ტელევიზორიდან რომელიღაც წამყვანის ხმა:

– მტერი ყველანაირი ხერხებით ცდილობს ჩვენი მიწების მიტაცებას.

– ლიზიკო! – დაუძახა პატარას, რომელიც კატოსთან ერთად ნავებს მაგიდაზე დააცურებდა.

თამაშში გართულს არ უპასუხია.

– ლიზიკო, ბაბუ, მოდი ჩემთან, ერთი წუთით, – პატარა მოცუნცულდა და კითხვაჩამდგარი თვალებით შეაცქერდა:

– ბაბუ, აბა, თუ მიპასუხებ, რა არის მტერი, უფრო სწორად, ვინ არის ჩვენი მტერი?

მუდამ მცქმუტავი და მოუსვენარი პატარა ხანს ჩაფიქრდა, მერე თვალები აახამხამა და გაბრაზებული ხმით უპასუხა:

– ბაბუ, მტერი არის ადამიანი, ოღონდ ბოროტი, მტაცებელი, ამოთხრის და წაიღებს ჩვენს მიწას, – მერე შეყოვნდა, ისევ ჩაფიქრდა და მშვიდად, ბრძენკაცივით გააგრძელა, – ბაბუ, მიწას რომ გვართმევს, რომ გაგვაგდებს და მერე თვითონ იცხოვრებს.

– მოდი ჩემთან, ბრძენპატარავ, მოდი და დამასაჩუქრე.

პატარა მიცოცდა და ბაბუას შუბლზე ეამბორა. ეს ბაბუასათვის ყველაზე დიდი საჩუქარი იყო. ლიზიკოს ისევ წამოუარა სიანცემ, ვერ ისვენებდა და ცქმუტავდა:

– ბაბუ, ბაბუ, შენ შეგიძლია ცალ ფეხზე ხტუნვა?

– რაო პატარავ, სხვა ვეღარაფერი მოიფიქრე?

– მე კი შემიძლია! – შეხტა ცალ ფეხზე და ხტუნვა-ხტუნვით ფანჯარასთან მივიდა და ეზოში გადაიხედა. იყურებოდა და მღეროდა. მერე წყლით სავსე ჭიქა აიღო, მოსვა და ფანჯრის რაფაზე ჩამოდგა. მზის სხივები ირიბად ეცემოდა ჭიქას, ელისაბედი კი განაგრძობდა მის მიერ შეთხზულ სიმღერას: მზე ამოდის, ნათდება, მერე ჭიქაში ჩავაოო...

– კატო! კატო! – დაუძახა ტყუპისცალს, მერე ბაბუას მიუბრუნდა, – ბაბუ, მოდი რა, ისევ ჩავიდეთ ეზოში. ხომ იცი, ბებო მარტოს არ გაგვიშვებს. ნახე, ნახე, როგორ ანათებს მზე.

ბაბუას ბევრი აღარ უფიქრია და შვილიშვილებთან ერთად ისევ ეზოს მიაშურა. გუბურები აქა-იქ ჯერ კიდევ შემორჩენილიყო.

– წყალს აღარ მიეკაროთ, ძალიან ჭუჭყიანია!

ბავშვები ნახევრად ამომშრალ გუბურებზე ხტომით ერთობოდნენ, მერე მოფარფატე პეპელას აედევნენ. დევნა რომ მოსწყინდათ, ჯოხები აიღეს და მიწაზე ფიგურების გამოყვანა დაიწყეს. მოულოდნელად იასამნის ბუჩქიდან კატა გამოძვრა. აიწურა, კუდი აპრიხა, ხან ერთს გაეხახუნა, ხან მეორეს. უცებ, ფანჯრიდან თავგამოყოფილმა ბებომ შეჰკივლა:

– არ მიეკაროთ, არ დაგკაწროთ, ცოფიანი არ იყოს!

ბავშვებმა ბებოს ერთი კი ახედეს, გაუღიმეს, მაგრამ შიშით და მორიდებით კატას ფარულად მაინც მიუალერსეს. ფისო ბავშვებთან ახლოს დასუნსულებდა, არ სცილდებოდა, ხან ზემოთ აიხედავდა, ხანაც მიწას ყნოსავდა.

– ბაბუ, იცი, კატები კარგი მსუნებლები არიან, – ცხოვრებით დაბრძენებული კაცივით წარმოთქვა კატომ, – ნახე, რა ლამაზია, სახლში ხომ არ წავიყვანოთ?

– პატრონი ეყოლება.

– ბაბუ, არ ჰყავს პატრონი, საყელო არ უკეთია. წავიყვანოთ, წავიყვანოთ, მე გამომჭირდება. ვაჭამოთ საჭმელი და ისევ ჩამოვიყვანოთ, თუ პატრონი არ გამოუჩნდა, ჩვენ ვუპატრონოთ, – ჭირვეულობდა კატო.

სანამ ბაბუა და კატო კატის ბედზე მსჯელობდნენ, ლიზიკოს ყვავილებისთვის მიეშურებინა. დასტრიალებდა, ჯოხით ძირებს უჩიჩქნიდა, ხან ერთს დაყნოსავდა და ხან მეორეს. ლიზიკო წამოიწია და ირგვლივ მიმოიხედა, საამური საცქერი იყო მწვანე ბალახებში აყელყელავებული უთვალფერიანი ყვავილები. უცბად მის ფეხებთან ბალახი შეირხა, კაცის მუშტისოდენა პატარა რუხი ფერის საგანი მოძრაობდა. ბავშვი შეკრთა და უკან დაიხია. კარგად რომ დააკვირდა, სიხარულის კივილი აღმოხდა:

– კატო, ბაბუ, ნახეთ რა ვიპოვე ?!

ბაბუა და შვილიშვილი ლიზიკოს მიუახლოვდნენ.

– რა იპოვე, ლიზიკო? – ჰკითხა კატომ.

– ხედავ? ეს ხომ კუსანაა, გოგო.

– კუსანა კი არა კუკუჩი, – შეეპასუხა კატო.

ბაბუა გაოცებული დაჰყურებდა მუშტისოდენა კუს.

– აბა, ამ კუს გაუმართლა, თუ გაუმართლა, როგორი ნათლიები შეიძინა? კუსანა, კუკუჩი. ასეთი სახელები დედამიწის ზურგზე არცერთ კუს არ ერქმევა, – გაეღიმა ბაბუას.

კატო დაიხარა და კუს ჯავშანზე ხელი გადაუსვა. კუ შეშინდა და ჯავშანში შეყო თავი. მერე ისევ გამოყო, წერტილივით შავი თვალები მიატრიალ–მოატრიალა და ტაატით გაუდგა გზას.

– ბაბუ, სახლში წავიყვანოთ, აბაზანაში ვაბანაოთ. მე ბალახებს დავუკრეფ, ჩვენთან კარგად იქნება, არც დაიკარგება, – იხვეწებოდა კატო.

– ბაბუ, ყველა ცხოველს, ფრინველს და მწერს სახლში ვერ წავიყვანთ, სახლს ზოოპარკად ხომ არ ვაქცევთ? ისინი აქ, ბუნებრივ პირობებში, უფრო კარგად გრძნობენ თავს. ტყვეობაში, ბაბუ, დიდხანს ვერც ერთი სულდგმული ვერ ძლებს. უმჯობესია ხელი არ შევუშალოთ და თავისიანებთან გავუშვათ.

პატარები კარგა ხანს უყურებდნენ დინჯად მიმავალ კუს. მხოლოდ მაშინ მოსწყვიტეს თვალი, ბალახებში რომ მიიმალა. კატოს ყურადღება ახლა ქედნებმა მიიქციეს, რომლებიც ხის ძირში დაგურგურებდნენ და საჭმელს ეძებდნენ. ლიზიკო კი ისევ ყვავილებს მიუბრუნდა, ჩაიჩოქა და დიდხანს უმზერდა ყვავილის კოკორს.

– ბაბუ, მოდი ნახე, მზე ყვავილებში ზის და ათბობს. რა ლამაზი და კეთილი ყოფილა, ბაბუ, მზე.

განსაცვიფრებელმა მეტაფორამ ბაბუას ცრემლი მოჰგვარა, შებრუნდა და ხმისამოუღებლად ძელსკამისკენ გასწია.

დაუპატიჟებელი სტუმარივით მოვარდნილმა ქარმა ძალუმად დაჰქროლა, მწვანე ბალახი და ყვავილები ერთმანეთზე მიაწვინა, ხის ტოტები ააჭრიალა და შეშფოთებული ფოთლები ააშრიალა. დამფრთხალი ფრინველები მიწას მოსწყდნენ და სამალავს მიაშურეს. დილანდელივით დასჭექა და დაიქუხა. კანტიკუნტად წამოვიდა წვიმის წვეთები, მერე მოუმატა და თქეშში გადაიზარდა. გაზაფხული გაზაფხულობდა.

– გავიქცეთ, ბაბუ, გავიქცეთ, დავსველდებით! – დაიძახა ბაბუამ.

კატო წამსვე გამოიქცა, ბაბუა და შვილიშვილი ხშირ–

ფოთლოვანი, ფართოდ ტოტებგაშლილი ასწლოვანი ხის ქვეშ შეიყუჟნენ. ლიზიკო კი ცას შესცქეროდა, გაშლილი ხელებით წვიმის დაჭერას ცდილობდა, დახტოდა და ხმამაღლა გაჰკიოდა:

– წვიმა მოდის შხაპუნა და ახარებს ბუნებას, – მერე გამოიქცა და ბაბუას იღლიაში შეუძვრა, – ბაბუ, ზევით აიხედე, ნახე როგორ თრთიან ფოთლები, როგორ კანკალებენ შიშისგან, ჩვენ გვიფრთხილდებიან, რომ არ დავსველდეთ და გავცივდეთ?

მეტყველების უნარდაკარგულმა, გრძნობამორეულმა ბაბუამ ხელები მაგრად მოხვია პატარებს და გულში ჩაიკრა. კიდევ ერთხელ იქუხა. თქეშიც შეწყდა, კანტიკუნტად ცვიოდა წვიმის წვეთები. მზემაც გამოაჭყიტა, ბავშვები ისევ დაუსხლტნენ ბერიკაცს, მზენაფერებ წვიმის წვეთებს უშვერდნენ ხელებს და კისკისებდნენ.

– ბაბუკელებო, ასეთ დროს იტყვიან ხოლმე, მზე პირს იბანსო.

– მზე პირს იბანს! მზე პირს იბანს! – იცინოდნენ პატარები, დარბოდნენ და სველი ხელებით თვალებზე ჩამოშლილ, გაწუწულ თმებს ისწორებდნენ.

გულაჩუყებული ბაბუა შვილიშვილებს შესცქეროდა, თვითონაც ხარობდა, თითქოს შორეულ სიყრმეში დაბრუნდაო.

გვრიტები



გვრიტები

პეტრე უცნაურმა ღუღუნის ხმამ გამოაღვიძა. თვალები მოიფშვნიტა, ფეხზე წამოდგა და აივანს მიაშურა.

აღმოსავლეთი ვარდისფრად იწვოდა, საცაა დიდი ქალაქის ცაზე მზე ამოიწვერებოდა. ისევ ღუღუნმა მიიქცია მისი ყურადღება და აივნის კუთხეში, კარადის თავზე ორი უცნაური ფრინველი შენიშნა მოგრძო ნისკარტითა და წერტილივით წითელი თვალებით – მტრედებს წააგავდნენ. ერთს ნისკარტით ბალახის ღერო ეჭირა, მეორე პეტრეს თავზე დასცქეროდა და ღუღუნებდა. კაცმა ულვაშებში ჩაიღიმა, წელში ოდნავ მოიხარა და ტკბილი ხმით თქვა:

– სტუმარი ღვთისაა, მშვიდობა თქვენს მობრძანებას! – ამის თქმა იყო და ლამაზად დავარცხნილმა თვალწითელა ფრინველებმა ფრთების ტკაცუნით სივრცეს მიაშურეს.

შესანიშნავ გუნებაზე დადგა პეტრე, მერე თითქოს რაღაც გაახსენდაო, კიბე გამოიტანა და კარადის თავი მოათვალიერა. ბუდის ასაშენებლად ფრინველებს ხის წვრილი ტოტები და ბალახის ღეროები მოეზიდათ.

„თუ ასე გააგრძელეს, მატებასაც უნდა ველოდოთ. აქ, ამ ვიწრო და მოუხერხებელ ადგილას ძალიან გაუჭირდებათ“, გაიფიქრა პეტრემ და გახალისებული კიბიდან ჩამოვიდა. მერე მეზობლებში გაიკითხა და უცნაური ფრინველები გვრიტები აღმოჩნდნენ.

პეტრეს ბავშვობიდან ოცნებად ჰქონდა გადაქცეული მის სახლზე ჩიტებს ბუდე გაეკეთებინათ და ნაღვლიანი თვალებით

გაჰყურებდა ხოლმე მეზობელი ბავშვების აივნებზე ჩამომწკრივებულ მერცხლის ბუდეებს. წუხდა პეტრე და ამ წუხილს ბაბუას უზიარებდა.

ბერიკაცი კი ასე ამშვიდებდა:

– შვილო, თუ მერცხლები სახლს უსაფრთხოდ არ ჩათვლიან, ბუდეს არ გაიკეთებენ. გონიერი და ალღოიანი ფრინველია მერცხალი. ჩვენი სახლი დაბალია, ქარიან ადგილზეა, თანაც მსუნაგი კატა გვყავს, – იქვე მზის გულზე მონებივრე ფისოზე მიუთითა, რომელიც მოჭუტული, მიბნედილი თვალებით იმზირებოდა.

მერცხლებისგან დაწუნებული სახლის გამო პეტრე თავს იმშვიდებდა: „რომ გავიზრდები, დიდ სახლს ავაშენებ და მერცხლებს კატის აღარ შეეშინდებათო“.

მზე ჰორიზონტზე ეკიდა და იწვოდა. პეტრემ ბავშვებს მიახარა:

– გვრიტები გვეწვივნენ, თან თხოვნით მოგვმართეს, თქვენს აივანზე ბუდის აგება გადავწყვიტეთ და წინააღმდეგი ხომ არ იქნებითო?

– აბა, ბუდე? – იკითხა ნინიკომ.

– ჯერ მხოლოდ საძირკველი აქვთ ჩაყრილი, – უპასუხა მამამ.

სალომე უკვე კიბეზე მიცოცავდა.

– მეც მაჩვენეთ, მეც მაჩვენეთ! – წიოკობდა ნინო.

სალომემ პეტრეს ხელი ხელში ჩასჭიდა, თავისკენ შემოაბრუნა, ჭორფლიანი ცხვირი აბზიკა, წარბები აზიდა, გრძელი წამწამები ააფახულა და უთხრა:

– მამიკო, იქიდან გადმოცვივდებიან და დაიღუპებიან. გეხვეწები, – ყელზე ხელი მიიდო, – ჩვენ თვითონ ავუშენოთ ფართო და მოხერხებული ბუდე, საკენკისა და წყლის დასადგმელით.

– ესე იგი, ავუშენოთ? – ხალისიანად იკითხა კაცმა და სალომეს შუბლზე ჩამოვარდნილი კულული გაუსწორა.

– ავუშენოთ! ავუშენოთ! – ხტუნვა-ხტუნვით წამოიძახეს ბავშვებმა.

– აბა, კირითხურონო, მომყევით, – წაუმღერა პეტრემ.

ნინომ ჩაქუჩი მოარბენინა, სალომემ ლურსმნები და ხერხი. კაცმა მოზრდილი ფიცარი ამოათრია ეზოდან და საქმეს შე-

უდგნენ – ჩორკნეს, ხერხეს, აჭედეს, დაიკაწრეს ხელები და, როგორც იქნა, სახლიც ააშენეს.

მშენებლებს გული ძალუმად უცემდათ. ნახელავი შინ შეიტანეს, შუა ოთახში დადგეს, აათვალიერ-ჩაათვალიერეს და დაასკვნეს: – გვრიტებს სახლი აუცილებლად მოეწონებათო.

პეტრემ გვრიტების სახლი აივანზე ჩამოკიდა, მერე ოფლიანი შუბლი მოიწმინდა და სახეღიმილიანმა შორეთს გახედა. ფრინველები ცას ლაღად სერავდნენ.

– ყველაზე უკეთესი სახლი ჩვენს გვრიტებს აქვთ! – კმაყოფილი პეტრე ბავშვებთან ერთად შინ შევიდა.

– დედიკო! დედიკო! გვრიტებს ისეთი კარგი სახლი ავუშენეთ, მეც დიდი სიამოვნებით ვიცხოვრებდი, – აღტაცებით წარმოთქვა ნინიკომ.

დედამ კი დაეჭვებით თქვა:

– მთავარია გვრიტებს მოეწონოთ.

– როგორ?! – წამოიძახეს ნირწამხდარმა ბავშვებმა, – მართლა რომ არ მოეწონოთ? – დანაღვლიანებულმა დებმა უგულოდ დაიწყეს სადილობა.

ქალმა გაიღიმა, ბავშვებს ხელი გადახვია, რიგრიგობით ეამბორა და გასამხნევებლად უთხრა:

– ცხვირი რატომ ჩამოუშვით? გვრიტებს სახლი აუცილებლად მოეწონებათ. დღეს შაბათია, ეკლესიაში ვართ წასასვლელები.

ტაძრიდან მობრუნებულებს აივნიდან ნაცნობი ღუღუნი შემოესმათ.

– ბავშვებო, ბავშვებო, გვრიტები გვეწვივნენ, გვრიტები! – წამოიძახა გახარებულმა პეტრემ

ყველანი აივანზე გაცვივდნენ.

გვრიტები სახლის შესასვლელ ხვრელთან მოწყობილ ქანდარაზე ჩამომსხდარიყვნენ და ერთმანეთს ტკბილად ეღუღუნებოდნენ.

მთვარისა და მზეკვინარი

მთვარისა და მზევინარი

– აბა, ბავშვებო, ძილის დროც მოსულა!

თამაშში გართულ ბავშვებს დიდად არ ეპიტნვათ ეს ამბავი, ჩხიკვთა ქორწილის პერსონაჟების მიბაძვით იყვნენ გართულნი: ერთი ქეთევანივით დაგოგმანებდა, მეორე ყვავივით ჩხაოდა და ქეთევანს დასდევდა. დედის მეორედ დაძახებისას ბავშვებმა უხალისოდ შეწყვიტეს თამაში.

– დედიკო, დედიკო, შუადღის დაღამეებაა?!

– ხო, შუადღის დაღამებაა.

რამდენადაც ძილი დაღამებას უკავშირდება, ბავშვებიც შუადღის ძილს შუადღის დაღამებას ეძახდნენ.

– ცოტა ხანს დაისვენეთ, დაიძინეთ და მერე უფრო ხალისიანად გააგრძელებთ თამაშს.

ბავშვებს არ ეთმობოდათ თამაში და ჭირვეულობდნენ.

– აბა, ჩემო კუდრაჭებო, ძილის დროა, – სითბო გამოურია დედამ ხმაში.

– დედიკო, დედიკო, დიდები რატომ არ იძინებთ ამ დროს?..

– აბა, საწოლში, ბაბუაც თქვენთანაა, თუ ჭკვიანად იქნებით, ლამაზ ზღაპარს წაგიკითხავთ.

ხტუნვა-ხტუნვით მიატოვეს თამაში და ლოგინში შეძვრენ, თან ხმამაღლა გაჰკიოდნენ: ბაბუ – ზღაპარი, ბაბუ ზღაპარიო!

მხრებში ოდნავ მოხრილ წვერულულვაშიან მოხუცს თითქმის მხრებამდე წვდებოდა დატალღული თოვლივით თეთრი თმა. წიგნებში დახატულ თოვლის ბაბუას ჰგავდა, ხურჯინი და ჯოხი აკლდა მხოლოდ. ღიმმორეული ბაბუა სიყვარულით გასხივოსნებული თვალებით მიეალერსა პატარებს, მერე ზღაპ-

რების წიგნს ხელი წამოავლო, სკამი საწოლთან მიაჩოჩა და ზღაპრის წასაკითხად მოემზადა.

– ეგ არა, ეგ არა, შენი ბებოს ზღაპარი გვიამბე! ოღონდ შენც ჩვენთან ერთად დაწექი, – სთხოვდნენ გოგონები.

რას იზამდა ბაბუა, წამოდგა, ბალიში საწოლის თავს მიადგა, ზედ ბეჭებით მიესვენა და ზღაპრის თხრობას შეუდგა:

ეს ამბავი შორეულ წარსულში მოხდა, ჩემმა ბებომ მიამბო, იმას კი, ალბათ, მისმა ბებომ. ერთი ლამაზი ოჯახი ცხოვრობდა პატარა სოფელში: დედ-მამა და ორი მაყვლისთვალება გოგონა – მთვარისა და მზევინარი.

– ჩვენნაირი, ბაბუ? – ჩაიკისკისეს პატარებმა და ბაბუას ხელები ისე ჩასჭიდეს, როგორც სეირნობის დროს.

– ჰო, თქვენნაირი, – ღიმილით უპასუხა ბაბუამ და განაგრძო: – ფერდობზე შეფენილ სოფელში სულ რამდენიმე კომლი ცხოვრობდა. პატარებს ერთმანეთთან თამაში რომ მოსწყინდებოდათ, მშობლებს სთხოვდნენ მეზობელ სოფელში ბებიასთან და ბაბუასთან გაეშვათ, სადაც ბავშვების გაუთავებელი ჟრიამული გვიან საღამომდე გრძელდებოდა. სოფლებს პატარა ტყე ყოფდა, იმდენად პატარა, რომ ერთი ბოლოდან მეორეში ხმის მიწვდენაც კი შეიძლებოდა. შერეულ ტყეში უხვად ხარობდა ველური ხილი, რას არ ნახავდით იქ: პანტა ვაშლი, მსხალი, ლეღვი, კუნელი, ხურმა, თხილი, კაკალი, ზღმარტლი და კიდევ სხვა მრავალი. მწიფობისას ბავშვები შეესეოდნენ ხოლმე ტყეს, რომელიც სტუმართმოყვარე მასპინძელივით გულში იხუტებდა და უხვადაც ასაჩუქრებდა პატარებს. შუაგულ ტყეში ისეთი სუფთა და კრიალა ნაკადული ჩამოდიოდა, დალევაც კი შეიძლებოდა, თქვენ წარმოიდგინეთ, პატარა თევზებიც ბინადრობდნენ – ღორჯო და ვენახა. ტყე ისეთი უსაფრთხო იყო, რომ უფროსები ბავშვებს გულარხეინად უშვებდნენ. დებს ძალიან უყვარდათ დედულეთში თავისტოლა გოგო-ბიჭებთან ერთად გართობა. ხან კენჭაობდნენ, ხან დახუჭობანას თამაშობდნენ, ხან დაჭერობანას, ხან კიდევ – რას. იმ დღეს ბავშვები მშობლებს შეუთანხმდნენ, დედულეთს გადავალთო. მშობლები დათანხმდნენ და თან გააფრთხილეს:

– არ დააგვიანოთ, მზის ჩასვლამდე დაბრუნდით სახლში.

– არ დავაგვიანებთ! – პატარებმა ტყისაკენ მოკურცხლეს.

ბებო შვილიშვილებს მხიარულად შეხვდა, დააპურა და სათამაშოდ ეზოში გაუშვა.

თამაშით გული რომ იჯერეს, სამხრობა კარგა გადასული იყო. გოგოები ლახტის თამაშს უყურებდნენ, შხუილი გაჰქონდა ღვედებს, წვივებაწითლებული ბიჭები შევარდნებივით დაჰქროდნენ, მხოლოდ გოგოები თუ შეჰკივლებდნენ ხოლმე, როცა ღვედი მიზანს მიაღწევდა.

– მზევინარ, დავბრუნდეთ შინ, სადაცაა მზე ჩავა, არ დაგვიღამდეს, ხომ იცი, ღამის როგორ მეშინია.

– ნუ გეშინია, მალე მივალთ, ჩვენ ხომ ახლოს ვცხოვრობთ, ის მაინც ვნახოთ ვინ გაიმარჯვებს.

ძლივს გამოათრია მთვარისამ მზევინარი შეჯგუფებული ბავშვებიდან. პატარებმა ბებოს შეუარეს.

– ცუგრუმელებო, იქნებ ხვალ წახვიდეთ? სადაცაა, ბაბუაც მოვა და რომ ვერ გნახავთ, მოიწყენს.

– არა, ბებო, დედიკოს დავპირდით, დღესვე დავბრუნდებით–თქო. ბაბუას ხვალაც ვნახავთ.

– კარგი, რახან დაჰპირდით, ნუღარ დააყოვნებთ, გზას გაუდექით.

ჭიშკართან მისული პატარები ბებომ კიდევ ერთხელ ჩაიკრა გულში, ჯვარი გადასწერა და გულარხეინად გააცილა, რადგან გოგონები მზის ჩასვლისას შინ ადრეც ბევრჯერ დაბრუნებულან.

სანამ ტყეში შევიდოდნენ, ბავშვებს ფერადი – ყვავილებით ხალიჩასავით მორთული მინდორი უნდა გადაევლოთ. ფუტკრები და პეპლები სასურველი ნექტარის მოსაპოვებლად ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. მოჭიკჭიკე მერცხლები ისე დაბლა დაფრინავდნენ, ლამის ხელებში ჩავარდნოდათ ბავშვებს. განსაკუთრებით პეპლების ფარფატმა გაიტაცა. ყვავილების სურნელით გაბრუებული ერთი პეპელა მზევინარს თავზე დაასკუპდა.

– როგორ გიხდება, შენისთანა ლამაზი ბაფთა არავის ექნება, – კისკისებდა მთვარისა.

სიცილსა და ხტუნვა თამაშში დრო შეუმჩნევლად გაილია და

კარგა მოსაღამოებული იყო ტყისპირს რომ მიადგნენ.

– სულ შენი ბრალია, მზევინარ, დედიკომ ხომ გვითხრა, არ დააგვიანოთო.

– რისი გეშინია შე მშიშარა, – მზევინარმა დაიკოს თავზე ხელი გადაუსვა. – აქ ჩვენთვის ყველაფერი ნაცნობია.

მოულოდნელად ცაზე ელვა გაკრთა და ისე დაიქუხა, დედამიწა შეაზანზარა. გულადი მზევინარი აცახცახებული აეკრა მთვარისას. ჩამობნელდა, ცოტათი კიდეც წამოთქორა. ფოთოლთა შრიალი და შარიშური იდუმალების ბურუსში ჰხვევდა არემარეს. ერთმანეთს აკრული ბავშვები ფრთხილად მიაბიჯებდნენ. წვიმა მალევე შეწყდა, მთვარემაც ამოანათა, ღამის ლანდებიც დაგრძელდა და ზღაპრის პერსონაჟებიც გაცოცხლდნენ. აგერ მოხუცი ჯადოქარი, იქით ცხრათავიანი დევი. ფოთლებზე დავანებული წვიმის წვეთებიც აციაგდნენ, რომლებიც მტაცებლების თვალის ნათებას წააგავდნენ და შიშს ჰგვრიდნენ პატარებს.

– ხომ არ დავბრუნდეთ?

– არა, მთვარისა, ცოტა დაგვრჩა, სულ ცოტა და მალე მივალთ.

ბავშვებმა სიბნელეში ორი მოძრავი მანათობელი წერტილი შენიშნეს, რომლებიც მათ უახლოვდებოდა და უცნაურად ციმციმებდნენ. გოგონები აცახცახდნენ, წინ ბიჯიც კი ვერ წადგეს. მანათობელი წერტილები კი უფრო და უფრო დიდდებოდნენ. დამფრთხალმა ბავშვებმა თვალები დახუჭეს, გაირინდნენ და ამ დროს ყურში ნანინასავით ჩაესმათ არაამქვეყნიურად მშვიდი, ალერსიანი ხმა. ჟრუანტელმოგვრილებმა თვალები ფართოდ გაახილეს. მათგან ხელის გაწვდენაზე ორი მანათობელი წერტილი იდგა, ციცინათელებს ჰგვანდნენ, ოღონდ უფრო დიდები. უცნაურად მანათობელმა წერტილებმა დედიკოსავით ნაზი და ტკბილი ხმით მიმართეს ბავშვებს:

– ჩვენი არ შეგეშინდეთ!

ბავშვები, რა თქმა უნდა, დამშვიდნენ. როგორია მოლაპარაკე ციცინათელების ხილვა?!

– წავედით, ბავშვებო! აფორიაქებული მშობლები თქვენს მოსაძებნად მოეშურებიან. წავედით, წავედით, გზას გავუდგეთ! ჩვენ ზეციდან მოვლენილი პატარების მფარველი ანგელოზები

ვართ, თქვენ შესახებ ყველაფერი ვიცით, როგორი კეთილი გოგონები ხართ, ვიცით, როგორ გადაარჩინეთ გუბურაში ჩავარდნილი წიწილა, როგორ გაუმასპინძლდით ცივი წყლით მგზავრს. აბა, ცერა თითები წინ წამოსწიეთ, ჩვენ დაღლილები ვართ, ზედ ჩამოვისვენებთ და თანაც გზას გაგინათებთ.

პატარებმა ცერა თითები წინ წამოსწიეს, უცნაური მანათობლები კი დაპატარავდნენ და ნამდვილ ციცინათელებს დაემსგავსნენ. პატარები კი იყვნენ, მაგრამ ვარსკლავივით კაშკაშებდნენ და დღესავით ანათებდნენ ტყის ბილიკს.

– ბავშვებო, ყოველთვის გახსოვდეთ: დანაპირები აუცილებლად უნდა შეასრულოთ, ხომ დაჰპირდით მშობლებს, არ დავაგვიანებთო. ღამით სიარული სახიფათოა.

გაყურსული ბავშვები მანათობელ ციცინათელებთან ერთად ნაკადულს მიუახლოვდნენ. ბოგირზე ფეხი შედგეს თუ არა, მამიკოს ხმა შემოესმათ:

– მზევინარ! მთვარისა!

– მშობლები გეძებენ! ანთებული ჩირაღდნებით ჩვენსკენ მოემართებიან. თქვენ აქ დაგტოვებთ, ჩვენ კი გზას განვაგრძობთ. ვინ იცის, კიდევ რამდენი გზააბნეული ბავშვი გველოდება.

მანათობელი ციცინათელები როგორც მოულოდნელად გამოჩნდნენ, ისე მოულოდნელად გაქრნენ. გახარებულმა, გულმიცემულმა ბავშვებმა ფეხს აუჩქარეს და ერთხმად შეჰყვირეს:

– მოვდივართ, მამიკო, მოვდივართ!..

ყვავილებმა კადამარჩინეს

ყვავილებმა გადამარჩინეს

გაზაფხული კარგა ხნის დამდგარი იყო, როცა ნინიკო მშობლებმა სოფელში ჩაიყვანეს. გაიხარეს ბებიამ და ბაბუამ, მიესიყვარულნენ შვილიშვილს და მისთვის გადანახული ნუგ-ბარითაც გაუმასპინძლდნენ. ეს მთაგორიანი და ტყით დაფა-რული სოფელი თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა. სიმინდის დასათესად ისევ მამაპაპურ ხარ-გუთანს იყენებდნენ. ნინიკოს ბაბუასაც ჰყავდა ხარები, რომლებიც ძალიან ლამაზები იყვნენ. ტყუპის ცალებივით ჰგავდნენ ერთმანეთს, ორივენი – მოწითალო ფერის, ლამაზად მორკალული წვეტიანი რქებით. ერთს წიქარა ერქვა, მეორეს კი – ნიშა. ნიშა იმიტომ, რომ შუბლი თოვლის გუნდასავით თეთრი ჰქონდა. ერთ დილით ბაბუა ეუბნება ნინიკოს:

– ნინიკო, მოდი, მე წამომყევი. ერთი პატარა ფერდობი მაქვს დასახნავი და მომეხმარე.

– მე როგორ მოგეხმარო, ბაბუ? ხარების მეშინია.

– ხარების ნუ გეშინია, ნინიკო. ისინი ძალიან ჭკვიანები და თვინიერები არიან, არაფერს გავნებენ. შენ მხოლოდ ხანდახან ცივი წყალი მომიტანე წყაროდან. თანაც მიმღერე. ეს იქნება შენი დახმარება.

ბაბუა და შვილიშვილი ფერდობისკენ მიმავალ გზას გაუყვნენ.

ნინიკო ერთხანს ყურადღებით აკვირდებოდა ბაბუას საქმი-ანობას, როგორ მიმოაბნევდა იგი სიმინდის მარცვალს, აკვირ-დებოდა, თუ როგორ ერჭობოდა სახნისი მიწაში და როგორ მწყობრად ლაგდებოდა ერთმანეთზე ამობრუნებული ბელტები. მერე მოეწყინა და ბაბუას გასძახა.

– ბაბუ! მე წყაროზე ჩავირბენ და ცივ წყალს მოგიტან.

– კარგი, შვილო, ოღონდ ძალიან არ დაიგვიანო, ტყისკენ არ გაგექცეს თვალი, თავი არ მაძებნინო.

ნინიკო პატარა თუნგულით წყაროსკენ დაეშვა. ჯერ თვითონ დაეწაფა ღარში მოჩხრიალე ცივ, ანკარა წყალს, მერე კი თუნგულა შეუდგა. სანამ აივსებოდა, არემარეს მოავლო თვალი, მოავლო და განცვიფრდა. საოცარი სილამაზე გამეფებულიყო ირგვლივ. გეგონებოდათ, ათასფერ ყვავილებს ზეიმი გაუმართავთ მის პატივსაცემადო.

მოდი, ლამაზ თაიგულს შევკრავ და დედიკოს გავახარებ, გაიფიქრა ნინიკომ. ის იყო, მოსაწყვეტად წაეტანა ყვავილს, რომ იდუმალმა ხმამ ხელი გაუშეშა: „არ მომწყვიტო, მე მინდვრის ყვავილი ვარ, არ მოგვწყვიტო“, ერთხმად ახმიანდა ყვავილნარი. „ჩვენ, მოკრეფილნი, მალე ვჭკნებით და მალევე ვიღუპებით, ჩვენ ასე უფრო ლამაზები ვართ, აბა, რა ფასი აქვს დამჭკნარ ყვავილებს?“ ნინიკო გამოერკვა, გაეღიმა, მერე ჩაცუცქდა და ნაზად გადაუსვა ხელი ყვავილებს: „არა, ჩემო კარგებო და ლამაზებო, ხელსაც არ გახლებთ, ისე მოგესიყვარულებით“. მერე ფეხზე წამოხტა და ფრთახატულა პეპელას დაედევნა, თან ეხვეწებოდა: „ნუ გამირბი, ლამაზო, არაფერს გავნებ, ცოტა ხნით ხელზე დამასკუპდი, მაგ ლამაზ ნახატებს დავათვალიერებ და გაგიშვებო“. პეპელას ნინიკოსი არ ესმოდა და თავის საქმეზე მიფარფატებდა. მერე ჭიამაია შენიშნა, ხელზე დაისვა და შეეკითხა:

– ჭია, ჭიამაია, ხვალ თუ კარგი დარია? – სამჯერ გაიმეორა. ჭიამაია ხელის გულიდან შუა თითის წვერზე აცოცდა, მერე ფრთები გაშალა და თითის წვერს მოსწყდა. ჰო, ესე იგი ხვალაც მზიანი ამინდი იქნება. ის იყო, თავქვე უნდა დაშვებულიყო, რომ მოულოდნელმა შიშმა ადგილზე გააქვავა. მისკენ მაჯის სიმსხო გველი მოცურავდა. მიდამო საშინელების მოლოდინში გაისუსა. არათუ მწერების ბზუილი, ფრინველების ჭიკჭიკიც კი აღარ ისმოდა. ნინიკოს დასაცავად ყვავილები წამოიშალნენ, გველს გზა გადაუღობეს. ნაზი ყვავილების გულადობით, სურნელით და სილამაზით გაბრუებული უხსენებელი ბუჩქნარში გაუჩინარდა. ნინიკო წყაროსკენ დაეშვა. ყვავილები კი გამომშვიდობის ნიშ-

ნად თავს ხრიდნენ და ფოთლებს აშრიალებდნენ, „მომავალ შეხვედრამდე, ნინიკო, მომავალ შეხვედრამდეო“. ნინიკო ღარის წყალს დაეწაფა. მერე სახეზე შეისხა, თუნგულას ხელი წაავლო და ბაბუასაკენ სირბილით წავიდა.

ბაბუას უღლიდან ხარები გამოეშვა. თვითონ კი კვალის ბოლოს ხის ჩრდილში იმერული ქუდით ოფლიან შუბლს იწმენდდა. ნინიკო მორბისო, რომ დაინახა, ფეხზე წამოდგა.

– ნელა, ნინიკო, ფეხი არაფერს წამოჰკრა, არ დაიმტვრე, შვილო!

– ბაბუ! იქ... წყაროსთან გველი... – სიტყვებს ძლივძლივობით წარმოთქვამდა ნინიკო.

– რა გველი, შვილო! ხომ არ უკბენია? – ბაბუამ შვილიშვილს ხელი დასტაცა და გულში ჩაიკრა.

– არა, ბაბუ. ყვავილებმა გადამარჩინეს.

მზე მხურვალე სხივებს უშურველად უგზავნიდა დედასამყაროს. ჰორიზონტს ალმური ასდიოდა.

ჭიამაიები

ჭიამაიები

– ჩვენი ბრალია ყველაფერი, ჩვენი. დაგვეჯერებინა უფროსებისთვის, ქარსა და გრიგალში რომ მოვინდომეთ ფრენა, რომელი არწივები ჩვენ ვიყავით.

– რა ვიცი, მზიანი ამინდი იყო და მინდვრიდანაც ისეთი სურნელი მოდიოდა, ვერ გავუძელით ცდუნებას და კი ვართ ახლა ასეთ დღეში. ფრთები დაგვიზიანდა და ახლა ჩვენც ჭიანჭველებივით დავბოჭიალებთ. ისე, აქაც ბევრი საინტერესო რამ ყოფილა, ყვავლებიც უფრო კარგად გავიცანით, ჭიანჭველებსაც დავუმეგობდით. არა, არა, მომწყინდა მიწაზე ხოხიალი, ფრენა მინდა!

მიბოჭიალობდა ორი ლამაზად დაწინწკლულკაბიანი ჭიამაია და თავიანთ უბედობას ჩიოდნენ. სახლამდე ჯერ კიდვ შორი გზა ქონდათ გასავლელი. სახლი კი ქვაყუნციის ქვეშ მოეწყოთ, წვიმისაგანაც იცავდათ და მზისგანაც. სანამ სახლში მივიდოდნენ, გზად ერთი ანკარა რუ უნდა გადაელახათ. ადრე ასეთ დაბრკოლებებს აინუნშიც არ აგდებდნენ, ახლა კი ფრთაჩამოვარდნილები და არაქათგამოცლილნი ძლივს მიბობღავდნენ.

მიადგნენ ნაპირს, გახედეს მოლიკლიკე წყლის ნაკადს და ჩამოისვენეს. გაღმა ნაპირზე, გვირილებით გადაპენტილი ვრცელი მინდვრის დანახვაზე ცრემლები მოადგათ.

– რა გვეშველება? ღამე შეგვცივდება და შეიძლება დავიღუპოთ. არა, არა, მე ფრენა მინდა, ფრენა, – ხმაღლა აქვითინდა ერთი მათგანი.

დაღვრემილ და საგონებელში ჩავარდნილ ჭიამაიებს თავს პატარა ბატკანი წამოადგათ:

– რა გაგჭირვებიათ ფრთახალიანებო, რას დაღონებულხართ?

ცრემლმორეულმა ჭიამაიებმა თავიანთი გასაჭირის შესახებ უამბეს. ბატკანმა ჩაიკიკინა, მერე წინა მარჯვენა ფეხი მიწაზე დააბაკუნა და დაღვრემილ ჭიამაიებს მიმართ:

– ახლა ყურადღებით მომისმინეთ! ტირილით საქმეს ვერ უშველით, აუყევით ამ ნაპირს, მოსახვევში, ტირიფთან წყლის ზამბახია გადაწვენილი, შესანიშნავი ხიდია. რომ იცოდეთ, ჭიანჭველებიც მაგ ხიდით სარგებლობენ. აბა, თქვენ იცით, – დამშვიდობების ნიშნად ისევ მარჯვენა ფეხი ასწია ბატკანმა და მერე სამჯერ მიწაზე დააბაკუნა.

გუნებაგამოკეთებულმა ჭიამაიებმა მადლობა გადაუხადეს ბეკეკას და გზას გაუდგნენ. პატარა ხნის მერე ისევ ბეკეკას კიკინი შემოესმათ:

– შეჩერდით, შეჩერდით! – ჭიამაიები შეყოვნდნენ, – ჭიამაიებო, გული ამიჩვილა თქვენმა სატკივარმა, ცრემლებიც კი მომადგა თვალზე, არა ხართ თქვენ მიწაზე სახოხიალოდ გაჩენილნი, თქვენი ადგილი ცაშია. ვიფიქრე და იმ დასკვნამდე მივედი, რომ ერთადერთი გამოსავალი ადამიანებთან მისვლაა, ისინი თუ გისაშველებენ. აბა, თქვენ იცით, არ დამივიწყოთ. ფრენას რომ შეძლებთ, უსათუოთ მესტუმრეთ.

ჭიამაიებმა პაწაწკინტელა საღი ფრთები შეარხიეს და დაპირდნენ:

– ფრენა თუ შევძელით, უსათუოდ გეწვევით.

– კარგი, კარგი, სადაცაა ავტირდები, ცრემლები მომაწვა. არ გემშვიდობებით, მჯერა, რომ ისევ შევხვდებით.

– რა კეთილი ბეკეკაა, თუ გადავრჩით, ვეწვიოთ, პაწაწინა რქებზე დავასკუპდეთ, გავამხიარულოთ. მაგრამ ადამიანებამდე როგორ მივიდეთ?

ჭიამაიები გზას გაუდგნენ და ცოტა ხანში ხიდს მიადგნენ. უზარმაზარი წყლის ზამბახის მორკალული ღერო მეორე ნაპირს სწვდებოდა. ნიავის წამოქროლებაზე ხან მაღლა აიწეოდა, ხან დაბლა ეშვებოდა და ნაპირს ელამუნებოდა. ჭიამაიები ჩამოსხდნენ, მოქანავე ღერომ შიში მოჰგვარათ. ჩაფიქრდნენ, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ. იფიქრეს, იფიქრეს და გა-

დაწყვიტეს, როგორმე ხელსაყრელი დრო შეერჩიათ, ნიავის დაქროლვაზე წყალში რომ არ გადაცვენილიყვნენ – როგორც კი ქროლა შეწყდებოდა, ღეროზე უნდა აბობღებულიყვნენ. ამ სჯა-ბაასში იყვნენ, როდესაც ხიდს ჭიანჭველების ჯგუფი მიუახლოვდა. ჯარისკაცებივით ერთ რიგად ჩამწკრივებულიყვ-ნენ და მწყობრი ნაბიჯებით მოეშურებოდნენ. ხიდთან რომ მი-ვიდნენ, მეთაური მწკრივს გამოეყო და ჭიამაიებთან მივიდა:

– რას ჩაფიქრებულხართ, რა გაგჭირვებიათ?

ჭიამაიებმა მოკლედ უამბეს თავსდატეხილ უბედურებაზე.

– აბა, ახლა კარგად მომისმინეთ, ჩვენ ამ ხიდზე არა-ერთხელ გადავსულვართ. ცოტა ირხევა, მაგრამ შიში საქმეს ვერ უშველის. მანამ არ დაიძრათ, სანამ ჩვენ ხიდზე არ შევაბიჯებთ. როცა სვლას დავიწყებთ, გამოგვყევით.

ჭიამაიებმა ჭიანჭველებთან ერთად მშვიდობით გადაიარეს ხიდი. ჭიანჭველების მეთაური ჭიამაიებს გამოეშვიდობა, წარ-მატებები უსურვა და თავისიანებთან ერთად გზას გაუდგა. მად-ლობის ნიშნად ჭიამაიებმა ჯანმრთელი ფრთები დაუქნიეს და გვირილების ტყეში შევიდნენ.

– როცა დავფრინავდით, ვერც კი ვამჩნევდით, გვირილები რა მაღლები ყოფილან. დაღლილ-დაქანცულნი გვირილის ღეროზე აცოცდნენ. გვირილებს კი ჩამავალი მზის სხივების-კენ მიედრიკათ თავები და ოდნავ ირწეოდნენ. მასპინძელმა გვირილამ სტუმრების მობრძანებისას თავი მოაბრუნა, ფა-რთოდ გაშალა შარავანდედად ქცეული თეთრი ფურცლები და შუაგულში ოქროსფერ მაგიდასთან მიიპატიჟა. მაგიდა ისეთი ლამაზი იყო, გეგონებოდა თვით მზე ჩამობრძანებულა და და-ვანებულა მის გულშიო. ჭიამაიებმა სული რომ მოითქვეს, ისევ აწუწუნდენ, ცრემლები მოერიათ და მოთქმა დაიწყეს:

– რა გვეშველება, უსათუოდ დავიღუპებით! – ღაპაღუპით წამოსულმა ცრემლებმა ყვავილის გულამდე მიაღწია, მერე კი ფესვებისაკენ დაეშვნენ. ჭიამაიებმა, რა თქმა უნდა, გვირილასაც უამბეს თავიანთი სატკივარი.

შეწუხდა გვირილა. დაღონდა:

– რა გიშველოთ, რით დაგეხმაროთ, მე ხომ სიარული არ

შემიძლია, – ცრემლმორეულმა თავი მაღლა ასწია და ირგვლივ მიმოიხედა. მცირე ხნის შემდეგ კი მხიარულად წამოიძახა, – აბა, თავები წამოსწიეთ! – ჭიამაიები გვირილის ფურცლებზე აცოცდნენ, – ხედავთ, ჩვენ წინ ბალახებში ჩაწოლილ ტყუპ გოგონებს გვირილებივით მოჩითული კაბები რომ აცვიათ?

– კი, ვხედავთ, რა ლამაზები არიან!

– გოგონებამდე უნდა მიაღწიოთ და უთუოდ დაგეხმარებიან.

ჭიამაიები გვირილის ოქროსფერ გვირგვინს ეამბორნენ, თავქვე ფრთხილად დაეშვნენ და პატარების ფეხებამდე ძლივს მიაღწიეს. მერე ჩამოსხდნენ და მსჯელობა დაიწყეს, თუ როგორ გაეღვიძებინათ. გოგონების გარუჯულ წვივებს მზე დასთამაშებდა, მოჩითული კაბები კი მუხლებამდე წვდებოდათ და ყოველი ამოსუნთქვა-ჩასუნთქვისას კაბებზე დახატული ყვავილები ისე ირხეოდნენ, ცოცხალი გეგონებოდა.

– უსათუოდ უნდა გავაღვიძოთ, მაგრამ ჩვენ ხომ ლაპარაკი არ შეგვიძლია.

პატარა ფიქრის შემდეგ ერთმა ჭიამაიამ თქვა:

– მოდი, ასე მოვიქცეთ, ფეხისგულებზე მოვუღიტინოთ და აუცილებლად გაიღვიძებენ.

გოგონების გაუხეშებულმა ფეხისგულებმა ვერარა იგრძნეს. ცერა თითებამდე რომ მიაღწიეს, გოგონებს გახედეს, პატარები მშვიდად ფშვინავდნენ. მერე თავქვე დაეშვნენ, კოჭებზეც შემოუღიტინეს და შეისვენეს.

– მგონი არაფერი გამოგვდის.

– გამოგვივა, გამოგვივა, – თქვა მეორემ ჯიუტად და წვივს აღმა აუყვა.

ახლა მუხლისთავებზე დაარტყეს წრე. გოგონები ოდნავ შეიშმუშნენ და ფეხები გაატოკეს. ჭიამაიები კინაღამ ძირს გადმოცვივდნენ.

– მგონი, გამოგვდის, გამოგვდის, უნდა ვიჩქაროთ, დასვენების დრო აღარ არის, მალე დაღამდება

ჭიამაიები პატარებს კაბის ქვეშ შეუძვრენ და ბოჭიალ-ბოჭიალით კისრამდე აცოცდნენ. ისე გამალებით უსვამდნენ პაწაწკინტელა ფეხებს, გეგონებოდათ მთიულურს ცეკვავენო. ის-ის იყო

უნდა ეთქვათ, ამაოა ჩვენი შრომაო, რომ ერთმა პატარამ, რომელსაც ლიზიკოს ეძახდნენ, ჯერ ჩაიფრუტუნა, მერე გულიანად გადაიკისკისა, მუხლებზე წამოიწია, ხელი კისერზე მოისვა და ჰოი, საოცრებავ, ხელში პატარა ფრთახატულა ჭიამაია შერჩა. ლიზიკოს კისკისს კატოს კისკისიც შეურთდა, მასაც ხელისგულზე ჭიამაია ესვა.

– ნახე, ნახე, რა ლამაზები არიან!

– არა, ჩემი უფრო ლამაზია!

– ჩემი შვიდხალიანია! – ნიშნისმოგებით თქვა ლიზიკომ.

– ჩემიც, – კატომ ხალები გადაითვალა,

– ჩვენსავით ტყუპები ყოფილან! – კისკისებდენ პატარები.

სული რომ მოითქვეს, მაშინღა შეამჩნიეს, ჭიამაიებს ფრთები დაზიანებული რომ ჰქონდათ. დაღონდნენ. კატოს ცრემლი მოერია.

– რა ვუშველოთ, რით გადავარჩინოთ. ასე ხომ დაიღუპებიან. ასე ვერ მივატოვებთ! – სლუკუნებდა კატო და ცრემლებს იწმენდდა.

– ამათ ბაბუა თუ უშველით, – თქვა ლიზიკომ, – ბაბუასთან უნდა მივიყვანოთ.

გოგონების ბაბუა ცნობილი სახალხო მკურნალი იყო. მთელი წლის განმავლობაში აგროვებდა მცენარეების ფოთლებს, ბალახის ღეროებს, ყვავილებს, ყვავილის ბოლქვებს და ფესვებს. ჰყავდა ფუტკრის რამოდენიმე ოჯახი, რომელთაც თავს ევლებოდა და ელოლიავებოდა. მაგიდაზე გადაშლილი კარაბადინი ედო და ჩაჰკირკიტებდა. სამუშაო ოთახში, რომელსაც თვითონ ლაბორატორიას ეძახდა, ბუნება სუნთქავდა და მისი გამაბრუებელი სურნელი ნისლივით ედებოდა მთელ უბანს. მკურნალობდა როგორც ადამიანებს, ასევე ცხოველებსაც.

– არ იტიროთ წითელკაბაიანებო, ჩვენი ბაბუა აუცილებლად გადაგარჩენთ. მერე იფრინეთ და იფრინეთ, რამდენიც მოგესურვებათ, – გახარებულმა ტყუპებმა ჭიამაიები მუჭში ფრთხილად მოიქციეს და შინისაკენ მოკურცხლეს.

ჯერ კიდევ არ იყვნენ ჭიშკართან მისულნი, რომ ყვირილი მორთეს:

– ბაბუ! ბაბუ!

ჭიშკარს მხრებით მიაწვნენ და ეზოში შეცვივდნენ, თან გაჰყვიროდნენ:

– ჭიამაია! ჭიამაია!

სახლის კარი გაიღო და პარმაღს ახოვანი, მხრებგაშლილი ბრგე მამაკაცი გამოსცდა. მხოლოდ თოვლივით თეთრი თმა მიანიშნებდა მის სოლიდურ ასაკს.

– ისევ ფეხშიშველა დატანტალებთ? რას იტყვის ხალხი? დამღალა თქვენი ფეხისგულებიდან ეკლების ძრობამ.

ბავშვებმა სიყვარულგარეული საყვედური ყურს მიღმა გაუშვეს და ბაბუას მკერდზე მიასკდნენ. მხოლოდ ორი სიტყვა წარმოთქვეს აქოშინებულებმა და გულაძგერებულებმა:

– უშველე, ბაბუ!

მერე კარს ზურგით მიესვენენ და ჭიამიებიანი ხელი წინ გაიწვდინეს.

შეცბუნებულმა ბაბუამ ყურადღებით შეათვალიერა ფრთებჩამოყრილი ჭიამაიები. მერე სახლში შევიდა და დაჩვრეტილი, გამჭვირვალესახურავიანი ხის პატარა ყუთი გამოიტანა, ბავშვებს ჭიამაიები გამოართვა და ხის ყუთში ფრთხილად ჩაუშვა.

– ბაბუა, ფრთები აქვთ დაზიანებული, აუცილებლად უნდა ვუშველოთ, – თქვა ლიზიკომ.

– ხო, ბაბუ, გეხვეწები, გეხვეწები! – მხარი აუბა თვალცრემლიანმა კატომ.

– ვცადოთ, ბაბუ, ვილოცოთ! მარტო ჩემი მალამო რას უშველის. თუ ღვთის ნება იქნება, უსათუოდ გამოჯანმრთელდებიან.

იმ დღიდან მოყოლებული ბაბუა საჯანმრთელო ლოცვებს კითხულობდა პატარებთან ერთად. წამლობდა თავისი წამლებით და ღმერთს ევედრებოდა შეწევნას. თვალს ვერ უსწორებდა ცრემლმორეულ ბავშვებს, რომლებშიც დიდი სიყვარული და მოლოდინი იკითხებოდა.

ორი კვირის თავზე ბაბუამ შეამჩნია, რომ ჭიამაიებს ფრთები გასწორებოდათ. ღიმილი მოერია, ბავშვივით გახარებული ეზოში გამოვარდა და პატარებს ახარა.

ტყუპების სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. ბაბუამ პატარებს განუცხადა:

– ჩვენი ჭიამაიები გამოჯანმრთელდნენ და დღეს საზეიმო გაცილება მოვუწყოთ.

პატარა ხანში ბაბუამ ხის პატარა ყუთს თავსახური ახადა და ჭიამაიები კატოს და ლიზიკოს ხელზე დაუსვა. ჭიამაიები ჯერ გაისუსნენ, მერე მოძრაობა დაიწყეს, ცერა თითებზე აცოცდნენ, იქაც პატარა ხანს შეყოვნდნენ, გარემო მოათვალიერეს, ფრთები აბზიკეს, თითებს მოსწყდნენ და სიხარულისაგან თავბრუდახვეულნი ჰაერში შეცურდნენ. ბავშვებმა ტაში შემოჰკრეს, მერე ბაბუას ჩაეფსკვნენ და აღტაცებულნი გაჰკიოდნენ:

– ხომ ვუშველეთ! ხომ გადავარჩინეთ!

– თქვენ გადაარჩინეთ, ნამდვილად – თქვენ! თქვენმა სიყვარულმა გადაარჩინა! – იმეორებდა ცრემლმორეული ბაბუა და პატარებს თვალებს უკოცნიდა.

მეორე დღეს ეზოში გამოსულ ბაბუას გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, მრავალისმომსწრე თხილის ხე ჭიამაიებით დახუნძლული რომ იხილა. გეგონებოდათ, ხეს ძვირფასი თვლებით მოოჭვილი სამეჯლისო კაბა აცვიაო. გაოგნებულმა ბერიკაცმა პირჯვარი გადაიწერა და სახეგაცისკროვნებულმა სწრაფი ნაბიჯებით ბავშვების ოთახისკენ გასწია...

„ერავალი სიავე
სვდება ართალს, და
ყველაფერისგან ისსნის უფალი“

„მრავალი სიავე ხვდება მართალს, და ყველაფრისგან იხსნის უფალი“

უკვე რამდენი წელია, რაც საქართველოს სიმშვიდე სანატრელად გახდომია. ამდენი წლის პოლიტიკური ამღვრეულობის დაწმენდის კონტურები ჯერაც არსად ჩანს! დაფარული, შენიღბული უკეთურებანი, უამრავი მანკიერება წამოტივტივდა ზედაპირზე ამ მოკლე ხანში. ვინც არ იყო კახაბერი, მას მოჰქონდა თავი კახაბერად. რამდენი უდანაშაულო სისხლი დაიღვარა მედროვეთა ბოროტგანზრახულობით, რამდენი იგვემა, იტანჯა, დაუძლურდა და პატივახდილ იქნა. ბოროტმა ძალამ მთელი თავისი სისასტიკით წარმოაჩინა თავი, თურმე რამდენი ბოროტის მსახური ყოფილა. უსასოობამ რამდენი სამუდამოდ გადაკარგა ქვეყნიდან. რამდენმა თავზე ნაცარი წაიყარა და გაირინდა. რამდენმა საზოგადოებისთვის ცნობილმა, ვითომ გამოჩენილმა სახემ სამარცხვინო შემგუებლობითა და მანჭვა-გრეხით შეირცხვინა და შეაძულა ხალხს თავი.

მიუხედავად ყველაფრისა, ქართველების ძვალ-რბილში გამჯდარი თავისუფლების სული მაინც ვერ ჩაკლეს. ამდენმა სიგლახემ ერთი კარგი შედეგი მაინც გამოიღო, უბედურებისგან თავის დასაღწევად, სულისა და ხორცის გადასარჩენად, ხალხმა იმედის დიდ სახლს – ეკლესიას შეაფარა თავი. არა მგონია, დალხინებული ცხოვრებისას ამდენი მრევლი ჰყოლოდა ტაძარს. სამყაროში ხომ ყველაფერი ღმერთის ნებით ხდება, სწორედ მან ჩაგვახედა სარკეში, დაგვანახვა ჩვენი სიბინძურე და გვაიძულა, განვწმენდილიყავით! საუკუნეების განმავლობაში, ქართველ

ხალხს, პატარ–პატარა გამონათებების გარდა, ოღროჩოღრო გზებზე უწევდა სიარული და ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ ამ წინააღმდეგობებს ხშირად თვითონ უქმნიდა თავის თავს.

ილიას ოცნება – „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდესო“, გარეშე ფაქტორებზე დამოკიდებული აღმოჩნდა! სამწუხაროდ, დღესაც ასეა. ყველა ოცნებობს ქვეყნის დამოუკიდებლობაზე. ჩვენც გვეღირსა, როგორც იქნა, მაგრამ... მაინც უცნაური დამოუკიდებლობა გვაქვს. რომელ დამოუკიდებლობაზეა ლაპარაკი, როცა შენი ქვეყნის დამაქცევარი, ქვეყნის მოღალატე, მყვლეფელი, თაღლითი, ფლიდი, ორპირი, მატყუარა ვერ დაგიკავებია. აუჰ! ეს როგორ შეიძლება? არიქა, ამერიკას ეწყინება, არიქა, ევროპა ვერ გაგვიგებსო. ქვეყნის დამაქცევარ კანონში ცვლილებები ვერ შეგიტანია – აუჰ! ამას ვენეციის კომისია დაგვიწუნებსო. როცა შენი მომავალი ვერ განგისაზღვრავს – აუჰ, ამაზე რუსები ტლინკებს აყრიან, ამაზე ამერიკა აღშფოთდება, ამაზე ევროპა შეშფოთდებაო!

ის, რაც სისხლხორცეულია, რაც ტრადიციულია, წმიდათაწმიდაა, რამაც შეგინარჩუნა თავისთავადობა, გამორჩეულობა – ანტიდემოკრატიული ყოფილა! ქვეყნის საკეთილდღეოდ ნაბიჯს ვერ დგამ – არიქა, ცისფერები აღშფოთდებიან, არიქა, ვარდისფერები შეშფოთდებიან, სხვადასხა კონფესიის წარმომადგენლები ზურგს შეგვაქცევენ, ხელს არ ჩამოგვართმევენ, თვალებში აღარ შეგვხედავენ და მერე რაღა გვეშველებაო! ის, რაც ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობით დანაშაულია, – სამშობლოს ღალატი, ხაზინის ძარცვა, ადამიანების წამება–დამცირება, მკვლელობა, ტერიტორიების გაჩუქებისთვის პასუხისმგებლობა, თურმე ჩვენი „კეთილმოსურნეებისათვის“ აღიქმება როგორც პოლიტიკური ზეწოლა და ანტიდემოკრატიულია, მათ ქვეყანაში კი მკაცრ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

შენ, დაბნეულო ქართველო, საით უნდა გაიხედო? რომელი გზა უნდა აირჩიო?! „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდესო“, და მართლაც, რაში გვაინტერესებს, რას იტყვის დასავლეთ–აღმოსავლეთი. ვიაროთ ღვთის გზაზე, მივყვეთ ღვთის რჩეულებს. მტერი არ გამოგველევა – სულ იყეფებენ, მამა პაისი ამბობდა:

ნუ მიაქცევ მათ ყეფას ყურადღებას, გააგრძელე შენი გზა, ქვებსაც ნუ ესვრი, თორემ ისეთ სასახლეებს აიშენებენ, ვეღარაფრით გამოყრიო.

ჰოდა, იშენებენ კიდეც! ძლიერთა ამა სოფლისათა ხელშეწყობით რამდენმა მანკიერებამ გაიდგა ფესვი და გაიფურჩქნა. „ქართლის ჭირსა ვერვინ მოთვლისო“... მდგომარეობით გადიდკაცებულების უტიფრობა აღიზიანებს ყველაზე მეტად ხალხს. არ მეგულება ერი, ასე აუგად, მომხმარებლურად ექცეოდეს თავის ქვეყანას, როგორც ჩვენ.

ვივიწყებთ ისტორიას, ვრყვნით, ვაბინძურებთ და ვაკნინებთ მშობლიურ ენას, მოდად და განსწავლულობის ნიშნად იქცა წინადადებაში სამი-ოთხი უცხო სიტყვის „შემოგდება“, თითქოსდა ქართულს სიტყვები აკლდეს აზრის გამოსახატავად. იკუმშება, პატარავდება ქართული ენის ასპარეზი! უამრავი დღემოკლე თუ დღეგრძელი ფირმა იხსნება და იშვიათი გამონაკლისის გარდა ყველა უცხოენოვანი სახელწოდებისა.

შე დალოცვილო, უცხოურ სახელწოდებას კი არ მოაქვს მატერიალური კეთილდღეობა, არამედ თავდაუზოგავ შრომას. თუ იაპონელები მსოფლიოში საყოველთაოდ ცნობილ კომპანიებს არქმევენ იაპონურ სახელებს („მიცუბიში“, „პანასონიკი“, „სონი“, „ტოიოტა“ და სხვა მრავალი), პატივს სცემენ თავიანთ ენას და ლექსიკას, ჩვენ რა ღმერთი გაგვიწყრა. ასეთი მატრაკვეცობით ხომ ღარიბდება, კნინდება და ფუნქციას კარგავს ჩვენი ენა. კარგი იქნება, თუ ხელისუფლება დააკანონებს და ყველა დაწესებულებაში ერთ ფილოლოგს მაინც დაასაქმებს, ამით ცოტათი მაინც გამოასწორებს საქმეს.

კატასტროფულად მცირდება ჩვენი ქვეყნის ტერიტორიები – უთავო ხელისუფლების გამო ოკუპაციით, თუ დანაშაულებრივი დაუდევრობით, ერთ ლარად სხვისდება ქართული მატერიალური ქონება, მიწები, რომლებიც ჩვენი წინაპრების სისხლითა და ოფლითაა გაჟღენთილი. ქვა რომ ქვაა, იმასაც კი სისხლი გაუვა, თუ ხელს მოვუჭერთ. იმ ტოტს ვჭრით, რომელზეც ვსხედვართ. ღმერთი არ გვაპატიებს, გადაგვაჯიშებს, როგორც უმადურებს. აკი განაცხადა კიდეც, როდესაც ებრაელ ერს

მოძღვრავდა: „მიწა სამუდამოდ არ უნდა გაყიდო, რადგან ჩემია მიწა“. ღვთისმშობლისაა ეს მიწა და არ გვაპატიებს ასეთ აგდებულ დამოკიდებულებას, დრო მოვა და მწარედ მოგვეკითხება. ვაი, იმ ქართველს, ვინც გასაყიდად შეახებს ხელს მიწას. საშვილიშვილოდ დაიწყევლება მისი მოდგმა და ჯილაგი. ან რა უნდა იყიდო იმაზე ძვირფასი, რაც გაყიდე? რა სარგებელს მოგიტანს, შე დალოცვილო, მიწის გაყიდვა? წინაპრებთან როგორი პირითღა წარსდგები! და რა პირით მიხვალ იქ, სადაც მისვლა გარდუვალია. მიწის გარეშე რაა ჩვენი ქვეყანა, ან რაღა უნდა დაიცვას შენმა ჯარისკაცმა. ამით ხომ ხელს უწყობ უცხო ეთნოსის დამკვიდრებას?

ინდოეთში ერთი გოგო გააუპატიურეს, გააუბედურეს და ერთი უფლებადამცველიც კი ვერ მოიძიეს დამნაშავის დასაცავად! აქ, საქართველოში კი რა დოღი გააჩაღეს წინა ხელისუფლების მიერ უფუნქციოდ დარჩენილმა ზოგიერთმა დამცველმა, ქვეყნის დამაქცევრების, ნამუსამხდელების, ყაჩაღების, მკვლელების დასაცავად! ნუთუ ქვეყნის სიყვარული, ღირსება, ყოველ ფასეულობაზე მაღლა არ დგას? რას კეკლუცობენ, რას ყელყელაობენ, რას იკვანწებიან კამერების წინ? ადგნენ და უცხოეთიდან ჩამოიყვანონ უფლებადამცველები, ფული არ აქვთ, თუ რა. ხომ იცით, ეს ანტიქართველები, ხვალ შანსი რომ მიეცეთ, საქართველოში ქვას ქვაზე არ დატოვებენ. რა პასუხს გასცემენ შვილებს, შთამომავლობას?

იფიქრეთ და სძლიეთ ეშმაკს. ხომ ხედავთ, რა დღეში არიან, ლამის მუხლზე დაჩოქილი იხვეწება ყოფილი „უძლეველი,“ მიტინგზე გამოდითო, იმ ხალხს ეხვეწება, ვისაც ატერორებდა, ქონებას ართმევდა, ცხვირ-პირს უმტვრევდა, ციხეებში ყრიდა და ცოცხებით აუპატიურებდა. საერთოდ, ზნედაცემული და უთავმოყვარეო უნდა იყო, შენ მიერ დაწიოკებულ ხალხს ევედრებოდე, ძალიან მიჭირს, იქნებ მიშველოთო.

განუზომელია პიროვნების როლი ქვეყნის განვითარებაში. წარმატება თუ წარუმატებლობა პიროვნებასთან ასოცირდება. ისტორიაში ამის მრავალი მაგალითი არსებობს. ჭკვიანი კაცის ნათქვამია, „უმჯობესია, ცხვრის ფარას ლომი ხელმძღვანე-

ლობდეს, ვიდრე ლომების ფარას ცხვარიო“. როდესაც ჩვენს ქვეყანაში ლომები მეწინავეობდნენ, გამარჯვებებიც შთამბეჭდავი იყო. ასე იქნება მომავალშიც, თუ სახელოვანი მამულიშვილების აღმა ხნულს დაღმა არ დავფარცხავთ.

წინ კი ისევ გზაგასაყარია, ერთ მხარესაა ხსნის გზა, მეორე მხარეს, რამდენადაც გასაკვირად უნდა მოგეჩვენოს, გაბჟღვრიალებული ბნელეთის გზა. ხსნის გზა ხომ ქრისტეს გზაა – „მე ვარ გზა და ჭეშმარიტებაო“, ამ გზაზე მავალმა ქართველობამ დღემდე მოგვიტანა აუმღვრეველი და შეუბილწავი სისხლი, ჩვენი შეურყვნელი გენეტიკური კოდი, რამაც დასავლეთის ბევრი სახელოვანი მეცნიერიც კი გააკვირვა. არასოდეს ყოფილა ადვილი ამ გზაზე სვლა. ამ გზაზე მხოლოდ მართლებს შეუძლიათ სიარული. „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლადო“, – გვმოძღვრავს ჩვენი დიდი წინაპარი და ამ გზაზე კვლავაც ბევრი ეკალ–ბარდი და ხნარცვი გადაგვეღობება წინ, მაგრამ თუ ყველა ჩვენგანი სასიკეთო საქმეს კეთილსინდისიერად და პატიოსნად გააკეთებს, ქვეყანა აუცილებლად გადარჩება და გაიმარჯვებს. რას იზამ, სიმართლის გზით სიარული ძნელია, „მრავალი სიავე ხვდება მართალს და ყველაფრისგან იხსნის უფალი“ – ამბობს დავით მეფსალმუნე.

ჭეშმარიტად ამბობს!

სარჩევი

ანგელოსთა საუფლოში 3

მოთხრობები

ტილოზე ამოქარგული მზე 13

ჩამოდი, ჩამოდი!..... 33

ცანგალა და გოგონა 61

წითელი კაბა 73

უხილავი მფარველი 83

პატარძალი ჩემი შვილია!..... 109

მარინე..... 125

ნიკორა..... 139

მოლაპარაკე კაკლის ხე..... 151

თეთრი მტრედი 161

ბოლო გაკვეთილი 171

საბავშვო მოთხრობები

უარსებულო ქვეყანაში 185

გვრიტები 197

მთვარისა და მზევინარი..... 203

ყვავილებმა გადამარჩინეს 211

ჭიამაიები..... 217

პუბლიცისტიკა

„მრავალი სიავე ხვდება მართალს, და ყველაფრისგან

იხსნის უფალი“ 227